კვირის პალიტრა

ფაქტი

N12 (406) 20/III-26/III.2008

ფასი 80 თეთრი



„კახასთან დაშორების ინიციატორი მე ვიყავი... მასთან ოჯახის შექმნა და შვილების ყოლა მინდოდა“

კალაძისა და უკრაინელი ლამაზმანის 6-წლიანი რომანის აქამდე უცნობი დეტალები

„აუცილებელი არ არის, ხედავდე თვალებით“...

რას აპროტესტებს კახა კუკავას და...

სტაჟიანი და ახალბედა მოშიმშილეები

„არც ერთი შიმშილობის დროს ხელისუფლებას ასეთი სადიზმი არ გამოუვლენია“

მოჩხუბარი და დამრტყმელი მარო

ტელეწამყვან მარინა სალუქვაძის წარსული

ISSN 1987 - 5029

რატომ იზრდება მოზარდებში თვითმკვლელობის რისკი

საბა ◻ SABA

სამზარეულოები იტალიიდან

MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.

BERLONI

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info@saba.ge (+995 32) 38 44 54

№12 (406)
20 - 26 მარტი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

დაელოდეთ!



ბესტსელერ „მგლების“ ავტორისაგან

„...ომში დაიკარგა მუროჩი... არ სჯეროდათ მისი დაღუპვისა... ოცი წლის მერე დაუბრუნდა მშობლიურ მთას... უცხო და უჩვეულო ცოდნა შეეძინა ფხოველს: შიშველი ხელით შეეძლო კაცის განკურნებაც და მოკვლაც. მაგრამ ყველაზე უცნაური სხვა თვისება თუ ცოდნა შეეძინა. დროდადრო, როცა ძალიან უჭირდა ფხოვს, მის თავზე მფრინავ ჯვარს ხედავდნენ. შედედებული სისხლისფერი ყოფილა ის ჯვარი, ისეთივე ფერის, როგორც ფხოველის სამოსზე მოქარგული ჯვარი... დიდი სამსახური გაუწიეს მშობლიურ მთას დაიაურმა და იმ ჯვარმა... მერე დიდგორის ომი მომხდარა. მასაც არ გამოკლებია. თავის გაწვრთნილ მეომრებთან ერთად შეერთებია ქართულ ლაშქარს...“

didgoris caze frenda is jvari

მალე!

„გზის“ ფურცლებზე გოჩა მანველიძის ისტორიული რომანი

რატომ იზრდება თვითმკვლელობისკენ მიდრეკილ ოზარდთა რიცხვი?

„ეს ამბავი რომ გავიგე, ვენები გადავიჭერი. ჩემებმა აბაზანაში მიპოვეს და, რა თქმა უნდა, „სასწრაფო“ გამოიძახეს. მოკლედ, გადავრჩი. მეორედ სხვა უბანში, ვიღაც ტიპებს ავუშარდი იმ იმედით, რომ ისინი „დამბრიდავდნენ“, მაგრამ ძმაკაცებმა მომისწრეს და იქიდან წამომათრიეს.“

32

■ მინიატიურები
სოცშეჯიბრება მოთხოვნებსა და მოთხოვნების მოთხოვნაში 5
■ ფაქტი და კომენტარი
„ხელისუფლების „შესაშინებლად“ სხვა ხერხი უნდა მონახონ“ 6
■ პროტესტი
სტაქიანი და ახალგაზდა მოშიმშილეები 7
■ ჟურნალისტის როლში
ვისთვის იცლის შონზო კვირაში ერთი დღე 10
■ მასმედია
სკანდალური მასალები და ინტელექტის „ტრეფიკინგი“ 12
■ ტკივილი
„ვიცი, ზოგჯერ ფოთლების ჭამაც მომიწევს...“ 14
■ კრიმინალი
„ვარსკვლავამ კონდახი ჩაარტყა... ომარი სხეულს დანით უსერავდა...“ 17
■ მეტამორფოზები
მოჩხუბარი და კარგი დამრტყმელი მარო... 18
■ ანტიდეპრესანტი 20
■ პირადი ცხოვრება
ნატალია ვორონა: „კალაძესთან დაშორების ინიციატორი მე ვიყავი“... 20
■ ერუდიტი
ვისთან სურდა მეგობრობა „ბროლის ბუს“ მფლობელ მოაზროვნეს 22
■ თემა
საოცარი წყვილები ანუ რა შეუძლია სიყვარულს 24
■ დედამიწვილები
რა მესიჯს უგზავნის კახა კუკავას მისი ერთადერთი და და რას აპროტესტებს? 27
■ ხელოვანი
როდის იღვიძებს ადამიანში ცეკვისა და სიმღერის ნიჭი 29

საოცარი წყვილები

„როდესაც სიყვარულში გამომიტყდა, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი: მეცინა, გავბრაზებულიყავი თუ მეტირა. რა თქმა უნდა, მაშინვე არაფერს დავპირებივარ. ვუთხარი, – ჩვენ სხვადასხვანაირები ვართ და ვიდრე რაიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ, დაფიქრება გვმართებს-მეთქი...“

24

■ საპატარძლო
დეა ადამიას ნარმოსახვითი ქორწილი 30
■ თინეიჯერული პოტტები
✓ რატომ იზრდება თვითმკვლელობისკენ მიდრეკილ მოზარდთა რიცხვი? 32
✓ „ეს სიყვარული ცოდვის ჩადენის ტოლფასია...“ 35
■ ჯანმრთელობა
✓ ნიკოტინი და შიზოფრენია 37
✓ ქალების სექსუალურობა ასაკთან ერთად მატულობს 37
■ ქურნალი ქურნალში
გზავნილები 39-70
■ თანამემამულე
კონკურსი, რომელშიც 15 ათას ადგილობრივ კანდიდატს შორის ქართველმა გაიმარჯვა 71
■ საზღვრებს მიღმა
XXI საუკუნის საოცრებათა ქვეყანა 72
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. ქარის საიდუმლო... (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ბევრი გეცოდინება, მალე დაბერდები 80
✓ მიირთვით და... გაუფრთხილდით ფიგურას 80
✓ წიგნის კითხვის მანერა და ხასიათი 81
■ ბესტსელერი
გოჩა მანველიძე. მგლები 4 (გაგრძელება) 82
■ მელოდია
„ვარდებს კლასიკური მუსიკა უყვართ“... 87
■ ვარსკვლავები
✓ ლინდსეი ლოხანი ახალ ცხოვრებას იწყებს 88
✓ ბეიონსი ამპლუას იცვლის 88
✓ უიტნი ჰიუსტონი საშობაო საჩუქარს გვიმზადებს 88
■ ნამდვილი ამბავი
საჩუქარი საყვარელი მეუღლისთვის... 91
■ დაიჯესტი 92
■ ბელადი
მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება) 94
■ სავანე
მადლცხებული თეკლათელი დედები 96
■ ეკრანს მიღმა
„ახალი დროება“ საკვირაო ტელეჟურნალს ამზადებს 99
■ ავტო 100
■ პროგნოზი 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ კალეიდოსკოპი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

— „ბაზარი“ დამთავრდა, — განაგრძო ლუკამ, — ათასი მიზეზით შეიძლება შენი დაბრედვა, მაგრამ რაც ახლა გააკეთე, ესეც საკმარისია. კიდევ აპირებ იმის მტკიცებას, რომ ქურდი ხარ?!

გამზათმა ისევ დუმილით უპასუხა.

— რას იტყვი, ჩერმენ? — როსტოველ ავტორიტეტს გახედა ლუკამ.

— გაათრიე ჩემი სახლიდან — ბოზს აქ არაფერი ესაქმება!.. — ბრაზით გამოცრა ჩერმენმა.

— წავედით... დანარჩენზე მე და შენ პირისპირ „ვიბაზრებთ“! — გამზათს მიუგდო ლუკამ და უკანა გასასვლელისკენ უბიძგა, სადაც თავისი ხალხი ელოდა.

სიცშეჯიბრება მოთხოვნებსა და მოთხოვნების მოთხოვნაში ანუ „შიმშილობის სასწაული"

პოლ ბრეგის წიგნი — „შიმშილობის სასწაული" წლების წინ, საქართველოშიც ისეთი პოპულარული გახდა, რომ ბევრი ექიმი კვირაში ერთი დღე შიმშილობით ორგანიზმის გამოჯანმრთელებას ქადაგებდა. როგორც ჩანს, ეს მეთოდი ქართველმა პოლიტიკოსებმაც აიტაცეს, ისინიც ხომ ექიმები არიან, რომელთა პაციენტიც საქართველოა და ქვეყნის გამოჯანმრთელებას შიმშილობით ცდილობენ. ეს შეიძლება, ეფექტური გზა იყოს, მაგრამ „ექიმმა" კი არა, „პაციენტმა" უნდა იშიმშილოს, თანაც კვირაში ერთი დღე და არა — ორი კვირა. მთელი საქართველო რომ კვირაში ერთი დღე ვაშიმშილოთ, წარმოუდგენელია, რადგან როდის იყო, ქართველს ექიმის სჯეროდა?! ამიტომ, ზოგი მთელი ცხოვრება შიმშილობს, ზოგიც — მთელი ცხოვრება ჭამს(!). მით უმეტეს, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვინ გაშიმშილებს, როცა პრეზიდენტმა თქვა, — „საქართველო სიღარიბის გარეშე" და ხალხის დაპურებაზეა მთელი მთავრობა გადასული... აგერ, სოფლები მოიარა და თითო კომლს 20-20 ლიტრი დიზელის საწვავი დაურიგა, მიწები დახანით და წლის სარჩო მოიყვანეთო...

ათასნაირად სცადა ხელისუფლებამ, ტკბილი სიტყვით დაეთანხმებინა ოპოზიცია შიმშილობის შეწყვეტაზე...

...მაგრამ დუმბაძის არ იყოს, ოპოზიციას შენ მოატყუებ?

ყოჩაღ, ძმაო, ამ მთავრობას მართლაც, რომ იტყვიან, „ლიოჩიკის გული" ჰქონია, მაგარი გარისკა: ხომ შეიძლება, იმ გლეხებმა შეკრიბონ ის 20-20 ლიტრი საწვავი, ტრაქტორებში კი არა, ავტობუსებსა და „მარშრუტკებში" ჩაასხან და პარლამენტის წინ მოიყარონ თავი?! შეიძლება, მაგრამ ისიც იცის მთავრობამ, რომ 75 მაჟორიტარის გაპროტესტებად არ უღირს მიწის არდახვნა, არც პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომა შეიძლება ხიბლავდეს მაინცდამაინც და ამის გამო თუ იშიმშილა და მოსავლის გარეშე დარჩა, შიმშილობა მერე ნახეთ თქვენ!..

პოლიტიკოს ოპოზიციონერებს კი სამსახურიც და „სახნავ-სათესიც" პოლიტიკაში აქვთ და შიმშილობაც ალბათ, ამიტომ უჭირთ. ათასნაირად სცადა ხელისუფლებამ, ტკბილი სიტყვით დაეთანხმებინა ოპოზიცია შიმშილობის შეწყვეტაზე, მაგრამ დუმბაძის არ იყოს, ოპოზიციას შენ მოატყუებ? რაც ზევითაა (ბურჯანაძის მისაღებში), ორი იმდენი ქვევითაა (პარლამენტის წინ). ამიტომ მოთხოვნებს კი არ აკლებს, პირიქით — ამატებს და ახლა უკვე პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომაც დაამატა და ამით გაამწვავა ისედაც დაძაბული ვითარება.

თუმცა, ოპოზიციურ ფრონტზე ერთსულოვნების დეფიციტი მაინც შეიმჩნევა, რადგან არც მოთხოვნები აქვთ ერთნაირი, არც პროტესტის ფორმები და მგონი, ერთმანეთსაც კი ეჯიბრებიან მოთხოვნებში. მოკლედ, სოციალისტური შეჯიბრება მოთხოვნებსა და მოთხოვნების მოთხოვნაში გრძელდება: გაჩეჩილაძე და მისი გუნდი შიმშილობს და ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებსა და 75 მაჟორიტარის გაუქმებას მოითხოვს; გამყრელიძე შიმშილობს და არ მოითხოვს ხელახალ არჩევნებს, მაგრამ მოითხოვს 75 მაჟორიტარის გაუქმებასა და ბურჯანაძის გადადგომას, ხოლო მისი გუნდი შიმშილობს და მოითხოვს იმას, რომ გამყრელიძის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს...

სხვათა შორის, აქ არის კიდევ მესამე მხარე — პარტიები, რომლებიც ვერ ან არ შიმშილობენ, მაგრამ ითხოვენ: „რესპუბლიკელები" — იმავეს, რასაც სხვები (ისე, თვითონ რომ იშიმშილონ, სხვების შიმშილობის მოთხოვნით, არ იქნება ურიგო); „ქრისტიან-დემოკრატები" — პარლამენტართა რაოდენობის გაზრდას (100 პროპორციული სიის დეპუტატითა და 75 მაჟორიტარით მის დაკომპლექტებას). აი, რას ნიშნავს, კაცი რომ არ შიმშილობს: გონებაც იკვებება და აზრებიც კარგი მოსდის... არც ლეიბორისტები და მათი ლიდერი შიმშილობენ და სხვებს სთავაზობენ, საერთოდ გამოუცხადონ ბოიკოტი საპარლამენტო არჩევნებს — კიდევ კარგი, რომ არ შიმშილობენ, თორემ ნაკვები გონებით რომ ამას მოიფიქრებ, მშიერი გონებით მოფიქრებული ხომ წარმოგიდგენიათ?!

რაც შეეხება „მემარჯვენეთა" ახალ მოთხოვნას — პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომის შესახებ, — კონტრმოთხოვნაც საინტერესო გაჩნდა: გააუქმოს ოპოზიციამ ყველა მოთხოვნა, მათ შორის, პრეზიდენტის ხელახლა არჩევის შესახებ და გადავდგებიო — ამით გაინაღდა თავმჯდომარეობა ამ პარლამენტის მოწვევის ვადის ბოლომდე... ყველაფერი ალბათ, იმით დასრულდება, რომ გაითვალისწინებს ხელისუფლება ახალ ინიციატივას 100×75 ფორმულით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კვოტასაც დაეთანხმება და „ცოტა შენ გაიჭირვე, ცოტას მეც გავიჭირვებ" პრინციპით, შიმშილობასაც შეწყვეტს ოპოზიცია და სხდომათა დარბაზს დაუბრუნდება, რადგან დარწმუნებული ვარ, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არ ეთანხმება, ყველა ძალიან განიცდის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას...

მე კი იმედი მინდა ვიქონიო, რომ მალე ისევ შეივსება პარლამენტის ცარიელი სკამები ოპოზიციონერი დეპუტატებით, ისევ მხიარული ჟრიამულით ახმაურდება შენობა, ისევ აღდგება ავიარეისები საქართველოსა და რუსეთს შორის, ისევ დალევენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ქართულ ღვინოს — საღამოს და „ბორჯომს" — დილით, შევა ჟურნალისტი „იმედში", საქართველო — ნატოში, ოპოზიცია — დარბაზში: „ბავშვებო, შედით კლასში!.."

პროვოკატორი

„ოპოზიციის შიმშილობა მაღიზიანებს... რაღას მოითხოვენ?“

გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად საზოგადოების დიდი ნაწილი ოპოზიციის მიერ გამოცხადებულ შიმშილობას მიიჩნევს, თუმცა ზოგისთვის ეს მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ხელისუფლება მათ შიმშილობას ყურადღებას არ აქცევს, ზოგს კი მიაჩნია, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს ზედმეტი მოსდით და ეს აქცია უნდა შეწყვიტონ.

„ხელისუფლების „შესაშინებლად“ სხვა ხერხი უნდა მონახონ“

ნათია ქივიძე

ნანული სარვაველაძე, *ქიმიკოსი, 58 წლის:*

— ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ოპოზიციის მიერ გამოცხადებული შიმშილობაა. არც ერთი მათგანი აღარ ჰგავს ადამიანს. ამ სიცივეში ღამეებს კარვებში ათევენ, მაგრამ რად გინდა? — ხელისუფლებას ეს სულაც არ ანაღვლებს. თვითონ ხომ სძინავთ თბილად და რბილად! არანაირ დათმობაზე არ სურთ წასვლა. ოპოზიციის მოშიმშილე წარმომადგენლებს ისეთ იგნორირებას უკეთებენ, თითქოს არაფერი ხდებოდეს. სააკაშვილი კვლავ საზღვარგარეთ მოგზაურობითაა დაკავებული, იქაურ გადაცემებში უსირცხვილოდ გამოდის და საქართველოზე ლაპარაკობს. ჩვენს ქვეყანას აღარაფერი ეშველება. ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტის სავარძელში ზის (ეს კიდევ დიდხანს გაგრძელდება), მანამდე სიმშვიდესა და კარგ ცხოვრებაზე არც უნდა ვიოცნებოთ...

დათო გაგნიძე, *ეკონომისტი, 26 წლის:*

— ყველაზე მეტად ოპოზიციის შიმშილობა მაღიზიანებს. თვითონაც ვეღარ გაუგიათ, რა უნდათ. ზოგი შიმშილობს, ზოგი ამ აქციების წინააღმდეგია და ა.შ. ოპოზიციის წარმომადგენლები არ არიან ერთსულოვნები და ხელისუფლებისგან რაღას მოითხოვენ? ეგონათ, შიმშილობას თუ გამოვაცხადებთ, ისევ იმდენი ხალხი მოვა ჩვენს აქციაზე და ხელისუფლებას ისევ შევაშინებთო, მაგრამ, როგორც საქართველოს პრეზიდენტი იტყოდა: ვერ მოგართვით. ოპოზიციის რეიტინგი საგრძნობლად დაეცა და ყველა კარგად ხედავს, ვინც მივიდა მათ მიერ გამოცხადებულ აქციაზე. შიმშილობა „მოდაში“ აღარ არის. ხელისუფლების „შესაშინებლად“ ახლა სხვა ხერხი უნდა მონახონ.

ლია ელოფვილი, *დიასახლისი, 48 წლის:*

— აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა სვანეთის უბანში: დედამ საკუთარი და და შვილი სასიკვდილოდ გაიმეტა. არ ვიცი, რამ უნდა მიიყვანოს ადამიანი იმ ზომამდე, რომ შვილი ასე აწამოს და სასიკვდილო ჭრილობები მიაყენოს. ალბათ, ნორმალური არ იყო. თურმე, თვითონაც გარდაცვლილა. ღმერთმა მაპატიოს და მის სიცოცხლეს რაღა აზრი ჰქონდა?! ასეთ შემთხვევებს ტელევიზიით არ უნდა გვიჩვენებდნენ. ისედაც გამწარებული და გაჭირვებული ერი ვართ, კიდევ იმის ყურება გვინდა, როგორ კლავს დედა საკუთარ შვილს?!.

ქეთევან აფციაური, *ინჟინერი, 42 წლის:*

— აღმაშფოთებელი — არ ვიცი, მაგრამ ამაღელვებელი ფაქტი იყო, პაატა ბურჭულაძე საგურამოს ბავშვთა სახლს რომ ესტუმრა და მათი დახმარება გადაწყვიტა. ძალიან კარგია, ასეთი ადამიანები, თუმცა ცოტა, მაგრამ მაინც რომ არსებობენ. პაატა ბურჭულაძე სულ გაჭირვებულების დახმარებითაა დაკავებული. საგურამოს ბავშვთა სახლის პირობები რომ არ მოეწონა, განათლების სამინისტროს მიმართა და დირექტორი გაათავისუფლებინა. ღმერთმა შემინდოს, მაგრამ მეც ვიცი, რამდენიმე ასეთ სახლში სტუმრების მიერ მიტანილ საჭმელსა და ღიმონათს დირექტორები სარდაფში რომ ინახავენ, — გამოვუზოგავთო, — ამბობენ, სინამდვილეში კი საკუთარ ოჯახებში მიაქვთ. ასეთი ადამიანები სამსახურიდან აუცილებლად უნდა გაათავისუფლონ. პაატა ბურჭულაძეს უსაზღვრო სიკეთის გამო, ღმერთი მიუზღავს...

დავით გიგაური, *პენსიონერი, 74 წლის:*

— გამაოგნებელი ფაქტი იყო, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა: უკვე ხანდაზმული ქალბატონი, რომელიც 40 წელი მუშაობდა უნივერსიტეტში, გაათავისუფლეს. მან კი პროტესტის ნიშნად, ორ ოთახში ბენზინი მოასხა და ცეცხლი წაუკიდა. ასე როგორ უყვარდა ეს უნივერსიტეტი, სადაც მხოლოდ „კაპიკები“ ჰქონდა ხელფასი, რომ იქიდან გათავისუფლება ვერ აიტანა და მის დაწვას შეეცადა?! ძალიან უცნაური ხალხი ვართ ქართველები... გარდა ამისა, მნიშვნელოვანი მოვლენაა, ოპოზიციის შიმშილობა, თუმცა, ეს ფაქტი ხელისუფლებისთვის აბსოლუტურად უმნიშვნელოა. შალვა ნათელაშვილი ამბობს, — შიმშილობა შეწყვიტეთ და არჩევნებს გამოვუცხადოთ ბოიკოტიო, — მაგრამ ეს ხომ აბსურდია? მიხეილ სააკაშვილი ისედაც მიჩვეულია, რომ პარლამენტის წინ, შინ თუ გარეთ, ქართველი ხალხი მაინც შიმშილობს და ამაზე რეაგირებას ამიტომაც არ ახდენს. არჩევნებს ბოიკოტი რომ გამოუცხადონ, მეტი კი არაფერი უნდათ, ხმებს მიითვისებენ და ისევ მათი წარმომადგენლები დაიკავებენ სახარბიელო თანამდებობებს. არ ვიცი, რა გვეშველება. ალბათ, აღარაფერი...

ლუიზა ყოლბაია, *პედაგოგი, 47 წლის:*

— ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზე, დედამ საკუთარი შვილი მოსაკლავად რომ გაიმეტა. მართალია, შვილის ნაცვლად, და მოკლა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს?! ვერაფრით წარმომიდგენია, ადამიანები ერთმანეთს სასიკვდილოდ როგორ იმეტებენ, მით უმეტეს, თუ მსხვერპლი მისი სისხლი და ხორცია?! ამ ფაქტმა შემძრა. ძალზე ცუდია, ტელევიზიას ასეთი მოვლენების გარდა გასაშუქებელი სხვა რომ არაფერი აქვს. ასეთი ამბავი საქვეყნოდ კი არ უნდა გამოაცხადონ, უნდა მიხვდნენ, რომ ეს ჩვენი დიდი პრობლემაა და მაქსიმალურად შეეცადონ მის დაფარვას. ოპოზიციის შიმშილობის ფაქტიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ხელისუფლება ასე სულაც არ ფიქრობს... ■

სტაქიანი და ახალგაზრდა მოშიმშილეები

შიმშილობა, როგორც პროტესტის ფორმა, პოლიტიკაში ინდოელმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ლიდერმა მაჰათმა განდიმ დაამკვიდრა. პოლიტიკური ბრძოლის ამ ხერხთან დაკავშირებით ყველაზე დიდი სკანდალი 10 ირლანდიელის მიერ დაწყებულმა უვადო შიმშილობამ გამოიწვია. ისინი მარგარეტ ტეთჩერისგან, ბრიტანეთის პატონობისგან ჩრდილოეთ ირლანდიის გათავისუფლებას მოითხოვდნენ. აქცია ფატალური შედეგით დასრულდა: სხვადასხვა ვერსიით, ათიდან სამი თუ ოთხი მოშიმშილე დაიღუპა: პირველი — 21-ე დღეს, ბოლო კი — 53-ე დღეს. პროტესტის ეს ფორმა ქართულ რეალობაში პირველად, მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გამოიყენეს. სამწუხაროდ, მას დღესაც მიმართავენ და პოლიტიკურ ბრძოლაში ყველაზე მძლავრ იარაღად მიიჩნევენ.

„არც ერთი შიმშილობის დროს ხელისუფლებას ასეთი სადიზმი არ გამოუვლენია"

ხათუნა ბახტურიძე

იმის გასარკვევად, თუ როგორია „შიმშილობა ქართულად", პარლამენტის წინ „გაშენებულ" კარვების ქალაქს მივაშურე. აქციის მონაწილეთა უმრავლესობამ ყველაზე სტაჟიან მოშიმშილედ, ზვიად ძიძიგური დაასახელა, ახალბედად კი — გია ცაგარეიშვილი. სტაჟისა და გამოცდილების მიუხედავად, ძიძიგურს სისუსტემ ადრევე სძლია და სამედიცინო მომსახურება ყველაზე ადრე დასჭირდა. მის კარავთან ჯერ მიახლოებულიც არ ვიყავი და ვერც გამარჯობის თქმა მოვასწარი, რომ მისი თანაშემწისაგან ინტერვიუზე თავაზიანი უარი მივიღე. გია ცაგარეიშვილის კარავში შესვლა მანამდე მოვასწარი, ვიდრე ვინმე მისი შეწუხისაგან თავის შეკავებას მირჩევდა.

გია ცაგარეიშვილი:

— რამდენიმე დღეა, შედარებით სუსტად ვარ. ეს იმის ბრალია, რომ ჩემს ორგანიზმში შაქრის დონემ დაიწია. არა უშავს, როგორმე გავუძლებ.

— თქვენი განწყობილება როგორია?

— ბრძოლისუნარიანობა გაათკეცებული მაქვს. ვიცი, რომ მიზანს მივაღწევთ. მოლოდინი მტანჯველია, მაგრამ ამის გადალახვა ყველა იმ ადამიანს შეუძლია, ვინც ლაჩარი არ არის. ამას, როგორც ძველი რაგბისტი, ისე გეუბნებით.

— როგორც მითხრეს, თქვენი ჯანმრთელობა სერიოზული საფრთხის ქვეშაა...

— კი, მაგრამ როდესაც შიმშილობა გადავწყვიტე, მოსალოდნელი რისკიც შევაფასე, ამიტომ წუწუნი აღარ ღირს, ახლა ბრძოლაა საჭირო. თუ ხელისუფლება, მემორანდუმში ჩამოყალიბებულ პირობებს არ შუასრულებს, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აქ ვიქნები.

— ქრისტიანული მორალის მიხედვით, შიმშილობა გაუმართლებელი ქმედებაა. ამის შესახებ თქვენი აზრი როგორია?

— ეს აზრი იმ ადამიანმა გამოთქვა, რომელიც ეკლესიებს ანგრევს და ხალხს ხოცავს. სააკაშვილი ისეთივე ქრისტიანია, როგორიც მე — ბუდისტი. სხვათა შორის, ფარისევლობა ყველაზე დიდი ცოდვაა. სააკაშვილს „ბიბლიაც" არ ექნება წაკითხული, ამიტომ მისგან დარიგებას არ მივიღებთ. ჩვენთან, კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის კურთხევით, მეუფეები მობრძანდნენ და გვირჩიეს, უარი არ გვეთქვა ექიმის დახმარებაზე. მათ რჩევას ვითვალისწინებთ და როდესაც კრიტიკულ მდგომარეობაში ვცვივდებით, წნევის წამლებს ვიღებთ, სხვა ყველაფერზე უარს ვამბობთ.

— ყველაზე მეტად, რა გაწუხებთ?

— სიმართლე ვთქვა?

— რა თქმა უნდა.

— ხალხის სიმრავლე: ძალიან ბევრი მნახველი მოდის. მართალია, მათ თანგრძნობის გამოხატვა სურთ და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ მათთან ურთიერთობა ემოციურად მღლის.

ყოფილი მორაგბის, გია ცაგარეიშვილის მსგავსად, არც მთამსვლელი გია თორთლაძე იყო კარგ მდგომარეობაში, მაგრამ კარავში თავაზიანად მიმიპატიჟა და საუბრისათვის სრული მზადყოფნა გამოხატა.

გია თორთლაძე:

— ჩემი ნებით, პირველად ვშიმშილობ და თავს ნორმალურად გვრძნობ.

— თქვენი ნების საწინააღმდეგოდაც გიშიმშილიათ?

— კი, მთებში მოგზაურობის დროს ორჯერ მომიწია შიმშილმა. ერთხელ, ჰიმალაიზე, 40-გრადუსიან ყინვაში 26 საათი უჭმელ-უსმელმა ვიარე. მეორედ, K2-ის მწვერვალიდან (5 ათასი მეტრის სიმაღლიდან) დაბლა ჩამოვდიოდით. გზად მდინარის მღვრიე წყალს კი ვსვამდით, მაგრამ საჭმელი არაფერი გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცხელოდა, დღეში 9-10 საათი ვმოძრაობდით.

— სად უფრო რთულია შიმშილი — მთებში თუ პარლამენტის წინ?

— ორივე მძიმეა, მაგრამ პარლამენტის წინ შიმშილი უფრო საპასუხისმგებლოა.

— როგორ ფიქრობთ, კიდევ რამდენ ხანს შეძლებთ?

— არც კი ვიცი. ჩვენი მდგომარეობა ყოველდღე მძიმდება. რამდენიმე მოშიმშილე უკვე წაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში. ჩვენ უვადო შიმშილობა გამოვაცხადეთ და ვიდრე ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, აქ ვიქნებით.

— ამ ყველაფერს შესაძლოა, სავალალო შედეგი მოჰყვეს...

— მოჰყვეს! მე ამისთვის მზად ვარ. ალბათ იცით, რომ ირლანდიელები, რომლებიც შიმშილობის ფონზე, დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ, გარდაიცვალნენ. მარგარეტ ტეთჩერს იმიტომ შეარქვეს „რკინის ლედი", რომ გულცივად იდგა და ელოდა ტრაგედიის დასრულებას. ბურჯანაძეც ცდილობს, ტეთჩერის მიბაძვას ჩაცმულობით და ვარცხნილობით. მძივებსაც მასავით იკეთებს. მის გასაგონად ვიტყვი, რომ ტეთჩერს ასეთმა სი-

ძალიან ბევრი მნახველი მოდის

სასტიკემ რეიტინგი არ მოუმატა, პირიქით — ირლანდიელებმა მსოფლიოს გული მოიგეს. ისე, ბურჯანაძეს რეიტინგი მაინც არა აქვს და რა უნდა დაუვარდეს?..

მოშიმშილეებიდან ყველაზე მხნედ, „ხალხის პარტიის“ ლიდერი, კობა დავითაშვილი გამოიყურება. მის კარავში გამუდმებით ხალხმრავლობაა, ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის კარგ ხასიათზეა და გარშემო მყოფებს საინტერესო ამბებს უყვება. ის ყველაზე სტაჟიან მოშიშმილეებად, ბიძინა გუჯაბიძესა და ***ზვიად ძიძიგურს*** *მიიჩნევს. ბატონი ზვიადის უგუნებობას კი ამგვარად ხსნის:*

— ზვიადი ბევრს მოძრაობდა, მიტინგებში მონაწილეობდა და პარლამენტის წინ „სირცხვილის კორიდორებს“ აკეთებდა. შიმშილობის დროს კი ფიზიკური გადაღლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ისე, შიმშილობის თანამიმდევრული დამცველი მერაბ კოსტავა იყო. ციხეში გონების დაკარგვამდე შიმშილობდა. ექიმები წვეთოვანს უდგამდნენ, მაგრამ გონზე მოდიოდა თუ არა, მაშინვე იხსნიდა და ისევ, გულის წასვლამდე, აგრძელებდა შიშილს. ეს პროცესი 8 თვე გაგძელდა.

— ბატონო კობა, მგონი, არც თქვენი შიმშილობის სტაჟია მცირე.

— ახლა მესამედ ვშიმშილობ. პირველად, იუსტიციის სამინისტროში ვიშიმშილე (2003 წლის ივლისი იყო), ზვიად ძიძიგურთან, გოჩა ჯოჯუასთან, ლადო ჭიპაშვილსა და კაკო ბობოხიძესთან ერთად. მოხუცებისათვის „გაყინული“ პენსიების დარიგებას ვითხოვდით. 12-დღიანი შიმშილობის შემდეგ, ხელისუფლებამ კეთილი ინება და ჩვენი მოთხოვნა შეასრულა. მეორედ, ნოემბრის აქციების დროს, სამი დღე ვიშიმშილე, მეტი ვერ მოვასწარი: ალბათ გახსოვთ, როგორ დაგვარბიეს.

— ახლა როგორ გრძნობთ თავს?

— ჯერჯერობით, ისევ ჯანზე ვარ.

— ამ 11 დღის განმავლობაში, თქვენი გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი არ შეგპარვიათ?

— გამორიცხულია. მყარი პოზიცია მაქვს. ჩემ გამო, ოჯახში ძალიან-ძალიან ნერვიულობენ. მეც განვიცდი მათ გამო, განსაკუთრებით, მეუღლის მდგომარეობა მაწუხებს, იმიტომ, რომ ფეხმძიმედ არის. მიუხედავად ამისა, აქედან წასვლას არ ვაპირებ.

— როგორ ფიქრობთ — თქვენ მიერ მოწყობილი აქცია შედეგს გამოიღებს?

— როდესაც ამა თუ იმ მოთხოვნით, შიმშილობა იწყება, ხელისუფლება სამ ფაზას გადის: პირველი არის — გულგრილობა, მეორე — ირონია, მესამე — თავის შეწუხება. ასეთ დროს, ხელისუფლება თავს ჰუმანური მოსაზრებების გამო კი არ იწუხებს, უბრალოდ, მსოფლიოს თვალში იმიჯის შელახვას ერიდება. ალბათ დამეთანხმებით, რომ ასეთი მასობრივი პროტესტი მსოფლიოს ისტორიაში ყოველდღე არ ხდება. ჩვენთან ერთად, საპარლამენტო ოპოზიციაც შიმშილობს და ვფიქრობ, ეს ანგარიშგასაწევი ფაქტია.

ჩვენი მდგომარეობა ყოველდღე მძიმდება. რამდენიმე მოშიმშილე უკვე წაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში

— როგორია თქვენი განწყობილება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი — „ახალი მემარჯვენეები“ — ბურჯანაძის მისაღებში შიმშილობენ?

— ისინი ჩვენზე უფრო რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მართალია, ღია ცის ქვეშ გვიწევს ღამის გათენება, მაგრამ უჰაერობის პრობლემა მაინც არ გვაქვს. ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ქალბატონმა ბურჯანაძემ საღი განსჯის უნარი დაკარგა და მოშიმშილეებს პლედების გადაფარების უფლებას არ აძლევს.„ახალი მემარჯვენეები“ იძულებული არიან, გაზეთები გადაიფარონ და ისე დაიძინონ. ასეთი სადიზმი არც ერთ ხელისუფლებას არ გამოუვლენია. როდესაც შევარდნაძის დროს ვშიმშილობდით, პირადად ქალბატონი ნინო მოდიოდა ჩვენთან და გვანუგეშებდა. დღემდეც, ის „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე ჰუმანურ სახედ მიიჩნეოდა. დღეს ის სამწუხაროდ, ადამიანის სახეს კარგავს.

დავითაშვილის ნაუბარმა ბიძინა გუჯაბიძეც მოიყვანა ხასიათზე და ის დრო გაიხსენა, როდესაც პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით შიმშილობდა.

— შევარდნაძემ თავის დაბადების დღეზე დამიჭირა (1994 წლის 25 იანვარს). ზვიადის მხარდაჭერის გამო 10-წლიანი პატიმრობა მომისაჯა, ბრალად კი სამშობლოს ღალატი და ბანდიტიზმი დამდო. 1996 წლიდან 2000 წლამდე, სულ 155 დღე ვიშიმშილე. პირველად, შიმშილობა საკანში მყოფ პოლიტპატიმრებთან ერთად, მაშინ დავიწყე, როდესაც დოკვაძესა და გელბახიანს დახვრეტა მიუსაჯეს. თავიდან, 26 კაცი ვშიმშილობდით, მაგრამ ბოლოს, მხოლოდ ოთხნი დავრჩით: მე, ვალტერ შურღაია, გოჩა ოთხოზორია და რამაზ ვანიშვილი. ადგნენ და ე.წ. „სპეცებში“ (იქ, სადაც დასახვრეტად გამზადებული ხალხი ჰყავდათ) ჩაგვიყვანეს. 30 დღე ვიშიმშილეთ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ ეს ამად ღირდა, რადგან ორი მამულიშვილი დახვრეტას გადავარჩინეთ; მეორედ, რუსთავის №1 კოლონიაში ანუ ზონაში, საქართველოს ციხეებიდან პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით, 60 დღე ვიშიმშილეთ. დაახლოებით 150 პოლიტპატიმარი ჰყავდა შევარდნაძეს. იმის გამო, რომ ჩაკეტილ სივრცეში ვიყავით, საიდანაც ინფორმაცია არ გადიოდა, შიმშილობის გახანგრძლივების მიზნით, მწვანილის ნახარშს ვიღებდი. საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევა მაინც ვერ შევძელით — ამ ამბავმა თბილისში კი გაჟონა, მაგრამ უცხოეთი საქმის კურსში არ იყო. აქციის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და შიმშილობა შევწყვიტეთ. ცოტა რომ მოვძლიერდი, თანამოაზრეებთან ერთად, შიმშილობა ისევ დავიწყე, რომლის დროსაც ჯერ გამოხდილ წყალს ვსვამდით, მერე მინერალურზე გადავედით და 65 დღე გავძელეთ. ამ შიმშილობამდე წონაში 96 კგ გახლდით, შიმშილობის შემდეგ კი აღმოვაჩინე, რომ 44 კილო დავიკელი (52 კგ-მდე ჩამოვედი). დოკუმენტურ ფილმებში, აფრიკელი „სკილეტები“ თუ გინახავთ, ზუსტად იმათ ვგავდი. მართლაც, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიყავით. ჩვენს სანახავად უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ე მოვიდა და შევარდნაძის დანაბარები გადმოგვცა, —

შიმშილობის თანამიმდევრული დამცველი მერაბ კოსტავა იყო. ციხეში გონების დაკარგვამდე შიმშილობდა

შიმშილობის შეწყვეტის შემთხვევაში, ყველა პოლიტპატიმარს ციხიდან გათავისუფლებას გვპირდებოდა. ჩვენ უწმინდესს ვუთხარით, რომ მას ვენდობოდით, მაგრამ დარწმუნებული ვიყავით, შევარდნაძე მასაც მოატყუებდა და ამიტომაც, ციხეში ქვეყნის პირველი პირის მოსვლა მოვითხოვეთ. შევარდნაძემ ჟვანია გამოგვიგზავნა. ის მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე იყო. ბატონ ზურაბს ხელწერილი დავაწერინეთ, რომ პირობას აუცილებლად შეასრულებდა და მხოლოდ ამის შემდეგ შევწყვიტეთ შიმშილობა. ამ აქციის შემდეგ, საქართველოს ციხეებიდან 150 კაცი გაათავისუფლეს. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება ჩემს გამოცდილებას გაითვალისწინებს. 65 დღეში მარტო საქართველოს კი არა, მთელ უცხოეთს გავაგებინებ, როგორი დიქტატორებიც არიან სააკაშვილი და ბურჯანაძე. ჩვენი წინაპრები სამშობლოს დასაცავად ხმლითა და ტყვიით იბრძოდნენ, ჩვენ კი პროტესტის ამ ფორმით, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

— ასეთი მძიმე შიმშილობის შემდეგ, ძალებს როგორ აღიდგენთ?

— თუ ცოცხლები გადავრჩით, ჯანმრთელობის აღდგენას სხვადასხვა სამკურნალო მეთოდით მოვახერხებთ.

როგორც აღმოჩნდა, შიშილობის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონია მემარჯვენეების ერთ-ერთ ლიდერს, მამუკა კაციტაძეს. მასთან გასაუბრება მაშინ მოვახერხე, როდესაც ბურჯანაძის მისაღებიდან ეროვნული საბჭოს წევრებთან სალაპარაკოდ ჩამოვიდა.

— პირველად 1990 წელს, არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით ვიშიმშილე. საბედნიეროდ, არჩევნები დაინიშნა და ეროვნულმა ხელისუფლებამ გაიმარჯვა; მეორედ 1991 წლის დეკემბერში ვიშიმშილე იმისათვის, რომ სამოქალაქო ომი არ დაწყებულიყო. მაგრამ როცა თბილისში პირველი ტყვია გავარდა, საპროტესტო აქცია შევწყვიტე, რადგან მაშინ შიმშილობის დრო ნამდვილად აღარ იყო. ახლა მესამედ ვშიმშილობ.

— პარლამენტში რამდენად განსხვავებულ პირობებში გიწევთ შიმშილი?

— ზოგიერთმა ავის მსურველმა თქვა — მემარჯვენეებმა კომფორტული შიმშილობა არჩიესო. შეიძლება, შენობა გარედან მიმზიდველია, მაგრამ მერწმუნეთ, სავარძელში ძილი იოლი სულაც არ არის. მათთვის, ვინც შიმშილობს, წამოწოლა და ნორმალური ძილი აუცილებელია. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ღამით ძალიან გვცივა. ქალბატონმა ნინომ ელემენტარული გასათბობი საშუალების, ანუ პლედის შეტანის უფლებაც კი არ მოგვცა. ვიხდით იმას, რაც ტანზე გვაცვია და ზემოდან ვიფარებთ.

— მაინცდამაინც ბურჯანაძის მისაღები რატომ აირჩიეთ?

— დეპუტატების შიშილობა პარლამენტის შენობაში, პარლამენტის თავმჯდომარეს კაბინეტის წინ, პოლიტიკური აქტია, რომელსაც თავისი დატვირთვა აქვს.

— თქვენს მდგომარეობას ეჭიმი თუ აკონტროლებს?

— რამდენჯერმე ამოვიდნენ, შეგვამოწმეს და გაოცდნენ — მთლად ამირანივით ვერ ვართ, მაგრამ 11-დღიანი შიმშილობის ფონზე, მაინც კარგად გამოვიყურებით.

— როგორია თქვენი სულიერი მდგომარეობა?

— ჩვენ მხოლოდ თანაპარტიელები კი არა, მეგობრებიც ვართ, ერთმანეთს ვამხნევებთ და ვანუგეშებთ. ეს ძალიან გვშველის. ჩვენ საკუთარი ქვეყნის გადარჩენას მოვითხოვთ.

ბოლოს, მოშიმშილეების მეთვალყურეს, ფსიქოთერაპევტ მაკა ავალიანსაც გავესაუბრე. ის ოპოზიციონერი ლიდერების ფიზიკური მდგომარეობით შეშფოთებულია და უკვირს, რომ ხელისუფლება მათ მიმართ ასე გულგრილია.

— აქციის დაწყების დღიდან მოშიმშილეებთან ვარ. თითოეულ მათგანს თავიდანვე განვუმარტე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მათ ქმედებას... ბიძინა გუჯაბიძეს გულთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და მისი შიმშილობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; კობა დავითაშვილს თირკმლების დაავადება აქვს და შიმშილობა მის ჯანმრთელობაზეც ძალზე უარყოფითად მოქმედებს; გია თორთლაძეს კენჭის გავლა ჰქონია და ასეთ აქციაში მონაწილეობა მისთვის საერთოდ დაუშვებელია.

— რომელიმე მათგანს ყოყმანს თუ ატყობთ?

— ამ ადამიანებს სულ თვალებში ვუყურებ. ყოყმანს არა, მაგრამ მათ თვალებში გაოგნებას ვხედავ.

— რას გულისხმობთ?

— ხელისუფლების გულგრილობით არიან გაოგნებულნი.

— გაღიზიანებულები თუ არიან?

— პირიქით, ძალიან კორექტულები და თავაზიანები არიან.

— ახალბედა მოშიმშილეები თავს როგორ გრძნობენ?

— ლიდერები ცდილობენ, ყველაფერს ბოლომდე გაუძლონ. გია ცაგარეიშვილი ძალზე კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ არათუ საავადმყოფოში არ წავიდა, წამლების მიღებაზეც კი უარი განაცხადა. 19 წლის ბიჭებმა ამდენს ვერ გაუძლეს და მორიგეობით შიმშილობენ.

— წამლებს არც სხვები იკარებენ?

— არა. მხოლოდ წნევის დასარეგულირებელ საშუალებას იღებენ.

— როგორ ფიქრობთ, ასეთ პირობებში შიმშილობის გაგრძელებას რამდენ ხანს შეძლებენ?

— წყალს თუ დალევენ, 40 დღე, უწყლოდ — 21. ეს ადამიანები სტაციონარული მკუნალობის გარეშე ფეხზეც ვერ გაივლიან. მათ ძალიან სერიოზული მკურნალობა დასჭირდებათ.

— სასმელი წყალი მათთვის მერიას მოაქვს?

— არა, თავად ყიდულობენ. ნეტავ, მერია ნაგავს გაიტანდეს და... 11 დღეა, ნაგავი არ გაუტანიათ.

აქციის დაწყების დღიდან მოშიმშილეებთან ვარ. თითოეულ მათგანს თავიდანვე განვუმარტე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მათ ქმედებას...

სოფო ჭონიშვილი

ჟურნალისტი – ეკა გაგნიძე
რესპონდენტი – შონგო

ვისთვის იცლის კვირაში ერთი დღე შონზო

შოუმენი შონზო, ჟურნალისტის როლში, სამოდელო სააგენტო „ნატალის" მოდელ ეკა გაგნიძეს შეხვდა. მოხერხებული შოუმენი ახალ ამპლუას არ დაუბნევია. მან შესანიშნავად მოირგო ჟურნალისტის როლი და მშვენიერი მოდელის პროვოცირებაც ინტერვიუზე არაერთხელ სცადა...

— დღემდე პირადად არ გიცნობდი და ამიტომ, შენ შესახებ ბევრი რამ მაინტერესებს. რამდენი წლის იყავი, ოჯახი რომ შექმენი?

— 24-ის გახლდით.

— შენი მომავალი მეუღლე გიყვარდა?

— ისე, რა (*იცინის*)... 4 წელი მეგობრები ვიყავით. გარკვეული პერიოდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთმანეთისგან მეგობრობაზე მეტი გვინდოდა.

— როგორც ვიცი, ერთი შვილი გყავთ, არა?

— ჩვენი ბიჭი უკვე 11 წლისაა. ვაა... 11 წელია, ცოლიანი კაცი მქვია (*იცინის*)!

— შენი მომავალი მეუღლე სად გაიცანი?

— უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ვსწავლობდი. როგორც ყველა ჭეშმარიტი „მაღლიველი ბიჭი", მეც ბიოლოგიის კორპუსთან „ვაბირჟავებდი". თავშეყრის ადგილი ბუფეტი იყო. ერთ მშვენიერ დღეს, მეგობრებთან ერთად, ბუფეტში რაღაცას ვლაზღანდარობდი. უეცრად, ტარიელ ჭანტურიას ერთ-ერთი ლექსი გამახსენდა და მისი ხმამაღლა წაკითხვა დავიწე: „კონიაკს დალევ? მანგოს წვენს,/ მინდა, გაკოცო, მაკოცო,/ შენ არ მაკოცებ? მე — არა,/ მაშინ, მე ორჯერ გაკოცებ". ეს ლექსი რომ დავიწყე და პირველი ორი სიტყვა ვთქვი, მეორე მაგიდიდან ვიღაც გოგონამ სტრიქონები გააგრძელა. შემდეგ ის გოგონა გავიცანი, ორჯერ ვაკოცე, მაკოცა და ოჯახიც შევქმენით.

— შონზო, ეჭვიანი მამაკაცი ხარ?

— ეჭვიანობა არ მახასიათებს, რაზეც ჩემი მეუღლე ეჭვიანობს (*იცინის*). საერთოდ, ადამიანებს ბრმად ვენდობი, რაც ძირითადად, ცუდად მიბრუნდება, მაგრამ — რა ვქნა?! როცა ადამიანი მიყვარს და ვენდობი, მისი შემოწმების სურვილი არასოდეს მიჩნდება.

— ბავშვობიდანვე მხიარული ადამიანი ხარ?

— კი (*იცინის*). ხანდახან — სერიოზულიც, მაგრამ ძირითადად, მაინც, მხიარული.

— როცა ცუდ ხასიათზე ხარ, ხუმრობა მაშინაც შეგიძლია?

— როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი მსახიობი, რაც უნდა ცუდ ხასიათზე ან „დაგრუზული" ვიყო, უნდა შევძლო და ის გავაკეთო, რაც მევალება.

— ძალიან მომწონს ახალი ტელესერიალი — „ჩიფსების თაობა", სადაც შენც მონაწილეობ. რა შეგიძლია გვითხრა ამ სერიალის შესახებ?

— ასეთი რეიტინგის მქონე „პროდუქტი" ჩვენ ჯერ არ შეგვიქმნია. თუმცა, ეს ბუნებრივიცაა: ყოველი შემდეგი ნამუშევარი წინას უნდა სჯობდეს. სხვა შემთხვევაში, წინ ვერასოდეს წავალთ.

— მაინტერესებს, ვინ არიან ტელესერიალის სცენარისტები?

— ჩემი მეგობრები, ის ადამიანები, ვინც წლების მანძილზე, მსგავს პროდუქციას ვქმნიდით. სცენარების „გასალაშინებას" და დახვეწას მიშა მშვილდაძე აწარმოებს ანუ „შავი სამუშაო" მას ევალება.

— ტელესერიალში შენი როლი თუ მოგწონს?

— ძალიან მომწონს, კოსტიუმიც ძალიან მიხდება (*იცინის*). ამას ყველა აღნიშნავს.

— ისე, ამ სერიალში ცოტა მკაცრი მამის როლს თამაშობ, არა?

— არც ისე, „ლაითი" მამა ვარ! უკრაინელი ცოლი შევირთე, შემდეგ მან საქართველოში წამოსვლა არ მოისურვა. წამოვიყვანე შვილი და მარტო გავზარდე. აქედან გამომდინარე, მკაცრი მამა ვერ ვიქნები, პირიქით — „ჩემს" გოგონას ყველაფერს ვუსრულებ. ძალიან მომწონს ის, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი მამა ვარ, არაფერი არ მაკლია. მინდა, ცხოვრებაშიც ასე იყოს.

— ცხოვრებაში როგორი მამა ხარ?

— ზომიერი, ბალანსს ვიცავ: როცა საჭიროა, ვმკაცრობ და როცა საჭიროა, ლმობიერი ვხდები. საერთოდ, შვილის თავისუფალი აღზრდის მომხრე გახლავარ. შვილს მშობლის რიდი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამით ის დაკომპლექსებული არ უნდა იყოს. როცა ის გადაწყვეტილების წინაშე დგას, მასზე მშობლის პოზიციამ არ უნდა იმოქმედოს. ჩემს შვილს კონსულტაციებს ვუტარებ, ვუხსნი, რომელ გზაზე წასვლისას, რა შეიძლება შეემთხვეს. მაგრამ არჩევანის საშუალებას ყოველთვის ვუტოვებ.

— როგორც ვიცი, დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვს. ოჯახისთვის დრო გრჩება?

— ამ კითხვაზე პასუხს ყოველთვის თავს ვარიდებ. მართლაც, მძიმე გრაფიკი მაქვს. ამიტომ, ოჯახის წევრებს შესაბამის ყურადღებას ველარ ვაქცევ. თუმცა ისინი ყველაფრით უზრუნველყოფილნი მყვანან, მაგრამ ხანდახან ურთიერთობის დეფიციტი ჩნდება. ამის გამოსასწორებელი მეთოდებიც მაქვს: კვირაში ერთ დღეს მეუღლესა და შვილს ვუთმობ, კინოში, თეატრში ან რესტორანში მიმყავს და მთელი დღე მათთან ვატარებ.

— მეუღლე რა პროფესიისაა?

— ბოტანიკოსია. ბოლო დროს წიგნების გამოშვება დაიწყო. მწი-

„მთავარია, ქალი საინტერესო იყოს..."

გნობარი ცოლი მყავს (*იცინის*).

— შონზო, როგორი მამაკაცების კატეგორიას მიეკუთვნები? აზიატი ხარ თუ ევროპელი?

— ევროპული აზროვნება მაქვს, მაგრამ ჩემში აზიატობის რაღაც მარცვალიც ღვივის (*იცინის*).

— გამოდის, რომ საყურეს არასოდეს გაიკეთებ?

— არ ვიცი, ამაზე არასოდეს მიფიქრია. შესაძლებელია, გავიკეთო. ერთ-ერთ ქართველ მეფესაც ჰქონდა ყური გახვრეტილი ანუ მამაკაცისთვის საყურის ტარება მთლად ევროპულიც არ არის.

— როგორი ქალები მოგწონს?

— მოდელები (*იცინის*)...

— როცა ქალი მოგეწონება, მის ხასიათს ყურადღებას თუ აქცევ?

— რა თქმა უნდა, ვაქცევ. მთავარი, სილამაზე და მომხიბვლელობა არ არის. მთავარია, ქალი საინტერესო იყოს, რომ მასთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდეს. სხვათა შორის, ზედმეტად ჭკვიანი ქალები არ მომწონს...

— არც მე მიყვარს ზედმეტად ჭკვიანი მამაკაცები (*იცინის*)... შონზო, ხშირად იცავ დიეტას?

— ახლაც დიეტაზე ვარ, 22 კგ დავიკელი.

— იქნებ გვასწავლო, რა დიეტას იცავ?

— ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ „ვდიეტობ". სპეციალურად ჩემი ორგანიზმისთვის დაწერა, თუ რა დროს, რა უნდა მივირთვა. ასე რომ, ჩემი რეცეპტი შენ არ გამოგადგება.

— დიეტაზე ყოფნა არ გიჭირს?

— არა, ამას უკვე შეჩვეული ვარ. ყოფილა, რომ 30 კგ დამიკლია, მაგრამ ისევ მომიმატებია. ახლა იმედი მაქვს, რომ აღარ მოვიმატებ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ექიმი მაიმედებს, რომ ასე იქნება.

ჟურნალისტი – შონზო
რესპონდენტი – ეკა გაგნიძე

— მოდელობა რამ გადაგაწყვეტინა?

— ჩემმა გარეგნულმა მონაცემებმა და კიდევ, ახლობლებმა მირჩიეს.

— შენს გადაწყვეტილებას მშობლები როგორ შეხვდნენ?

— მოდელობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. სახლში ვიდეოკამერას ჩავრთავდი და მის წინ ვპოზირებდი. ამიტომ მშობლები მეტ-ნაკლებად შეგუებულნი იყვნენ. თუმცა მამა მაინც წინააღმდეგობას მიწევდა. იმის გამო, რომ ადრეულ ასაკში გავთხოვდი, მოდელობა ცოტა გვიან დავიწყე.

— რამდენი წლის ასაკში გათხოვდი?

— 15-ის.

— რატომ ასე ადრე?

— მომიტაცეს. თუმცა, ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა.

— ახლა რამდენი წლის ხარ?

— 20-ის. სულ რაღაც 7 თვეა, რაც სამოდელო სააგენტო „ნატალიში" საქმიანობა დავიწყე.

— მეუღლე როგორ უყურებს იმას, რომ მოდელი ხარ და პოდიუმზე სხვადასხვა დიზაინერის მიერ შექმნილი ტანსაცმლის დემონსტრირებას ახდენ?

— ეჭვიანობს (*იცინის*).

— ეჭვიანობას როგორ გამოხატავს?

— სულ თან დამყვება. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ უთქვამს: ხვალიდან სააგენტოში აღარ წახვალო, მაგრამ...

— სააგენტოში საქმიანობისას თუ გიხდება ხოლმე იმის გათვალისწინება, რომ მეუღლე გყავს? მაგალითად, საცურაო კოსტიუმით პოდიუმზე გადიხარ?

— საცურაო კოსტიუმით პოდიუმზე გასვლა არ შემიძლია.

— უარის თქმის უფლება გაქვს?

— კი. სააგენტო ამის საშუალებას გვაძლევს.

— არჩევანის წინაშე რომ დადგე — მოდელობა თუ მეუღლე, — რომელს აირჩევ?

— მეუღლეს (*იცინის*).

— ჯიგარი ხარ! ეი. ჭეშმარიტი ქართველი ქალი ხარ. შეკითხვას იმის შესახებ, აზროვნებით აზიატი ხარ თუ ევროპელი, აღარ დაგისვამ. ისე, რა პროფესია გაქვს?

— ფილოლოგიურზე ვსწავლობ. მე-4 კურსზე ვარ.

— მომავალში სპეციალობით მუშაობას არ აპირებ?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ისე, ჟურნალისტიკაზე ვაბარებდი, მაგრამ ვერ მოვხვდი.

— შენს გაკვეთილს არც ერთი მოსწავლე არ გააცდენდა...

— ვნახოთ. შესაძლებელია, ამ საკითხზე ვიფიქრო. ამჟამად კომპანია „ბადაგონში" ვმუშაობ.

— რას აკეთებ იქ, რა გევალება?

— კომპანიის სახე ვარ. ჩემს მოვალეობაში კლიენტების მოზიდვა და პროდუქციის დეგუსტაციის ჩატარება შედის.

— შვილის ყოლას არ აპირებ?

— ერთი შვილი უკვე მყავს.

— უი... არ ვიცოდი. მეორე არ დაგიგეგმავთ?

— ჯერჯერობით არა. ბიჭი — გვყავს, მეორე — გოგო მინდა, რომ იყოს.

— ფეხმძიმობის შემდეგ, სასურველ ფორმაში ჩადგომა არ გაგიჭირდა?

— სხვათა შორის, არა. სულ 15 კგ მქონდა მომატებული. ცოტა ვივარჯიშე, ცოტა დიეტა დავიცავი და ფორმაც დავიბრუნე.

— მეუღლე შენზე უფროსია?

— 4 წლით. პროფესიით ჟურნალისტია, მაგრამ ამჟამად სხვა საქმიანობითაა დაკავებული.

— როგორც ვიცი, კლიპებში უკვე გადაგიღია. ფილმში გადასაღებად არავის მიუწვევიხარ?

— კი, მქონდა შემოთავაზება. რუსი ლოთი გოგოს როლი უნდა მეთამაშა, მაგრამ მეუღლემ არ გამიშვა (*იცინის*). ისე, მსახიობობა შემიძლია.

— მოდელი სასურველია, მსახიობიც იყოს. კარგი შემოთავაზება თუ გექნება ფილმში მონაწილეობაზე, უარს არ იტყვი, არა?



— არა, სიამოვნებით დავთანხმდები.

— კარგი, ვიფიქრებ ამაზე. ეკა, როგორი ჩაცმის სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— კლასიკურს და გამომწვევს. სპორტულად თითქმის არასოდეს ვიცვამ.

— შენ თუ ეჭვიანობ ქმარზე?

— როცა ადამიანი მიყვარს, მასზე ვეჭვიანობ. მაგრამ მეუღლე ხშირად არ მაეჭვიანებს.

— თუ გქონია ასეთი შემთხვევა: ერთად მიდიხართ და მან სხვა გოგონას გააყოლა თვალი?

— ასეთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ. ერთხელ რესტორანში ვისხედით, ჩვენს სუფრასთან ერთი გოგო მოვიდა და ჩემს მეუღლეს უთხრა: შენთან ცეკვა მინდაო. გავგიჟდი. ფეხზე ფეხს ვუჭერდი და ვანიშნებდი, არ ადგე-მეთქი. სხვა რა გზა ჰქონდა? იმ გოგოს ბოდიში მოუხადა — ცეკვა არ მეხერხებაო (*იცინის*)...

სკანდალური მასალები და ინტელექტის „ტრეფიკინგი“

21 მარტი ჟურნალისტიკის დღეა. რა ხდება დღეს ქართულ ჟურნალისტიკაში? რას ფიქრობენ საზოგადოების წევრები მეოთხე ხელისუფლებაში არსებულ მდგომარეობაზე? რამდენად ობიექტურია ქართული მედია და რამდენად აკმაყოფილებს ადამიანებს მისი პროფესიონალიზმის დონე? რას ვთავაზობთ ჩვენ და როგორია საზოგადოების მოთხოვნა? — ამ კითხვებით ცნობილ და უცნობ ადამიანებს მივმართეთ.

ანუ „მეოთხე ხელისუფლების“ დაფასებული თუ დაუფასებელი საქმიანობა

თამუნა კვინიკაძე

ჯემალ ღაღანიძე, *მსახიობი:*

— ჟურნალისტების საქმიანობას დადებითად ვაფასებ, მაგრამ უკეთესია, თუ უფრო გაბედულები და თავისუფლები იქნებიან. ხშირია ხარვეზი, ნათქვამს მშრალად გადასცემენ, არ ხვეწენ, სხვაგვარად წერენ, რის გამოც, ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. რაც შეეხება ტელეჟურნალისტებს, — მრჩება შთაბეჭდილება, რომ დამოუკიდებლები არ არიან. დაკვეთები არ უნდა იყოს.

ჟანრი ლოლაშვილი, *მსახიობი:*

— ქართულ ჟურნალისტიკაში საქმე კარგად ვერ არის. ბევრი თვითმარქვია ჟურნალისტი „მოღვაწეობს“. არ მომწონს „მოხტუნავე“ ადამიანები, რომლებიც ტელევიზიიდან ტელევიზიაში გადადიან და მიუკერძოებლები ვართო, — გაიძახიან. ბევრ ჟურნალისტს განათლება აკლია, რის გამოც, მათი მხრიდან პიროვნების ღირსების შელახვა ხშირად ხდება. ყვითელ პრესას ხომ საერთოდ, არ უნდა გაეკარო: შენს ნათქვამს ისე გადმოსცემენ, გული

ამ დაძაბულ ცხოვრებაში ნერვიულობა ისედაც არ გვაკლია, კიდევ ჟურნალისტებმა რომ არ გვანერვიულონ

გაგისკდება. ამ დაძაბულ ცხოვრებაში ნერვიულობა ისედაც არ გვაკლია, კიდევ ჟურნალისტებმა რომ არ გვანერვიულონ. ამიტომ, თუ ჟურნალისტს კარგად არ ვიცნობ, ინტერვიუზე უარს ვეუბნები. კარგია, რომ ამ თემით დაინტერესდით.

გია როინიშვილი, *მსახიობი:*

— ჩემი აზრით, ქართულ ჟურნალისტიკაში დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე 5-6 წლის წინ იყო. არის შეცდომებიც, მაგრამ იმედი მაქვს, ეს მალე აღმოიფხვრება. ახალგაზრდა თაობა მოდის და მჯერა, ისინი პროფესიონალებად ჩამოყალიბდებიან. დღეს ტელევიზიასა და პრესაშიც ერთნაირი



ქართულ ჟურნალისტიკაში დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე 5-6 წლის წინ იყო

მდგომარეობაა, გულდასაწყვეტია, რომ კულტურულ მოვლენებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

ზურა ვადაჭკორია, *ილუზიონისტი:*

— ყველა ჟურნალისტი ჟურნალისტურ ეთიკას უნდა ემორჩილებოდეს და არა რომელიმე პოლიტიკოსს ან ბიზნესმენს. მკითხველი და მაყურებელი ყველაზე კარგად ხვდება, ვინ არის ობიექტური და ვინ — არა. ჟურნალისტის სიტყვას დიდი ძალა აქვს. ტყუილში ერთხელ მაინც თუ გამოგიჭირეს, მერე სულ სიმართლე რომ ილაპარაკო, მაინც აღარავინ დაგიჯერებს. კარგის შექმნას ბევრი დრო უნდა, დანგრევას — მცირე. დღეს ობიექტური ჟურნალისტებიც არიან და არაობიექტურებიც. ესეც ხომ შედარებითია?! ადამიანს თუ ყვავის ჩხავილი არ მოასმენინე, ბულბულის გალობით ვერ დატკბება. ტელევიზიები რეკლამაში დიდ ფულს იღებენ, ჟურნალ-გაზეთებიც — არანაკლებს. დრო — ფულია, ამაზე აღარავინ დაობს. მაშინ, რატომ არ მიხდის გამომცემელი ან ტელევიზიის მეპატრონე მე ფულს, მის ჟურნალისტთან რომ ვზივარ და 1 საათი ვლაპარაკობ?.. ჩემი ინტელექტის „ტრეფიკინგი“ ხდება. ვიღაცას შეიძლება, გაეცინოს, მაგრამ მერწმუნეთ, ამ საკითხზე დაფიქრება ღირს.

— ამ გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად რამდენს მოითხოვდით?

— კონკრეტული თანხის დასახელება ძნელია. შეიძლება, თანხა პიროვნებამ არც აიღოს და ის უპატრონო ბავშვთა სახლს გადაურიცხოს. როცა ფულის გადახდას ვისწავლით, ჩვენც გვეშველება და ჟურნალისტიკაც აყვავდება.

ლილი მუჯირი, *დიასახლისი:*

— ტელევიზორის ჩართვა არ მინდა, რადგან საინფორმაციო გადაცემებს ისეთი ცუდი სიუჟეტებით იწყებენ, სიცოცხლე აღარ მოგინდება. კარგით, რა, საზღვარი ხომ ყველაფერს აქვს?! ეს ხალხის ფსიქოლოგიაზე ცუდად მოქმედებს. ვერ ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში მომუშავე ჟურნალისტების უმეტესობა პროფესიონალია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ნაწილი ხელისუფლებას, ნაწილი კი — ოპოზიციას ემხრობა და ამ დროს ყველაზე მთავარი ავიწყდებათ — ერთსაც და მეორესაც ნაკლოვან მხარეებზე მიუთითონ. ვისურვებ, ტელევიზიებში შემეცნებითი გადაცემები მომრავლდეს, ჟურნალებიდან კი „ყვითელი“ მასალები გაქრეს და მათი ადგილი საინტერესო მოვლენებს, ისტორიულ გმირებს, ერთ დროს პოპულარულ, დღეს კი მივიწყებულ ად-

ჩემი ინტელექტის „ტრეფიკინგი“ ხდება

ამიანებს დაუთმოთ. მერწმუნეთ, ასე უფრო მეტი მკითხველი და მაყურებელი გეყოლებათ.

ანიტა ანთაძე, *სტუდენტი:*

— ჟურნალისტების მიმართ ძალიან კრიტიკულად არ ვარ განწყობილი. ვიცი, რომ ინფორმაციის მოპოვება, თითოეულ მასალაზე მუშაობა დიდ შრომასთანაა დაკავშირებული, რაც ხშირ შემთხვევაში, მაყურებლისა და მკითხველისთვის უხილავი რჩება. დღეს, XXI საუკუნეში ძალიან ძნელია, ვინმე რაიმეთი გააკვირვო. ასე რომ, თქვენს შრომას ვაფასებ.

სულხან სიორიძე, *პროფესორი:*

— თქვენ ბევრ რამეზე თვალებს ხუჭავთ, არ ხედავთ ან ვერ ხედავთ.

— **მაგალითად?**

— ჩვენს კანონმდებლობაში უამრავი დარღვევაა და ამაზე ყურადღებას რატომ არ ამახვილებთ? სოციალური თემებით ნაკლებად ინტერესდებით. ხშირად მესმის გამოთქმა — ის ხელისუფლების ტელევიზიაა. ეს რაღაც, ახალი უბედურებაა. კაცო, ტელევიზია ხალხის სამსახურში არ უნდა იყოს? ჟურნალისტმა სიმართლე უნდა ილაპარაკოს თუ ის, რასაც შეფი უკარნახებს?.. ვერ გამიგია, ვის დავუჯერო და ვის — არა. გამიკვირდა, ამ თემით რომ დაინტერესდით. უნდა იცოდეთ, რას ფიქრობს თქვენზე საზოგადოება. კრიტიკაც არ უნდა გეწყინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხვალ, დღევანდელთან შედარებით, უკეთესები ვერ იქნებით.

ნუგზარ მასხულია, *ისტორიკოსი:*

— დღეს ჟურნალისტები სკანდალს ეძებენ, პოლიტიკოსებს შორის დაპირისპირებას უფრო აღვივებენ და ვის რა წამოაცდენინონ — ამაზე არიან ორიენტირებულები. ამდენი ლანძღვა-გინება ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი არ იქნება. რატომ არ შუქდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ობიექტურად? — იმიტომ, რომ ჟურნალისტებზე ზეწოლა ხორციელდება. მე ამ ჟურნალისტების გამკვირვებია: თუ მსგავსი რამ მართლაც ხდება, რად უნდათ ასეთი სამსახური? წამოვიდნენ — ასე ხალხისა და ღვთის რისხვასაც აიშორებენ თავიდან. მატყუარა ჟურნალისტი, რომელსაც ჰყოფნის სითავხედე, „გროშების“ სანაცვლოდ, მთელი ერის გასაგონად, ტყუილები ილაპარაკოს, ყველაზე დიდი დამნაშავეა! თქვენს სიტყვაზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული, ტყუილად კი არ გიწოდეს „მეოთხე ხელისუფლება“. ემსახურეთ სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს!

საზოგადოების გამოკითხვის შემდეგ, ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე ცნობილ ჟურნალისტს — ***კოგა ლიკლიკაძეს*** *ვესაუბრეთ.*

— ჟურნალისტიკაში პროფესიონალების ნაკლებობა მართლაც, იგრძნობა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დღეს მასმედიით მანიპულირება იოლია. ჟურნალისტებს მანიპულაციისთვის იყენებენ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე მასმედიის მფლობელები. „რუსთავი 2“, რომელიც წლების განმავლობაში მანიპულაციის ობიექტი იყო, არაერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა დატოვა. მათ, რომლებიც უფრო „მოქნილები“ აღმოჩნდნენ, სხვადასხვა ტელეკომპანიაში მუშაობა არჩიეს.

— **არის თუ არ პროფესიონალიზმი იმის საწინდარი, რომ შენი ადგილი შეინარჩუნო და კარიერაში წინსვლაც მოახერხო?**

საქართველოში მედიასივრცე, როგორც ბიზნესის სფერო, ვერ ჩამოყალიბდა

— თუ ბოლო დროს მომხდარ მოვლენებს გადავხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ არა. „იმედი“, რომელიც დღემდე რჩება ქართული ჟურნალისტური სივრცის ყველაზე დიდ გამოცანად, ასევე წარმატებულმა ჟურნალისტებმა დატოვეს, იმ ადამიანებმა, რომლებიც ამბობენ, რომ ჟურნალისტიკაში არაპროფესიონალიზმი შეინიშნება. თუ ჩაეძიები — რა იგულისხმება ტერმინში „ჟურნალისტის პროფესიონალიზმი“? — შეიძლება, პარადოქსული პასუხი გაგცენ: ზოგის აზრით, ჟურნალისტი უნდა იყოს პოლიტიკოსიც, ექსპერტიც, შემფასებელიც და ა.შ. სინამდვილეში, ჟურნალისტის მოვალეობაა, ზუსტად და დროულად დასვას შეკითხვა (რაც ბევრ გამოჩენილ ჟურნალისტსაც კი არ ეხერხება). დღეს ჟურნალისტებზე შეტევა ხდება — ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მომხრე ჟურნალისტი ჰყავდეს ან შექმნას ისეთი ვითარება, სადაც პროფესიონალ, პატიოსან ჟურნალისტს მუშაობის საშუალება არ მიეცემა. ამ კუთხით, მათზე უკეთესი არაა ოპოზიციის წარმომადგენელთა დამოკიდებულებაც. ისინი ითხოვენ, რაც შეიძლება მეტი ალაპარაკო. ეს ერთი მედლის ორი მხარეა. დღეს არ არის კარგი ნიადაგი იმისთვის, რომ თავისუფალი მედია გაიზარდოს და განვითარდეს.

— **გარდა იმისა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა პროფესიონალურ ზრდაზე უნდა ვიფიქროთ, კიდევ, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

— საქართველოში მედიასივრცე, როგორც ბიზნესის სფერო, ვერ ჩამოყალიბდა. დღეს ტირაჟს ყიდის გაზეთის ის ნომერი, სადაც სენსაციური ინფორმაციაა. სამწუხაროდ, ქართულ გაზეთებში ველარ ვხვდებით ანალიტიკურ სტატიებს. გაზეთების უმრავლესობა ფონს გადის ინტერვიუებით, რომლებიც არაა სილრმისეული და საინტერესო. ერთი კვირის განმავლობაში, ერთსა და იმავე ადამიანთან სამჯერ ჩაწერილი ინტერვიუ, საინტერესო ვერ იქნება. კარგია, თუ საგამომცემლო სახლებს ისეთი პატრონები ეყოლებათ, რომლებიც პოლიტიკისგან შორს იქნებიან. ამ შემთხვევაში, ეს საქმე მომგებიან ბიზნესად იქცევა. მაგალითად, ბულგარეთში გამოდის გაზეთი „4 საათი“, რომლის მფლობელიც ფინეთში ცხოვრობს. მის ჟურნალისტებს აქვთ იმის ფუფუნება, რომ თავისუფლად იმუშაონ, მოვლენები ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქონ.

— **ქართველი ჟურნალისტები ამ ფუფუნებას მოკლებულნი არიან?**

— ბევრი ჟურნალისტისთვის ეს უცხო ხილია. თავის დროზე, მედიასივრცე გავლენიანმა ადამიანებმა გაინაწილეს. თუ მათთან თანამშრომლობ, იძულებული ხარ, თამაშის წესებიც მიიღო.

— **წინაალმდეგ შემთხვევაში?**

— სამსახურის გარეშე დარჩები. ბევრი ჟურნალისტი ამას ვერც აცნობიერებს. მათი აზრით, თამაშში ჩართვა ქვეყნისთვის უმტკივნეულო იქნება. ძალიან ცოტას შესწევს იმის ძალა, რომ ბოლომდე ობიექტური დარჩეს. მე მირჩევნია, ჟურნალისტი იყოს ობიექტური და ნაკლებად პროფესიონალი, ვიდრე პროფესიონალი და მატყუარა. როგორც მეომარს აქვს მაღალი მისია — მოკვდეს ბრძოლის ველზე, ოღონდ თავისიანები არ მიატოვოს, ასევე ჟურნალისტმა — რაც არ უნდა დიდი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს — სიმართლის თქმა ყოველთვის უნდა მოახერხოს, საკუთარი პროფესიონალური ღირსების დამცველი უნდა იყოს. მეჩვენება, რომ ჟურნალისტები, პოლიტიკური ავტორიტეტების წინაშე ზედმეტ მოკრძალებას იჩენენ. ზოგ შემთხვევაში, ისინი თავს ისე გრძნობენ, როგორც თაგვი კატასთან. ჟურნალისტი ხისტი უნდა იყოს, ზუსტი და მკაცრი შეკითხვები დასვას. პოლიტიკოსების მიმართ ზედმეტი რიდი და კრძალვა პროფესიონალიზმის ნაკლებობაზე მეტყველებს. გამოცდილი ჟურნალისტი ასეთ მდგომარეობაში თავს არასდროს ჩაიყენებს. როცა დაინახავს, რომ რესპონდენტი მისი კითხვის იგნორირებას ახდენს, როგორმე პასუხის გაცემა

უნდა აიძულოს (კითხვა მეორედ დაუსვას, მესამედ... სანამ პასუხს არ მიიღებს). რესპონდენტს არ უნდა მისცე იმის საშუალება, რომ შენი ინტერვიუ საკუთარი პროპაგანდის საშუალებად აქციოს, ლანძღოს პოლიტიკური ოპონენტი და ა.შ.

— ბეჭდურ მედიაზე რას გვეტყვით?

— ხელისუფლებამ აღიარა, რომ პრესას არ კითხულობს.

— თქვენ ეს დაიჯერეთ?

— რასაკვირველია, არ დავიჯერე, მაგრამ უმაღლესი ხელისუფალის მიერ ნათქვამი, ბევრმა პირდაპირ მითითებად აღიქვა. სამწუხაროა, რომ ე.წ. მედიატურებში, რომლებსაც ხელისუფალნი აწყობენ ხოლმე, ბეჭდური მედიის ვერც ერთ წარმომადგენელს ვერ ნახავთ. ხელისუფალთათვის პრესა მეორეხარისხოვანია. მათი დამოკიდებულება რადიოს მიმართაც კი სხვაგვარია. მათ იციან, რომ ტელევიზია ძლიერი იარაღია. იმდენად ძლიერი, რომ შეუძლია მოგცეს გარანტია — რევოლუციურ პროცესს, თუნდაც მშვიდობიანს, ბოლომდე მიიყვანს, როგორც ეს „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში „ვარდების რევოლუციის“ დროს იყო. ამ ტალღაზე მოსულმა ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, ტელევიზიის ძალა კარგად იცის და ცდილობს, ამ სივრცეში რაც შეიძლება მეტი მომხრე ჰყავდეს. „ტელეიმედი“ დახურეს, მაგრამ რადიო „იმედი“ მუშაობს, არ არის ეს პარადოქსული?!. დღეს ქართული პრესა ნაკლებად საინტერესოა ისეთი ადამიანებისთვის, რომლებსაც მრავალმხრივი ინფორმაციის მიღება სურთ. გაზეთისთვის აუცილებელია სტატიები პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, ექსპერტთა მოსაზრებები, ანალიტიკა, საერთაშორისო ცხოვრება, კულტურა, ჯანდაცვა, სოციალური თემატიკა...

— ჩემმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა ჟურნალისტები სკანდალის ძიებაში დაგვადანაშაულა...

— სკანდალურ მოვლენებზე ყურადღება უნდა მახვილდებოდეს, მაგრამ მთავარია, როგორ და რა ფორმით მიიტან მას მკითხველამდე. ბალანსი დაცული უნდა იქნას. თუ მედიასივრცეში გამოცემები ერთმანეთს კონკურენციას იმ თვალსაზრისით გაუწევენ, ვინ უფრო სკანდალურ ინფორმაციას გამოაქვეყნებს, მასმედია ვერ განვითარდება და შესაბამისად, ვერ განვითარდება საზოგადოებაც. სამწუხაროდ, დღეს ქართული ჟურნალისტიკა დაცლილია პროფესიონალი ჟურნალისტებისთვის დამახასიათებელი თხრობის, ამბის საინტერესოდ გადმოცემისა და ანალიზისგან. ამიტომ ვართ ამდენი პარადოქსის მომსწრენი. კურიოზული წინადადებები ითქმება და იწერება. დღეს, პირდაპირ ეთერში გამართულად მეტყველების უნარი ძალიან ცოტა ჟურნალისტს შესწევს.

— იშვიათად ტარდება ჟურნალისტური გამოძიებაც...

— (*მაწყვეტინებს*) ჟურნალისტური გამოძიებები შეწყდა მას შემდეგ, რაც „ვარდების რევოლუცია“ მოხდა. ნუთუ, ეს ყველაფერი ხელისუფლებას დისკომფორტს უქმნის? თავის დროზე, ვინმეს გამოძიება რომ ჩაეტარებინა ლოტოტრონსა და მის დამღუპველ შედეგებთან დაკავშირებით, მიხეილ საკაშვილისთვის ცუდი იქნებოდა?.. დღეს რომ გამოდის და კითხულობს, — ასეთი რამ თავში აზრად ვის მოუვიდაო, არაა გასაკვირი? ვის და მის მინისტრს!.. მაშინ ვინმეს ამ თემაზე ჟურნალისტური გამოძიება რომ ჩაეტარებინა, სამსახურს დაკარგავდა... დღეს ჟურნალისტებისთვის გამოსაძიებელი საქმე ძალზე ბევრია. მოგეხსენებათ, ჟურნალისტურ გამოძიებას ბევრი დრო ესაჭიროება. რამდენი რამ უნდა შეისწავლო, რამდენ დოკუმენტს უნდა გაეცნო, რამდენ პროფესიონალს უნდა დაელაპარაკო, რომ ჩატარებული გამოძიება ანგარიშგასაწევი იყოს და მერე, ამისთვის 15 ლარს გადაგიხდიან. ღირს?..

— ბოლოს, მინდა გკითხოთ, როგორი წარმოგიდგენიათ ქართული ჟურნალისტიკა 5 წლის შემდეგ?

— ძნელი სათქმელია... არ შეიძლება, პრესა და ტელევიზია მუდმივად წინასაარჩევნო რეჟიმში მუშაობდეს. ჟურნალისტიკა პოლიტიკის კლანჭებისგან უნდა გათავისუფლდეს. 5 წლის შემდეგ, გაზეთს რომ გადავშლი, ვისურვებ, სტატიები ძირითად მოვლენებზე, პროფესიონალი ჟურნალისტის მიერ გახლდეთ დაწერილი და ჟურნალისტის საქმიანობა იყოს დაფასებული, — პირველ რიგში, მისი გამომცემლის მიერ. ამ შრომის ანაზღაურება იმაზე ცოტა უკეთესი მაინც იყოს, ვიდრე იმ ჩინოვნიკების, რომლებსაც ჟურნალისტი გაზეთის ფურცლებზე აკრიტიკებს... ■

სკანდალურ მოვლენებზე ყურადღება უნდა მახვილდებოდეს, მაგრამ მთავარია, როგორ და რა ფორმით

ლალი პაპასკირი

სულ ცოტაც და ენგურს გაღმა პარტიზანული მოძრაობა ახალი ძალით დაიწყება. მსურველთა სიების შედგენა უკვე დაწყებულია, სადაც ჯერჯერობით, 100-ზე მეტი ადამიანია შესული. პარტიზანული მოძრაობა რამდენიმე ჯგუფად იქნება დაყოფილი. ბრძოლის ასეთი მეთოდი იმ ხალხმა აირჩია, ვინც თავის დროზე ეს გზა უკვე გამოიარა. ეს ჯგუფები აფხაზეთის სხვადასხვა რეგიონში გადანაწილდებიან. პარტიზანების თქმით, ეს მოძრაობა ხელისუფლებასთან შეთანხმებული არ არის და მასთან რაიმე გადაწყვეტილების შეთანხმებას საჭიროდ არც მიიჩნევენ. მართალია, შევარდნაძის მმართველობის ხელშეწყობით არსებული ე.წ „ტყის ძმების“ სიმწარე ლამის მთელმა სამეგრელომ იწვნია, მაგრამ ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი პარტიზანული მოძრაობის წევრები აცხადებენ, რომ მათი მუშაობა გაცილებით ორგანიზებული იქნება. გავრცელებული ინფორმაციით, ამ მოძრაობას სათავეში ზურაბ სამუშია ჩაუდგება, რომელიც ქართულ-აფხაზური ომის დროს კოდორის მიმართულების ნაწილს ხელმძღვანელობდა და ხეობა აფხაზების შეტევას გადაარჩინა. ყოფილი ქართველი მეომრები და მათი ახალი თანამებრძოლები ამბობენ, რომ მათი ძირითადი მიზანი აფხაზეთში რუსული კაპიტალდაბანდებების შეფერხება იქნება.

მამუკა, *42 წლის:*

— რატომღაც მეგონა, რომ ამ მოძრაობის შესახებ, ჩემ გარდა არავინ იცოდა, მაგრამ მერე რამდენიმე ძველი თანამებრძოლი დამიკავშირდა და მთხოვა, მათთვისაც შემეტყობინებინა, ვისთვის მიემართათ... ხშირად მეკითხებიან, როგორ ბედავთ იქ გადასვლას, ახლა იქაურობას რუსები აკონტროლებენ და უკან არაფერზე დაიხევენო...

— მეც უნდა გკითხოთ, მით უმეტეს, რომ თავის დროზე პარტიზანულ მოძრაობას შედეგი არ მოუტანია. გარდა ამისა, ხელისუფლება პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე მუშაობს. არ მიგაჩნიათ, რომ ამ პროცესს ხელს შეუშლით?

— ვერ დაგეთანხმები, რომ პარტიზანულ მოძრაობას შედეგი არ მოუტანია. როცა მათ აფხაზეთში, ტყეებში ვეგულებოდით, გალსა და ოჩამჩირეში ასე თამამად შემოსვლას ვეღარ ბედავდნენ. რაც შეეხება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, — მერამდენე წელია, ამაზე ლაპარაკობენ

„ვიცი, ზოგჯერ ფოთლების ჭამაც მომიწევს...“

აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობა იწყება

და თუ ვინმე მეტყვის, რომ ამ მიმართულებით რაიმე შედეგს მივაღწიეთ, დღესვე მზად ვარ, განზრახვაზე ხელი ავიღო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯზე წლების განმავლობაში ვფიქრობდი... ვიცი, ზოგჯერ ფოთლების ჭამაც მომიწევს და მოხარშული ბალახისაც, მაგრამ ეს ტრაგედია არ არის. როცა ტყეში ვცხოვრობდი, მეგონა, ჩვეულებრივი ცხოვრებით, ხალხისა და ქვეყნისთვის მეტი სარგებლობის მოტანა შემეძლო, ახლა კი ვხვდები, რომ ასე არ ყოფილა.

— ახლა რატომ ხართ დარწმუნებული, რომ მიზანს მიაღწევთ?

— დარწმუნებული არაფერში არ ვარ, მაგრამ ამ „გაყინულ“ მდგომარეობაში ყოფნა უკვე აუტანელია. რაც დრო გადის, უფრო ვშორდებით აფხაზეთს. ხანდახან მგონია, იქ არც კი მიცხოვრია და აფხაზეთი მხოლოდ სიზმარში მაქვს ნანახი... მაშინდელმა პარტიზანულმა ცხოვრებამ რაღაცები მასწავლა. ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვიყავით, ემოცია გვძალავდა და შეცდომებიც მოგვდიოდა. თანაც, ვისაც არ დაეზარა, ყველა პარტიზანად წავიდა. ისინი პარალელურად, უშიშროებაში მუშაობდნენ და ხელფასსაც იღებდნენ. „ჩაშვებები“, ფულზე, „წამალსა“ და იარაღზე გაცვლილი ინფორმაციები არავის უკვირდა. მაშინ პარტიზანობა რისკსა და გაჭირვებასთან კი არა, უზრუნველ ცხოვრებასთან ასოცირდებოდა. პარტიზანები დაფარულად კი არ ვმოქმედებდით, პირიქით, იმდენი პრივილეგიით ვსარგებლობდით, თავი ქვეყნის ბატონ-პატრონები გვეგონა. ეს ყველაფერი საშინელი შეცდომა იყო. იმედია, ახლა ასე არ იქნება... სოხუმელი ვარ, მაგრამ სახლზე უკვე პრეტენზიაც არ მაქვს, ახალ პატრონებს ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს! ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ მშობლებისა და საყვარელი ადამიანის საფლავებზე ვერ ავდივარ.

— რამდენადაც ვიცი, თქვენი მეუღლე აფხაზი იყო.....

— მეუღლე — არა, შეყვარებული იყო, შეუღლება ვერ მოვასწარით, მისმა ბიძაშვილმა მოკლა. ომი რომ დაიწყო, გადავწყვიტე, იქაურობისთვის გამერიდებინა, ერთმანეთს სოხუმში უნდა შევხვედროდით და ჯვარი ჩუმად, ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაგვეწერა. ის თავის რუს დაქალთან, ერთად სახლიდან გამოიპარა, მაგრამ ბიძაშვილმა გაიგო და ორივე მოკლა... რომ არ მოვიდა, მივხვდი, რაღაც კარგი არ ხდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, ვიღაცამ თქვა, — ბიჭვინთელი გოგო ქართველ შეყვარებულთან ერთად, აფხაზეთიდან იპარებოდა და ბიძაშვილს მოუკლავსო... მაშინ ქართულ-აფხაზური წყვილი იშვიათობა არ იყო და არც გამკვირვებია. ცოტა ხანში, ჩვენს საერთო ნაცნობს შევხვდი. რომ დამინახა, შეკრთა. როცა ბაიას ამბავი ვკითხე, კიდევ უფრო დაიბნა. მთელმა აფხაზეთმა გაიგო და შენ არ იცოდი, რომ საუდიმ მოკლაო?.. არადა, ვიცნობდი იმ ბიჭს, სანაპიროზე ჩვენთან ერთად დარბოდა, ნაყინსა და შოკოლადს ვყიდულობდი მისთვის... რამდენიმე თვის შემდეგ, გუმისთის ხიდთან ვნახე. ის და რამდენიმე მისნაირი ღლაპი ქართველებს ტყვედ აეყვანათ. გაზრდილი იყო, მაგრამ რაღაცნაირი თვალები ჰქონდა. სროლა შემეძლო, მაგრამ არ მოვკალი.

— რატომ?.. ანუ — არ ვიცი, ეს შეკითხვა სხვანაირად როგორ დაგისვათ...

— 16 წლის იყო და თავისი საქციელი გააზრებული არ ჰქონდა. ვკითხე, — მიცანი-მეთქი? — კიო, — მიპასუხა, მუხლებზე დაეცა და ატირდა; პატიება კი არ მთხოვა, — არ მომკლაო, — მითხრა... მოვკლავდი კიდეც, მაგრამ ჩვენს ნაწილში ერთი ასაკოვანი კაცი იყო და მითხრა, — გაუშვი, დამიჯერე, ბევრჯერ ინანებს, სიცოცხლე რომ გთხოვაო. მერე გავიგე, რომ ნერვული აშლილობის შედეგად, გაგიჟებულა. სამწუხაროდ, ომმა იმდენი კაცი „გააფუჭა“, არაფერი მიკვირს...

— იმაზე არ გიფიქრიათ, რომ პარტიზანად წასვლის შემთხვევაში, წარსულის გამეორება მოგიწევთ?

— მიფიქრია, ამისთვის საკმარისი დროც მქონდა. მე და ჩემს მეგობრებს ყველაზე მეტად ის გვაწუხებს, რომ იქაურობას დაეპატრონენ — გალსა და ოჩამჩირეს ვგულისხმობ. აფხაზი იქ შემოსვლას ადრე ვეღარც ბედავდა. როცა რუსი ჩინოსანი შემოდიოდა, სულ მცირე, ორი ტანკი მოჰყვებოდა. მაშინ ეშინოდათ, დღეს კი თავისუფლად დაგრიალებენ, გალსა და ოჩამჩირეში ყველანაირ ბიზნესს ისინი აკონტროლებენ, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა კი მოსამსახურეებად ჰყავთ. როცა თხილის, სიმინდისა და მანდარინის სეზონი დაიწყება, ჩამოუვლიან ხალხს მანქანებით და მონებივით სამუშოდ წაასხამენ. სანამ ჩვენ აფხაზეთის ტყეებში ვეგულებოდით, ეს წარმოუდგენელი იყო.

— სამაგიეროდ, მაშინ თქვენ მიგყავდათ სამუშაოდ...

— ვერ უარვყოფ, ასე იყო და იმიტომაც გეუბნები, — ის შეცდომები აღარ გამეორდება-მეთქი... გარდა ამისა, ზურაბ სამუშია, ე.წ. „ტყის ძმების“ ლიდერის, დათო შენგელიასგან ბევრად განსხვავდება, თუნდაც — სამხედრო გამოცდილებით და პიროვნული თვისებებით. მოდი, შევთანხმდეთ, რომ მათ ერთმანეთს არ შევადარებთ.... აფხაზებმა იციან, რომ ქართველებთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს შედეგი არ ექნება და ქართულ მხარეს უკვე ანგარიშგასაწევ ძალად აღარ მიიჩნევენ. ასევე ფიქრობენ რუსები და სიამაყით ამბობენ, რომ აფხაზეთში რუსული კაპიტალი ტრიალებს. როგორც ქართველს, მიმაჩნია, რომ თუ აფხაზეთი ჩვენი არ იქნება, არც სხვისი უნდა იყოს.

რამდენად შეაფერხებს ეს მოძრაობა ხელისუფლების ქმედებებს, მაშინ, როცა კონფლიქტის ქართულ მხარეს გეზი პრობლემის მშვიდობიან მოგვარებაზე აქვს აღებული? — ამ შეკითხვაზე პასუხი ხელისუფლების მხრიდან ვერ მივიღე. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა ეს ინფორმაცია პირველად ჩვენგან გაიგო და განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, პოზიცია ჯერჯერობით არა აქვს.

■

ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმეზე განაჩენი გამოცხადდა

გიორგი ღონღაძე ცოლ-შვილთან ერთად

ქართველი ჟურნალისტის — გიორგი ღონღაძის გახმაურებული მკვლელობის საქმეზე კიევის სასამართლომ საბოლოო განაჩენი გამოიტანა. განსასჯელს — ნიკოლაი პროტასოვს სასამართლომ 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, დანაშაულში მონაწილე კიდევ ორი პირი — ალექსანდრ პოპოვიჩი და ვალერი კოსტენკო კი 12-12-წლიანი პატიმრობით დაისაჯნენ. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომაზე სახელმწიფო ბრალმდებელი გაცილებით მკაცრ სასჯელს მოითხოვდა, ვიდრე ეს საბოლოოდ, სასამართლომ გადაწყვიტა. რაც შეეხება მკვლელობის შემკვეთს, სასამართლო პროცესზე მისი სახელი არ დაკონკრეტებულა, თუმცა საზოგადოებისთვის უკვე კარგადაა ცნობილი, რომ დანაშაულის დამკვეთად უკრაინის ექსპრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას მიიჩნევდნენ. საქმეში კიდევ ერთი მაღალჩინოსნის გვარი ფიგურირებს. ის უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეთვალყურეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი — ალექსეი პუკაჩი გახლავთ. პუკაჩს პროკურატურამ ბრალი უკვე ოფიციალურად წაუყენა და ის მკვლელობის ორგანიზებასა და დანაშაულში თანამონაწილეობაში დაადანაშაულა.

კიეველები ღონღაძის მკვლელების დასჯას მოითხოვენ

მსჯავრდადებულები — პოპოვიჩი და კოსტენკო

ამ ბრალდების გამო, პუკაჩი დღემდე მიმალვაშია, მასზე ძებნაა გამოცხადებული.

შეგახსენებთ, რომ ცნობილი ჟურნალისტი — გიორგი ღონღაძე 2000 წლის 16 სექტემბერს გაუჩინარდა. მოგვიანებით, მისი თავმოკვეთილი გვამი კიევის მახლობლად, ტყეში იპოვეს. საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა და მასმედიამ ვერაგულ მკვლელობაში ექსპრეზიდენტი და მისი გარემოცვა დაადანაშაულა. ამ ვერსიის თანახმად, მკვლელობის მოტივი — ჟურნალისტური გამოძიების გამო შურისძიება, მასალების ხელში ჩაგდება და თავად ჟურნალისტის თავიდან მოშორება იყო... ■

სვანეთის უბანში საზარელი დანაშაული მოხდა: დედამ საკუთარი შვილი დანით აჩეხა...

თბილისში, სვანეთის უბანში საზარელი დანაშაული დაფიქსირდა. დედამ — ანჟელა არუთინოვამ საკუთარი, 13 წლის ქალიშვილი დანით დაჭრა, შემდეგ კი, იმავე დანით საკუთარი და მოკლა. მომხდარის შესახებ პოლიციას მეზობლებმა შეატყობინეს. მათი თქმით, სახლიდან ყვირილის ხმა გაიგონეს. ყვიროდა ოჯახის ნათესავი, რომელიც სახლიდან გამოვარდა და შველას ითხოვდა. „ყვიროდა — ბავშვს კლავს, მიშველეთო! მაშინვე მივცვივდით კარს, მაგრამ შიგნიდან იყო ჩაკეტილი და ვერ ვაღებდით. გაღებას ვითხოვდით, მაგრამ შიგნიდან არავინ გვეხმიანებოდა. ბოლოს ძალით, როგორც იქნა, შევაღწიეთ. ბავშვი სულ სისხლიანი დაგვხვდა...“ — ამბობს ერთ-ერთი მეზობელი. როგორც გაირკვა, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დედამ თვითმკვლელობა სცადა — იმავე დანით საკუთარ სხეულზე ჭრილობები მიიყენა. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი დედა-შვილი „სასწრაფო დახმარების“ მანქანით იაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, დედამ ბავშვს თითქმის ყველა სასიცოცხლო არტერია გადაუჭრა. რაც შეეხება დედას, ჭრილობები მას ხელებზე ჰქონდა მიყენებული. ექიმებმა აღნიშნეს, რომ ანჟელა არუთინოვას მყესებიც გადაჭრილი ჰქონდა. მათივე თქმით, სავარაუდოა, რომ ის ფსიქიკურად დაავადებული იყო. ■

„ბარათელმა ვიდეოფირზე საკუთარი თავი ვერ იცნო“ — აცხადებს შარაძეების ოჯახის ადვოკატი



აკადემიკოს გურამ შარაძის განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდადებულის — გიორგი ბარათელის აღიარებით ჩვენებას ადვოკატი — ნინო ნიშნიანიძე ეჭვქვეშ აყენებს და ამ ჩვენების, დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას მოითხოვს. შარაძეების ოჯახის ადვოკატი აღნიშნავს, რომ საგაპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, „ალდაგის“ შენობაზე დამონტაჟებული ვიდეოკამერით გადაღებული მასალის ჩვენებისას, ბარათელმა საკუთარი თავი ვერ ამოიცნო. „აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მის აღიარებით ჩვენებას სასამართლომ მტკიცებულების ძალა მიანიჭოს“, — აცხადებს ადვოკატი.

აღნიშნულ საქმეს თბილისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს. გიორგი ბარათელს, რომელმაც მკვლელობა უკვე არაერთხელ აღიარა, თბილისის საქალაქო სასამართლომ 27 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამჟამად მიმდინარე პროცესზე სწორედ ამ განაჩენის კანონიერებას არკვევენ. ■

„ვარსკვლავამ კონდახი ჩაარტყა... ომარი სხეულს დანით უსერავდა...“

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ ყაჩაღობას განსასჯელები დღეს ნანობენ

„...გარეთ ბნელოდა, როცა ადგილზე მივედი. ბიჭები უკვე ბინაში იყვნენ. მათი მისვლიდან დაახლოებით 20 წუთში მეც შევედი. კარი ღია იყო. ვიწრო შესასვლელიდან იმ ოთახისკენ წავედი, საიდანაც ხმა ისმოდა. იატაკზე ხანში შესული, ნახევრად შიშველი ქალი და მამაკაცი იწვნენ. ქალს თავიდან სისხლი სდიოდა. ვარსკვლავას ჩაურტყამს იარაღის კონდახი... მამაკაცს მთელი ზურგი ჰქონდა დასისხლიანებული. ომარი, ჩემი მისვლის შემდეგაც უსერავდა მას დანით სხეულს... ხელში რკინის ნაჭერი მეჭირა. ქალი მაინც ყვიროდა და ასე რომ არ გაგრძელებულიყო, რკინის ძელი მოვუქნიე. თავში არ ჩამირტყამს, ბეჭებზე დავარტყი. მერე მის ქმარს ვუთხარი, შესაშინებლად — იცოდე, მოვკლავ, თუ არ იტყვი, ფულს სად ინახავ-მეთქი... ამ დროს ოთახში ირაკლი შემოვიდა. ის ოთახებს ჩხრეკდა. სხვაგან ვერაფერი ნახა და ახლა იმ ოთახის ჩხრეკა დაიწყო, სადაც გაკოჭილი ცოლ-ქმარი იწვა. ჭურჭლის კარადის თავზე ეძებდა. მერე თქვა — ვიპოვეო. ლარნაკში ჩატენილი, პოლიეთილენის პარკი ამოუღია და იქ ნახა. პარკში დოლარები იდო... მაშინვე გადავწყვიტეთ წავსულიყავით. ცოლ-ქმარი იმავე მდგომარეობაში დავტოვეთ და ბინიდან გავედით... ავტომატი ვარსკვლავას ეჭირა ხელში, მე ნაგანი მქონდა. ეს იარაღი ომარმა მომცა, არ ვიცი, საიდან მოიტანა. მას და ირაკლის დანები ჰქონდათ... ირაკლი ვარსკვლავამ გამაცნო. ერთხელ კორპუსთან მომაკითხეს და დამიძახეს. მანქანით იყვნენ. სამივენი მანქანაში ჩავსხედით. ვარსკვლავამ მკითხა — ბინაშია შესასვლელი, ფულია წამოსაღები და თუ წახვალო? დავინტერესდი, თუ ვისი „საქმე“ იყო და ვისთან ერთად უნდა შევსულიყავი. ვარსკვლავამ სამი ადამიანის სახელი მითხრა, მაგრამ საკუთარი თავი არ დაუსახელებია. მათგან ერთს — ომარს მეც კარგად ვიცნობდი. ისიც ვიცოდი, რომ ადრე ასეთ საქმეზე ნასამართლევიც იყო. ჩემთვის ასეთი რამ პირველი იყო, მაგრამ მაინც დავთანხმდი, რადგან ირაკლი ამბობდა, ზუსტად ვიცი, იმ ბინაში 30 ათასამდე დოლარიაო. „საქმის მომცემისთვის“ 3 ათასი უნდა გადაგვეხადა, დანარჩენს თანაბრად ვინაწილებდით. იარაღის საკითხს, როგორც თქვეს, ომარი აგვარებდა... მეორე დღეს სხვა მანქანით წავედით კორპუსის დასათვალიერებლად. სულ ორჯერ შევამოწმეთ ის ადგილი. მეორედ, უკვე სადარბაზოშიც ავედით, ბინის კარი ვნახეთ... თავიდან ქვემოთ შევჩერდი, როცა დავრწმუნდი, რომ სიწყნარე იყო, ბინაში მეც ავედი... სულ ოთხნი ვიყავით — მე, შოთა გიბიშვილი, იგივე ვარსკვლავა, ირაკლი ახობაძე და ომარ ნაბიევი...“

ეს აღიარებითი ჩვენება 24 წლის **ბადრი დოლაბერიძეს** *ეკუთვნის. გამოძიების მასალებში, ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზატორად და დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერად სწორედ ის გახლავთ მოხსენიებული. დოლაბერიძე ამჟამად თავის მეგობართან და თანამონაწილესთან ერთად სასამართლო განაჩენს ელის. დანარჩენ ორს სამართალდამცველები დღემდე ეძებენ. განაჩენი, როგორც პროცესის მონაწილეები და დარბაზში დამსწრე პირებიც ვარაუდობენ, უმკაცრესი იქნება, ყოველ შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნის პირობას სახელმწიფო ბრალმდებელი უკვე იძლევა. მისი თქმით, საქმე, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის გარდა, განსაკუთრებულ სისასტიკეს, უმძიმეს ფიზიკურ და მორალურ ტრავმას ეხება და ამისთვის დამნაშავეები მკაცრად უნდა დაისაჯონ.*

გამოძიების მასალების მიხედვით, ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზებას განსასჯელებმა და მათმა თანამზრახველებმა სულ 3 დღე მოანდომეს. დანაშაულს მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ დაზარალებულებს, როგორც თავად ჰყვებიან, წარმოუდგენელი სისასტიკისა და ტანჯვა-წამების გადატანა მოუხდათ. „მთელ სხეულში აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი... ყველაზე მძიმე კი ის იყო, რომ ამ მომენტში სასოწარკვეთას ვგრძნობდი. კარგად ვხვდებოდი, რომ ჩვენი შველა არავის შეეძლო... ერთი მკლავებს სიგარეტით მიწვავდა და ასე მაწამებდა, მეორე კი შიშველ ზურგზე ბასრ დანას მისვამდა... კარი ჩემს მეუღლეს მოტყუებით გააღებინეს. თავიდან სამნი შემოვიდნენ, მერე აღვიდგინე, რომ მათ მეოთხეც შემოემატა. ერთადერთი, რაც დამამახსოვრდა, ის იყო, რომ ჯინსები ეცვათ, სახეზე ნიღბები ეკეთათ. შემდეგ უკვე მათი შეხედვის და დაკვირვების საშუალება აღარ გვქონდა. მეც და ჩემი მეუღლეც იატაკზე დაგვაგდეს, ხელები ზურგსუკან შეგვიკრეს რაღაც თოკით, ფეხებიც გაგვიკოჭეს. სახე პირდაპირ იატაკზე მედო. თავის აწევის ან გვერდზე მიტრიალების უფლებას არ გვაძლევდნენ. ცოლმა ყვირილი რომ დაიწყო, სცემეს, თავსა და ბეჭებზე ხელკეტები და ძელები ურტყეს. ჯერ სკოჩით აგვიკრეს პირი, ცოტა ხანში მე მომხსნეს, რათა მეთქვა, თუ სად მქონდა შენახული ფული... თავი მხოლოდ მას შემდეგ დაგვანებეს, რაც ფული იპოვეს. 30 ათას დოლარსა და ოქროულობას ითხოვდნენ. ასეთი თანხა არ გაგვაჩნდა და არც ძვირფასეულობა გვქონდა სახლში. ამ ამბამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე, ჩემმა ვაჟმა ბაქოდან 2.000 დოლარი გამოგვიგზავნა. იქ ავეჯის სახელოსნოში მუშაობს. უკვე მესამე წელია, წასულია და აქამდე ერთი თეთრიც არ გამოუგზავნია. აგროვებდა, უნდოდა, რაიმე თანხისთვის მოეყარა თავი. ქალიშვილი გაგვითხოვდა და ფული რომ დაგვჭირდა, რაც მოგროვილი ჰქონდა, გამოგვიგზავნა. ეს ამბავი ჩემი და ჩემი მეუღლის გარდა არავინ იცოდა. არც ნათესავებისთვის, მით უმეტეს, მეზობლებისთვის არაფერი გვითქვამს. ერთადერთი გზა, საიდანაც შეიძლებოდა ინფორმაცია გასულიყო, ისევ და ისევ, ჩემი ვაჟიშვილია. შეიძლება, ვინმემ იქ იცოდა ამის შესახებ, უღალატა და „საქმე მისცა“...“ — აღნიშნა სასამართლო პროცესზე დაზარალებულმა — **ვასილ ძეგაძემ**. *მისი თქმით, ეჭვებს ის გარემოებაც უძლიერებს, რომ საქმეში ერთი აზერბაიჯანელი — ნაბიევიც ფიგურირებს.*

თუ საიდან მიიღეს ინფორმაცია დაზარალებული ოჯახის თაობაზე, — ეს საქმის მასალებში არ კონკრეტდება. დაზარალებული ამის გარკვევას სასამართლო პროცესზე ელის. პროცესი კი ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი გახლავთ, რომელზეც განსასჯელები ბრალს მთლიანად აღიარებენ და თავს დამნაშავეებად ცნობენ. დეტალური ჩვენება ჯერჯერობით სასამართლოსთვის არ მიუციათ, მაგრამ ის, რომ დანაშაულს ინანიებენ, მოსამართლეს უკვე განუცხადეს. ადვოკატების თქმით, სასამართლოსგან ისინი მსუბუქი სასჯელის გამოტანას ითხოვენ. „საქმეში უამრავი მტკიცებულებაა იმისა, რომ დანაშაული სწორედ ამ პირებმა ჩაიდინეს. ისინი ერთ-ერთი ეჭვმიტანილის — ომარ ნაბიევის დროებით საცხოვრებელ ბინაში დავაკავეთ. ბინიდან ამოღებულია გატაცებული ნივთები და თანხის ნაწილიც. დაზარალებულებმა ისინი ხმითა და სილუეტებითაც ამოიცნეს“, — აღნიშნავს სახელმწიფო ბრალმდებელი. ერთ-ერთი განსასჯელი — დოლაბერიძე, მართალია, ყაჩაღურ თავდასხმას აღიარებს, მაგრამ ჯგუფის ლიდერობასა და დანაშაულის ორგანიზატორობას კატეგორიულად უარყოფს. სასამართლო პროცესს მისი ბებია — თამარ დოლაბერიძე ესწრება. ის მომხდარ ფაქტს

გაგრძელება იხ. გვ. 102

ალბუჯარი და კარგი დამრჯელი ბარი

ანუ „კლასში ყველაზე მაღალი, მსუქანი და თმაგაჩეჩილი ვიყავი"...

გადაცემა „ტაბუს" წამყვან მარინა სალუქვაძეს, ბავშვობაში გემრიელი და ნოყიერი კერძები ძალიან ჰყვარებია. ამის გამო წონაშიც იმატებდა, რაც მაშინ დიდად არ ანაღვლებდა. ამბობს, რომ რადიკალური ცვლილება მის გარეგნობაში მე-10 კლასიდან მოხდა და საკუთარ თავზე ზრუნვა სწორედ იმ პერიოდიდან დაიწყო. ეზიზღება ის საჭმელები, რომელიც ბავშვობაში ყველაზე მეტად უყვარდა.

სოფო ჭონიშვილი

— მარინა, თუ გახსოვს, როგორი ბავშვი იყავი და გაპრანჭვა რა ასაკიდან დაიწყე?

— ბავშვობაში ძალიან პუტკუნა და ბურთივით მრგვალი ვიყავი. მაშინ მიმაჩნდა, რომ ჩემს გაპრანჭვას აზრი არ ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ, ამხანაგის დაბადების დღეზე მივდიოდი და პირველად მაშინ მოვინდომე, გავპრანჭულიყავი. მოკლედ, მთელი დღე სარკესთან ვტრიალებდი. გარეთ რომ გავედი, „ბირჟაზე" ბიჭები იდგნენ. ისინი რომ დავინახე, თავმომწონედ გავიარე, გავიფიქრე: ერთი შემომხედეთ, რა საოცრება ვარ-მეთქი (*იცინის*). ამ დროს ერთ-ერთმა მათგანმა დაიყვირა: ნახეთ, ნახეთ, „შკაფმა" გაიარაო. რა თქმა უნდა, ძალიან გავბრაზდი, მაგრამ არაფერი მითქვამს. ამის შემდეგ, კარგა ხანი აღარ ვიპრანჭებოდი. მე-9 კლასს რომ ვამთავრებდი, მაშინ მივხვდი, რომ ნაკლები უნდა მეჭამა. მერე, უკვე მე-10 კლასში, საზაფხულო არდადეგების შემდეგ, წონაში საგრძნობლად დაკლებული დავბრუნდი სკოლაში.

— ჭამა გიყვარდა?

— ძალიან. ვგიჟდებოდი ნოყიერ საკვებზე. ბავშვობის შემდეგ კი ის საჭმელი, რომელიც ძალიან მიყვარდა, შემზიზღდა. მაგალითად, კრემიანი ნამცხვრები, კარაქი, ტკბილეული...

— ბავშვობის ფოტოებში მართლაც, პუტკუნა ხარ... ყველა ფოტოზე თმა მოკლედ გაქვს შეკრეჭილი. გრძელი თმა ბავშვობაში არ გქონია?

— კი, როგორ არა?! აი, ნახე, ამ ფოტოზე, კიკინებიც მაქვს, თუმცა უფრო ხშირად, თმას მოკლედ ვიჭრიდი. იცი, რატომ?! იმ პერიოდში ტილები ძალიან მოდებული იყო. მე საოცრად ხშირი და სქელი თმა მქონდა და საკმარისი იყო, ვინმე ტილიანი გვერდით მომჯდომოდა, რომ მისი ტილები მაშინვე ჩემს თავში გადმოინაცვლებდნენ. ამიტომ თმას ხშირად მჭრიდნენ.

— ერთ-ერთ ფოტოზე პიონერის წითელი ყელსახვევი გიკეთია, თმა მოკლედ გაქვს შეჭრილი. ეს ის პერიოდია, როცა გაპრანჭვა დაიწყე?

— ზუსტად არ მახსოვს, ის ფოტო როდის არის გადაღებული... პიონერიც ვიყავი და კომკავშირელიც, მაგრამ წითელი ყელსახვევის ტარება საშინლად არ მიყვარდა. და სულ ჩანთაში ჩაკუჭულს ვატარებდი. აი, მაგ ფოტოზე კი, გაუთოებული ყელსახვევი მიკეთია, რადგან წინადღეს მასწავლებელმა გამოფრთხილა, — ხვალ ფოტოები უნდა გადავიღოთ და ყელსახვევი ჩანთაში არ ჩაკუჭოო (*იცინის*).

— თქვი, რომ კიკინებსაც ატარებდი. დედა ბაფთებს არ გიკეთებდა?

— ბაფთებიც საშინლად მეზიზღებოდა. ჩემი პირველი შეხება ტელევიზიასთან, 6 წლის ასაკში მოხდა. მაშინ იყო ასეთი გადაცემა — „შევისწავლოთ რუსული ენა", რომელშიც რუსულ სიმღერებს ვმღეროდი, სიმღერის დროს კი თმაზე რატომღაც უზარმაზარ ბაფთებს მიკეთებდნენ. ამიტომ სიმღერისას, სულ უკმაყოფილო სახე მქონდა (*იცინის*).

— გარდა იმისა, რომ კლასში ყველაზე მსუქანი ბავშვი იყავი, თანატოლებისგან რით გამოირჩეოდი?

ბავშვობაში ძალიან პუტკუნა და ბურთივით მრგვალი ვიყავი

აი, ნახე, ამ ფოტოზე, კიკინებიც მაქვს

პიონერიც ვიყავი და კომკავშირელიც

დამთავრების გამოსაშვები ბანკეტი არ გვქონია

სკოლის დამთავრების შემდეგ რადიკალურად შეიცვალე

— კლასში ყველაზე მაღალი, ყველაზე მსუქანი და ყველაზე თმაგაჩეჩილი ბავშვი ვიყავი. სულ ბიჭურად მეცვა. როცა კლასი კლასთან ჩხუბობდა, მარო გამოიყვანეთო, — ამბობდნენ. მე რომ გამოვჩნდებოდი, მოწინააღმდეგე კლასი მაშინვე იშლებოდა.

— ეი. ახტაჯანა გოგო იყავი?

— ახტაჯანაზე უფრო უარესი, მოჩხუბარი და დამრტყმელი გოგო გახლდით, რაშიც ჩემი აღნაგობაც მიწყობდა ხელს.

— ბავშვობის ეს თვისებები დღემდე ხომ არ მოგყვება?

— (*იცინის*) სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არა. სკოლის დამთავრების შემდეგ, რადიკალურად შევიცვალე, სულ სხვა ადამიანი გავხდი.

— ეს, ალბათ, „ბოლო ზარზე“ გადაღებული ფოტოა, გოგონებს წარწერებიანი წინსაფრები გიკეთიათ...

— სკოლის დამთავრების შემდეგ, ბანკეტი არ გვქონია, რადგანაც აგვიკრძალეს: იმ პერიოდში სკოლის ბანკეტებზე ბევრი ინციდენტი ხდებოდა და ამიტომ, ამ მხრივ, დავიჩაგრეთ. თუმცა, ძალიან კარგი „ბოლო ზარი“ გვქონდა. ღონისძიების დასრულების შემდეგ, მთელი კლასი ბეთანიაში წავედით. ეს ფოტოც იქ არის გადაღებული.

— სტუდენტობის პერიოდში არ შეიცვალე?

— რა თქმა უნდა, შევიცვალე, მაგრამ რადიკალურად — არა. იმ პერიოდში დავიწყე მაკიაჟის, ვარცხნილობების გაკეთება.

— თმის ფერს ხშირად იცვლი?

— თმის ფერი პირველად, ამერიკაში ცხოვრების პერიოდში შევიცვალე — წითლად შევიღებე. იმის შემდეგ, ჩემი ბუნებრივი ფერის თმა მქონდა. ახლა ისევ იმ ფერის დაბრუნება მომინდა და კვლავ წითლად შევიღებე.

— ბოლო პერიოდის ფოტოებზე, ხვეული თმა გაქვს. ბუნებრივად ხვეული თმა გაქვს?

— კი. ამიტომ თმას „ვისწორებ“. როცა სილამაზის სალონში წასვლა მეზარება, საკმარისია, თავი წყალს შევუშვირო და დავისველო, რომ ჩემი თმა სასურველ ფორმას იღებს.

— შენს საეთერო იმიჯზე ვინ ზრუნავს?

— მყავს სტილისტი, რომელიც ძალიან მიყვარს და ვენდობი. თმას კვირაში ერთხელ, გადაცემისთვის „ვივარცხნი“. სილამაზის სალონში ყოველდღე არ დავდივარ.

— აი, ამ ფოტოზე უცნაურ ფორმაში ხარ. სილამაზის სალონში გადაიღე? „ბიგუდები“ რატომ გიკეთია? ისედაც ხვეული თმა არ გაქვს?

— ეს ფოტო ამერიკაშია გადაღებული, ჩვენმა ხელმძღვანელმა, იქ, სადაც ვმუშაობდი, ყველა თანამშრომელ ქალბატონს საჩუქარი გაგვიკეთა — ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სილამაზის სალონში გაგვიშვა, სადაც ვარცხნილობა იქაურმა ცნობილმა სტილისტმა (სახელს ვერ ვიხსენებ) გაგვიკეთა. ექსტრავაგანტური „პრიჩოსკა“ მქონდა.

— ამ ფოტოზე რა უცნაური კოსტიუმი გაცვია?

— ეს ფოტოც ამერიკაშია გადაღებული. ერთ-ერთმა პროდიუსერმა საკუთარ ვილაზე მიგვიწვია, სადაც ვენეციიდან ჩამოტანილი საკარნავალო კოსტიუმები ჰქონდა და ყველა სტუმარს მოგვარგო. სხვათა შორის, თინეიჯერობის პერიოდის შემდეგ, კლასიკური სტილი ძალიან შემიყვარდა, არადა, ბავშვობაში, სხვებისგან განსხვავებული ვიყავი. მქონდა ერთი ჯინსის სარაფანი, რომელსაც მაისურის ზემოდან ვიცვამდი. მაშინ დიდი ჯემპრები იყო მოდაში. ასე ჩაცმულს თავი პირველი ქალი მეგონა (*იცინის*).

— რამდენი წლის იყავი, როცა გათხოვდი?

— 16-ის. ჩემი გოგო უკვე 20 წლისაა. ის ბავშვობაში დედასავით მჭამელი არ ყოფილა (*იცინის*).

— ყურები ბავშვობაში გაიხვრიტე?

— მე-10 კლასში ვიყავი. ყურების გასახვრეტად სალონში ჩემს მეგობარს გავყევი. იქ რომ მივედით, ჩემს მეგობარს შეეშინდა და ყურების გახვრეტა გადაიფიქრა. მე კი გავრისკე.

— ფოტოებიდან ჩანს, რომ სამკაულების ტარება გიყვარს.

— რატომ არ უნდა მიყვარდეს?! ქალს სამკაული ძალიან უხდება. ყველანაირი სამკაული მიყვარს და შესაბამისად, ვატარებ კიდეც.

— საკუთარი თავის მოწესრიგებას დილით რამდენ დროს უთმობ?

— დილით რომ ვიღვიძებ, პირველ რიგში, უზარმაზარი ჭიქით ყავას მივირთმევ, ცოტა აზრზე რომ მოვიდე. შემდეგ მეუღლეს სამსახურში ვისტუმრებ. სანამ ის არ წავა, თავის მოწესრიგება არაფრით გამომდის... თავის მოვლა-მოწესრიგებას დაახლოებით ერთ საათს ვანდომებ.

— სულ ბოლოს, არ შემიძლია, არ გკითხო: ერთ-ერთ ფოტოზე სახელმწიფო მინისტრ გია ბარამიძესთან ერთად ხარ აღბეჭდილი. საიდან იცნობ მას? მეგობრები ხართ?

— გიას დიდი ხანია, ვიცნობ. გარკვეული პერიოდი ამერიკაში ერთდროულად ვიმყოფებოდით. სამსახურის შემდეგ, როცა თავისუფალი დრო გვქონდა, კაფეში ან წვეულებებზე ერთად დავდიოდით. კარგი ადამიანია და კარგი ოჯახიც აქვს. ■

გიას დიდი ხანია, ვიცნობ. გარკვეული პერიოდი ამერიკაში ერთდროულად ვიმყოფებოდით

თმის ფერი პირველად, ამერიკაში ცხოვრების პერიოდში შევიცვალე — წითლად შევიღებე

რა თქმა უნდა, შევიცვალე, მაგრამ რადიკალურად — არა

ერთ-ერთმა პროდიუსერმა საკუთარ ვილაზე მიგვიწვია, სადაც ვენეციიდან ჩამოტანილი საკარნავალო კოსტიუმები ჰქონდა

ჩემი გოგო უკვე 20 წლისაა. ის ბავშვობაში დედასავით მჭამელი არ ყოფილა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. „მდოგვი“ და „ხარდალი“ სინონიმებია.
2. არავინ იცის, ვინ იყო მერილინ მონროს მამა.
3. „ფირალი“ არაბული სიტყვაა და გაქცეულს ნიშნავს.
4. „შვიდი სამურაი“ აკირა კუროსავას გადაღებულია.
5. საღამო ხანს, ძველად, ხართგამოშვების დროს ეძახდნენ.
6. უღელს შეუჩვეველ, უხედნავ მოზვერს ხამუშიანს ეძახიან.
7. ნაპოლეონის საყვარელი გენერალი, კაფარელი ცალფეხა იყო.
8. ბლუზმენი და ვირტუოზი გიტარისტი — ჯონ ლი ჰუკერი ძილში გარდაიცვალა.
9. ინდური რუპიების ნებისმიერი ნომინალის კუპიურაზე მაჰათმა განდია გამოსახული.
10. ნაღრძობის ან მოტეხილის შესაკვრელს ხარკალი, მეორენაირად კი — არტაშანი ჰქვია.
11. გამოთქმა — „საქართველო ნიკოფსიიდან „დარდუბალამდე“ — კოტე ყუბანეიშვილს ეკუთვნის.



12. ამერიკაში პირველად ჩასული ანტონიო ბანდერასი ინგლისური ენის ბაიბურში არ იყო.
13. „რონალდ რეიგანი“ ამერიკის სამხედრო საზღვაო ძალების ერთ-ერთი უდიდესი ავიამზიდია.
14. ავიამზიდზე დაჯდომისას, გამანადგურებელს ლითონის ტროსი „იჭერს“ და ამუხრუჭებს. ამ ტროსს ყოველი ასი დაჯდომის შემდეგ ცვლიან, რათა არ მოხდეს მეტალის ეგრეთ წოდებული „გადაღლა“ და განყვეტილმა ტროსმა გემბანზე მომუშავე პერსონალი არ დახოცოს.
15. „ია ვ ეტომ უბედილსია სნოვა, ჩემ მენშე ბუკვ, ტემ იომჩე სლოვო“, — ამბობს ანდრეი ალიაკინი.
16. მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა ჯარისკაცებმა გერმანიაში 2 მილიონი ქალი გააუპატიურეს.
17. „აპრავდანიე, კაკ ი ზადნიცა, უ კაუდოვო იმეეტსია“, — ამბობენ რუსები.
18. ანტონიო დე კურტის გალიარდი იტალიელი მსახიობის — ტოტოს ნამდვილი სახელი და გვარია. ჰერცოგთა შთამომავალი, თავადაც ჰერცოგი გახლდათ.
19. გერმანელი მფრინავი მათიას რუსტი მოსკოვში, წითელ მოედანზე თვითმფრინავის დასმის გამო, ხულიგნობის მუხლით გაასამართლეს. სასამართლოზე ადვოკატმა ბოლო სიტყვაში მსჯავრდადებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლება და საბჭოთა კავშირის სამხედრო სიძლიერის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის მისი ორდენით დაჯილდოება მოითხოვა.
20. პლატონის ნამდვილი სახელი — არისტოკლე გახლდათ. მეტსახელი „პლატონი“, რაც განიერს ნიშნავს, ფართო მხარბეჭის გამო მას ტანვარჯიშის მასწავლებელმა შეარ-

ნატალია ვორონა: „კალაძესთან დაშორების ინიციატორი მე ვიყავი“...

ვისთან ერთად გადაიტანა კახამ უდიდესი ტრაგედია?

საქართველოს ნაკრებისა და „მილანის“ მცველ კახა კალაძეს არაერთხელ განუცხადებია, რომ ჯერჯერობით ცოლის მოყვანას არ აპირებს. ფეხბურთელის თქმით, ოჯახის შექმნა მეტისმეტად სერიოზული საკითხია და ამ ეტაპზე მის ცხოვრებაში არ ფიგურირებს გოგონა, რომელსაც თავის მომავალს დაუკავშირებდა. მაგრამ ბუნებრივია, რომ კახასაც ჰქონია სასიყვარულო თავგადასავალი და იგი 6 წლის განმავლობაში, ყოფილ „მის უკრაინას“ — ნატალია ვორონას ხვდებოდა, რომელიც ამჟამად, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კრასუნია ზაკარპატიას“ პრეზიდენტია.

ამ ქალბატონმა ერთ-ერთ უკრაინულ გამოცემას, მისი და „მილანის“ ლეგიონერის რომანის შესახებ უამბო.

24 წლის ვორონამ კალაძე მაშინ გაიცნო, როდესაც ქართველი ფეხბურთელი ჯერ კიდევ კიევის „დინამოში“ თამაშობდა.

— რა ვითარებაში გაიცანით კახა კალაძე?

— ჩვენი გაცნობა საკმაოდ საინტერესო ვითარებაში შედგა. კიევის ერთ-ერთ რესტორანში ბილიარდს ვთამაშობდი ჩემს მეგობარ იანა მელაძესთან ერთად. როდესაც სახლში უნდა დავბრუნებულიყავი, კალაძემ საკუთარი ავტომანქანით წაყვანა შემომთავაზა. უარი ვუთხარი და გამვლელი ავტომანქანის გაჩერება დავაპირე, მაგრამ ჯინაზე, არც ერთმა მძღოლმა არ გამიჩერა. ამ დროს წვიმა წამოვიდა და იძულებული გავხდი, კახას შემოთავაზება მიმეღო. მას შემდეგ, 6 წელი არ დავშორებივართ ერთმანეთს.

— ბევრი, თქვენს ურთიერთობას, როგორც ზღაპარს, ისე აღიქვამს...

— არავითარი ზღაპარი არ ყოფილა. ეს ურთიერთობა ტრაგიზმის ზღვარზე ვითარდებოდა. ჩვენ ერთად გადავიტანეთ მისი ძმის გატაცებითა და მკვლელობით გამოწვეული საშინელი დეპრესია. იმ პერიოდში კახა ზოგჯერ ვერც ლაპარაკობდა, საკუთარი ტკივილის სიტყვებით გადმოცემა არ შეეძლო. იმ დროს კალაძე იტალიაში სათამაშოდ ახალი გადასული იყო და ადაპტაციის ურთულეს პერიოდს გადიოდა. ჩვენ ერთად ვცხოვრობდით სასტუმროს ნომერში. მოგვიანებით მივხვდი, რომ ამ შემთხვევამ, როგორც მისი, ასევე ჩემი ცხოვრება დაანგრია...

— ასეთი დეპრესიიდან გამოსვლა როგორ მოახერხეთ?

— კახამ პარიზში წამიყვანა. ის მოვიდა და უბრალოდ მითხრა: „წავედით, საყვარელო“. არ მიკითხავს — სად ან რისთვის მივემგზავრებოდით. მას სურდა, ჩემთვის დღესასწაული მოეწყო, რაზეც უარის თქმა შეუძლებელი იყო.

ფეხბურთში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ კახას ყოველთვის გულმხურვალედ ვქომაგობდი. სხვათა შორის, ანდრეი შევჩენკოს ცოლი – კრისტენ პაზიკი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და არც ერთ მაგჩს არ აცდენდა

პარიზში 3 დღე გავატარეთ.

— **ფეხბურთელთან ურთიერთობა რთულია?**

— მუდმივად მიწევდა იმის მოლოდინი, თუ როდის დაბრუნდებოდა ვარჯიშიდან ან შეკრებიდან. ასევე, ხშირად დავდიოდი სტადიონზე. მართალია, ფეხბურთში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ კახას ყოველთვის გულმხურვალედ ვქომაგობდი. სხვათა შორის, ანდრეი შევჩენკოს ცოლი — კრისტენ პაზიკი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და არც ერთ მატჩს არ აცდენდა.

ნატალია ვორონა შვილებთან ერთად

— **შევჩენკოს ოჯახთან საერთო ენა ადვილად გამონახეთ?**

— რა თქმა უნდა. მე თვალს ვადევნებდი შევჩენკოსა და პაზიკის ურთიერთობის განვითარებას. ჩვენსა და შევჩენკოს სახლებს ერთმანეთისგან ყოფდა სკვერი, რომელიც რაღაც, დამაკავშირებელი „ხიდი“ იყო: იქ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ვსეირნობდით ან ვვახშმობდით ხოლმე.

— **კალაძემ საკუთარი ოჯახის წევრები თუ გაგაცნოთ?**

— სამწუხაროდ, არა. საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ. ის ჩვენს ურთიერთობას მშობლებს არ უმხელდა. აქ მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ხალხების კულტურებს შორის არსებულმა განსხვავებამაც ითამაშა. თანაც, ასაკით მასზე უფროსი ვიყავი, განათხოვარი, შვილებიანი, ხოლო ჩემი ყოფილი ქმარი, რომელიც დეპუტატი გახლდათ, ყოველთვის ცდილობდა, ჩემთვის ხელი შეეშალა... კალაძე ძალზე თავშეკავებულია და ხალხში ემოციებს არ ავლენდა. ჩვენი ურთიერთობის დასაწყისში, ჩემთვის ხელის ხელზე მოკიდებასაც კი ერიდებოდა, რათა სხვებს არ ეფიქრათ, რომ უგონოდ იყო შეყვარებული და მასზე დიდი გავლენა მქონდა.

— **მას რთული ხასიათი აქვს?**

— ზოდიაქოს ნიშნით, კალაძე „თევზია“, რომლისთვისაც ორმაგი სტანდარტია დამახასიათებელი... მიუხედავად ამისა, ერთ რამეში ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი — ის ძალზე კეთილი და მზრუნველი ადამიანია. თუმცა, რაიმე გასაგიჟებელი საჩუქარი ჩემთვის არასოდეს გაუკეთებია. ამასთან დაკავშირებით, ყოველთვის მეუბნებოდა — „რაში გჭირდება, ძვირფასო? შენ ხომ, რაც საჭიროა, ყველაფერი გაქვს!“ ასეთია აღმოსავლური ფილოსოფია...

— **ერთმანეთს რატომ დაშორდით?**

— მსურდა, რომ იგი არა როგორც ინფანტილური ბიჭი, არამედ, როგორც დიდი ადამიანი, ისე მოქცეულიყო. მე ოჯახის შექმნა და შვილების ყოლა მინდოდა. თუმცა, მის ძმასთან დაკავშირებული ტრაგედიის შემდეგ, ყოველივემ მეორე პლანზე გადაინაცვლა. კახა ძალიან ახალგაზრდა იყო და პასუხისმგებლობის ეშინოდა. უკეთესი იქნებოდა, ჩემთვის „არა“ პირდაპირ რომ ეთქვა და ჩვენ ერთმანეთს, როგორც ახლობლები, ისე დავშორებოდით. მაგრამ ის უბრალოდ, ვერ ხვდებოდა, თუ რა ადგილი ეკავა ჩემს ცხოვრებაში. ამიტომ, დაშორების ინიციატორი მე გავხდი, რადგან არ შემეძლო, მომლოდინეს პოზიციაში ვყოფილიყავი. როგორც ქალმა, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, რადგან საყვარელი არ მჭირდებოდა.

— **ცოტა ხნის წინ, კახამ დაბადების დღე კიევში გადაიხადა. იუბილე არ მიულოცეთ?**

— მაშინ კიევში არ ვიმყოფებოდი. კახას ტელეფონით დავურეკე და სიყვარულთან ერთად, ბედნიერება ვუსურვე.

— **ის თუ გილოცავთ ხოლმე დღესასწაულებს?**

— სხვათა შორის, დაბადების დღეზე ორი, ფაქტობრივად, ერთნაირი ყვავილების თაიგული მივიღე — 25 თეთრი ვარდი ჩემმა პირველმა ქმარმა — ნესტორ შუფრიჩმა მაჩუქა, ხოლო 25 წითელი ვარდი — კალაძემ. ■

უკეთესი იქნებოდა, ჩემთვის „არა“ პირდაპირ რომ ეთქვა და ჩვენ ერთმანეთს, როგორც ახლობლები, ისე დავშორებოდით

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალიშ უბის წიგნაკიდან:

ქვა.

21. „მიუნჰაუზენის სინდრომი“ — ასე ჰქვია დაავადებას, რომლის დროსაც ადამიანი საკუთარი თავისადმი სიბრალულის გამოწვევას ცდილობს, ყურადღების ცენტრში ყოფნის დაუძლეველი სურვილი კლავს და ამისთვის დანაშაულის ჩადენასაც არ ერიდება. ახლახან გაასამართლეს ერთი ტეხასელი ქალი, ორი შვილის დედა, რომელიც დროდადრო თავის 4 წლის შვილს გუდავდა, „სასწრაფო დახმარებას“ იძახებდა, მის მოსვლამდე ბავშვს ხელოვნური სუნთქვით ასულიერებდა, ექიმებს კი უმტკიცებდა, ბავშვს გული წაუვიდაო. ასე გრძელდებოდა, ვიდრე ერთხელაც, ვერ მოზომა და უმცროსი შვილი არ შემოაკვდა, რომელიც ჯერ ერთი წლისაც არ იყო. ქალს მიუნჰაუზენის სინდრომი დაუდგინეს, დედობის უფლება ჩამოართვეს და 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მისი დაპატიმრების შემდეგ, მის უფროს შვილს „შეტევა“ აღარ მოსვლია.



22. კლინტ ისტვუდი ჯაზის მოტრფიალეა. იგი თავად წერს მუსიკას და თავადვე ასრულებს.

23. „ბედის ირონიაში“ იპოლიტის როლზე ელდარ რიაზანოვმა თავდაპირველად, ოლეგ ბასილაშვილი მიიწვია, მაგრამ სინჯების შემდეგ, როლზე იური იაკოვლევი დამტკიცეს, რასაც შემდგომში ერთგვარი ლაფსუსი მოჰყვა: ფანჯრიდან ანდრეი მიაგკოვის პერსონაჟის მიერ გადმოგდებულ ფოტოსურათზე, რომელსაც ბარბრა ბრილსკა თოვლიდან იღებს, თუ დააკვირდებით, იაკოვლევის ნაცვლად, ოლეგ ბასილაშვილია გამოსახული.

24. „რიმლიანე, გრაჟდანე, დრუზია!“ — წარმოთქვა ევგენი ევსტიგნეევმა, როცა კომისიის წინაშე წარდგა მცირე სამხატვრო აკადემიურ თეატრში მისაღებად და კომისიის წევრებიც, ბრუტუსის ცნობილი მონოლოგის მოსასმენად მოემზადნენ. ევსტიგნეევმა პაუზა გააკეთა და დამნაშავე ბავშვივით ჩაღუნა თავი, — ტექსტი დამავიწყდაო. მიუხედავად ჩავარდნისა, კომისიამ ამ სამი სიტყვის წარმოთქმისთვის მიიღო თეატრში მსახიობი.

25. საბჭოთა ილუზიონისტი არუთიუნ აკოფიანი ლეონიდ ბრეჟნევის საყვარელი არტისტი იყო. გენერალურმა მდივანმა ერთხელ კრემლშიც კი მიიპატიჟა იგი და უთხრა, — ბავშვობაში ესა და ეს ფოკუსი მაქვს ნანახი და მაინტერესებს, როგორ კეთდება, რაიმე სასწაული ხომ არ არის, დიალექტიკურ მატერიალიზმს რომ ეწინააღმდეგებაო? არა, რას ამბობთ, ლეონიდ ილიჩ, ძალზე ადვილი გასაკეთებელია, აუცილებლად გასწავლითო, — დაჰპირდა აკოფიანი და სტუმრად ეწვია კრემლში. მისი ვიზიტის შემდეგ, ბრეჟნევი ამ ფოკუსს დიდი ენთუზიაზმით ასრულებდა ახლობელთა წრეში.

ია გინცდა ოთოლოგა საინტერესო წიგნის კითხვის დროს და ვისთან სთქდა მეგობრობა „ბროლის ბუს“ მეფლობელ მოაზროვნეს

„რა? სად? როდის?“ ზამთრის სეზონის თამაშების საუკეთესო მოთამაშედ დასახელებული ია მეტრეველი „ერუდიტში“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დაგვთანხმდა. „ბროლის ბუს“ მფლობელი მოაზროვნე ყველაზე დიდი ინტერესით ენციკლოპედიებს, მემუარულ და სათავგადასავლო ლიტერატურას კითხულობს. რომანები არ უყვარს. მისი საყვარელი მწერალი მიხეილ ბულგაკოვია. „ოსტატი და მარგარიტა“, „თეთრი გვარდია“ არაერთხელ აქვს წაკითხული. ბავშვობაში, შერლოკ ჰოლმსის თანაშემწესთან, ექიმ უოტსონთან სურდა მეგობრობა. დღეს კი ამბობს, რომ საინტერესო ლიტერატურის კითხვის დროს, იმ წიგნის მთავარი პერსონაჟი ჰგონია თავი. ია პროფესიით ფერმწერია. ხატვა, ისევე, როგორც წიგნების კითხვა, ბავშვობიდანვე უყვარდა და ხშირად ილუსტრაციებსაც კი აკეთებდა.

თამუნა კვინიკაძე

— მხატვარ პაბლო პიკასოსთან ერთი კაცი მივიდა, თან პატარა ძაღლი მიუყვანა. სტუმარმა ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო და მხატვარს სთხოვა, — ამ სათუთუნეზე ეს ძაღლი დამიხატეთო. შეკვეთა მეორე დღისთვის მზად იყო. — ძალიან კარგი ნახატია, — უთხრა შემკვეთმა, მაგრამ ძაღლის ბუნაგი სადღაა? ჩემს ძაღლს ისეთი ხასიათი აქვს, როცა ვინმე უყურებს, მაშინვე ბუნაგში შეიმალებაო. მეორე დღეს პიკასომ იმ კაცს ახალი სურათი უჩვენა. რა იყო ამ სურათზე დახატული?

— (*ფიქრობს*) მარტო ბუნაგი. ალბათ პიკასომ უთხრა, ძაღლი ბუნაგშია დამალულიო (*იცინის*).

— დიახ. XVII საუკუნის ბოლოდან 1793 წლამდე, ამ კუნძულის დასავლეთი ნაწილი საფრანგეთის კოლონიას წარმოადგენდა. მას მაშინ სან-დომინგოს ეძახდნენ. რას უწოდებენ ამჟამად?

— ტაივანი?

— ცდებით, ჰაიტი.

— მართალს ამბობთ, ახლა გამახსენდა.

— დაახლოებით 800 წლის წინ, ესპანელებმა მავრები დაამარცხეს და კორდოვის ტერიტორია ხელთ იგდეს. დაპყრობილი ქალაქის მმართველმა, ამირ ალმანსორმა გადაწყვიტა, ბოლომდე ებრძოლა და მოწინააღმდეგისთვის სამაგიერო გადაეხადა. მან მტრის ბანაკში შეაღწია, ესპანელთა მთელი ჯარი გაწყვიტა და თვითონაც დაიღუპა. როგორ მოახერხა ეს?

— როგორც ვხვდები, მან ბანაკში შეღწევამდე, გადამდები დაავადებით დაიავადა თავი.

— დიახ, იგი სპეციალურად, შავი ჭირით დაავადდა. რას უწოდებდნენ სათეატრო, საცირკო და საესტრადო წარმოდგენებისთვის განკუთვნილ დროებით ნაგებობას XVII-XIX საუკუნეებში რუსეთში?..

— ბალაგანს.

— გოგოლი, დოსტოევსკი, შევჩენკო, ნეკრასოვი — ჩამოთვლილი მწერლებიდან, რომელი იყო პროფესიონალი მხატვარი?

— ტარას შევჩენკო.

— რა არის ციცინათელა — ობობა, ბუზი, პეპელა თუ ხოჭო?

— ხოჭო.

— რომელი ქალაქია გაშენებული ამავე სახელწოდების მდინარის სანაპიროზე?

— (*ფიქრობს*) მოსკოვი. რატომღაც, დავიბენი.

— ერთვნებით სადაური იყო ოსკარ უაილდი?

— შოტლანდიელი (*ფიქრობს*), არა, შეცდომით ვთქვი, უაილდი ირლანდიელი იყო.

— რა სამხედრო წოდება ჰქონდა კუტუზოვს?

— გენერალისიმუსი.

— ცდებით, გენერალ-ფელდმარშალი. რა ერქვა ჯანი როდარის ცნობილი ზღაპრის გმირს?

— ჯანი როდარის ყველაზე პოპულარული გმირია ჩიპოლინო.

— ვინ არის ალადინის სატრფო მულტფილმში „ალადინის ლამპარი“?

— პრინცესა ჟასმინი.

— ტროეკი, ჩერჩილი, რუზველტი, შარლ დე გოლი — მათგან რომელს აქვს მიღებული ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში?

— ჩერჩილს.

— „ელისო“, „მამის მკვლელი“, „თეთრი საყელო“, „ხევისბერი გოჩა“ — ამ ნაწარმოებებიდან, რომელი არ არის ალექსანდრე ყაზბეგის?

— ეს მწერალი ძალიან მიყვარს. „თეთრი საყელოს“ ავტორი მიხეილ ჯავახიშვილია.

— 1993 წელს პარიზში 110 ტილო გამოფინეს, მათ შორის — მანეს, პრიანიშნიკოვის, რენუარის, სეროვის ნამუშევრები. რა პრინციპით შეარჩიეს ეს ტილოები?

— (*ფიქრობს*) მიჭირს პასუხის გაცემა...

— გამოფენაზე გამოტანილ ტილოებს 1993 წელს, დახატვიდან 100 წელი შეუსრულდა. მფრინავმა იური გლაზკოვმა კოსმოსში წაიღო მისი საყვარელი ქართული წიგნის საიუბილეო გამოცემა. კოსმოსიდან დაბრუნების შემდეგ, ეს წიგნი თბილისში ერთ-ერთ მუზეუმს აჩუქა. რა წიგნი წაიღო იური გლაზკოვმა კოსმოსში?

— „ვეფხისტყაოსანი“.

— გადმოცემის მიხედვით, როდესაც რომაელებს პიროსთან ომის დროს ფული დააკლდათ, ქალღმერთმა იუნონამ შესთავაზა, ზარაფხანა მის ტაძარში გაემართათ. რა ეწოდებოდა ამ ტაძარში მოჭრილ ფულს?

— მონეტა. მონეტა იუნონას მეტსახელი იყო.

— ჩხოროწყუ, ახმეტა, წყალტუბო, მარნეული — ჩამოთვალეთ ეს რაიონები შემდეგი თანამიმდევრობით: კახეთი, ქართლი, სამეგრელო, იმერეთი.

— ახმეტა, მარნეული, ჩხოროწყუ, წყალტუბო.

— რომელი ჩანჩქერი მდებარეობს მდინარე ზამბეზიზე?

— „ვიქტორია“.

— რომელია ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე მაღალი მწვერვალი?

MK

— მაქ-კინლი.

— რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან პანამის არხმა?

— წყნარი ოკეანე.

— რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია ლისაბონი?

— პორტუგალიის.

— პოლონეთი, რუმინეთი, ნორვეგია, მალაიზია. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ტერიტორიულად რომელია ყველაზე დიდი?

— (*ფიქრობს*) მალაიზია.

— ამ ქვეყნის დედაქალაქსაც ხომ ვერ დამისახელებთ?

— ვაიმე, უცნაური სახელი ჰქვია (*ფიქრობს*) გამახსენდა, კუალა-ლუმპური.

— ყოჩაღ! რა ჰქვია მალაიზიის ფულის ერთეულს?

— რინგიტი.

— სადაური იყო რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II?

— პრუსიელი. ახლა ეს ტერიტორია გერმანიის შემადგენლობაშია.

— რომელი მეფე დაილუპა მარისის ბრძოლაში?

— გულახდილად გეტყვით — არ ვიცი.

— ლუარსაბ I. რომელ წელს დაარსდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია?

— 1945 წელს.

— რომელ ინსტრუმენტზე უკრავდა ჯიმი ჰენდრიქსი?

— გიტარაზე.

— რომელი ფსევდონიმით არის ცნობილი რუსი საესტრადო მომღერალი ირინა კლიმუკი?

— ზუსტად არ ვიცი. ირინი ალეგროვა?

— დიახ. გოგოლის რომელ ნაწარმოებშია აღწერილი ზაპოროჟიელი კაზაკების ბრძოლა უკრაინის ეროვნული დამოუკიდებლობისთვის?

— „ტარას ბულბაში“.

— რა ხდებოდა რომში 1582 წლის 6-დან 14 ოქტომბრამდე?

— (*ფიქრობს*) ამ პერიოდში? ვერ ვიხსენებ.

— ვერც გაიხსენებთ, რადგან ასეთი დღეები არ არსებობდა. პაპმა გრიგორ XIII-მ ამ წელს გრიგორიანული კალენდარი შემოიღო... ის თუ გახსოვთ, რას უწოდებდნენ ძველ რომში, გამდიდრებული გვაროვნული არისტოკრატიული ფენის წარმომადგენლებს?

— პატრიციებს.

— რა სახელწოდებითაა ცნობილი ინგლისის ფეოდალთა შორის ტახტისთვის XV საუკუნეში გაჩაღებული ბრძოლა?

— როგორც მახსოვს, ამ პერიოდში ერთმანეთს ლანკასტერებისა და იორკების დინასტიები დაუპირისპირდნენ. ლანკასტერთა გერბზე წითელი ვარდი იყო გამოსახული, ხოლო იორკებისაზე — თეთრი. მათ შორის დაპირისპირება „ვარდების ბრძოლის“ სახელით არის ცნობილი.

— როგორი სახელმწიფო წყობილებაა ესპანეთში?

— კონსტიტუციური მონარქია.

— ამერიკის რომელ შტატში მდებარეობს პენტაგონი?

— ვირჯინიის შტატში.

— რომელ კუნძულზე იდგა მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება — ალექსანდრიის შუქურა?

— კუნძულ ფაროსზე.

— ვინ არის რეჟისორი კინოფილმისა „შვიდი სამურაი“?

— არ მახსოვს.

— აკირა კუროსავა. რომელი ქვეყანაა მიჩნეული გოტიკის სამშობლოდ?

— საფრანგეთი.

— სად მდებარეობს უფიცის გალერეა?

— ფლორენციაში.

— „ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა/ და როდესაც ბარში ვარდნი ჰყვაოდნენ,/ თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა/ და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...“ ანა კალანდაძის რომელი ლექსი იწყება ასე?

— არ ვიცი. მაგრამ ანა კალანდაძის პოეზია ძალიან მიყვარს. „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,/ ლამის თავზე გადამისვას ხელი“... ასევე ძალიან მიყვარს გალაკტიონი და პუშკინი.

— სწორი პასუხია — „მოდიოდა ნინო მთებით“. ბრძოლის წინ, სიმხნევისთვის ნივრის გალას წელზე შემოირტყამდნენ. ასე ჯვაროსნები იქცეოდნენ თუ გლადიატორები?

— ჯვაროსნები.

— ცდებით, გლადიატორები. ამჟამად რა ჰქვია კუნძულ ცეილონს?

— შრი-ლანკა.

— ვინ იყო პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში?

— ვერა მეჩნიკი.

— რომელ ქალაქში „მოღვაწეობდა“ ცნობილი განგსტერი ალ კაპონე?

— ჩიკაგოში.

— კარიბის, ხმელთაშუა, ბალტიის, ეგეოსის ზღვებს რა აქვს საერთო?

— ყველა ატლანტის ოკეანის აუზს განეკუთვნება. მგონი, სხვა საერთო არაფერი აქვთ.

— ბოლივია, კანადა, კოლუმბია, პერუ — ჩამოთვლილთაგან, რომელი არ მიეკუთვნება ლათინური ამერიკის ქვეყნებს?

— კანადა.

— სირია, პაკისტანი, საბერძნეთი, თურქეთი — ამ ქვეყნებიდან, რომელი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია ვილაიეთი?

ია მოაზროვნეებთან ერთად

— თურქეთის.

— რომელი დინასტიის წარმომადგენელი იყო ინგლისის მეფე, შექსპირის ერთ-ერთი ტრაგედიის გმირი რიჩარდ მესამე?

— (*ფიქრობს*) ზუსტად ვერ ვიხსენებ.

— იორკების. ბოლოს, დაასრულეთ ლესინგის გამონათქვამი: „საწყენია, რომ პირდაპირ თვალებით არ ვხატავთ, რამდენი რამ იკარგება...“

— სამწუხაროდ, ამ გამონათქვამს ვერ ვიხსენებ.

— „...თვალსა და ხელს შუა“. ■

საოცარი წყვილები

ანუ რა შეუძლია სიყვარულს

ჩემი სახლის მახლობლად, მაღაზიაში, სადაც ათასი წვრილმანით ვაჭრობენ, შუახნის ცოლ-ქმარი მუშაობს: ქალბატონი ჯარინა დაბადებიდანვე ყრუ-მუნჯია, ძია ვასო ჯი სრულიად ჯანმრთელი. დიდი ხანია, ამ ოჯახს ვიცნობ, მაგრამ მხოლოდ ახლა გავბედე, მათთვის ასეთი ჯითხვით მიმემართა: ბედნიერია ის ოჯახი, სადაც მეუღლეებიდან ერთ-ერთი ინვალიდია? ძია ვასოს პასუხმა ჯი საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ სიყვარული ისეთი გრძნობაა, რომელიც ბევრ რამეზე დაგახუჭვინებს თვალს.

„წუთითაც არ მინანია, რომ ცხოვრება უნარშეზღუდულ ადამიანს დავუკავშირე"

ემა ტუხიაშვილი

ვასო გიუნაშვილი:

— ასე დასმული კითხვა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩვენში მწვავედ დგას პრობლემა, რომელსაც საზოგადოებაში უნარშეზრუდულთა ინტეგრაცია ჰქვია. ჩვენს მაღაზიაში ყოველდღე ასობით ადამიანი შემოდის და მათი სახის გამომეტყველება უნდა ნახოთ, როდესაც ცოლს ჟესტების ენით, რაიმეს გადავულაპარაკებ. ამ სამყაროში სრულყოფილი მხოლოდ ღმერთია. ჩვენს გარეგნობაში ნაკლს თუ ვერ ვამჩნევთ, გულსა და გონებაში ჩავიხედოთ... ჩემს ამბავს მოგიყვებით და თავად განსაჯეთ, შესაძლებელია თუ არა, ინვალიდმა და ჯანმრთელმა ადამიანებმა ბედნიერი ოჯახი შექმნან. წლების განმავლობაში, დედაჩემი „ნუცუბიძეზე" მდებარე, სმენადაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატში მუშაობდა, სადაც მე და ჩემი ძმაც ბევრ დროს ვატარებდით, რადგან შინ მომვლელი არავინ გვყავდა — მამაჩემი დილიდან დაღამებამდე სამსახურში იყო. სკოლაში რომ მიმიყვანეს, ერთი სული მქონდა, როდის დამიმთავრდებოდა გაკვეთილები, რათა შემდეგ ინტერნატში წავსულიყავი და იქაურ სასადილოში გემრიელი გულიანში მეჭამა. ხომ იცით, ბავშვის გონება ღრუბელივით ისრუტავს ყველაფერს და მეც, სმენადაქვეითებულ ბავშვებთან ურთიერთობისას, ჟესტების ენა შევისწავლე. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებიდან, ყველაზე მეტად, ცისფერთვალება, ქერათმიანი გოგო — კარინა მომწონდა. ამიტომაც, მას ხშირად ვაწვალებდი: ხან ჩანთას წავართმევდი, ხან თმას მოვწიწკნიდი. ისიც, გავარდებოდა ხოლმე დედაჩემთან და ხელების სწრაფი მოძრაობით, ამბავს მიურბენინებდა. ასე, თამაშ-თამაშში შემოგვეპარა სიყვარული და სკოლის დამთავრების შემდეგ, ოჯახიც შვქმენით. ცხონებულ დედაჩემს, კარინაზე აუგი ერთხელაც არ დასცდენია. მთელი ცხოვრება ყრუ-მუნჯი ბავშვების აღზრდასა და მზრუნველობაში გაატარა და ისინი შვილებივით უყვარდა... რამდენიმე თვეში, მე და კარინას შეუღლებიდან 30 წელი გვისრულდება და შვილები დაგვპირდნენ, რომ ამ თარიღს აუცილებლად, ჩვენთან ერთად აღნიშნავენ. ბედნიერი კაცი ვარ, რადგან ცხოვრების მეგზურად ეს ქალი ავირჩიე. კარინა მოსიყვარულე ცოლი და სამაგალითო დედაა.

გოგლა, *23 წლის:*

— ძველით ახალ წელს, მეგობრებთან ერთად, რესტორანში ვქეიფობდი. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ავტომობილი სადგომზე გავაჩერე, რათა საჭეს მთვრალი არ მივჯდომოდი. უნდა ვაღიარო, რომ მანამდე, ნასვამ მდგომარეობაში მანქანას ხშირად ვმართავდი. ამის გამო, ერთხელ საპატრულო პოლიციამ 150 ლარითაც დამაჯარიმა, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე. საწყალი დედაჩემი, როცა საქეიფოდ მივდიოდი, მთელი ღამე ფანჯარასთან მელოდა და როდესაც საღ-სალამათს დამინახავდა, ხატებთან სანთელს ანთებდა და ღმერთს მადლობას სწირავდა იმისათვის, რომ შინ უვნებელი დავუბრუნდი. სულ მიმეორებდა: ღმერთი მოწყალეა, მაგრამ გახსოვდეს, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო. მეხვეწებოდა: დააყენე ეგ შეჩვენებული მანქანა სადგომზე და რამდენიც გინდა, იმდენი დალიეო. მისი თხოვნა არასდროს შემისრულებია, მაგრამ იმ საბედისწერო დღეს ყველაფერი სხვაგვარად მოხდა... შობას, მე და ნათია დავინიშნეთ და გადავწყვიტეთ, ქორწილი გაზაფხულის პირველ დღეს, პირველ მარტს გადაგვეხადა. ნათია გასულ ზაფხულს, ქობულეთში გავიცანი. მან ისეთი ხალისი შემოიტანა ჩემს ყოველდღიურ ყოფაში, რომ გადავწყვიტე, მთელი ცხოვრება მასთან ერთად, ხელიხელჩაკიდებულს მევლო. მადლობა ღმერთს, რომ იმ დღეს ნათია ჩემთან ერთად ვერ წამოვიდა. მის ოჯახს ასეთი ტრადიცია აქვს: ძველით ახალ წელს, ბებია-ბაბუას იმერეთში სტუმრობენ. ნათიამ მეც მთხოვა, — წამოდიო, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან არ მინდოდა, მათი ოჯახური მყუდროება დამერღვია. ამის გამო საყვარელი ქალი გამინაწყენდა კიდეც. როგორ არ ვცადე მისი გულის მოგება: ტელეფონით უამრავი სასიყვარულო გზავნილი და კოცნა გავუგზავნე; დავპირდი, რომ როგორც კი თბილისში დაბრუნდებოდა, მის საყვარელ ნაყინზე დავპატიჟებდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. როდესაც მასთან შერიგების ყველა იმედი გადამეწურა, ნათიამ თავად დამირეკა და მითხრა, — თუ გინდა, შეგირიგდე, მანქანის საჭესთან ნასვამი აღარ დაჯდეო. მივხვდი, ამას დედაჩემის თხოვნით აკეთებდა, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე და ვუპასუხე: თქვენი სიტყვა კანონია-მეთქი. მოკლედ, ორი უძვირფასესი ქალის ნებას დავყევი... იმ ღამეს, რესტორნიდან შინ მეგობრის ავტომობილით ვბრუნდებოდით. მე მძღოლის გვერდით ვიჯექი. წვრილად თოვდა და გზა სველი იყო. დანამდვილებით არაფრის თქმა შემიძლია, მაგრამ სავარაუდოდ, ჩვენი ავტომობილი დიდი სისწრაფით მოძრაობდა, მოცურდა, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ბეტონის ჯუბირს იმ მხრიდან შევეჯახეთ, საითაც მე ვიჯექი. ტკივილს ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ სუნთქვა მიჭირდა, მანქანის ნაწილები მკერდზე მქონდა მობჯენილი. ჩემი მეგობრები მსუბუქად დაშავდნენ. ავტომობილიდან მათი გადაყვანა სამაშველო სამსახურს არ გასჭირვებია, ჩემს გადმოსაყვანად კი

ლითონის საჭრელი, სპეციალური ხელსაწყო დასჭირდათ. მესმოდა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმები მათ უყვიროდნენ: სწრაფად, ძალიან ბევრ სისხლს კარგავსო. გონი მანამ დავკარგე, სანამ მაშველები მანქანიდან ჩემს გადმოყვანას მოახერხებდნენ. ცნობიერება მხოლოდ რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში დამიბრუნდა. თვალის გახელას ვერ ვახერხებდი, მაგრამ ყველაფერი მესმოდა, რაც ჩემ ირგვლივ ხდებოდა. რეანიმაციული განყოფილების ექთანების საუბრიდან შევიტყვე, რომ მარჯვენა ხელის ამპუტაცია გამიკეთდა და დავინვალიდდი. ბავშვობის შემდეგ, პირველად მაშინ ვიტირე. ვტიროდი იმიტომ, რომ მივხვდი, მარჯვენასთან ერთად, ბევრი სხვა რაღაც — საკუთარი თავის რწმენა, ნორმალურად ცხოვრების შანსი და კარს მომდგარი ბედნიერება დავკარგე.

— რატომ? ამ ამბის შემდეგ შენ და ნათია დაშორდით?

— ამ სამი თვის განმავლობაში, ნათიას ერთი დღითაც არ მივუტოვებივარ. საავადმყოფოში, სასთუმალთან მეჯდა, ღამეებს მითევდა, თავისი ხელით მაჭმევდა, თმას მივარცხნიდა და წვერსაც მპარსავდა. ამ ტრაგედიამ კიდევ უფრო დაგვაახლოვა, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ შორის თითქოს ბზარიც გაჩნდა. ახლა მე ინვალიდი ვარ, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანი, უხელო კაცი, რომელსაც დამოუკიდებლად შარვლის ჩაცმაც კი არ შეუძლია, ის კი — ახალგაზრდა, ლამაზი და ჯანმრთელი ქალია, რომელსაც მთელი ცხოვრება წინ აქვს. არ მინდა, ჩემთან ცხოვრებით დაიტანჯოს. მე მას ვეღარ მივანიჭებ იმ ბედნიერებას, რომელსაც იმსახურებს... ჩემმა ახლობლებმა გერმანიაში, რამდენიმე ათას ევროდ ღირებული, ხელის პროთეზი შეუკვეთეს, რომელსაც სავარაუდოდ, თვის ბოლოს გამოგვიგზავნიან. ჩემი პროთეზი უკვე ვნახე ინტერნეტით. ის ჩემი კანის ფერის შესაბამისად შეურჩევიათ, ბალნითაც დაუფარავთ და თითების ფორმაც კი მიუმსგავსებიათ. მოკლედ, ისეთია, ნამდვილი ხელისგან რომ ვერ გაარჩევ. თურმე, პროთეზის ხუთივე თითი მოძრაობს. მართალია, ამ პროთეზირებული ხელით წერას ვერ შევძლებ, მაგრამ სამოსს თავადვე ჩავიცვამ, შევჭამ და ტაქსის გასაჩერებლადაც დავუქნევ. უცხოსთვის ჩემი ნაკლი თვალში საცემი არ იქნება, მაგრამ საყვარელ ადამიანს ვერ მოვატყუებ.

ნინო, *41 წლის:*

— სკოლის დამთავრების აღსანიშნავი ბანკეტის მეორე დღეს, ექსკურსიაზე შატილის ხეობაში წავედით. ბუნების წიაღში სუფრა გავშალეთ, მწვადები შევწვით და საუცხოოდ მოვილხინეთ. ხომ იცით, 16-17 წლის გოგო-ბიჭების ამბავი და ჩვენც, ცეკვა-თამაშისა და გართობის გარდა, არაფერი გვახსოვდა. კლასში რამდენიმე შეყვარებული წყვილიც ვიყავით. ყველას გვიხაროდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში რაღაც ახალი ეტაპი იწყებოდა. ასეა, ბედი სწორედ მაშინ გიმუხთლებს, როდესაც ამას ყველაზე ნაკლებად ელი. დღემდე არ ვიცი, მძღოლის გაუფრთხილებლობით მოხდა თუ ვიღაცამ ჩვენს სამგზავრო ავტობუსს საყრდენი გამოაცალა, მაგრამ მანქანა დაგორდა და მისმა ბორბლებმა ჩემი მარჯვენა ფეხი შეიწირა. სიხარული და ბედნიერება ცრემლებმა და ტკივილმა შეცვალა. რენტგენის სურათმა სავალალო შედეგის ამბავი გვაუწყა: ფეხის კოჭი მთლიანად იყო დაფშვნილი და ქართველმა ექიმებმა საბედისწერო განაჩენი გამომიტანეს — ფეხი უნდა მოეკვეთათ. მშობლებმა გადაწყვიტეს, ჩემი ფეხის შესანარჩუნებლად ბოლომდე ებრძოლათ და ახლობლების რეკომენდაციით, მოსკოვში გავემგზავრეთ. მოსკოვის კლინიკურ სავადმყოფოში, სადაც მრავალჯერადი ოპერაცია ჩამიტარდა, 6 თვე გავატარე. რუსმა ქირურგებმა ფეხი კი შემინარჩუნეს, მაგრამ ძველებურად, გამართულად ფეხზე დგომასა და სიარულს ვერ ვახერხებდი. მოკლედ, დავკოჭლდი და რაც ყველაზე აუტანელი იყო, ფეხი გამუდმებით მტკიოდა.

— თქვენ თქვით, რომ კლასელი გიყვარდათ. საინტერესოა, ამ შემთხვევის შემდეგ თქვენი ურთიერთობა როგორ განვითარდა?

— შატილში მომხდარი ამბის შემდეგ, ნიკუშა თვალით არ მინახავს. მოსკოვიდან რომ დავბრუნდი, დღე არ გასულა ისე, რომ კლასელებს არ მოვენახულებინე, მას კი ტელეფონითაც არ დაურეკავს. მეგობრებს ვთხოვე, ნიკუშასთვის გადაეცათ, რომ მისი ნახვა და მასთან დალაპარაკება მინდოდა. როგორც ჩანს, მან დედას ჰკითხა რჩევა, დედამისმა კი შემომითვალა: ჩემს შვილს კოჭლი ცოლი არ სჭირდებაო. ამ ამბავმა შოკში ჩამაგდო და ცხოვრებაზე ხელი საბოლოოდ ჩავიქნიე... დედა და მამა არაფერს იშურებდნენ, ოღონდ გაღიმებული და ხალისიანი ვენახე. ზაფხულს ზღვის კურორტებზე, ზამთრის არდადეგებს კი მთაში ვატარებდით. ერთხელ მე და დედა ბაკურიანში ვისვენებდით. დათოვლილ სკვერში სკამზე ვისხედით და თვალს ვადევნებდით, როგორ ხტოდნენ ციყვები ერთი ნაძვიდან მეორეზე. ნანახმა გამახალისა და გულიანად ვიცინოდი. იქვე რამდენიმე ახალგაზრდა სეირნობდა. ჩემი სიცილი რომ შემოესმათ, ჩვენკენ გამოემართნენ და მათაც ციყვების თვალიერება დაიწყეს. მოკლედ, კარგად ვიხალისეთ, ერთმანეთიც გავიცანით და როდესაც წასვლა გადაწყვიტეს, ერთ-ერთმა მათგანმა — გიორგიმ ჩვენთან დარჩენა გადაწყვიტა. მე, დედამ და ახალგაცნობილმა ვაჟმა ბევრი ვისაუბრეთ. ბოლოს, ჩვენი გაცილების ნებართვა ითხოვა. არ დამავიწყდება მისი თვალები, როდესაც ჩემი ფიზიკური ნაკლი შენიშნა... გიორგიმ სახლამდე მიგვაცილა და დაგვემშვიდობა. დარწმუნებული ვიყავი, რომ აღარასოდეს მოისურვებდა ჩემს ნახვას. საბედნიეროდ, შევცდი: ის კვლავ გვესტუმრა, ჩემთან ურთიერთობა თბილისშიც არ შეწყვიტა და რამდენიმე თვეში ცოლობაც მთხოვა. გიორგიმ საკუთარი თავის რწმენა დამიბრუნა. ცოტა ხანში პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავაბარე და ჩემს საყვარელ მეუღლეს ქალ-ვაჟიც გავუჩინე. ვერ ვიტყვი, რომ ქმრის სიყვარულმა და მზრუნველობამ ჩემი ნაკლი დამავიწყა, მაგრამ ამ ნაკლით ცხოვრება ნამდვილად მასწავლა. ჩვენი თანაცხოვრების მანძილზე, ბევრი სირთულისა და უხერხულობის გადატანა მომიხდა. მაგალითად, საოჯახო საქმეებში დღემდე, დედა მეხმარება, მეუღლესთან ერთად სტუმრად ყოფნისას კი, ადამიანების გამომეტყველებაში ხშირად ამომიკითხავს: რა წარმოსადეგი ვაჟკაცია და როგორი ინვალიდი ცოლი ჰყავსო!.. მაგრამ მეუღლემ ბევრჯერ დამიმტკიცა, რომ ინვალიდსა და სრულიად ჯანმრთელ ადამიანს შორისაც შესაძლოა, წრფელი სიყვარული არსებობდეს... გასულ ზამთარს, ყინულზე დავცურდი და ტრავმირებული ფეხი კიდევ ერთხელ მოვიტეხე. დამტვრეული ძვლის აღდგენა ვეღარ მოხერხდა და ფეხის ამპუტაცია გარდაუვალი გახდა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა დღეში ვიქნებოდი. ფიზიკურ ტკივილთან ერთად, ცხოვრებაში მიღებული ყველა ფსიქოლოგიური და სულიერი ტრავმა განმიახლდა. რომ არა ჩემი მეუღლის სიყვარული და მზრუნველობა, არც კი ვიცი, რა მეშველებოდა. მან ცრემლიანი თვალები დამიკოცნა და მითხრა: მე შენ მიყვარხარ და არა შენი რომელიმე ორგანო. ახლა ერთად დავდივართ რეაბილიტაციის სეანსებზე, სადაც

ჩვენს გარეგნობაში ნაკლს თუ ვერ ვამჩნევთ, გულსა და გონებაში ჩავიხედოთ...

ექიმები ფეხის პროთეზს მიმზადებენ. ისინი მპირდებიან, რომ მალე სიარულს შევძლებ. გიორგი კი დამპირდა, რომ ჩემი ფეხით შემომატარებს ჯერ შატილ-ის ხეობას, სადაც ეს ტრაგიკული ამბავი შემემთხვა, შემდეგ კი მთელ ბორჯომს, სადაც ჩვენი სიყვარული ჩაისახა.

ლილი, *45 წლის:*

— ლერის, ჯარში მთელი სოფელი ვაცილებდით. ჩვენი სიყვარულის შესახებ ყველამ იცოდა და თანასოფლელები მამშვიდებდნენ: ცოტა მოიცადე, ჯარიდან დავაჟკაცებული ჩამოვა და ჯვარსაც დაგწერთო. პირველი წერილი და სამხედრო სამოსში გადაღებული ფოტო ლერიმ მინსკიდან გამომიგზავნა. მწერდა: დამელოდე და უბედნიერეს ქალად გაქცევო. მისი თქმა რად მინდოდა, როცა მთელი არსებით მიყვარდა და ორ წელიწადს კი არა, თუ საჭირო იქნებოდა, საუკუნეც დაველოდებოდი?!. შემდეგ, წერილების მოწერა შეწყვიტა. ცოტა ხანში, მის ოჯახს აცნობეს, რომ ლერი, სხვა წვევამდელებთან ერთად, ავღანეთში გაგზავნეს. 6 თვის შემდეგ, ის სამხედრო სამედიცინო მანქანით სოფელში ჩამოიყვანეს. დედამისის მოთქმა და ტირილი მთელ სოფელს ესმოდა, მაგრამ მათთან მისვლას ვერავინ ბედავდა. ლერი ნაღმზე აფეთქებულა. მის გადარჩენას არავინ ელოდა. ღმერთის შეწევნით, გადარჩა, მაგრამ ზურგის ტვინი დაუზიანდა და ინვალიდის სავარძელს სამუდამოდ მიეჯაჭვა. მის სანახავად რამდენჯერმე მივედი, მაგრამ დედამისმა სახლში შესვლის უფლება არ მომცა: ლერის შენი ნახვა არ უნდაო. ვიცოდი, ასე იმიტომ იქცეოდა, რომ არ უნდოდა, დაინვალიდებული მენახა. ჩემი მშობლებიც მეუბნებოდნენ: თავი დაანებე, ეგ ბიჭი შენი ტოლი და სწორი აღარ არის, საცოდავს, თავისი გაჭირვებაც ეყოფაო... ერთ ღამეს, ჩემი ბარგი-ბარხანა ჩავალაგე და ლერის მოულოდნელად დავადექი თავზე. ბევრი ვიტირეთ, ერთმანეთს ვეფერეთ, ვესიყვარულეთ და ერთგულება შევფიცეთ... დედამ, ჩემი გათხოვების გამო, ძაძები ჩაიცვა, მამა კი მოსაკლავად დამდევდა: თავი როგორ დაიღუპა და ინვალიდს ცოლად როგორ გაჰყვაო?! სხვათა შორის, ბევრს არ სჯეროდა, რომ ჩვენი სიყვარული წლებს გაუძლებდა. ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ: ერთხელაც, ავადმყოფი კაცის მოვლა მოჰბეზრდება და მიატოვებსო... 25 წელზე მეტი გავატარე ინვალიდის ეტლთან და წუთითაც არ მინანია, რომ ცხოვრება უნარშეზღუდულ ადამიანს დავუკავშირე. ბევრი ჯანმრთელი კაცი ვერ იზამს იმას, რასაც ინვალიდის სავარძელში მჯდომი ლერი აკეთებს: დილით ძროხებს საძოვარზე მიერეკება, ბაღშიც მუშაობს და ავტომობილსაც მართავს. ერთადერთი, რაც ჩვენს ბედნიერებას აკლია, შვილებია, მაგრამ ავღანეთში მიღებული ჭრილობების გამო, ლერი შვილების ყოლას ვერ შეძლებს.

ნელი, *35 წლის:*

— ზაფხულის მიწურულს, ჩემი ძმა და მისი მეგობრები პაპისეულ თოფებს გაასუფთავებდნენ, დატენიდნენ და გარიჟრაჟზე, მწყრის მოსანადირებლად გაეშურებოდნენ. შემდეგ, ნანადირევ მწყერს უბნის გოგოები ვასუფთავებდით და ბიჭებს კერძს ვუმზადებდით... იმ საბედისწერო დღესაც, ბიჭები თოფებს წმენდდნენ, გოგოები კი მათ თავს დავტრიალებდით. ვეანგლებოდით: თქვენი ნანადირევი არსად გაიშვა, ემანდ დათვს არ გადაეყაროთ სადმე-თქო... ჩემი ძმის მეგობარი, ზურა დაგვემუქრა: თუ ლაზღანდარობას არ შეწყვეტთ, თოფს მარილით დავტენი და თქვენს წივილ-კივილს სოფელი გაიგონებსო. თან, შესაშინებლად, ლულა მოგვიშვირა. უნებურად, ზურას თოფის სასხლეტზე ხელი გამოეკრა და საფანტი სახეში შემეყარა... სად არ მატარეს მშობლებმა, მაგრამ ორივე თვალში დაკარგული სინათლე ვერავინ დამიბრუნა. ამ შემთხვევის გამო, ზურას ოჯახიც ძალიან წუხდა. მათ ჩემს მშობლებს მატერიალური დახმარებაც შესთავაზეს, მაგრამ ჩვენ საკმაოდ ძლიერი ოჯახი გვქონდა, ძლიერი სანათესავო გვყავდა და ამიტომაც, მათ დახმარებაზე უარი თქვეს. ზურას მშობლებს იმის შიშიც ჰქონდათ, რომ ჩემი უბედურებით გამწარებულ დედ-მამას, მათ შვილზე შური არ ექია და ხშირად გვიგზავნიდნენ შუამავალს, კითხვით: ჩვენი შვილის შეცდომა როგორ გამოვასწოროთო? დღემდე არ ვიცი, ვინ იყო ამის ინიციატორი, მაგრამ როცა 16 წელი შემისრულდა, ზურას ჩემი თავი შერთეს და მეც, ბედს შევეგუე, მიუხედავად იმისა, რომ მეგონა, ამ ქორწინების შემდეგ ჩემთვის მეორე ჯოჯოხეთი დაიწყებოდა. ვერ ვხვდებოდი, რად უნდოდა 18 წლის ბიჭს ბრმა ცოლი, რომელსაც ვერსად გამოაჩენდა და რომელიც მის მოვლა-პატრონობას ვერ შეძლებდა. რამდენჯერ მითხოვია ზურასთვის: მიმატოვე, ჩემზე უარი თქვი, მე ხომ შენთვის უმძიმესი ტვირთი ვარ და ერთი შეცდომის გამო, მთელი ცხოვრება რატომ უნდა დაიტანჯო-მეთქი?! ასეთ დროს, ყოველთვის დუმდა და ეს უფრო მეტად მიკლავდა გულს. მერე დავორსულდი და ამდენი ტანჯვის შემდეგ, პირველი სიხარული შვილის დაბადებისას განვიცადე. ზურა ჩვენს ქალიშვილზე საოცრად ზრუნავდა, როდესაც პატარა ჭირვეულობდა ან ავად ხდებოდა, ღამეებს უთევდა. 3 წლის შემდეგ, კიდევ ერთი ქალიშვილი შეგვეძინა და ზურას მზრუნველობა არც მისთვის მოუკლია. არ მეგონა, თუ ჩვენი ოჯახი წლებს გაუძლებდა, მაგრამ უკვე 18 წელია, ერთად ვართ. ქმრის სასაყვედურო არაფერი მაქვს, მთელი ცხოვრება ხელით დავყავარ, მაგრამ მას ერთხელაც არ უთქვამს, რომ ვუყვარვარ.

დიანა ლურწკაია, *მომღერალი:*

— მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთი საქმიან ვითარებაში გავიცანით. პეტრე პროფესიით ადვოკატია, მაგრამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მეგობრებთან ერთად უძღვებოდა კომპანიას, რომელიც კონცერტების ორგანიზებით იყო დაკავებული. ერთხელაც, პეტრე ოჯახში, დაბადების დღეზე მესტუმრა და ისე, როგორც ნამდვილ ჯენტლმენს შეეფერება, კარგი სუნამო და თაიგული მომართვა. მან ჩემზე ძალიან სერიოზული და კარგად აღზრდილი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, „თქვენობით“ მომმართავდა. ერთხელ, მაიამიში მქონდა კონცერტი და იქ დამირეკა. უნდა ვაღიარო, თავდაპირველად, ამ მოულოდნელი ზარის გამო, გავუბრაზდი კიდეც: მოსკოვსა და მაიამის შორის დროში სხვაობა 12 საათია; ძალიან დაღლილი ვიყავი და შუაღამისას, ამ სატელეფონო ზარმა ძალიან ამაფორიაქა. მახსოვს, მკვახედ ვუთხარი: თუ ჩემს ძმასთან, რობერტთან გსურთ საუბარი, მოგვიანებით დარეკეთ-მეთქი. პეტრემ დელიკატურად მიპასუხა: რობერტთან რომ მნდომოდა დარეკვა, მის ტელეფონზე დავრეკავდიო... ამის შემდეგ, ტელეფონით ხშირად ველაპარაკებოდით ერთმანეთს: ჯერ — ნახევარი საათის, შემდეგ — მთელი საათის, მოგვიანებით — საათ-ნახევრის განმავლობაში და ბოლოს, საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ ამ ადამიანთან ურთიერთობა მსიამოვნებდა. მე და პეტრე დავმეგობრდით: ერთად დავდიოდით კონცერტზე, ვკითხულობდით, ვსეირნობდით, ვმესიჯობდით. უნდოდა, რომ ჩემთვის ყოველი დღე დღესასწაულად ექცია... ერთხელ, ვალ-

ვალენტინობის დღესასწაულზე, ჩვენ დაინიშნეთ და რამდენიმე თვეში ვიქორწინეთ კიდეც

ენტინობის დღესასწაულზე, ჩემი სახლის კარზე ზარი გაისმა. როდესაც კარი გავაღეთ, დიდი ტორტი შემოგვიტანეს, რომელიც ბუშტებითა და შროშანებით იყო გაწყობილი, ზედ კი ეწერა: „დიანას, ყველა მისი თაყვანისმცემლისგან!“ რა თქმა უნდა, მივხვდით, რომ ეს პეტრეს საჩუქრი იყო და საღამოს, ტორტი ერთად მივირთვით. რამდენჯერმე ვეხუმრე კიდეც: არ მოგვწამლოს, ნამდვილი ყვავილებითაა გაწყობილი-მეთქი... მახსოვს, აღდგომის დღესასწაული იყო. მე გასტროლიდან დავბრუნდი და პეტრეც გვესტუმრა. სამზარეულოში ვისხედით, ყავას მივირთმევდით, ჩემი ოჯახის წევრები კი სააღდგომო სამზადისში იყვნენ. უეცრად, სამზრეულოდან ყველა გავიდა — მე და პეტრე მარტო დაგვტოვეს... როდესაც სიყვარულში გამომიტყდა, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი: მეცინა, გავბრაზებულიყავი თუ მეტირა. რა თქმა უნდა, მაშინვე არაფერს დავპირებივარ. ვუთხარი, — ჩვენ სხვადასხვანაირები ვართ და ვიდრე რაიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ, დაფიქრება გვმართებს-მეთქი. პეტრეც დამპირდა, რომ იმდენ ხანს დამელოდებოდა, რამდენიც გადაწყვეტილების მისაღებად დამჭირდებოდა. ერთხელაც, თავად მოუხდა ერთი თვით, მივლინებით გამგზავრება. ამ პერიოდის განმავლობაში, მოუსვენრად ვიყავი და მივხვდი — მომენატრა. მეტიც: ხომ გაგიგონიათ, რომ ამბობენ — მისი სახელით ვიღვიძებ და ვიძინებო? სწორედ ასეთ დღეში ჩავვარდი. მიუხედავად ამისა, მაინც ვცდილობდი, ეს ყველაფერი პეტრესთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. სხვათა შორის, ასეთი რამ თითქმის ყველა ქართველ ქალს ახასიათებს... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მომდევნო ვალენტინობის დღესასწაულზე, ჩვენ დავინიშნეთ და რამდენიმე თვეში ვიქორწინეთ კიდეც. მაშინ მივხვდი — პეტრესთან ერთად, ჩემი ცხოვრება სულ სხვა, უფრო ლამაზ ფერებში წარიმართებოდა. ბავშვობიდანვე მიმაჩვიეს იმას, რომ ჩემზე, საწყალი დედაჩემით დაწყებული და ჩემი ძმით დამთავრებული, ყველა განსაკუთრებულად ზრუნავდა. მაგრამ აქვე გამოგიტყდებით, ჩემი ცხოვრება ყოველთვის ასეთი დალხინებული როდი იყო. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი დავამთავრე. ძალიან ძნელია, როდესაც არ ცხოვრობ შენს ოჯახთან, დედასთან ერთად და ამის გამო, ბევრჯერ მიტირია... ამ სკოლაში დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე. ახლა კი უზომოდ ბედნიერი ვარ. ორი წელი, მე და პეტრემ იმაზე ზრუნვით ვიცხოვრეთ, თუ ყოველ წუთს, ყოველ წამს როგორ მიგვენიჭებინა ერთმანეთისთვის სიხარული. მას შემდეგ, რაც ქვეყანას ჩვენი ვაჟი კონსტანტინე მოევლინა, უკვე მისთვის ვცხოვრობთ. დამიჯერეთ, არაა აუცილებელი, თვალებით ხედავდე, მთავარია — გრძნობდე!.. ■

რა ემესიჯს უგზავნის კახა კუკავას მისი ეროვნული და

და რას აპროტესტებს?

— ბავშვობაში ხშირად ვჩხუბობდით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთი არ გვაიყვარდა, — ამბობს კონსერვატორ კახა კუკავას და. თურმე ბატონი კახა დღემდე იმას გაიძახის: ჩემი ბავშვობა მაშინ დამთავრდა, როცა ნუნუკა დაიბადაო. როგორი ძმაა ის დისთვის? ზღუდავს თუ ანებივრებს? — ამას ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.

„ბავშვობაში ჩემს ძმას ბევრი ლაპარაკი უყვარდა“

ეკა მინდაძე

— კახა ჩემზე 5 წლით უფროსია. სწორედ ამიტომ არ მახსოვს მისი ბავშვობა. გადმოცემით ვიცი, რომ ბევრი ლაპარაკი უყვარდა, ამასთანავე, ტყუილების დიდოსტატიც იყო. დედა იხსენებს: ისე დამაჯერებლად მოატყუა ბაღის მასწავლებელი, — დედაჩემი ბაზარში ბუშტებს ყიდისო, — რომ ეჭვიც არ გასჩენიაო.

— ნუნუკა, ალბათ დამეთანხმები, რომ თითქმის ყველა ბავშვი ძნელად ეგუება ძმის ან დის დაბადებას. თქვენს ოჯახში რა ხდებოდა ამ დროს?

— კახა, როგორც ყველა ბავშვი, ჩემს დაბადებას მტკივნეულად შეხვედრია. დღემდე იმას გაიძახის: ჩემი ბავშვობა მაშინ დამთავრდა, როცა ნუნუკა დაიბადაო. თურმე მშობლებს გამუდმებით სთხოვდა: ეს ბავშვი გადააგდეთო (*იცინის*).

— თქვენ შორის რომელი უფრო ბეჯითი იყო?

— მე. მიუხედავად იმისა, რომ კახას წიგნის კითხვა უყვარდა, ფრიადოსანი არ ყოფილა. ყველაზე ცუდი ნიშანი რუსულ ენაში ჰყავდა. მისი მასწავლებელი იმდენად დაიღალა ორიანების წერით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ერთიანი დაუწერა და უთხრა: შენზე ორიანი აღარ მოქმედებს და იქნებ, ამან მაინც გაჭრასო (*იცინის*).

— ხასიათით თუ განსხვავდებით ერთმანეთისგან?

— არა. ორივეს შემტევი ხასიათი გვაქვს. დამთმობი არც ერთი არ ვართ. მისი ნათქვამი სიტყვა, შეპასუხების გარეშე არასდროს დამიტოვებია.

— ბევრი ბიჭი ოცნებობს, რომ მფრინავი, მეხანძრე, ფეხბურთელი ან პრეზიდენტი გამოვიდეს. კახას რა ოცნება ჰქონდა?

— პრეზიდენტობა ნამდვილად არ უნდოდა, მაგრამ ბავშვობაში დედისთვის უთქვამს: აკადემიკოსი რომ გავხდები, ლამაზ კაბას გიყიდიო

ისეთ წვრილმანებზე ვკამათობდით, რომ მახსენდება, მეცინება

(*იცინის*). ასე რომ, მიზანსწრაფული ნამდვილად იყო. თუკი რაიმეს აიჩემებდა, საქმეს ბოლომდე მიიყვანდა.

— პატარაობისას ხშირად ჩხუბობდით?

— დიახ. ძალიან კონფლიქტური და-ძმა ვიყავით. ისეთ წვრილმანებზე ვკამათობდით, რომ მახსენდება, მეცინება. ზოგჯერ ისე სერიოზულად ვბრაზდებოდით, რომ ერთმანეთს რამდენიმე დღე ხმას არ ვცემდით. ბავშვობაში, არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვერ ვიტანდი კოცნას. კახამ ეს მშვენივრად იცოდა, მაგრამ რომ გავებრაზებინე, ჩუმად მომეპარებოდა და მკოცნიდა. ხშირად ერთი „პასტის“ გამო დაწყებული კინკლაობა ჩვენ შორის სერიოზულ ჩხუბში გადაზრდილა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთი არ გვიყვარდა. ახლა იშვიათად მოგვდის კონფლიქტი. ისე, ძალიანაც რომ გვინდოდეს, საამისოდ დრო არ გვაქვს (*იცინის*).

— მაინც დღეს რაზე წაკამათდებით ხოლმე?

— ვერ ვიტან, როცა ადამიანი მომსახურებას მოითხოვს. კახას კი ძალიან უყვარს, როცა ოჯახში ემსახურებიან. შეუძლია, მთელი დღე დივანზე მჯდარმა გაატაროს და რაც დასჭირდება, ადგილზე მიართვან. ამას ყოველთვის ვაპროტესტებ. სწორედ ეს ხდება ხოლმე ჩვენი წაკამათების მიზეზი.

— თუ შეგიძლია, გაიხსენო, ბოლოს რის გამო წაკინკლავდით?

— რამდენიმე დღის წინ, კახას ჩუმად აუღია ჩემი მობილური და ჩემ მაგივრად გაუგზავნია მესიჯები ჩემსავე ნაცნობებთან. ამის გამო, საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ყველა მათგანთან ერთნაირი ურთიერთობა არ მქონდა და მის მიერ გაგზავნილმა მესიჯებმა სულ არივ-დარია ყველაფერი. ამაზე ნამდვილად, სერიოზულად ვეჩხუბე.

— როგორია კახა კუკავა ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას?

— გაგიკვირდებათ, მაგრამ საოცრად მხიარული ადამიანია. რამდენადაც სერიოზულია პოლიტიკაში, იმდენად არასერიოზულია სახლში (*იცინის*). მუდამ ხუმრობის ხასიათზეა, უყვარს ჯანსაღი იუმორი. ყველაფერზე შეუძლია იხუმროს. ხშირად ველარც ვიგებთ, როდის ამბობს მართალს და როდის — ტყუილს.

— ერევა თუ არა ერთადერთი დის პირად ცხოვრებაში და გაკონტროლებს თუ არა?

— არა. მგონი, მე არ ვაძლევ იმის საბაბს, რომ გამაკონტროლოს. არასოდეს ვეკითხები, სად უნდა წავიდე და რა უნდა გავაკეთო.

— საჩუქრებით თუ განებივრებს?

— კახა ფორმალობებს ყურადღებას არ აქცევს. ამიტომ მეც არ ველოდები ხოლმე მისგან, თუნდაც 8 მარტს რაიმე სახის საჩუქარს. აი, უცხოეთიდან კი, სადაც არ უნდა წავიდეს, ჩემთვის ყოველთვის ჩამოაქვს სუნამო. ასე რომ, ძალიან უყურადღებოც არ არის (*იცინის*).

— კიდევ რა შეგიძლია გვითხრა კახას დადებით და უარყოფით თვისებებზე?

— კახა მიზანდასახული, ნაკითხი, ჭკვიანი, შრომისმოყვარე, ენერგიული და ძლიერი პიროვნებაა. მისთვის არ არსებობს დაბრკოლება. პირადად მე, ძალიან მიხარია, რომ ჩემი ძმა ყველა ამ თვისებით გამოირჩევა. რაც შეეხება უარყოფით თვისებას — მინდა აღვნიშნო, რომ ძალზე მოუწესრიგებელი ადამიანია, მაგრამ სხვის მიერ დამყარებული წესრიგი უყვარს.

— როგორ აფასებ კახას პოლიტიკურ საქმიანობას?

— დადებითად. რასაც ის აკეთებს, ყველაფერში ვეთანხმები. ვფიქრობ, რომ სწორი პოზიცია აქვს.

ნუნუკა და კახა მშობლებთან ერთად

— პოლიტიკაზე არასოდეს გიკამათიათ?

— არა, მაგრამ როცა ის მწვავე განცხადებებს აკეთებს, ოჯახის წევრები ყოველთვის ვურჩევთ, რომ შედარებით რბილი იყოს.

— ძნელია, იყო პოლიტიკოსის და?

— ძალიან. მუდმივად დაძაბული ვარ. განსაკუთრებით, ჩვენს მშობლებს ეშინიათ. დღევანდელ დღეს ყველაფერი საშიშია...

— ნუნუკა, რა პროფესიას ეუფლები?

— ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტში, ინგლისური ენის ფაკულტეტზე ვსწავლობ, მეორე კურსის სტუდენტი გახლავართ.

— დამთავრების შემდეგ, შენც ხომ არ აპირებ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმას?

— არა მგონია. ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია. თან, მეეჭვება, კახამ ასეთი არჩევანი მომიწონოს.

— დაბოლოს, რა მესიჯს დაუტოვებ შენს ძმას?

— იყავი უფრო ყურადღებიანი ძმა (*იცინის*). ■

ხოლის იღვიძებს ადამიანში ცეკვისა და სიმღერის ნიჭი

ალბათ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ XXI საუკუნეში კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც პროფესიონალიზმის მიუხედავად, საყვარელ საქმეს ცარიელი ენთუზიაზმით ემსახურებიან. უკვე 23 წელია, რაც მალხაზ ავალიანი ანსამბლ „პატარა ვარსკვლავებს“ ხელძღვანელობს. ამ ხნის განმავლობაში, გაწეული შრომის საფასურად, მხოლოდ სიგელები, ჯილდოები და მადლიერი მოწაფეების სიყვარული აქვს მიღებული. როგორც მისი ახლობლებისგან შევიტყვეთ, დღემდე, თავის 170-ლარიან ხელფასს ისევ საცეკვაო დარბაზის კეთილმოწყობისა და ბავშვებისათვის ფორმების შესაძენად იყენებს. ბატონი მალხაზი პროფესიით საერთაშორისო ტურიზმის მენეჯერია. როგორც თავად გვითხრა, ტურისტულ სააგენტოებში მუშაობა, სოლიდური ანაზღაურების საფასურად, არაერთხელ შესთავაზეს, მაგრამ ვერასდროს დაიყოლიეს. მიზეზი ყოველთვის ქართული ცეკვის სიყვარული და ბავშვებთან მუშაობის სურვილი იყო.

მილანის მერი ჩვენს ანსამბლს იგალიაში ხშირად ეპატიჟება

„ეს შეიძლება, ქალმა კაცის სიმაღლეზე ასწიოს ფეხი“

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო მალხაზ, ახალი თაობა ქართული ცეკვით რამდენადაა დაინტერესებული?

— ინტერესი კი აქვთ, მაგრამ მათ წინაშე ორი სახის პრობლემაა: პირველი — თბილისელი ბავშვების 90%-ს სმენა არა აქვს (თუმცა, ამის გამოსწორება ბევრი მეცადინეობით შეიძლება); მეორე და ყველაზე დიდი პრობლემა კი უსახსრობაა. კომუნისტებს ერთი კარგი თვისება ჰქონდათ — ხელოვნების განვითარებას პრიორიტეტად მიიჩნევდნენ. ისინი გასტროლებზე გასამგზავრებელ თანხასაც გვირიცხავდნენ და ფორმებსაც გვიკერავდნენ. დღეს ყველაფერს საკუთარი ხარჯებით ვაკეთებთ. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას დროსაც სერიოზულ ყურადღებას გვაქცევდნენ, ახლა კი ჩვენი დარდი აღარავის აქვს. მე, რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ წინაპრებისაგან დატოვებული ძვირფასი საგანძური პატარებს გადავცე. შეიძლება, ჩემი ბავშვებიდან ყველა პროფესიონალი მოცეკვავე ვერ გამოვიდეს, მაგრამ ისინი ქართულ კულტურას ეზიარებიან, ლამაზად სიარულს ისწავლიან, რიტმს გამოიმუშავებენ. ესეც ხომ საქმეა?! მთელ თბილისში ყველაზე ნაკლები გადასახადი დავაწესე. ყველა ბავშვს ფორმებით ვასაჩუქრებ და დაუზოგავი მეცადინეობისა და მუშაობის შემდეგ, საზღვარგარეთაც მიმყავს. წელიწადში, სულ ცოტა, გასტროლს ორჯერ ვაწყობთ.

— ამ გასტროლებს ვინ აფინანსებს?

— ქართულ ცეკვებზე უცხოეთში იმდენად დიდი მოთხოვნილებაა, რომ თავად გვეპატიჟებიან და იქ ცხოვრების ხარჯებსაც გვინაზღაურებენ. ჩვენ მხოლოდ გზის ფულის შეგროვება გვიწევს. ნიჭიერი, მაგრამ ღარიბი ოჯახის შვილები უფასოდაც მიგვყავს. მათ საჭირო თანხას მასწავლებლები და მშობლები ვუგროვებთ. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ ჩემი ბავშვები, ხშირად პროფესიონალ მოცეკვავეებზე უკეთ ცეკვავენ. ამიტომაც, არ მინდა, მათ სწავლის სურვილი დავუკარგო და ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ როგორმე, თითოეულს თავის გამოჩენის საშუალება მივცე.

ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ წინაპრებისაგან დატოვებული ძვირფასი საგანძური პატარებს გადავცე

— გასტროლებს ძირითადად, სად აწყობთ?

— ავსტრალიის გარდა, ყველა ქვეყანაში ვართ ნამყოფი, თითქმის მთელი მსოფლიო გვაქვს მოვლილი. ხშირად დავდივართ იტალიაში — მილანის მერი ჩემი მეგობარია და ჩვენს ანსამბლს ხშირად ეპატიჟება. რამდენიმე ხნის წინ, ამერიკაში ერთკვირიანი გასტროლი დაგვგეგმეთ, მაგრამ იქაურებს ჩემი პატარა ვარსკვლავები ისე მოეწონათ, ორი თვით დაგვტოვეს. ამ ხნის განმავლობაში, ყველა ხარჯი თავად გაიღეს. ჩვენი გამოშვება კიდევ არ უნდოდათ, მაგრამ რაღას იზამდნენ?! მოსკოვში, სვეტებიან დარბაზში სამჯერ გამოვედით, სამჯერვე გავავსეთ დარბაზი. არ მახსოვს, ქართველების ცეკვას მაყურებელი აღტაცებაში არ მოეყვანოს. ფაქტია, ჩვენში განსაკუთრებული კოდია ჩადებული. ისეთი მთები, მდინარეები და ტყეები გვაქვს, არ შეიძლება, თავადაც განსაკუთრებულნი არ ვიყოთ. დავრწმუნდი, რომ ყველა სხვა ერისგან განსხვავებით, ქართველები სიმღერითაც გამოვირჩევით, ცეკვითაც, სუფრითაც და ტრადიციებითაც. ჯორჯ ბალანჩინმა აქ თავი ვერ დაიმკვიდრა, უცხოეთში კი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი გახდა. ვახტანგ ჭაბუკიანს ისეთი ილეთები ჰქონდა, მსოფლიო გააოცა. ხედავთ, როგორ ხიბლავს და აჯადოებს ირმა ნიორაძე მაყურებელს? როგორ ფიქრობთ, საიდან არის ამ ადამიანში ამხელა ნიჭი? ჩვენ, ქართველებს, ბუნება განსაკუთრებული ნიჭით გვაჯილდოებს, მაგრამ ყველას როდი შეუძლია ამის გამოყენება...

— უცხოელებს განსაკუთრებით, რომელი ცეკვა მოსწონთ?

— მათ განსაკუთრებით ის ცეკვები მოსწონთ, რომელშიც ფარი და ხმალია გამოყენებული. ასეთ ცეკვებს ბავშვები არ ასრულებენ იმიტომ, რომ ეს ძალიან რთული და სახიფათოა. უცხოელებს კიდევ, იცით, რა მოსწონთ? — ჩვენი მოცეკვავეების სინქრონიულობა, ერთიანობა და მუსიკის ტემბრი. ჩვენი ცეკვების თავისებურება ის გახლავთ, რომ ტემპი იწყება ნელა, მერე საშუალოზე

დეა ადამიას წარმოსახვითი ქორწილი

„ბარი-4“-ის გამარჯვებული, დეა ადამია 2-დიპლომიანი „საპატარძლოა“. გარდა ამისა, ის კარგად მღერის, ცეკვავს, ქარგავს, ხატავს და საკმაოდ მიმზიდველი მზითევიც ჰქონია დაგროვილი... მისი თაყვანისმცემლების საყურადღებოდ მინდა აღვნიშნო, რომ თურმე, დეას გულის კარი ჯერჯერობით დაკეტილია და თუ თქვენ გსურთ, მისი გასაღები მოიპოვოთ, ამ ინტერვიუს წაკითხვა მოგიწევთ.

„ამქვეყნად რომ მოვსულიყავი, ამისთვისაც კი არ მიშრომია“

სოფო ჭონიშვილი

— დეა, პირველ რიგში, თაყვანისმცემლებს შენი ოჯახი გააცანი.

— მიმაჩნია, რომ განათლებულ, ინტელიგენტურ ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. დედას — ნაირა რუხაიას 3 დიპლომი აქვს; მამა — ბიზნესმენია და 2 დიპლომი აქვს. ჩემი და უცხო ენების სპეციალისტია. მე კი წელს დიპლომატიურ ფაკულტეტს ვამთავრებ. პარალელურად, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე ვსწავლობ, მე-2 კურსზე ვარ. ამჟამად, მე და დედა მარტო ვცხოვრობთ. რადგან მამა საზღვარგარეთაა, და კი გათხოვილია.

— ეი. 2-დიპლომიანი საპატარძლო ხარ?

— (*იცინის*) დიახ. დედამთილი ვეღარ დამიწუნებს. საერთოდ, მიზანსწრაფული ადამინი ვარ და ამ მხრივ, ჰოროსკოპის მონაცემებს ვამართლებ.

— ჰოროსკოპით ვინ ხარ?

— კირჩხიბი.

— თუ იცი, კირჩხიბები რა თვისებებით გამოირჩევიან?

— ისინი კარგი მეოჯახეები, ერთგულები და მიამიტები არიან. მე წყენისა და ბოღმის გულში ჩახვევა არ მჩვევია. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ამიტომ, ცხოვრებას ყოველთვის იმედის თვალით შევყურებ.

— ბედისწერის გჯერა?

— მე იმის მჯერა, რომ ყველა ადამიანი, საკუთარ ბედს თავად ქმნის.

— ოდესმე მკითხავთან თუ ყოფილაბრ?

— არასოდეს. მიმაჩნია, რომ ქრისტიანი ადამიანისთვის ეს უდიდესი ცოდვაა. ხანდახან ჰოროსკოპების კითხვით ვერთობი.

— დეა, რამდენი წლის ხარ?

— 20-ის.

— როგორც ვიცი, შეყვარებული არ გყავს...

— ჯერჯერობით ეს ბედნიერება არ მწვევია (*იცინის*).

— გულწრფელად მითხარი, საკუთარ თავში რა თვისება არ მოგწონს?

— ჩემს ყველაზე ცუდ თვისებად მიამიტობა მიმაჩნია. თავად ბოროტება არასოდეს არავისთვის გამიკეთებია და არც შურიანი ვარ. რატომღაც მეგონა, რომ ყველა ჩემნაირი, კეთილი, საყვარელი და მეგობრულია. თურმე, მწარედ ვცდებოდი... გარდა იმისა, რომ მიამიტი ვარ, ზარმაციც გახლავართ. ძილი ძალიან მიყვარს. ლექციები დილის 10 საათზე მეწყება და დედა ჩემს გაღვიძებას 8 საათიდან იწყებს. დედამ საკეისრო კვეთით გამაჩინა, ანუ ამქვეყნად რომ მოვსულიყავი, ამისთვისაც კი არ მიშრომია (*იცინის*). ისე, „ბარში“ ცოტა გამოვფხიზლდი — იქ მივხვდი, რომ უქმად არც ერთი წამის დაკარგვა არ შეიძლება.

— ტყუილის თქმა გეხერხება?

— ბოროტად არასოდეს ვიტყუები, ჩემი ნათქვამით ადამიანებს ზიანს არ მივაყენებ. მაგრამ ზოგჯერ, მეგობრებს ვატყუებ — მაგალითად, მაშინ, როცა სადღაც მეპატიჟებიან, მე კი უხასიათოდ ვარ და სახლიდან გასვლა არ მინდა, მათ

გადადის და ბოლოს, სულ მაღლა მიდის. გული მწყდება, რადგან ბოლო დროს, ქართველებმა „ბრეიკი“ და ესპანური ცეკვები აიტაცეს. როდესაც ესპანეთში ჩავდივართ, იქაურები თავს გვევლებიან და იცით, რა დღეში ცვივდებიან, როდესაც ქართულ ცეკვას უყურებენ? მექსიკელებსაც აქვთ ცეკვები, რომლებსაც რამდენიმე კაცი ერთად ასრულებს, მაგრამ იქ მხოლოდ ოთხს ან ხუთს შეუძლია ერთ ფერხულში ცეკვა. მე იმასაც ძალიან განვიცდი, რომ „სუხიშვილებმა“ ქართულ ცეკვაში ბევრი რამ შეცვალეს. რამდენიმე ხნის წინ, შოტლანდიური ანსამბლიდან გადმოიღეს რაღაც ილეთები. ვიდრე ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ცოცხლები იყვნენ, ანსამბლში ყველა წესი და ქართული ფოლკლორული ელემენტი დაცული იყო.

— რა წესებს გულისხმობთ?

— არ შეიძლება, ქალმა კაცის სიმაღლეზე ასწიოს ფეხი ან მამაკაცი ქალს შეეხოს. ეს წესები მარტო ქართულ ცეკვაში იყო დაცული. საბედნიეროდ, „ერისიონი“ ამ წესებს დღემდე იცავს. ქართველებს განუმეორებელი და ყველასგან განსხვავებული ელემენტები გვაქვს და რატომ უნდა მივბაძოთ სხვას?! თანაც, სხვას მხოლოდ მაშინ აინტერესებ, როდესაც მისგან განსხვავდები.

— ფიქრობთ, რომ ცეკვას განვითარება და სიახლეები არ სჭირდება?

— როგორ არა, სჭირდება და უნდა განვავითაროთ კიდეც, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ელემენტებით და არა სხისგან გადმოღებული ილეთებით. რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წავიდეთ, ყველგან ვახერხებთ მაყურებლის გაოცებას, ყველა კონცერტს ანშლაგით ვამთავრებთ, კონკურსებზე კი პირველ ან მეორე ადგილებს ვიკავებთ. ჩვენი წინაპრები საუცხოოდ ფლობდნენ ცეკვის ხელოვნებას, ჩვენც უდიდესი სიმდიდრე დაგვიტოვეს და ამ ყველაფერს მოფრთხილება სჭირდება.

— თქვენ თქვით, თბილისელ ბავშვებს სმენა არა აქვთო. ამის მიზეზი რა უნდა იყოს?

— ჩემი აზრით, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თბილისელი ბავშვები ბუნებისაგან შორს არიან. თუ ადამიანი ბუნების წიაღში არ იზრდება, წყლის ხმა, ფოთლების შრიალი და ჩიტების ჭიკჭიკი არ ესმის, მასში ცეკვისა და სიმღერის ნიჭი ვერ გაიღვიძებს. რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისებიც, მაგრამ ძირითადად, რეგიონში დაბადებული ბავშვები უფრო კარგად ცეკვავენ და მღერიან.

— ბუნებაზე ასე ძლიერ შეყვარებული კაცი, ქალაქში როგორ ძლებთ?

— უკვე გითხარით, რომ ხშირად ვმოგზაურობთ და თუ შესაძლებელია, ყოველთვის ავტობუსით ვმგზავრობთ, რათა გზად ბუნება დავათვალიეროთ. ისე, სიმართლე გითხრათ, საქართველოსავით ლამაზი ბუნება არც ერთ ქვეყანაში არ არის.

— თავად რომელ ცეკვას ასრულებთ ყველაზე დიდი სიამოვნებით?

— დოლის რიტმს ყოველთვის ჩემდა უნებურად ვყვები. ყველა ცეკვას სიამოვნებით ვასრულებ, მაგრამ რადგანაც მთის კაცი ვარ, ჩემს გულთან ყველაზე ახლოს „მთიულურია“.

— თქვენი ნამდვილი პროფესიის გამოყენებას როდის აპირებთ?

— როდესაც ცეკვას ვეღარ შევძლებ. ■

ვეუბნები: დედა არ მიშვებს-მეთქი.

— ისე, დედა სადმე წასვლას გიკრძალავს?

— არა, დედა ჩემი უახლოესი მეგობარი და მესაიდუმლეა. მან იცის, რომ სადაც არ უნდა წავიდე, ცუდს არაფერს გავაკეთებ.

— გარდა იმისა, რომ სიგარეტს ეწევი, კიდევ რა მავნე ჩვევა გაქვს?

— „ბარიდან“ გამოსვლის შემდეგ, სიგარეტი აღარ მომიწევია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 3 დღის წინ, ჩემი სიმღერების ჩაწერა აღვნიშნეთ, ცოტაოდენი „მარტინი“ დავლიე და სიგარეტის მოწევის სურვილიც გამიჩნდა. იმედი მაქვს, საკუთარ თავს ხელში ავიყვან და აღარ მოვწევ. სხვა მავნე ჩვევა არაფერი მაქვს.

— დეა, შენს რჩეულის თავს რითი მოაწონებ? რა დადებითი თვისებებით გამოირჩევი?

— (*ფიქრობს*) სისადავითა და უბრალოებით. არასოდეს ვთამაშობ. ღაღი, მხიარული, თბილი, მოსიყვარულე და ძალიან ერთგული ადამიანი ვარ.

— საოჯახო საქმეების კეთება თუ გეხერხება?

— „ბარი-4“-ში შესვლამდე სახლში არანაირ საოჯახო საქმეს არ ვაკეთებდი, ყველაფერს დედა მიკეთებდა, მაგრამ ახლა, საოჯახო საქმეების კეთება შემიყვარდა, რაც დედაჩემს ძალიან უხარია.

— კერძების მომზადება თუ იცი?

— საჭმელების მომზადებით თავს ვერავის მოვაწონებ, მხოლოდ სოკოს სალათის მომზადება ვიცი. უთოობაც არ მეხერხება. რატომღაც მეშინია და მგონია, რომ ტანსაცმელს დავწვავ.

ყველანაირად ვეცდები, მეუღლეს ცხოვრება გავულამაზო, არ „დავგრუზო“

— როგორი მამაკაცები იქცევენ შენს ყურადღებას?

— პირველ რიგში, მამაკაცში მის სულიერ კულტურას ვაფასებ. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, მომხიბვლელიც უნდა იყოს — სპორტული აღნაგობის, ნამდვილი მამაკაცური თვისებებით. არ დავუშვებ იმას, რომ ჩემი მეუღლე ზარმაცი და უქნარა იყოს. როცა ცოლ-ქმარს თავ-თავისი საქმე აქვს, უბრალო წვრილმანებზე საკამათოდ აღარ სცალია.

— შენი რჩეულის მატერიალური მდგომარეობით დაინტერესდები?

— რა თქმა უნდა, დავინტერესდები. სადაც სიყვარულია, იქ ფულიც საჭიროა. ქალიც და მამაკაციც — როცა ოჯახის შექმნას გადაწყვეტენ — მატერიალურად მყარად უნდა იდგნენ ფეხზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უამრავი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან.

— დეა, როგორი მანდილოსნების კატეგორს მიეკუთვნები — აქტიურის თუ პასიურის?

— არც აქტიური ვარ და არც — პასიური. მიმაჩნია, რომ თუ მამაკაცს ქალი მოსწონს, თავად უნდა იაქტიუროს...

— შენი გულის დაპყრობა იოლია?

— ყველაფერს ნუ მათქმევინებ (*იცინის*)... კარგი, გეტყვი. ჩემი გულის დაპყრობა არც ისე ძნელია. მთავარია, მამაკაცმა საკუთარი შინაგანი სამყაროთი მომხიბლოს...

— დეპრესიული ხარ?

— უფ... ასეთი რამ ხშირად მემართება. როცა ადამიანს ენდობი, ის კი გიღალატებს, ცუდია. მით უმეტეს, როცა ის ადამიანი უახლოესი მეგობარია.

— ასეთ შემთხვევაში როგორ იქცევი?

— ოთახში ვიკეტები და ფისოს ვეფერები. დედას ასეთ რაღაცებს არასოდეს ვეუბნები. არ მინდა, ის ადამიანი, რომელმაც გული მატკინა, შევაზიზღო.

— ჭორაობა არ გიყვარს?

— როცა მეგობრები ვიკრიბებით, ხანდახან ვჭორაობთ. ძირითადად, „ჭორის ობიექტები“ მათი შეყვარებულები არიან. მე, რა თქმა უნდა, მათ სიხარულს და ბედნიერებას ვიზიარებ. ხომ გაგიგონია: მეგობარი მეგობრისთვისო (*იცინის*)...

— გარდა იმისა, რომ მღერი და როგორც მითხარი, უკვე რამდენიმე სიმღერაც ჩაწერე, ცეკვა თუ გეხერხება?

— 2 წელი სუხიშვილების ანსამბლში ვცეკვავდი, მაგრამ მერე რატომღაც თავი დავანებე. ისე, პროფესიონალურად არა, მაგრამ მოყვარულის დონეზე, კარგად ვცეკვავ.

— საქმროსთან ქორწინებამდე თანაცხოვრება შენთვის რამდენად მისაღებია?

— ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღვიზარდე. შესაბამისად, ტრადიციებს პატივს ვცემ და ვიცავ კიდეც. არავის განკითხვის უფლება არ მაქვს, მაგრამ ჩემთვის მსგავსი რამ მიუღებელია. ტაძარში თეთრი კაბით, ჯვრის დასაწერად რომ შეხვალ, სულით სპეტაკი და უმანკო უნდა იყო.

— იმაზე თუ გიფიქრია, როგორი ქორწილი გექნება?

— როგორ არა?! ისიც კი გადაწყვეტილი მაქვს, იმ დღეს როგორი კაბა უნდა ჩავიცვა: ეს იქნება გრძელშლეიფიანი, თეთრი კაბა. მინდა, რუსთაველის გამზირი გადავკეტო და ვაკის პარკამდე, მე და ჩემმა მეუღლემ, თეთრი ფაეტონით გავისეირნოთ. აი, ასეთი ზღაპრული ქორწილი მინდა.

— შენ საქორწინო მოგზაურობაც დაგეგმილი გექნება...

— (*იცინის*) კი. ძალიან მინდა, რომელიმე ეგზოტიკურ ქვეყანაში ვიმოგზაურო, სადაც ბევრი ხილი, მზე და ზღვა იქნება.

— შეგიძლია გვითხრა, როგორი მეუღლე იქნები?

— მზრუნველი, ერთგული, მოსიყვარულე და თბილი. ყველანაირად ვეცდები, მეუღლეს ცხოვრება გავულამაზო, არ „დავგრუზო“ და დეპრესიაში არ ჩავაგდო.

— მოდი, ცოტა რამ შენს თაყვანისმცემლებზეც გვითხარი...

— თაყვანისმცემლებთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. გული ვისკენაც გამიწევს, იმას შევიყვარებ. ჯერჯერობით, ჩემი გულის კარი დაკეტილია.

— დეა, მზითევი თუ გაქვს?

— მინდა გითხრათ, რომ არაჩვეულებრივი მზითევი მაქვს: 40.000 ლარი, რომელიც „ბარი 4“-ში მოვიგე; ბარი, რომელსაც ახლა ვხსნი; თეთრი როიალი; მესამე თაობის ტელეფონი; კომპიუტერი („პენტიუმ-4“); ჩემი ფისო და დედაჩემი.

— მოკლედ, სასურველი საქორწილო ყოფილხარ...

(*იცინის*)...

— დეა, ქმრის დედა შენთვის ვინ იქნება?

— ქმრის აღმზრდელი, რომელსაც პატივისცემითა და სიყვარულით მოვეპყრობი, მივიღებ ისე, როგორც საკუთარ დედას. მოკლედ, გათხოვების შემდეგ ორი დედა მეყოლება (*იცინის*).

— ამ ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ, ალბათ, ბევრი გამოთქვამს შენთან შეხვედრის სურვილს.

— მათ დიდი სიამოვნებით შევხვდები. ძალიან მაინტერესებს, რას მომწერენ და საერთოდ, ჩემზე რა აზრის არიან.

***P.S.** აი, ასეთი მშვენიერი „საპატაძლო“ წარმოგიდგინეთ. მამაკაცებო, იაქტიურეთ! გამოგზავნეთ „ესემესები“ ტელეფონის ნომერზე: 8(98)23.09.21. დეა თქვენს მესიჯებს აუცილებლად წაიკითხავს. წარმატებებს გისურვებთ!*

რატომ იზრდება თვითმკვლელობისკენ მიდრეკილ მოზარდთა რიცხვი?

მას შემდეგ, რაც თინეიჯერები თავიანთ პრობლემებზე მწერენ და მათ რჩევებს თანატოლები აძლევენ, ჩემს მობილურზე სულ უფრო ხშირად შემოდის ისეთი ხასიათის მესიჯები, სადაც მოზარდები თვითმკვლელობაზე ლაპარაკობენ. ზოგიერთი ამის მიზეზად, სიყვარულს ასახელებს, ზოგიერთი კი იმას, რომ მშობლები ვერ უგებენ, სხვებს კი მეგობართან უთანხმოება უბიძგებს სასოწარკვეთისკენ... მათთვის თანატოლებს ხშირად უთქვამთ: ხალხნო, რა გჭირთ, ყველანი თვითმკვლელობაზე რატომ ლაპარაკობთ? რა უბედურებაა, რა ხდება საქართველოში?! თვითმკვლელობა უდიდესი ცოდვაა და ამიტომაც, ამაზე არ უნდა იფიქრო! თავს თუ მოიკლავ, ამას უფალი არ გაპატიებს და სამაგიერო იმ ქყვეყნად მოგეზღვებაო და ა.შ.

„ძროხას თოკი აკახსენი, ჯერზე ჩამოკიდე და...“

ლიკა ქაჯაია

ბევრმა დამისვა კითხვა: რატომ ფიქრობენ თინეიჯერები სიკვდილზე და ამას ისე, „ჰაერში“ ამბობენ თუ საბედისწერო ქმედების ჩამდენნი არიანო?.. ვინაიდან ამ კითხვაზე პასუხი ნამდვილად არ მქონდა (თვითმკვლელობაზე არასდროს მიფიქრია), ამის გასარკვევად იმ მოზარდებს შევეხმიანე, რომლებსაც ამ ნაბიჯზე საფიქრებლად გარკვეულმა პრობლემებმა უბიძგა. ზოგიერთმა თინეიჯერმა, როცა გაიგო, რომ ჟურნალისტი ვიყავი და მასთან ლაპარაკი მსურდა, აგრესიულად მითხრა, — ინტერვიუ არა, ის! მეგონა, რჩევას მომცემდით, თორემ ამ ინტერვიუს რა თავში ვიხლიო?! ზოგმა მითხრა, რომ ამ თემაზე უფრო კონკრეტულად ლაპარაკი არ სურდა, ზოგიერთი კი ინტერვიუზე უპრობლემოდ დამთანხმდა.

თამო, *15 წლის:*

„გამარჯობა. თქვენი დახმარება მჭირდება. ჩემს გულისტკივილს სხვას ვერავის გავუმხელ. არადა, მგონია, რომ მალე გავგიჟდები. იცით, მეგობარმა მიღალატა და ჩემი სიყვარულის ამბავი მთელ სკოლას მოსდო. მეშინია, ეს ჩემებმაც არ გაიგონ და ამიტომ, თვითმკვლელობაც ვცადე. რატომ? — მიყვარს ბიჭი, რომლის შეყვარებაც ჩემთვის აკრძალულია და ამიტომაც, ურთიერთობას ორივენი ვმალავთ. იქნებ, რაიმეთი დამეხმაროთ. წინასწარ გიხდით მადლობას“.

— თამო, ჟურნალ „გზიდან“ გირეკავ. როგორ ხარ?

— ვაიმე, რა მაგარია! ლიკა ხარ?.. ამას ნამდვილად არ ველოდი. ჩემი მესიჯი უკვე დაბეჭდე?

— არა, ჯერ არ დამიბეჭდავს. შენი დახმარება მჭირდება. არ გინდა, ინტერვიუ მომცე?

— რა უნდა მკითხო?

— სიყვარულზე რამდენიმე კითხვას დაგისვამ... ვინაა შენი შეყვარებული და რატომაა მისი სიყვარული შენთვის აკრძალული?

— იმედია, ჩემს ნომერს საიდუმლოდ შეინახავ. მე შენ გენდობი და ამიტომაც, ყველაფერს გეტყვი... ლადო ბებიაჩემის ძმისშვილიშვილია. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით (ჩემზე ერთი წლით უფროსი გახლავთ) და ახლა მივხვდით, რომ ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. ეს ამბავი მხოლოდ ჩემმა მეგობარმა იცოდა, რომელმაც „გამყიდა“. მე და ლადოს სკოლაში ისე გვიყურებენ (განსაკუთრებით — მე), როგორც კეთროვნებს. ბავშვები თითს ჩვენკენ იშვერენ და ჩურჩულებენ. რამდენიმე დღის წინ, კლასის დამრიგებელმა დირექციაში შეგვიყვანა და 2-საათიანი ლექცია წაგვიკითხა თემაზე — ნათესაობა, სისხლის აღრევა და ა.შ. ეს ყველაფერი ჩემი ყოფილი მეგობრის დამსახურებაა. მალე ამ ამბავს ჩემებიც გაიგებენ და მერე, აღარ ვიცი, რა მოგველის.

— ალბათ, ერთმანეთს დაგაშორებენ...

— ჰო... იცი, მე ქალწული აღარ ვარ, მასთან ვიწექი. ალბათ, გაპარვა მოგვიწევს, მაგრამ ჯერ არასრულწლოვნები ვართ და სად ან როგორ უნდა ვიცხოვროთ?.. ორივეს ძალიან გვეშინია.

— ლადო რას გეუბნება?

— რა უნდა მითხრას?! ალბათ, რომეო და ჯულიეტასავით, თავს „დავიბრიდავთ“.

— შენ მომწერე, — თვითმკვლელობაც ვცადეო...

— ჰო, ვცადე. მდინარიდან გადავხტი, მაგრამ მეზობელ კაცს შევუნიშნივარ და ამომათრია. ვთხოვე, ჩემებისთვის არაფერი ეთქვა, მაგრამ მან ჩემს ძმას უთხრა, — თავის მოკვლა უნდოდა და ყურადღება მიაქციეო. ძმისთვის რა უნდა მეთქვა? — მოვატყუე: ეს კაცი გიჟია, ხიდზე ვიდექი, როცა ყვირილით გამოიქცა და შიშისგან წყალში ჩავხტი-მეთქი. ყველაფერი დავიფიცე, რაც დასაფიცებელი იყო (იმედია, უფალი ამას მომიტევებს) და მანაც, დამიჯერა.

— ამის შემდეგ თვითმკვლელობა კიდევ ხომ არ გიცდია?

— არა, მაგრამ ალბათ, მალე ამას ისევ გავიმეორებ და იმედია, ვერავინ გადამარჩენს.

— ამას რატომ ამბობ?

— აბა, უმჯობესია, მამამ ან ძმამ გამომჭრან ყელი და ჩემი ცოდვა დაიდონ?!. ლადომ არ იცის, რომ თავის მოკვლა მინდოდა, თორემ ალბათ, ისიც გადაირევა და არ ვიცი, რას მოიმოქმედებს.

— თვითმკვლელობა ხომ გამოსავალი არაა?! იქნებ, ჯობს, მას დაშორდე...

— (*მაწყვეტინებს*) ანუ ცალ-ცალკე ვიცხოვროთ? ღმერთმა ნუ ქნას, ასე მოხდეს! მის გარეშე მოვკვდები. თან, მის გვერდით სხვა ქალი რომ დავინახო, ამას ვერ გავუძლებ. იმედია, ისიც ასე ფიქრობს.

— კაცის გამო თავის მოკვლა არ ღირსო...

— ამას ისინი ამბობენ, ვისაც სიყვარული არ გამოუცდია. დამიჯერეთ, ჩემს სიტუაციაში თვითმკვლელობაზე ყველა დაფიქრდებოდა.

— არ გიფიქრია იმაზე, რომ ფსიქოლოგის დახმარება გჭირდება?

— არა, მე მხოლოდ გაგება მჭირდება. მინდა, რომ საქართველოში სულელური ტრადიციები არ არსებობდეს და რომ ლადოსთან ერთად, ბედნიერი ვიყო. ვიცი, ეს არასდროს მოხდება და ამიტომაც, გამოსავალი ასეთია — გაქცევა ან სიკვდილი. იმედია, მშობლები ვერაფერს გაიგებენ მანამ, სანამ სრულწლოვნები არ ვიქნებით, მერე კი სიცოცხლესაც შევინარჩუნებდი და საყვარელ ადამიანსაც.

— როცა მდინარეში გადახტი, რას გრძნობდი?

— არაფერს, ქვასავით ვიყავი. მაგრამ მერე, სიმართლე გითხრა, როცა იმ კაცმა წყლიდან ცოცხალმკვდარი ამომიყვანა,

სიკვდილის წინ აუცილებლად დაგირეკავ...

საოცრად შემეშინდა, აზრზე მოსასვლელად, კარგა ხანი დამჭირდა. ახლა ვფიქრობ, რომ როცა სიკვდილს გადაწყვეტ, სულ სხვა ჭკუაზე ხარ, არაფერზე ფიქრობ და მხოლოდ თვითმკვლელობისკენ მიილტვი, მაგრამ სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვა მაინც, ძალიან ძნელია. ახლა არ ვიცი, საჭიროების შემთხვევაში ამას რამდენად გავბედავ.

— იმედია, ამას ვერც ვერასდროს შეძლებ!

— გმადლობ, ლიკა. ამის იმედი მეც მაქვს, მაგრამ მართლა გეუბნები, ლადოს გარეშეც არა აქვს აზრი ჩემს ცხოვრებას. დიდი მადლობა „გზას“, რომ ჩვენი გულისტკივილის თქმის საშუალებას გვაძლევს და გმადლობ შენ, რომ ჩვენი პრობლემა გულთან ახლოს მიგაქვს. იცოდე, თუ რაიმე დავაპირე (თვითმკვლელობას ვგულისხმობ), სიკვდილის წინ აუცილებლად დაგირეკავ... გკოცნი.

სიმართლე გითხრათ, თამოს ვერაფერი ვუთხარი და ტელეფონიც გავუთიშე. ალბათ, ასეც სჯობდა, რადგან შეიძლება, მისთვის ისეთი რამ მეთქვა, რაც აშკარად არ მოეწონებოდა. მართალია, არ იქნება ადვილი მოსასმენი, ვიღაცამ რომ დამირეკოს და მითხრას, — ახლა თავს მოვიკლავო, — მაგრამ თუ მართლაც, თამო მსგავს რამეს ისევ გადაწყვეტს, იმედია, მას ამას გადავაფიქრებინებ. ისე კი, დიდი იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება...

დოკა:

„მე ადრეც დაგიმესიჯე, მაგრამ რატომღაც, ჩემი მესიჯით არ დაინტერესდი. იმედია, ახლა მაინც დამიბეჭავ. მყავდა შეყვარებული, რომელიც სხვამ მოიტაცა. ძალიან მინდოდა, ის გოგო წამომეყვანა, მაგრამ მხარში არც მეგობრები ამომიდგნენ და არც — მშობლები. მეუბნებოდნენ, — ხომ არ გაგიჟდი? გოგო იმასთან დარჩა, საკუთარ მშობლებს არ გამოჰყვა და ჩვენ როგორ გამოგვყვებაო?!. მე მჯერა — რომ დამხმარებოდნენ, ნათია დღეს ჩემი მეუღლე იქნებოდა. მას შემდეგ 3 თვე გავიდა და ამ 3 თვის მანძილზე, 3-ჯერ ვცადე თვითმკვლელობა. მირჩიეთ, რა ვქნა, ნათია ახლაც უზომოდ მიყვარს და მის გარეშე ჩემს სიცოცხლეს აზრი არა აქვს. ლიკ, ვფიქრობ, იმედს არ გამიცრუებ, მე ხომ შენი რუბრიკის ერთგული მკითხველი ვარ“.

ჩემი ხმის გაგონება დოკასაც გაუხარდა. მითხრა, — ვიცოდი, ჩემს სატკივარს რომ გაიზიარებდიო და ისიც დასძინა: ნეტავ, ბიჭი იყო, ნათიას ერთად მოვიტაცებდითო.

— დოკა, ნათიასაც უყვარდი?

— ვუყვარდი — რომელია?! დღე და ღამე ერთად ვიყავით, გეგმებს ვაწყობდით, თუ მომავალში როგორ უნდა გვეცხოვრა, მაგრამ ის ვიღაც ტიპმა მოიტაცა.

— იმ ტიპის არსებობის შესახებ არაფერი იცოდი?

— ვიცოდი, რომ „პაკლო“ ჰყავდა და იმ ბიჭს საქმე რამდენჯერმე „გავურჩიე“ კიდეც. მეგონა, ბოლო „გარჩევის“ შემდეგ შეეშვებოდა, მაგრამ შევცდი. ამის მერე, ერთ კვირაში მოიტაცა.

— როგორ ფიქრობ, ნათიას მის მიმართ არანაირი გრძნობა არ ჰქონდა?

— რა გრძნობაზე მელაპარაკები, როცა მას არც კი ხვდებოდა?! მხოლოდ მე ვუყვარდი, ამაში დარწმუნებული ვარ. მასთან რომ დარჩა, ეს ნათიას მშობლების ბრალია. მას „მობილიც“ გამორთული აქვს, თორემ მისთვის რომ დამერეკა, გამოპარვას შეძლებდა. ალბათ, აღარც ჩემი იმედი აქვს. ხომ მოგწერე, — მინდოდა მომეტაცა ქორწილიდანვე, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებაში არავინ დამეხმარა. მშობლები ახლაც მკაცრად მაკონტროლებენ.

— შესაძლოა, ნათია უკვე ფეხმძიმედ იყოს. არა მგონია, გამოგყვეს.

— თუ ვუყვარვარ, გამომყვება. მისი ფეხმძიმობა ხელს არაფერში მიშლის, მისი შვილი ჩემი შვილიც იქნება!

— დოკა, შენ თქვი, რომ თვითმკვლელობა სამჯერ სცადე.

— ჰო, ეს ამბავი რომ გავიგე, ვენები გადავიჭერი. ჩემებმა აბაზანაში მიპოვეს და, რა თქმა უნდა, „სასწრაფო“ გამოიძახეს. მოკლედ, გადავრჩი. მეორედ სხვა უბანში, ვიღაც ტიპებს ავუშარდი იმ იმედით, რომ ისინი „დამბრიდავდნენ“, მაგრამ ძმაკაცებმა მომისწრეს და იქიდან წამომათრიეს. მესამედ კი ნარკოტიკი ვიშოვე და ცხოვრებაში პირველად, თან, ძალიან დიდი დოზა „გავიჩხირე“. ექიმებმა სიკვდილს ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან.

— დოკა, უკვე ამდენი რამ რომ მოსაწარი, რამდენი წლის ხარ?

— 17-ის. ნათია ჩემი ტოლია.

— გამოსავალს სიკვდილში რატომ ეძებ? არ სჯობია, ტკივილი ვაუკაცურად აიტანო? ჯერ პატარა ხარ და ცხოვრება წინ გაქვს. იქნებ, ეს მხოლოდ გატაცება იყო?..

— ლიკა, ამას შენგან არ ველოდი. გატაცების გამო, თავს ნამდვილად არ მოვიკლავდი. მე ის მართლაც, სიგიჟემდე მიყვარს.

— უბრალოდ, მინდა, თვითმკვლელობაზე აღარ იფიქრო...

— რადგან სამჯერ გადავრჩი, ე.ი. ჩემი სიკვდილი უფლის ნება არაა. გპირდები, ამაზე არასდროს ვიფიქრებ, რადგან თვითმკვლელობის ბოლო მცდელობისას, მართლაც, საოცრად მომინდა სიცოცხლე. თუ ნათია ჩემი არ გახდება, ცოლს არასდროს მოვიყვან. ეგ იქნება და ეგ. მაგრამ იმის დიდი იმედი მაქვს, რომ ოდესმე, მეც გამიმართლებს და ის ადამიანი, ვინც გზაზე უსამართლოდ გადამეღობა, თავისას მიიღებს.



3 თვის მანძილზე 3-ჯერ ვცადე თვითმკვლელობა

— აღარ ვიცი, რა გისურვო, წარმატებები ამ საქმეში თუ სხვა რამ, რადგან შენს სიტყვებში მუქარას ვგრძნობ.

— მაინც ჯობია, წარმატებები მისურვო, რადგან ეს მართლაც, ძალიან მჭირდება.

— კარგი, წარმატებებს გისურვებ და იმედია, ცუდს არაფერს ჩაიდენ.

— გმადლობ. იმედია, „ცუდი რაღაცეების“ გარეშე მოვაგვარებ ყველაფერს, თუ არა და, უკან არაფერზე დავიხევ, დასაკარგავი არაფერი მაქვს...

ნინი, *16 წლის:*

„მშობლები ვერაფერში მიგებენ. მათ სურთ, რომ სულ შინ ვიჯდე, წიგნები ვიკითხო და გარეთ ცხვირი არ გავყო. არ მინდა, ასეთი ცხოვრება, ყველაფერი მომბეზრდა. სიამოვნებით მოვიკლავდი თავს, მაგრამ ამის უფლებას ბებო არ მომცემს, რომელიც პირადი მცველივით, მუდამ უკან დამყვება და სახლშიც ლამის, ხელიხელჩაკიდებულს მატარებს. ამის გამო, მეგობრები დამცინიან კიდეც. სიცოცხლე აღარ მინდაა“.

თავიდან, ნინიმ ინტერვიუზე უარი მითხრა, მაგრამ ცოტა ხანში გამომიტყდა, რომ ამის სურვილი თავადაც აქვს, უბრალოდ, იმ წუთში ამას ვერ მოახერხებდა, რადგან შინ იყო, ოჯახის წევრებთან ერთად. ბოლოს, ჩურჩულით მითხრა, — ერთ საათში დამირეკეო, — და ყურმილი გამითიშა.

— ნინ, მგონი, შენს ასაკში მშობლები ყველას აკონტროლებენ და ამაში საოცარს ვერაფერს ვხედავ.

— ჰო, არა?.. შენთვის ამის თქმა ადვილია, მაგრამ რომ იცოდე, რა ცუდ სიტუაციაში ვარ, ამას არ იტყოდი. შენ დაგყვებოდა სკოლაში ბებია და კართან იდგა მანამ, სანამ გაკვეთილები არ დაგიმთავრდებოდა? მეგობრებთან ერთად არსად გიშვებდნენ? ბებო მიგყვებოდა კლასელის დაბადების დღეზე?..

— სიმართლე გითხრა, არა...

— (*მაწყვეტინებს*) ჰოდა, სათქმელიც არაფერი გქონია, მე კი ასეთ სიტყუაციაში ვარ და მეგობრებთან ერთად სადმე წასვლის სურვილიც აღარ მაქვს. ბიჭმა თუ დამირეკა, მას ბებია ისეთ რაღაცებს ეუბნება, „იასნია“, ჩემკენ აღარც გამოიხედავს. ეს რა ცხოვრებაა?!

— რომ არ გენდობიან, ამაში დამნაშავე თავად ხომ არ ხარ?

— ყოველთვის ასე იყო, რადგან დედისერთა ვარ. რაიმის გაკეთება ძალიანაც რომ მნდომოდა, ამას მაინც ვერ შევძლებდი, რადგან რაც თავი მახსოვს, ბებია მართლაც, პირადი დაცვასავით დამყვება. ინსტიტუტშიც რომ გამომყვეს, ალბათ, მართლა თავს მოვიკლავ.

— იქნებ ჯობია, ამ ყველაფერზე მშობლებს დაელაპარაკო?

— შენ გგონია, ამ თემაზე მათ არ ველაპარაკები? მაგრამ მაინც თავისას „უბერავენ“. როდემდე უნდა ვიყო დედიკოს, მამიკოს და ბებოს გოგო?! ცოტაოდენი თავისუფლება მეც მჭირდება. როგორც გალიაში გამომწყვდეული ჩიტია საცოდავი, ისეთივე საცოდავი ვარ. არც ასეთი ფუფუნება მინდა და არც ასეთი „ზმანები“. იმდენი ტანისამოსი მაქვს, ვერ დაითვლი, მაგრამ რად მინდა?! მათი ჩაცმა შინ მიწევს... სკოლაში ერთი ბიჭი მომწონს, მაგრამ ის ყურადღებასაც არ მაქცევს. აბა, რად უნდა ისეთი გოგო, რომელსაც ბებია აჩრდილივით სულ უკან დასდევს?..

— ეს ინტერვიუ შენებმა რომ წაიკითხონ?..

— ვიცი, მართლა წაიკითხავენ და სახელიც ამიტომ არ შემიცვლია. დარწმუნებული ვარ, მიხვდებიან, რომ მესიჯი მათმა შვილმა მოგწერა და იმედია, გონს მოეგებიან, სანამ დროა; ცოტაოდენ თავისუფლებას მომცემენ, თორემ შეიძლება, ჭკუიდან შევიშალო და ფანჯრიდან გადავხტე (სხვას თუ ვერაფერს მოვიფიქრებ).

— და მაინც, თვითმკვლელობაზე ფიქრი როგორ შეიძლება?!

— აბა, რა აზრი აქვს „გალიაში“ ცხოვრებას?! სიკვდილი ნამდვილად არ მინდა, მაგრამ ამისკენ უფროსები მიბიძგებენ. მიკვირს, ჩემი თანატოლები შეყვარებულის გამო რომ ფიქრობენ სიკვდილზე, მაგრამ ალბათ, ეს იმიტომ მაკვირვებს, რომ ის პრობლემა არ მაწუხებს, რომელიც მათ აქვთ. ალბათ, ისინიც იტყვიან ჩემზე, — ეს გოგო ვერაა კარგად, თუ ყველაფერი აქვს, პრობლემას რატომ იქმნის? გაჰყვეს ბებია, რას უშლისო?! მაგრამ ჩემს მდგომარეობაში რომ იყვნენ, ისინიც გარეკავდნენ... ისე, ერთხელ მინდოდა, ბებოს წამლები დამელია, მაგრამ როგორც კი აბები პირთან მივიტანე, ძალიან შემეშინდა და ისინი სასწრაფოდ, ურნაში მოვისროლე. ყველას წარმატებებს ვუსურვებ! „გზა“ ძალიან მაგარიაა. გკოცნით.

მარტოსულიკო:

„პრივეტ“, ლიკ. ეჰ, ეს სახელი შეგნებულად ავირჩიე, რადგან თავს მართლაც, მარტოსულად ვგრძნობ. ჩემი მშობლები უმუშევრები არიან და შესაბამისად, ეს ჩემს გარეგნობაზეც აისახება და ცხოვრებაზეც. რას ვგულისხმობ? — ჩემთან მეგობრობა არავის უნდა, რადგან მე არ მაქვს იმის საშუალება, რომ მათთან ერთად, ვთქვათ, კაფეში წავიდე. ყველა ხელს მკრავს და მარტო მაშინ ვახსენდები, როცა საკონტროლო წერა გვაქვს. აღარ მინდა ამისთანა სიცოცხლე! ჰოდა, ამიტომაც, ერთხელ საძროხეში შევედი, ძროხას თოკი ავხსენი, ჭერზე ჩამოვკიდე და... საძროხეში ბაბუ შემოსულა და ერთი ამბავი ამტყდარა. მოკლედ, გადავრჩი. თქვენ რას იზამდით ჩემს ადგილზე?. გმადლობთ, რომ მომისმინეთ. მე უკვე მეგობრებად მიგიჩნევთ და იმედია, თქვენც არ მკრავთ წიხლს“.

ამ გოგონასთან დაკავშირება ძალიან გამიჭირდა, რადგან მან ეს მესიჯი სხვისი მობილურით მომწერა. მაგრამ უწყინარი ტყუილის წყალობით (იმედია, ამას ტელეფონის პატრონი მომიტევებს), მასთან მაინც დამაკავშირეს.

— ვა, რა მაგარია! იცი, ახლა როგორ გამახარე?! თბილისში რომ ვცხოვრობდე, აუცილებლად გნახავდი და გულში ჩაგიკრავდი.

— არ ვიცი, როგორ მოგმართო. მარტოსულიკო დაგიძახო?

— ჰო, ასე აჯობებს. მიუხედავად ყველაფრისა, საშინლად ამაყი ვარ და არ მინდა, სხვებმა ამის გამო უფრო მეტად დამცინონ.

— ვიღაცებს შენი დაცინვის უფლება არ აქვთ.

— ალბათ, მართლაც არ აქვთ, მაგრამ ხომ იცი, მსგავსი რაღაცებიც ხდება. როცა გიჭირს, ყველა ზემოდან გიყურებს.

— შენ ამბობ, რომ კლასელებს მხოლოდ მაშინ ახსენდები, როცა საკონტროლო წერა გაქვთ...

— ჰო, გამომდინარე იქიდან, რომ საუკეთესო მოსწავლედ მივიჩნევი, ყველას ჩემი დამხარების იმედი აქვს და მეც, რა თქმა უნდა, დახმარებაზე უარს არავის ვეუბნები. არ მინდა, თქვან, — „ჟმოტიაო“.

— თვითონ თუ არიან „ჟმოტები“?

მინდოდა, ბებოს წამლები დამელია, მაგრამ როგორც კი აბები პირთან მივიტანე, ძალიან შემეშინდა

— ჰო, მაგრამ მათ სამაგიერო ხომ არ უნდა გადავუხადო!

— ამაში მართალი ხარ...

— ჰოდა, მეც მაგას ვამბობ. მერე რა, რომ ფული არ მაქვს და ზოგჯერ დაკემსილი რაღაც მაცვია, ამის გამო უნდა დამცინონ? მგონი, არა. მაშინ, მე მათ უნდა დავცინო იმიტომ, რომ რაღაცები არ იციან, მაგრამ ამას არასდროს გავაკეთებ!

— თავის მოკვლა რამ გაფიქრებინა?

— აბა, აღარ შემიძლია ასე, მარტო ყოფნა. სკოლაში მარტო მივდივარ და მოვდივარ. თუ სხვებს გამოვყვები, ცდილობენ, მომიშორონ. შენ არ იცი, რა ძნელია ასე ყოფნა.

— თავის ჩამოხრჩობას რომ აპირებდი, ამ დროს მშობლებზე და ოჯახის სხვა წევრებზე არ ფიქრობდი? ამით ხომ ყველას უდიდეს ტკივილს მიაყენებდი!

— მაშინ მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ კარგი იქნებოდა, ამქვეყნად ფული არ არსებობდეს. ამ შემთხვევაში, მეგობრებიც მეყოლებოდა და შეყვარებულიც. ბაბუს ჩემთვის რომ არ შემოესწრო, ახლა მკვდარი ვიქნებოდი... მაგრამ ამით არავის არაფერი დააკლდებოდა, ჩემს ოჯახს ერთი პრობლემით ნაკლები ექნებოდა.

— რას გულისხმობ?

— მე ძმაც მყავს და მხოლოდ მასზე ექნებოდათ საზრუნავი... თუმცა, რას ვბოდავ? მათ ამით მართლაც, დიდ ტკივილს მივაყენებდი. სულ თვალებში მიყურებენ... მამა და დედა წელებზე ფეხს იდგამენ, მიწის ჩიჩქნით იკლავენ თავს, მაგრამ პურის ფულს ძლივს შოულობენ და წლიდან წლამდე თავი ძლივს გაგვაქვს.

— შენ ახლა თვითმკვლელობაზე კი არა, იმაზე უნდა ფიქრობდე, რომ უფრო კარგად ისწავლო და მერე, როცა მუშაობას დაიწყებ, მშობლებს დაეხმარები...

— სად უნდა ვიმუშაო, როცა სწავლის გაგრძელების საშულება არ მექნება?.. ჩემს ოჯახს ამისთვის საჭირო თანხა ნამდვილად არ აქვს. სხვა თუ არაფერი, ქუჩაში ხომ არ ვიცხოვრებ? მუშაობა რომ დავიწყო, ალბათ, ამასაც ქრთამი ან „კაცი“ დასჭირდება, მე კი არც ფული მაქვს და არც თანამდებობის პირს ვიცნობ ვინმეს. ისე კი, დიდი იმედი მაქვს, რომ მალე ყველაფერი შეიცვლება და ჩემი ოჯახის წევრებიც ამოისუნთქავენ. იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!..

***P.S.** სამწუხაროდ, კითხვაზე — რატომ მომრავლდა თვითმკვლელობის მსურველთა რიცხვი, იმ ადამიანებმა, რომელთაც ამ კითხვაზე პასუხი ნამდვილად უნდა ჰქონოდათ, მხრები აიჩეჩეს და კონკრეტული პასუხი ვერ გამცეს. იმედს ვიტოვებთ, რომ მალე ყველაფერი შეიცვლება და ამ თემაზე საუბარი აღარ მოგვიწევს.*

გამოხმაურება

„ეს სიყვარული ცოდვის ჩადენის ტოლფასია...“

„გზის“ №11-ში დაიბეჭდა პრუფჩიკას მესიჯი. შეგახსენებთ, გოგონა გვწერდა, რომ შეუყვარდა დის მაზლი, რომელიც თავადაც გამოუტყდა სიყვარულში, რომ ამ სიყვარულმა დააბრმავა და ახლა დიდ ცოდვას სჩადის. მან თანატოლებს სთხოვა, ძალიან მკაცრად ნუ განმსჯით, რადგან ხომ იცით, აკრძალული ხილი გემრიელია.

ნილგოსანი:

„ჩემო კარგო, თუკი აცნობიერებ, რომ ცუდად იქცევი, ჩვენგან რა რჩევას ითხოვ? არ მინდა, გული გატკინო, მაგრამ არა მგონია, იმ ბიჭს უყვარდე. ალბათ შეგატყო, მის მიმართ გულგრილი რომ არ იყავი და გართობა გადაწყვიტა. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ არა მგონია, 20 წლის ბიჭს 15 წლის გოგონას გაბრიყვება გაუჭირდეს. მოკლედ, გონს მოეგე და მასთან ურთიერთობა შეწყვიტე“.

იანა, *19 წლის:*

„ძალიან გთხოვთ, იმ გოგოსთან დამაკავშირეთ, რომელსაც ნათესავი შეუყვარდა. მის ასაკში მეც ანალოგიურ სიტუაციაში ვიყავი და ისეთი შეცდომა დავუშვი, რომელიც თავს დღემდე მახსენებს. არ მინდა, მასაც ასე დაემართოს. ჩემი ნომერი მიეცით, დაველაპარაკები და იქნებ, რაიმეში მაინც დავეხმარო“.

მწარე:

„იცი, შენი მესმის, მაგრამ რაც არ უნდა ძნელი იყოს, ამ კოშმარს თავი აუცილებლად უნდა დააღწიო. მოძღვართან მიდი, დაელაპარაკე. მჯერა, უფლის რწმენა ყველაფერში დაგეხმარება...“

ნატო:

„ჩვენში ასეთი რამ მიუღებელია, მაგრამ მსგავსი სიყვარულის შესახებ ძალიან ბევრი რამ მსმენია. მაგალითად, ჩემმა მეზობელმა ბიჭებმა დები შეირთეს ცოლად. ბიჭის მშობლებმა ისინი გაიცხეს და შვილებს ეს ამბავი არ აპატიეს... ასე რომ, ჩემო კარგო, ეს ჩვენთვის, ქართველებისთვისაა ტრაგედია, თორემ უცხოეთში, ყველაფერი სხვაგვარადაა“.

მაძსი:

„პრუფჩიკ, შენი ნამდვილად მესმის. მაგრამ მაინც, გირჩევ, რომ მის დავიწყებას შეეცადო... სხვა ვინმეზე გადაერთე. რა, ბიჭები დაილია? :)) გაერთე და გამხიარულდი. თუ გინდა, შემეხმიანე“.

იმერელი:

„ჩემო კარგო, ნამდვილად არ გაგიცხავ, მაგრამ იცოდე, ეს სიყვარული განწირულია და უფალს შესთხოვე, გზა გაგინათოს. დამიჯერე, გვირაბის ბოლოში ყოველთვის სინათლე მოჩანს“.

მარკო:

„არ „დაზადნო“. მართალია, სიძის ძმის შეყვარება ცოტა არ იყოს, „ტეხავს“, მაგრამ არა უშავს, სიყვარული ხომ მსხვერპლს მოითხოვს. ბედნიერებას გისურვებ!“

გუსა:

„მესმის შენი, რადგან მეც დაახლოებით ასეთ პონტში ვარ. მაგრამ ნუ გავიწყდება, რომ ამ სიყვარულისგან არაფერი გამოვა. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ნათესავია და ჯობს, შეეშვა...“

პაცანა:

„მეც მყავს დის მაზლი, რომელთანაც მაგრად ვძმაკაცობ და დაუშვებლად მიმაჩნია, რომ მას სხვა თვალით შევხედო. შენ ჯერ პატარა ხარ და ალბათ, ასე ადვილად ამიტომაც შეცდი. თუმცა, როგორც ჩანს, ამ შეცდომას თავადაც კარგად ხვდები, რაც ყველაზე მთავარია. ვიცი, ძნელია, მაგრამ აჯობებს, თუ იმ ბიჭს დაივიწყებ. მასაც აუხსენი, რომ ცუდად იქცევა და თუ ამას ვერ შეიგნებს, სიძეს დაელაპარაკე. იქნებ, მან მაინც შეაგნებინოს, რომ ეს სიყვარული ცოდვის ჩადენის ტოლფასია. წარმატებებს გისურვებ!“

> „სიძის ძმის შეყვარება „ტეხავს“, მაგრამ სიყვარული ხომ მსხვერპლს მოითხოვს“

ვერმახტი:

„რა უნდა გირჩიო, როცა „აკრძალული ხილი“ გყვარებია?.. რა გეშველებათ გოგოებს, ასეთი მიამიტები რომ ხართ? მას შენთან მხოლოდ გართობა უნდა! თან, თავადაც ხომ გითხრა, — მიზიდავო“.

თათრი ვარდი, *თელავიდან:*

„რაოოო?.. გენაცვალე, ჭკუის დამრიგებელი არავინ გყავს, რომ აზრზე მოგიყვანოს? ჰა? ეს ხომ უდიდესი ცოდვაა?! სანამ გვიანი არაა, აზრზე მოდი!!! ღმერთის არ გეშიანია?“

ილია, *16 წლის:*

„ის ადამიანი უნდა დაივიწყო, რადგან ჯერ პატარა ხარ და მომავალში საკუთარ საქციელს აუცილებლად ინანებ. კარგად დაფიქრდი და გადაწყვეტილება ისე მიიღე. გირჩევ, დაშორდე...“

ქაოსა:

„საყვარელო, ვიცი, რაც არის სიყვარული და ისიც ვიცი, რომ მას ასე ადვილად ვერ დაივიწყებ, თუ რა თქმა უნდა, ამაში თავადაც არ დაგეხმარა. მოძღვარს დაელაპარაკე და ის აუცილებლად გიჩვენებს სწორ გზას“.

ენ-ჯი:

„სიხარულო, მესმის შენი და ამიტომაც, არ გიცხავ. თუ ერთმანეთი მართლა გიყვართ, ყველაფერი „დაიკიდე“ და სიყვარულისთვის იბრძოლე. წარმატებები!“

NON STOP:

„შენს გაიცხვას სულაც არ ვაპირებ, მაგრამ ფაქტია, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და მგონი, ამას თავადაც მშვენივრად ხვდები. ჩემო კარგო, იმ ბიჭის დავიწყება სცადე. როცა მასზე ფიქრს დაიწყებ, საკუთარ თავს უთხარი, რომ მისი სიყვარულის უფლება არ გაქვს. რაც უფრო იშვიათად შეხვდები, მით უკეთესი იქნება. მაგრამ რადგან ნათესავები ხართ, ერთმანეთის ნახვას ვერსად გაექცევით. ამიტომ ჯობს, დაელაპარაკო. თუ მართლა უყვარხარ, თავს დაგანებებს და ცხოვრებაში ხელს არაფერში შეგიშლის. დამიჯერე, შენთვის ასე აჯობებს. სხვა შემთხვევაში, შეიძლება, ისეთი შეცდომა დაუშვა, რომელიც მთელი ცხოვრება სანანებელი გექნება. იცოდე, ამ ყველაფერს მეგობრულად გირჩევ და აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ!“

9122:

„თავადაც ხვდები იმას, რომ ცუდად იქცევი და შეგიყვარდა ის, ვინც არ უნდა შეგყვარებოდა. მაგრამ რატომღაც, შენს წერილში სინანული და გულისტკივილი ვერ ამოვიკითხე. ამიტომაც, მგონია, რომ რაც არ უნდა გირჩიო, მაინც იმას გააკეთებ, რასაც თავად მიიჩნევ საჭიროდ. მოკლედ, რა არის ეს ბედისწერა, რა :((“.

GREEN GIRL:

„ღმერთო ჩემო... კარგი, შენ ბავშვი ხარ, მაგრამ ეს 20 წლის ბიჭი რაღამ გადარია? საკუთარ თავს მასზე ფიქრი აუკრძალე! ნუთუ, ვერ ხვდები, რომ ამ სიყვარულს კარგი დასასრული არ ექნება?!“

ნუცა:

„ეს სიტუაცია მეცნო: მეც ასე დამემართა, მაგრამ ჩვენ შორის განსხვავება ისაა, რომ ჩემი დის მაზლს ვუყვარდი (და მგონი, დღესაც ვუყვარვარ), მე კი არ მიყვარდა. ყურადღება არავის მიაქციო, მთავარი სიყვარულია. თუ გინდა, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და დამიკავშირდი“.

პუბუსა:

„ჯერ მხოლოდ 15 წლის ხარ. გავა დრო და ბევრ რამეს მიხვდები. იქნებ ჯობს, დას დაელაპარაკო და აუხსნა, რაც ხდება. წარმატებები!“

13-33:

„შენთვის დის მაზლი სისხლით ნათესავი არაა, მაგრამ მორალური თვალსაზრისით, თქვენი სიყვარული დაუშვებელია. ბევრჯერ გამიგონია, რომ დები ძმებს გაჰყოლიან ცოლად, მაგრამ მოდი, მოძღვარს დაელაპარაკე, რათა დამშვიდდე და თავი ცოდვილად არ მიიჩნიო. თუმცა, მისგან მიღებული დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეს ფაქტი საზოგადოებისთვის მაინც მიუღებელი იქნება“.

თეოკა:

„ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ სიტუაციას კარგად ვერ აცნობიერებ; ან გგონია, რომ რომელიღაც ტელესერიალის გმირი ხარ და ყველაფერს გაგიგებენ. არა, ჩემო კარგო, შენ საქართველოში ცხოვრობ, აქ კი მსგავს საქციელს არავინ გაპატიებს. სანამ დროა, გონს მოეგე! გირჩევ, მოძღვარი აიყვანო და ყველაფერი უამბო. შეიძლება, თქვენი სისულელის წყალობით, ოჯახი დასაც დაუნგრიო“.

TREZEGUET:

„15 წლის ბავშვი ხარ და გასაგებია, რომ ამ ცხოვრების ბევრი არაფერი გაგეგება, მაგრამ შენს „ლოვეს“ (ჰმ!) ტვინი აქვს ვითომ? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! ქართველისგან მსგავსი რამის მოსმენა სამარცხვინოა. სერიალებმა გამოაშტერა ხალხი. ალბათ, გულს ვერ უბრძანებთ, გვრიტებო, არა? თქვენისთანა ადამიანებს ცემით უნდა ამოხადო სული. ჯობია, სიმართლე იცოდე“.

პრანდჟა:

„თუ ერთმანეთი მართლა უზომოდ გიყვართ, საკუთარი ბედნიერებისთვის ბოლომდე იბრძოლეთ. რაც მთავარია, თქვენ სისხლით ნათესავები არ ხართ... მეც 15 წლის ვარ და ადრე, ჩემი ტკივილი გაგიზიარეთ კიდეც. მე დღემდე ვიტანჯები, რადგან ვერ შევძელი, სიყვარულისთვის მებრძოლა. მართალია, ჯერ პატარები ვართ, მაგრამ სიყვარულმა ასაკი არ იცის. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი. წარმატებებს გისურვებ!“

ცრემლუკა:

„შენს განსჯას არ დავიწყებ, რადგან ამის უფლება არც ერთ მოკვდავს არა აქვს. მაგრამ რასაც შენ და ის ბიჭი სჩადიხართ, მორწმუნე ქრისტიანისთვის ძალიან დიდი ცოდვაა. სანამ გვიანი არაა, გამოფხიზლდი! ჩემო პატარავ, თუ ჩემთან მეგობრობის სურვილი გაგიჩნდება, ნომერი ლიკას სთხოვე. უფალი გფარავდეს“.

მის კალაძე:

„პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ ამ ყველაფერს ასე ძალიან ნუ განიცდი, რადგან ისეთ საშინელებას არაფერს სჩადიხარ. მე მყავს მეზობელი ძმები, რომლებმაც დები შეირთეს“.

უცნობი:

„პრივეტ“, ლიკ. ერთი, იმ 15 წლის პატარა შტერუკაზე მიმაწვდენინე ხმა, რა. აკრძალული ხილი გემრიელია, არა? რას მელაპარაკები? შენ პატარა გოგო ხარ და გეჩვენება, რომ ის ბიჭი გიყვარს. ნათესავების ასეთი სიყვარული სერიალებმა გასწავლა?.. პირდაპირ, საოცარი ამბავია. ეს სიყვარული კი არა, ნამდვილი მარაზმია! ნუ სულელობ, ის ტიპი დაივიწყე. რა, საქართველოში მამაკაცები დაილია, ნათესავს რომ ეტაკე?..“

გრუზინკა:

„შენი ასაკის ვარ და ვხვდები, რომ თქვენი ურთიერთობა უნდა დასრულდეს. გინდა, ყველას გული ატკინო? დაშორდი, თორემ ამას ღმერთი არ გაპატიებს“.

ვეკო:

„გთხოვ, ისეთი შეცდომა არ დაუშვა, რაც უფლის წინაშე თავს დამნაშავედ გაგრძნობინებს. თუ ჩემთან მეგობრობის სურვილი გაგიჩნდება, შემეხმიანე (*სამწუხაროდ, თქვენი ნომერი წამეშალა და იქნებ, დამიმესიჯოთ. — ავტ.*)“.

პოპო:

„გირჩევ, ნათესავს შეეშვა. ჯერ ბავშვი ხარ და სანამ სისულელეს ჩაიდენ, გამოფხიზლდი!“

ლუნა:

„ძალიან რთულ სიტუაციაში ხარ. მესმის, რომ გიყვარს, მაგრამ მის დასავიწყებლად ყველაფერი უნდა იღონო, რადგან ეკლესია და სარწმუნოება ნათესავის შეყვარებას გვიკრძალავს. იცოდე, ადამიანისთვის ყველაზე მთავრი ზნეობაა. იფიქრე იმაზე, თუ რა შედეგი მოჰყვება თქვენს სიყვარულს. იმედია, სწორ ნაბიჯს გადადგამ“.

ეგილი:

„შეიძლება, ძალიან კრიტიკული და მკაცრი ვარ, მაგრამ მგონი, ასეთი მძაფრი გრძნობებისთვის ჯერ პატარა ხარ. შენი დის მაზლს ისე უნდა უყურებდე, როგორც საკუთარ ძმას. რომ ამბობ, — მაკოცა კიდეცო, ეს ფაქტი ამაზრზენია. გირჩევ, მისგან თავი შორს დაიჭირო და ტაძარში მიხვიდე. შენი დახმარება მხოლოდ მოძღვარს შეუძლია“.

მეგრელი მგელო:

„აფსუუუს! თურმე, აქ რა ამბებიაააა... ჩემო გოგო, არ მინდა, მკაცრი ვიყო, მაგრამ ერთს მაინც გეტყვი: ცუდად იქცევი. ის ბიჭი კი ტუტუცი ყოფილა. ჯობია, მას და შენი დის ოჯახს ცოტა ხნით გაერიდო. პატარა ხარ, პა-ტა-რა!“

ფაბუცუნა, *20 წლის:*

„შენ საქართველოში ცხოვრობ და არა საზღვარგარეთ. მართალია, ამ სიყვარულის დავიწყება იოლი არ იქნება, მაგრამ პირველ რიგში, მშობლებსა და დაზე უნდა იფიქრო. თანაც, იქნებ, ეს მხოლოდ ბავშვური გატაცებაა და სხვა არაფერი?.. ეცადე, ყურადღება სხვა ვინმეზე გადაიტანო. წარმატებები“.

იტალია:

„მარტო საკუთარ თავზე ნუ ფიქრობ. წარმოიდგინე, რა მოხდება მაშინ, როცა ამ ამბავს შენები გაიგებენ. საკუთარი და თუ გიყვარს, იმ ბიჭს უნდა შეეშვა“.

სალო, მარი, *15 წლის:*

„პრუფჩიკ, ნუ დარდობ, ჯერ 15 წლის ხარ და შეიძლება, დროთა განმავლობაში სხვა სიყვარული გეწვიოს“.

ანარძია:

„ბედნიერებისთვის აუცილებლად იბრძოლე, გესმის? აუცილებლად!!! ის შენი სისხლით ნათესავი არაა. შესაძლოა, ბევრმა ეს ნაბიჯი არ მოგიწონოს, მაგრამ სხვა შენ მაგივრად ხომ ვერ იცხოვრებს? მამაჩემის დეიდაშვილმა ცოლად ჩემი დეიდაშვილი მოიყვანა, მაგრამ მათი სიყვარული არავის გაუპროტესტებია. ახლა 10 წლის შვილი ჰყავთ, რომელიც ჩემთვის ბიძაშვილიცაა და დეიდაშვილის შვილიც. დამიჯერე, შენ ცოდვილი არ ხარ!“

„თან მიყვარს და თან, მისი ცოლობის მეშინია...“

ლურდინა, *16 წლის:*

„გამარჯობა, ლიკ. მინდა, შენ და თინეიჯერებს ჩემი ცხოვრების შესახებ მოგიყვეთ. მყავს შეყვარებული, რომელიც ძალიან მიყვარს. 3 წელია, ერთად ვართ. ის ძალიან ეჭვიანია — როცა გარეთ გავდივარ, გვერდზე არ უნდა გავიხედო და თავჩარგულმა ვიარო, რომ არავინ შემომხედოს. მან უამრავი მეგობარი, მათ შორის, უახლოესი დაქალიც დამაკარგვინა, რადგან ვერავისთან მივდივარ. 16 წლის გოგოს მასწავლებელთან სიარული მახარებს — ამას ხომ ვერ ამიკრძალავს და ეს მაძლევს საშუალებას, რომ ქუჩის ჰაერი ჩავისუნთქო... ძალიან ხშირად ვჩხუბობთ, რადგან თვითონ სადაც მოესურვება, ყველგან დადის, მე კი შინ ვზივარ და ველოდები, როდის დამირეკავს. თუ მოხდა ისე, რომ სადღაც გამიშვა, სულ მირეკავს, მამოწმებს. აღარ ვიცი, რა ვქნა. თან მიყვარს და თან, მისი ცოლობის მეშინია. ბავშვობა დავკარგე. ამქვეყნად მარტო იმიტომ ვცოცხლობ, რომ საკუთარ თავზე მეტად, დედიკო მიყვარს და არ მინდა, დავტანჯო. არც მეგობრები შემომრჩა, რომ გული გადავუშალო. იქნებ, თქვენ დამეხმაროთ. წინასწარ გიხდით მადლობას“.

***P.S.** თუ ლურდინას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ჯრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.* ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ნიკოტინი და შიზოფრენია

მრავალი და ფრიად სერიოზული მინუსის მიუხედავად, ერთი დადებითი თვისება თვით ნიკოტინსაც კი აღმოაჩნდა: კერძოდ, ამერიკელმა მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ის ადამიანს აზროვნების გააქტიურებაში ეხმარება. ოღონდ, აქ ფსიქიკურად ჯანმრთელ კი არა, მხოლოდ შიზოფრენიით(?!.) დაავადებულ ადამიანებზეა ლაპარაკი. ამერიკელი მკვლევრების ამ დასკვნის შემდეგ და ამასთანავე, მოწევით მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად, სამედიცინო საზოგადოებამ ნიკოტინის ანალოგიური მოქმედების უნარის მქონე პრეპარატის გამოშვება დაიწყო. ■

44 წელი — ყველაზე უბედური ასაკი (?!.)

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალგაზრდები ყველაზე უფრო დამოუკიდებლობის ნაკლებობით, მოხუცები კი — სიკვდილის მოახლოებით იტანჯებიან. მაგრამ ამერიკელი მკვლევრების აზრით, ყველაზე უარეს დღეში მაინც 40-ს გადაცილებული ადამიანები არიან.

არადა, ამ სფეროში ჩატარებული უწინდელი კვლევების თანახმად, ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობა მის ასაკზე დამოკიდებული არ იყო. თუმცა ეს მტკიცებულება სულ ახლახან, ამერიკის უორვიკის უნივერსიტეტის დარტმუთის კოლეჯის სპეციალისტებმა თითქმის ბოლომდე გააქარწყლეს. კერძოდ, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კვლევის ჩატარების, ანუ 2 მილიონი ამერიკელი, ევროპელი და რამდენიმე განვითარებადი ქვეყნის რესპონდენტის გამოკითხვის შემდეგ, მათ შეადგინეს ერთგვარი „ბედნიერების გრაფიკი“, რომლის თანახმადაც, საკუთარი თავითა და ცხოვრებით კმაყოფილების პიკი სიჭაბუკესა და სიბერეზე მოდის. საშუალო ასაკის ადამიანები ყველაზე უბედურად გრძნობენ თავს. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტების მიერ გამოკითხულ ადამიანთა შორის სულ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, ეროვნების, შემოსავლების, ინტერესების და ა.შ. ადამიანები შედიოდნენ, გამოკითხვის შედეგები თითქმის ყველასთვის (როგორც მდიდრების, ისე ღარიბების, როგორც დაოჯახებულების, ისე მარტოხელების, როგორც ქალების, ისე მამაკაცების შემთხვევაში) ერთნაირი იყო. ამდენად, მეცნიერთა გამოთვლებით, ყველაზე კრიტიკული ასაკი 44 წელია.

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, რაც უფრო მეტად უახლოვდება ადამიანს სიბერე და სიკვდილი, მით მეტად უბედურად უნდა იგრძნოს მან თავი. „არადა, სულ პირიქით კი აღმოჩნდა, — აცხადებს კვლევის ერთ-ერთი ავტორი, პროფესორი ენდრიუ ოსვალდი, — თურმე, საშუალო ასაკის ადამიანები დეპრესიისკენ მეტად არიან მიდრეკილნი და თავს ხანდაზმულ ადამიანებზე უბედურადაც მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ ამის მიზეზი ჯერჯერობით გამოცანად რჩება, ჩვენ მიერ მიღებული მტკიცებულებანი უკვე დღეს სრულიად უეჭველია“.

ამჟამად, მეცნიერებს ამ „კრიზისის“ წარმოშობის მიზეზებთან დაკავშირებული რამდენიმე თეორია აქვთ. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ახალგაზრდობაში ადამიანს უამრავი მისწრაფება და სურვილი აქვს, რომელთა ასრულებაში ეჭვი თითქმის არ ეპარება, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, ხშირად გული უტყდება და საკუთარი შეხედულებებისა და შესაძლებლობების გადაფასებას იწყებს.

„ყველა ხომ ვერ გახდება როკვარსკვლავი ან სახელგანთქმული ფეხბურთელი, — ამბობს ოსვალდი, — ამიტომაც გვეჩვენება, რომ 30-40 წლის ასაკში ყველა პრობლემა ერთდროულად „გვეყრება“ თავზე და თავისი სიმწვავით ლამის გაგვაგიჟოს კიდეც. სიბერის ასაკისთვის კი უკვე ცხოვრებისეულ სინამდვილესთან შეგუებას ვსწავლობთ და ამიტომაც, თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობთ“.

სხვა თეორიის თანახმად, ბედნიერი ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ — ანუ სიბერემდე მხოლოდ ისინი აღწევენ, ვისაც სიცოცხლით ტკბობა და არა მის გამო წუწუნი შეუძლია. დანარჩენები კი 40 წლის ასაკის მოახლოებასთან ერთად, დეპრესიაში ცვივდებიან და 50-60 წლის ასაკში კვდებიან კიდეც.

კიდევ ერთი თეორიის მიხედვით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სიბერის მოახლოებისას ადამიანი, რომელიც ლამის ყოველ ნაბიჯზე მეგობრებისა და ახლობლების სიკვდილის ფაქტს აწყდება, თავად სიცოცხლის ფასს იგებს. „იმედი მაქვს, რომ ჩვენი კვლევა ამ ფენომენის შემდგომ შესწავლას მისცემს ბიძგს, — ამბობს ოსვალდი, — და თუ ადამიანები ოდესმე მაინც შეიგნებენ, რომ მათი დეპრესიები და ნერვული ჩავარდნები მათივე ნორმალური ასაკობრივი მდგომარეობაა, შეიძლება, ეს კრიზისები ბევრად უფრო იოლადაც გადაიტანონ“. ■

ქალების სექსუალობა ასაკთან ერთად მხოლოდ მატულობს

თითქოსდა, ბუნებრივია, რომ სექსუალობის პიკი ქალებს შვილოსნობის ასაკში უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ავსტრალიელი სოციოლოგების მიერ ჩატარებულმა კვლევამ სულ სხვა შედეგი აჩვენა. გამოკითხვაში მონაწილე ახალგაზრდა ქალთა მხოლოდ 25%-მა თუ გამოთქვა საკუთარი სექსუალური ცხოვრებით კმაყოფილება. ინტიმურ სფეროში სავსებით დაკმაყოფილებული კი 45-დან 54 წლამდე ასაკის ქალთა მთელი 75% აღმოჩნდა. ასე რომ, როგორც ჩანს, ქალების უმეტესობა საკუთარ სექსუალობას მთელი სისრულითა და მრავალფეროვნებით მხოლოდ ხუთი ათეული წლის შემდეგღა თუ ამჟღავნებს. ■

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის ჩემპიონი	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
სააგენტო
ELVA

ქ. თბილისი
ოსლობის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

ტერი პრაჩეტმა ალცჰაიმერის დაავადებასთან საბრძოლველად მილიონი დოლარი გაიღო



გასული წლის ბოლოს, 59 წლის ფანტასტ მწერალ ტერი პრაჩეტს ექიმებმა ალცჰაიმერის დაავადების შედარებით იშვიათი, ადრეული ფორმა დაუდგინეს. ახლახან კი მან ამ დაავადების მკურნალობის ახალი მეთოდების ძიებაზე, შეწირულობის სახით, 494 ათასი გირვანქა სტერლინგის (მილიონ დოლარზე მეტი) გაღების თაობაზე განაცხადა.

ალცჰაიმერის დაავადების შემსწავლელი ფონდის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, პრაჩეტმა ბრიტანელი ჩინოვნიკები ალცჰაიმერით დაავადებულთა საჭიროებებისადმი არასათანადო ყურადღების გამო გააკრიტიკა. „ჩვენ თითქმის იმდენივე ვართ, რამდენიც კიბოთი დაავადებულნი. თანაც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე ეს რიცხვი გაორმაგდება კიდეც“, — განაცხადა მწერალმა და იმასაც ხაზი გაუსვა, რომ ალცჰაიმერის დაავადების კვლევაზე დახარჯული თანხა კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდების ძიებაზე დახარჯული თანხის მხოლოდ 3%-ს თუ შეადგენს. ტერი პრაჩეტს ისევე, როგორც ათასობით სხვა პაციენტს, იმ დრომდე მიღწევის იმედი აქვს, როცა ალცჰაიმერის დაავადების მკურნალობის ეფექტური მეთოდები იქნება ნაპოვნი.

ტერი პრაჩეტი ერთ-ერთი უპოპულარესი თანამედროვე ფანტასტი მწერალია. სადღეისოდ მსოფლიოში 33 ენაზე თარგმნილი მისი წიგნების 55 მილიონი ეგზემპლარია გაყიდული. მწერალს ყველაზე დიდი წარმატება მოუტანა 36 წიგნისგან შემდგარმა ციკლმა „ბრტყელი სამყარო“, რომლის ბოლო წიგნი 2007 წლის სექტემბერში გამოვიდა.

იმუნოდეფიციტსა და კიბოს შორის კავშირი დადგინდა

ჟურნალმა Lancet-მა იმ გრანდიოზული ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლითაც იმუნოდეფიციტსა და კიბოს დაავადებებს შორის კავშირი დადგინდა. მეტა-ანალიზში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, შოტლანდიაში, იტალიაში, შვეიცარიასა და ინგლისში შიდსის ვირუსით ინფიცირებულ ავადმყოფებზე (444172 ადამიანი) ჩატარებული 7 და დანიაში, ფინეთში, შვედეთში, ავსტრალიასა და კანადაში რეციპიენტ ტრანსპლანტანტების (31977 ადამიანი) მონაწილეობით ჩატარებული 5 კვლევის შედეგები იყო ჩართული. აბსოლუტურად სხვადასხვა ავადმყოფთა ამ ორ ჯგუფს, რომელსაც მხოლოდ იმუნოდეფიციტის (პირველ შემთხვევაში ინფექციურის და მეორეში — ხელოვნურის) არსებობა აერთიანებდა, მკვლევრები კიბოს 33 სახეობის გაჩენის სიხშირეს უდგენდნენ. აღმოჩნდა, რომ იმუნოდეფიციტის არსებობა კიბოს 28 სახეობით დაავადების სიხშირეს ზრდის. ორივე ჯგუფში საგრძნობლად იყო გაზრდილი ვირუსულ ინფექციებთან დაკავშირებული კიბოს სხვადასხვა სახეობით დაავადების შემთხვევებიც. კიბოს ის სახეობები, რომლებიც, მკვლევართა აზრით, „სავარაუდოდ იყო დაკავშირებული“ ადამიანის პაპილომის ვირუსთან, ასევე 5-28-ჯერ უფრო ხშირად იჩენდა თავს. თუმცა, ყველაზე უფრო გავრცელებული კიბოთი (როგორიც მაგალითად, მკერდის კიბოა) დაავადების სიხშირის ზრდა კვლევის ობიექტებში არ დაფიქსირებულა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მკვლევრები ასკვნიან, რომ კიბოს ბევრი სახეობის თავიდან აცილების საქმეში იმუნური სისტემის როლი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ადრე მიიჩნეოდა.

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე და აკინძე

ჟურნალი ჟურნალში

ფეხბურთელები

20.03. – 26.03.2008

სიყვარულის მსხვერპლი



ერთმა ახლობელმა ქალმა სიძე ჯინალამ სიცოცხლეს გამოასალმა. რატომღაც სიძის მამაჯაცურ ღირსებებში ეჭვი შეეპარა. მისი გოგო სულ უხასიათოდ დადიოდა.

დააკვირდი ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში და დაიმახსოვრე, რა გაიფიქრე. შემდეგ ფოტოტესტის პასუხები იხილე.

1. თუ ფოტოზე დაკვირვების ღროს 1917 წელს მომხდარი სოციალისტური რევოლუციაა გახსენული, მაგრამ ვერ გიხსნეს, ვის ინკერესებს იცავდი მაშინ, საკრავიდოა, რომ 100 წელს კაცასტილდა და სულერობაც ჩამოგიყალიბა. ისა და... უკაცრავად, გამჭვირვალე რატომ ხარ? ღამღამობით სიარულს, ფაჩუნსა და ჯედელში გავლას როდის მოიშლი?

2. თუ შენი ვერსიდღება დანგრეულმა „მოსკვიჩმ" მიგიყვანა, ალბათ ისიც გაიფიქრე, რომ ეს ფოტო გასული საუკუნის 70-იან წლებშია გადაღებული. არ ფიფლხარ დაკვირვებული ადამიანი. მაშინ ღიდი ბულადის ქუჩის ასე თავის გაეკეხასა და შეურაცხყოფას ვინ გაუკეთებდა?

3. თუ მეორე პუნქტის ნაკითხვის შემდეგ ეჭვიც ფოტოს დაკვირდი და ლასვენა გამოიტანე, რომ ფოტო გასული საუკუნის 90-იან წლებშია გადაღებული, საკარიდოა, აეროპორტი ან სულ არ გეკეთ, ან ეხლაც მოდულის აგეთ სიტეს ეზიხარ და ფეხბალსაც ეკიდ ეცნობ. რაო? – შემეკეთ პუნქტის ნაკითხვის შემდეგ თავად მიხვდები.

4. თუ ფოტოზე დაკვირვების ღროს აღმოაჩინე, რომ ეს ადგილი შენთვის ნაცნობია და ისიც ზუსტად იცი, რომ ბულადს თავი მაინ გაეტეკდა, როცა ძლიერმა ჯრმა ნაკეკი. რაღა მეთქმის? ვისაც ენდა ლაკუნატლეკები, რომ ეკლანის ეზიზე მდებარე ამ „პროფილაქიკის" თანამშრომელი ხარ, რომელის ეზოშიც მ ღილის წინ ეს ფოტო გადაიღე.

ეტაპები

უეაცრავად, გამჭვირვალე რატომ ხარ? ღამღამობით სიარულს, ფაჩუნსა და ჯედელში გავლას როდის მოიშლი?

მარტივი რჩევები

10 ნიშანი იმისა, მამაჯაცს რომ ცოლის მოყვანის დრო აქვს

ცოლიან მამაჯაცს ღრმა და ხანგრძლივი ძილი აქვს. ვისაც არ სჯერა, შეამოწმოს

„უმსხვერპლესი“ მგზავნელები და „გზის“ ფანი ბერძენი ბებო

სიყვარულის მსხვერპლი

წინა კვირაში ჩვენმა მგზავნელმა, გრუზინმა, გოგონებს შესთავაზა, რომელიმემ გრუზინკა დაირქვითო. ახლა უკვე იმდენი გრუზინკა გვყავს, მეც კი თავგზა ამებნა. მინდა, ერთი სიახლე შემოგთავაზოთ. ვიცი, რომ ჩვენთან უამრავი მომავალი თუ მოქმედი ჟურნალისტი ამესიჯებს. მათთან მექნება ასეთი წინადადება — ნებისმიერ მგზავნელთან ინტერვიუ ჩაწერონ და რედაქციაში მომაწოდონ. მე კი მათ გამოვაქვეყნებ. ამით პროფესიულ ჩვევებსაც შეიძენენ, ერთმანეთსაც უკეთ გაიცნობენ და მკითხველებსაც გააცნობენ. იმედი მაქვს, არ დამაღალატებთ და იდეას აიტაცებთ. ინტერვიუს რესპონდენტის ფოტოს გარეშე ვერ დავბეჭდავ და ეს უნდა გაითვალისწინოთ. მასალები შეგიძლიათ მომაწოდოთ როგორც რედაქციაში, ასევე ინტერნეტით. წარმატებებს გისურვებთ და ველი თქვენს ინიციატივას. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

მარი ХაშარიძЕ

დიდი შეყვარებული

„გამარჯობა. 3 წელია, უგონოდ ვარ შეყვარებული. არაჩვეულებივი ქალი მიყვარს. იმდენად მიყვარს, რომ ჩემს სიცოცხლეს დაუფიქრებლად ვაჩუქებდი. როცა ვუყურებ, გული სიხარულისგან მეკუმშება. ღამით მასზე ფიქრში მეძინება. პრობლემა ის არის, რომ ჩემზე 20 წლით უფროსია. ნუ იტყვით, რომ ეს სიყვარული არ არის ან დრო გავა და გადამივლის. როგორ არ ვეცადე, სხვა გოგონებთან ურთიერთობა ამეწყო, მაგრამ როცა გიყვარს, სხვა შენთვის აღარ არსებობს. ახლა გავიგე, რომ თხოვდება და არ ვიცი, რა ვქნა. 15 წლის ვარ, უფროსი და ფინანსურად დამოუკიდებელი რომ ვიყო, რამეს ვიზამდი. ხშირად თავის მოკვლაზე ვფიქრობ. როცა ჩემს საყვარელ ქალს ვიღაც არაკაცის მკლავებში წარმოვიდგენ, ვგიჟდები. ერთი რამ ზუსტად ვიცი: რაც უნდა მოხდეს, რა დროც უნდა გავიდეს, ანა მაინც ჩემი იქნება. ჯაგერი“.

ქერათმიანი და უტვინო

„პირველ რიგში, მოგესალმებით ყველას. ჩემს სკოლაში (36-ეში) სწავლობს ერთი ირაკლი თეთუნაშვილი. არის მაღალი, სიმპათიური, ცისფერთვალება, ქერათმიანი და უტვინო. :) ჰოდა, ამ ჩემი კლასის გოგოებსაც მეტი რა უნდოდათ? ყველას შეუყვარდა ეს ბიჭი. როგორ არ ეცადნენ ირაკლისთან დაახლოებას, მაგრამ ამაოდ. გაირკვა, რომ თურმე შეყვარებული ჰყავს ამ მზეჭაბუკს და ჩემი კლასი საყოველთაო დეპრესიამ მოიცვა. აზრზე არ ვარ, როგორ გავამხიარულო. მარუკები13“.

აზარტის მსხვერპლი

„ერთ პატარა ქალაქში ძალიან ლამაზი წყვილი ცხოვრობდა. გოგო და ბიჭი უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ, მაგრამ ერთ დღეს, ბიჭმა დიდი ფული წააგო. გოგომ გაუგო — მათ ხომ უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ბიჭი მიდის, მიდის შორს... იქ, სადაც ბევრი ქართველი ემიგრანტია. მიდის, რომ მათსავით მოიგვაროს პრობლემები. მიდის, მაგრამ არ სჯერა, რომ გოგო ამდენ ხანს დაელოდება. მათი სიყვარული ხომ ასეთი გულწრფელია, მაგრამ მაინც არ სჯერა. ალბათ დაიღალა ამდენი პრობლემისგან, მაგრამ გოგომ რაღა უნდა ქნას, თუ მისი სიყვარული მართლა 4 წლით წავა? „იქნებ, აღარც დაბრუნდეს და ყველაფერი თვითმფრინავის აფრენასთან ერთად დამთავრდეს?“ — ფიქრობს გოგო. ისინი ჩემი უახლოესი მეგობრები არიან და არ მინდა, ეს სიყვარული ასეთი მსხვერპლით დასრულდეს. იმედია, ის მალე დაბრუნდება ან არ წავა... ლელუჩია“.

მეგობარი

„ინსტიტუტში რამდენიმე გოგო დავმეგობრდით. მე და ლიკას განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა. ერთხელ ერთმა ბიჭმა დამირეკა და ლიკას ნომერი მთხოვა. თან მითხრა, მე ნიკა მქვია და ლიკასთან ახლოს ვცხოვრობო. ნომერს არ მოგცემ, თუ ახლოს ცხოვრობ, თვითონ გაიგე-მეთქი, ვუთხარი და ტელეფონი გავუთიშე. ცოტა ხანში, სახლის ტელეფონზე დამირეკა და ისევ გავუთიშე, ხოლო ლიკას კი მეორე დღეს ყველაფერი ვუამბე. მან კი მითხრა: — მეც მაწუხებს, ჩემი ხელის სათხოვნელად მამაჩემთან უნდა

მოსვლაო. მისი ნათქვამი დავიჯერე. დრო გადიოდა, ნიკა კი ისევ რეკავდა. რასაც მეუბნებოდა, ყველაფერს ლიკას ვუყვებოდი. მე ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა. დრო გადიოდა და ნიკასაც შევეჩვიე. მერე კი მითხრა, ლიკა არ მიზიდავს, შენ ისეთი საყვარელი ხარ, შემიყვარდიო. რა თქმა უნდა, გავბრაზდი და მის ზარებს საერთოდ აღარ ვპასუხობდი, მაგრამ ლიკასთვის არ მითქვამს, რომ სიყვარული ამიხსნა, რადგან არ მინდოდა, გული სტკენოდა. ნიკა არასდროს მენახა. მეუბნებოდა, შემხვდიო, მაგრამ მე ვიყავი წინააღმდეგი. ისე მოახერხა, რომ თავი შემაყვარა. ტელეფონზე თანხას მირიცხავდა, საჩუქრებს მიგზავნიდა. ლიკას კი არ ვეუბნებოდი. ვფიქრობდი, იქნებ დავივიწყომეთქი, რადგან არ მინდოდა, ვიღაც ნიკას გამო მეგობარი დამეკარგა. ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში აღმოვჩნდი, როცა გავიგე, რომ არანაირი ნიკა არ არსებობდა — ის გოგო იყო და თეა ერქვა. დავურეკე ლიკას, რომ ყველაფერი მეთქვა. — არა, რას ამბობ, მე თვითონ მყავს ნანახი და ცდები, ნამდვილად ბიჭიაო. აი, მაშინ კი შემეპარა ეჭვი. დავადგინე, რომ ეს ყველაფერი ლიკას მოგონილი იყო. ის „ვითომ ნიკა," იგივე თეა კი საბერძნეთში წასულა სამუშაოდ. ასე გამწირა დაქალმა, რომელსაც სამუდამოდ დავშორდი".

„უმსხვერპლესი"

„ერთი ჩემი ნაცნობი ისეთ დღეშია ჩავარდნილი, რომ მსხვერპლი კი არა, „უმსხვერპლესი" ადამიანია. საქმე ისაა, რომ ყოფილი „ლოვე" ხატიას გასაქანს არ აძლევს. არც ნორმალური ლაპარაკი შველის და არც — ჩხუბი. უკვე ლამის მოსაკლავად დასდევს ის ბიჭი — ან ჩემი იქნები, ან არავისიო. ამ რამდენიმე დღის წინ ქუჩაში წამოეწია, მიწაზე დააგდო და ახრჩობდა. ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდან. მეორე დღეს კი ხატია თავის ბიძაშვილ ბიჭთან ერთად დაინახა და ის ბიჭი დაჭრა. ძლივს გადაარჩინეს. მართლა ვეღარ ვხვდები, ვინ უფროა სიყვარულის მსხვერპლი — ბიჭი, რომელიც ისე გააგიჟა ამ გრძნობამ, რომ არავის ინდობს, თუ გოგო, რომელსაც ამ ყველაფრით ცხოვრებას უნგრევს? ლელუჩია".

„უცებ" პატარძალი

„ამას წინათ, მეუღლეს ნათესავის, მერაბის ნიშნობაზე მივყვებოდი. საცოლესთვის ყველაფერი ნაყიდი ჰქონდა და ქორწილის დღეც დანიშნული იყო. ყველა ჩვენს ეზოში შეიკრიბა და ის-ის იყო, წასვლას ვაპირებდით, რომ ვიღაც კაცი მოვიდა და გვითხრა, რომ თურმე, ჩვენი საპატარძლო სხვას გაჰყოლია ცოლად. ნუ, ყველამ შევიცხადეთ, სასიძოს ემოციები მოეძალა, მაგრამ რაღას ვიზამდით? „ნიშანი" მზად იყო, ქორწილი — დანიშნული. მხოლოდ პატარძალი გვაკლდა. ერთმა შემოგვთავაზა — კარგი ნათესავი გოგო მყავს, ახლავე წავალ, მოველაპარაკები და ეგებ რაიმე გამოვიდესო. მართლაც, საღამოს უკვე იმ გოგოს ოჯახში ვიყავით, რომ გოგოს და ბიჭს ერთმანეთი ენახათ და გაეცნოთ (ღმერთო, რომელ საუკუნეში ვართ?). გოგო თავიდანვე გააფრთხილეს, ცოტათი მელოტი რომაა, ის ბიჭია და კარგად დააკვირდიო. ის კი აღარ უთხრეს, მეორე მელოტიც იქნება (ჩემი ქმარი) და იმას არ უყურიო. ეს გოგო კი ჩემს ქმარს თვალს არ აშორებდა. სანამ გოგო და ბიჭი დასალაპარაკებლად არ შეუშვეს ოთახში, მანამდე არ იცოდა გოგომ, ვისზე ათხოვებდნენ. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მოგვარდა, ერთმანეთი შეუყვარდათ და დანიშნული ქორწილიც გადავიხადეთ. სიყვარულმა ეს გოგო ისე „იმსხვერპლა", რომ ისიც კი არ უკითხავს, სოფლის წვერში თხოვდებოდა თუ ქალაქის შუაგულში. ასე იცის სიყვარულმა. აბლახანუმი".

გმირობის ტოლფასი

„სიყვარულის მსხვერპლია გოგო, რომელიც ცოლად გაჰყვა თითქმის მომაკვდავ ბიჭს, რომელსაც განუკურნებელი სენი სჭირს და ნებისმიერ დროს შეიძლება, გარდაიცვალოს. ეს ბიჭი ჩემი ახლობელია და ძალიან მეცოდება. მისი ცოლის ვაჟკაცობის კი მშურს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე იცოდა და ოჯახიც წინააღმდეგი იყო (ალბათ არც გაემტყუნებათ), მაინც გაჰყვა ცოლად და ცდილობს, სიცოცხლის ბოლო დღეები გაულამაზოს. პაცანა".

მრავალგვარი სიყვარული

„სიყვარული მრავალგვარი არსებობს. მაგალითად, ერთ თელაველს არაყი რომ შეუყვარდა, მის მსხვერპლად იქცა. ცოლი, დედა თუ შვილი, ყველა შავ დღეში ჩააგდო ამის გამო. ჰოდა, ამ ჩვენმა არყის მოყვარულმა დაუძახა თავის პატარა შვილს, დაუსხა არაყი და უბრძანა: დალიეო. პატარამ იუარა, მაგრამ მამამ ლამის ძალით ჩაასხა. დაიმანჭა პატარა, ბოლი გაუვიდა ყურებიდან. მამამ კი ჰკითხა: — მოგეწონა? — პატარამ ხელები გაასავსავა. — დედაშენს კიდევ ჰგონია, რომ ვერთობიო, ჩაიბურტყუნა მამამ. კახელი სალომე".



სიყვარულის დროს თავს ყარგავენ, დანაყარგს კი ძალიან ჭარბნიშნების შემდეგ აქცევენ.

ნეტავ...

„მე ვარ მსხვერპლი თუ „ის“ (პირობითად ნიკას დავარქმევ)? ჰოდა, ეს ნიკა ქირურგია და რა თქმა უნდა, მუშაობს. რაც დავშორდი, სულ დეპრესიაში ვიყავი. ამ ბოლო დროს, ერთი აზრი ამეკვიატა და სულ იმას ვფიქრობ, სისრულეში როგორ მოვიყვანო. მინდა, რამე დამემართოს და ოპერაცია ნიკამ გამიკეთოს. ბოლო დროს ისე გავაცოფე, საოპერაციო მაგიდაზე რომ დამინახოს, მაშინვე სულს გამაფრთხობინებს და ხომ ვიქნები სიყვარულის მსხვერპლი?“.

დაგვიანებული სინანული

„გწერთ ჩემს დაქალზე (პირობითად — თეა), რომელიც სიყვარულის მსხვერპლი გახდა. ერთ ბიჭს უყვარდა (პირობითად — ლაშა), რომელიც მისი გულისთვის სიცოცხლეს დათმობდა. ჰქონდა კარიერა, ცხოვრობდა მოსკოვში... „კაროჩე“, მაგარი მაყუთა ტიპი იყო. თეას სწავლის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ლაშა სულსწრაფი აღმოჩნდა და ლოდინი ვეღარ შეძლო. მოსკოვიდან რამდენჯერმე ჩამოვიდა მის გამო. თეას ცოლობა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. რამდენიმე თვის შემდეგ ლაშამ ცოლი შეირთო, რომელსაც თეა ერქვა და ეს გოგო იმიტომ მოიყვანა, რომ ჩემს დაქალზე შური ეძია. ახლა კი ჩემი დაქალი თავის გადაწყვეტილებას ნანობს. ბუტია“.

ტანჯულა

„ერთი ჩემი ნაცნობი, შეყვარებული იყო. იმ ბიჭის გამო დედამისმა შუა ქუჩაში სცემა და ტანზე ყველაფერი შემოახია. მერე ბებიამ მსუბუქი ყოფაქცევის ქალად გამოაცხადა და ბოლოს, სახლიდან გაქცეული, პატრულს დააჭერინეს. ის კი ამბობს, სიყვარულს გემო გავუგეო. გაგიგონია, მარ? არ ვიცი, რამდენად არის სიყვარულის მსხვერპლი, მაგრამ რაც იმას მოხვდაااა! გრუზინკა“.

დედიკოს ბიჭი

„რასაც ახლა მოგიყვებით, 3 თვის წინ დაიწყო ამ ჟურნალით. ვეძებდი მეგობარს და არა — სიყვარულს. გავიცანი ვინმე დედიკოს ბიჭი. ერთი შეხედვით, მართლა ვუყვარდი, მაგრამ რა მოხდა, დღესაც არ ვიცი. მიყვარხარო, ცოლად გამომყევიო და ა.შ. მეც დიდი ამბით დავიჯერე. 3 თვე მეხვეწა, შემხვდიო და რა მექნა? ჰოდა, დავიწყე შესახვედრად მზადება — თმა, ტანისამოსი... ერთი სიტყვით, „დავიზმანე“ წასასვლელად, ის კი საერთოდ დაიკარგა „უმანკო“ წერილივით, არც დაურეკავს. მე დღესაც მჯერა, რომ გულწრფელი იყო, მაგრამ ეტყობა, დედიკომ არ გამოუშვა: — დედა გენაცვალოს, მე არ მცალია და მარტო კიდევ, ვერ გაგიშვებო. სიყვარულის მსხვერპლის ცოცხალი მაგალითი ვარ და გთხოვ, დამიბეჭდო. გრუზინკა“.

დამცირებული, მიტოვებული და შეყვარებული

„მთელი 3 წელი ვხვდებოდი ერთ ბიჭს. ვუყვარდი. თანაც — სიგიჟემდე. დარწმუნებული ვარ, არაფერზე დაიხევდა უკან ჩემ გამო. მე პატარა ვიყავი მაშინ, VIII კლასში, ის კი 21 წლის იყო. დავტანჯე ჩემი ბავშვური ხუშტურებით. ასჯერ მივატოვე, დამცირებული. მერე ისევ მე ვურიგდებოდი, რადგან ვერ ვძლებდი. რა უნდა მეკეთებინა მარტოს? ერთხელაც ბევრი მომივიდა და დავამცირე, მიწასთან გავასწორე და მივატოვე. მთელი 3 თვე დამდევდა შესარიგებლად, მაგრამ მე უკვე აღარ მინდოდა. ჰოდა, მან ზუსტად 1 კვირის გაცნობილი გოგო შეირთო ცოლად, გაბრაზებულმა, რა თქმა უნდა. არ უყვარდა. მეც მალე გავთხოვდი, მაგრამ ამ ბოლო დროს თავი მისი და ჩემი ქმრის შედარებაში დავიჭირე. კიდევ მენატრება ხოლმე. ქუჩაში თვალებით დავეძებ, იქნებ სადმე შემხვდეს-მეთქი. ჩემი დისთვის უთქვამს — ნატა ისევ მიყვარს და მთელი ცხოვრება მეყვარებაო. ამბობს, რომ ჩემი ნახვა უნდა. მჯერა, მიუხედავად ამდენი წლის განშორებისა და წყენისა, მაინც ვუყვარვარ. ამ შემთხვევაში, ორივენი მსხვერპლი ვართ. მეც მიყვარს, მგონი და არ ვიცი, რა ვქნა“.

ბებო მოიტაცეს

„ბებია და ბაბუა გაყრილები არიან და თან, ერთ სოფელში ცხოვრობენ. როცა იქ ჩავდივარ, ერთთან მივალ,

მომტაცებლები

„ძმაკაცს გავყევით ბიჭები გოგოს მოსატაცებლად. მაგარი მთვრალები ვიყავით. თანაც, ღამე იყო („ბირჟიდან“ უნდა მოგვეტაცა). ჰოოდა, გოგოს გამოესარჩლნენ უბნის ბიჭები და წავიდა „თრახი“. ჩემს ძმაკაცს სხვაში შევეშალე და სანამ არ ვიყვირე, შეიბრალეთ საბრალო ადამიანი-მეთქი, მანამდე მძუყნიდა. შედეგი? ორ თვეში ნათლია გავხდები. P.S. გუშინ მის რეალი გავიცანი და მაგრად გამიხარდა. მოკითხვა მის რეალს, კახელ სალომეს და უგულოს. თქვენი საბრალო“.



ქალი ჭოტიცლისაში იგვიანა, შაცვ ამბავად ქცეული ქალაში.

მეორეს სწყინს, მეორესთან მივალ და — პირველს. ამ 8 მარტს წავედი ბებოს სანახავად, მაგრამ რად გინდა? სახლში არ დამხვდა. წავედი ბაბუსთან. ვიფიქრე, ცოტას გავიჭირვებ და მოვისმენ კომუნისტების ამბებს-მეთქი, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, არც ბაბუ დამხვდა სახლში. თავიდან არაფერი, მაგრამ მერე სიცილი ამიტყდა. ჩემ გვერდით მდგომმა მეგობარმა დიაგნოზი უმალ დამისვა — დაუსტვინეო? მეც ავუხსენი: — ბებო ძალიან ლამაზი ქალია და აქ მცხოვრებ ერთ ბაბუს უყვარს. ვაითუ, ბებო მომტაცა, რაღა ვქნა? ბებოს ის არ უყვარს-მეთქი. — მისმინა და დაასკვნა: აი ქეზი ბან (აი შენ, საქმეო), პატრულს დავურეკოთ, ცოდვაა, იქნებ დავაბრუნებინოთო. აი, მერე კი აღარ მახსოვს, ვისი ძროხის ნაკელში ჩავვარდი, ისე ავხარხარდი“.



ორიგინალური რეკლამაა

აი, ბაბუ!

„მოკლედ, ჩემმა გრანდბაბუმ, 70 წლის ასაკში მოიყვანა 30 წლის, ჩემი გრანდბებო, რომელიც სილამაზით განთქმული გახლდათ. მამამისს ანუ ჩემს 2-ჯერ გრანდბაბუს, ყველა შვილი ჩვილობის ასაკშივე უკვდებოდა და ღმერთისთვის შეუფიცია, რომ ბებოს (ჩემს მომავალ გრანდბებოს) არ გაათხოვებდა, ოღონდ გაზრდილიყო. ბაბუ 70 წლის „ჯეილი“ იყო, ბებო რომ მოუტაცებია, რადგან მშობლები ნებით არ გამოატანდნენ დადებული ფიცის გამო. პირველი შვილი 76 წლისას ეყოლა და 116 წლამდე ტკბილად ცხოვრობდა. ჰოდა, ეს ჩემი გრანდბაბუ მთელი 20 წლით უფროსი იყო სიდედრ-სიმამრზე და წარმოიდგინეთ მათი რეაქცია, როცა პირველად დაუძახა დედა და მამა. გულის ამაჩუყებელი იქნებოდა, ალბათ. თუმცა, ეს იყო პირველი და უკანასკნელი მიმართვა ამ ფორმით, რადგან ქალბატონ სიდედრს (სიმამრსაც) სრულიად ადეკვატური რეაქცია ჰქონია. ეს იყო დიდი ხნის წინათ. საერთოდ, რამ გამახსენა? რავი, აბა... გკოცნით, ვირუსა-89“.

„ერთი 86 წლის პაპიდა მყავს. ჟურნალი „გზა“ მაგრად უყვარს. ნომერს არ ტოვებს, წაუკითხავს. დღესაც კითხულობდა. მერე ჩემთან მოვიდა და მკითხა: — შვილო, აქ წერია, რომ ქართველი გოგონები ზანგებთან „ბიოფრენდს“ ამყარებენო და „ბიოფრენდი“ რა არისო? კახელი სალომე“.

სევდიანი მესიჯი

„ჩვენ ერთმანეთი ნოემბრის წვიმიან დღეს ვიპოვეთ. იმ დღიდან, თითქოს წარსულს ჩავაბარე ჩემი სევდიანი დღეები, ჩემი ფერდაკარგული ოცნებები. იმ დღიდან შეიცვალა ყველაფერი. ახლა უკვე აღარ ვიყავი მარტო, ახლა ჩვენ ორნი, ერთად ვამძიმებდით მიწას, უხეში ნატერფალებით. დავდიოდით ქალაქის მივიწყებულ ქუჩებში, ვიცინოდით უაზრობებზე და სხვების, განსაკუთრებით კი მარტოსულების თვალში ვგავდით შეყვარებულებს. მერე კი, სულ ცოტა ხნის შემდეგ, აღმოვაჩინე, რომ ბედნიერება სულაც არ არის უსაზღვრო და რომ ხანდახან ადამიანებს ღმერთიც კი დასცინის. ადამიანები უხეშად ჩაერივნენ ჩვენს ცხოვრებაში, მაჩუქეს უზარმაზარ, ჭრელ ყუთში „მოთავსებული“ ტკივილი, დღემდე რომ ატყვია სულს და დამინგრიეს სამყარო, რომელსაც საკუთარი ხელებით ვქმნიდი და ბედნიერება თოვლის ფიფქებივით მათოვდა თავზე. ვერ შევძელი, ვყოფილიყავი უფრო გაბედული, უფრო ძლიერი და ჩვენ ერთმანეთი სწორედ ისეთივე წვიმიან დღეს დავკარგეთ. P.S. მარი, თუ გინდა, ამას ნუ დამიბეჭდავ, უბრალოდ, მინდოდა, ვიღაცისთვის მაინც გამენდო ჩემი სულის უსაშველო ტკივილები. ჩემთვის ისიც საკმარისია, შენ რომ

სასეირო სიტყვა სიტყვასა და სხეულის შერწყმული იწყება და ჭინების გაყოფილი მოავლენა.



უბრალოდ თვალს გადაავლებ ჩემს ნაწერს... და კიდევ, სიყვარულის მსხვერპლი არ არსებობს, ადამიანები ყველაზე ხშირად სხვების ან საკუთარი თავის გამო ხდებიან სიყვარულის მსხვერპლნი. ყველანი ძალიან მიყვარხართ. ცუდი გოგო".

ჯიუტები

„სულ რაღაც 20 წლის ვარ. ნამდვილი სიყვარული 17 წლისას მეწვია და მშობლების წინააღმდეგობის გამო ჩვენმა ერთად ყოფნამ 1 წელი ძლივს გასტანა. ვერ დავიცავით ჩვენი სიყვარული. ორივეს დღემდე გვიყვარს ერთმანეთი და სიჯიუტის გამო, ცალ-ცალკე ვართ. გავიდა დრო და ქუჩაში შემთხვევით შევეჩეხეთ ერთმანეთს და თითქოს დრო გაჩერდა და იქ მარტო ჩვენ ვიყავით. ორივეს თვალები აგვიცრემლდა. მინდოდა, ძველებურად, ბავშვურად ჩავხუტებოდი, მაგრამ ერთმანეთს ველოდებოდით, რომელი გადადგამდა პირველ ნაბიჯს. უცებ, ისევ ამაყად ავწიეთ თავები და ისე გავცდით ერთმანეთს, როგორც ორი უცნობი. მას შემდეგ 3 წელი გავიდა, მე კი ისევ მიყვარხარ... თეო-თეო".

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

ვინ ამყარებს ზანგებთან „ბიოფრენდს"?

„დიახ, მსხვერპლი ვარ, რადგან პირადი ცხოვრება ვერ ავაწყვე მხოლოდ იმიტომ, რომ კომპლექსები მაქვს და ტრადიციებს არ ვღალატობ."

„ერთი მეზობელი მყავს. ეს ქალი ახლა მოხუცია. ჰოდა, თვითონ ჰყვება ხოლმე — ჩემი ქმარი ისეთი ბრაზიანი იყო, რომ ვბანაობდი, ტიტველსაც კი მცემდა „ლახანკაშიო" (თან — „ლახანკაშიო")(!). თანაც გაიძახის, ახლაც სიგიჟემდე მიყვარსო. აბა, ხალხო, ეგ არაა სიყვარულის მსხვერპლი? სწერვა".

„მსხვერპლი ვარ, აბა რა ვარ? „ის" ჯერ ვენებს იჭრიდა, ჩემი გულისთვის. ბოლოს, იმდენი იჩალიჩა, რომ მაინც გამიჩალიჩა. შემდეგ იყო განშორებები, „დეპრესიონერები" და ა.შ. ნუ, რას ვიზამთ? მოვიკითხავ ჩემს საკალელ მგზავნელს, ლიმონას. ძაან მიყვარხარ. თეკო".

„მოდი, იმ სიყვარულს გაუმარჯოს, უეცრად ობლად რომ დარჩენილა, მოსვლა არავისთვის უთხოვია, მაინც ვიღაცისთვის გაჩენილა, შევსვათ სიყვარულის სადღეგრძელო, დარდმა ცოტა ხანი დაიცადოს, ობოლი სიყვარულის თამადობით, ყველა სიყვარულმა გაიხაროს. თანავუგრძნობ ყველას, ვისაც სიყვარულში არ გაუმართლა. მარუშკები, ბათუმიდან".

„მე მინდა ამ ჭიქით თქვენ გაგიმარჯოთ და თქვენს სიყვარულს. გეფიცებით, თეთრი შურით მშურს, ერთმანეთს რომ იცნობთ და გიყვართ. სიყვარულს გაუმა... გაუმარ... 9122".

„ახლა გრუზინის მესიჯზე ვფიქრობ. დიდი ხანია, ნიკის შეცვლა მინდა და ხომ არ დავირქვა გრუზინკა? ა? გრუზინ, „სერიოზნად" ამბობ? თუ თანახმა იქნები, მე დავირქმევ გრუზინკას. მარ, გეხვეწები, გემუდარები, გევედრები, ეს

მესიჯი მაინც დამიბეჭდე. ამჯერად ნიკს არ ვაწერ“.

„მინდა, ჩორი-ჩორის თუთიყუშთან დაკავშირებით ვურჩიო: ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, სად იყიდე ან ვინ გაჩუქა. მეც მაჩუქა უკვე ყოფილმა „ლოვემ“. ის ტიპი „პასტაიანად“ კოცნას მთხოვდა, მე კი დიდ უარზე ვიყავი. ჰოდა, ახლა თუთიყუში დამდევს უკან და გაიძახის, მოდი, გაკოცოო. ავდექი და „ქალი“ მოვუყვანე, იქნებ მე თავი დამანებოს-მეთქი, მაგრამ სულ ტყუილად. :) ასე რომ, „ქალი“ ტყუილად წაართვი შენს თუთიყუშს. კაცებს ქალები ლაპარაკს არ უშლიან (ნუ, ქალს გააჩნია). ხ.გ“.

„სიყვარული ქალისთვის მთელი სიცოცხლეა და მხოლოდ ერთი ეპიზოდია მამაკაცის ცხოვრებაში. მარ, ალბათ დამეთანხმები, რომ სიყვარულის მსხვერპლთა 80% ქალია. ვერმახტი“.

„ჩემი ახალგაზრდა მეგობრები ბავშვის გაჩენას არ ჩქარობდნენ. ეს რომ მრავალშვილიანმა ბებომ გაიგო, სინანულით ჩაილაპარაკა: მაშ მე რა მეცა, კაცის შარვლის ტოტიც რომ შემხებოდა, უკვე გაბერილი ვიყავიო. :) ეჰ, ბებო, ბებო, მაგ ლოგიკით, რაც მე ჭყლეტაში მოვყოლივარ, „კაკ მინიმუმ“, ტყუპი შვილი უნდა მყავდეს. :) პარიჟანკა“.

„მარი, რა ზუსტ დროს გაარტყი! აღარ ვიცი, რა გავაკეთო. ახლახან გავიგე, რომ ჩემი „ყოფილი“, რომელიც ისევ მიყვარს, დაქორწინდა. მსხვერპლი არ ვარ, ახლა მე? მაგრამ სხვა რა დამრჩენია? უნდა შევეგუო ყველაფერს. თან, რაც ეს გავიგე, ვცდილობ, მასზე არ ვიფიქრო და „გზავნილებიც“ ძალიან დამეხმარა. დიდი მადლობა ყველას. ჯენიფერა“.

„ვფიქრობ, რა გავიღო სიყვარულის მსხვერპლად. ძალიან მიყვარს „გზავნილები“, თავისი ავტორითა და მგზავნელებით. მარი, თვალებს დავითხრი ნიშნად იმისა, რომ ჩემი მესიჯი არ ვნახე ჟურნალში. მგზავნელებო, მიყვარხართ. ბაჭია“.

„ჩემმა დაქალმა მითხრა: გუშინ პაემანზე რომ მივედი, ჩემმა „ლოვემ“ დამჭკნარი ყვავილები მომცაო. — მერე, შენც ნუ დაიგვიანებდიო, — უთხრა ძმაკაცმა. ხულიგანკა“.

„ჩემს დებილ ამხანაგს „პაკლომ“ ჰკითხა: — „ლოვე“ თუ გყავსო? ქეთიმ უთხრა: — არა, მაგ ცხოველის ბეწვზე ალერგია მაქვსო. ხულიგანკა“.

„ერთმა მესიჯი გამომიგზავნა. მე კი ჩემი რუსულის მასწავლებლისგან გაგონილი წყევლა გავუგზავნე, რომელიც ასე ეღერდა: „ჩტობ ტებია მაშინა ზბილა“. ჰოდა, შემდეგ 1 თვე მე თვითონ დავდიოდი, თაბაშირით გარშემორტყმული. ხულიგანკა“.

„გზავნილებში“ ვამესიჯებ,/ ჯერ სულ ცოტა ხანია,/ ხუთშაბათის გათენება/ უზომოდ მიხარია./ მარი მიყვარს, როგორც ჩემი/ საოცნებო დაიკო,/ თურმე წერა მეხერხება,/ უკვე ყველამ გაიგო./ არა, თავს კი არ გამეტებთ,/ ცოტას ვიქებ, რა იყო? მისის-იპი“.

„მარი, დაგიჭირე, ხოომ? იქნებ სადმე ჩამაკვეხო? მეც ვქმნი ქუთაისში ვიპკლუბს და ვისაც სურვილი გექნებათ, შემომიერთდით. გრუზინკა“.

„5 წელი მიყვარდა ერთი ბიჭი. ამ ზაფხულს, როგორც იქნა, გამომიტყდა სიყვარულში, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი ისე არაა, როგორც მე მინდა. მსხვერპლი ვარ, აბა რა, ამდენი ლოდინით გულის ტკივილები დამჩემდა. სადამდე, შვილო, სადამდე? ეჰ, ვინ იცის... ისე, სილამაზისა არ იყოს, სიყვარულიც მსხვერპლს მოითხოვს. აბა, ისე რა გემო ექნებოდა, მის შარბათს? ხალხო, ჩემი სიცოცხლე მიყვაააარს! გამოუსწორებელი რომანტიკოსი“.

„ვაუუ! მარი, გადასარევია, ახალი რეალური. :) ძალიან დამაინტერესა. ყოველთვის იცი, რა მოეწონება მკითხველს. ვფიქრობ, ეს რეალური წინას აჯობებს პოპულარობით. ჟანა“.

„ათენში ვარ და მოახლედ ვმუშაობ. ვისაც ვუვლი (ნუ, ჩემი ბებო) მეუბნება: შენ რომ მოკვდები, მე რა მეშველება, ვინ მომივლისო? ცოდო არ ვარ, 25 წლის, პატარა გოგო? ჰოდა, სულ სიმღერით ვაგინე, ქართულად, მაგრამ მიხვდა, რომ სულაც არ მემღერებოდა. ცუდი გოგო“.

„დედააა! რავა ერთნაირი სურვილები გვქონია მე და იმ უცნობ გოგოს, ჯადოქარს რომ სწერდა წერილს. ჯადოქარო, ფაქტია, რომ იმ გოგონას სურვილები არ აგისრულებია. გემრიელი საჭმელი ჯერ კიდევ ასუქებს, სწავლა ისევ ნელ-ნელა მიმდინარეობს, ჭარბთმიანობა ისევ პრობლემაა და მგონი, ბანჯგვლიანი ქალებიც არ არიან მოდაში. :) ჯადოქარო, იქნებ გეყოს ნამუსი და საქალეთს ეს დიდი რაოდენობის პრობლემა გადაუჭრა? მიდი, რა, ჯადოქარო... მარი, რა ცუდია, რომ ვერ მიაგენი ამ გოგოს. EMILY“.

„მარშრუტკაში“ გოგო მობილზე ლაპარაკობდა. ვიღაცას ეუბნებოდა, არ ვიცი, სად ვარო. ერთმა მოხუცმა მგზავრმა უთხრა — „ნაბერეჟნიზეო“. ჰოდა, ამ გოგომ გახარებულმა ჩასჭყივლა — ბრეჟნევზე ვყოფილვარო. ჩორი-ჩორი“.

„ახალგაზრდობაში ჩემს ძმაკაცს დავურეკე, მოვიკითხავ-მეთქი. ზუსტად ათი წუთი ვილაპარაკეთ. ბოლოს, ოჯახის წევრები მოვიკითხე და მითხრა — 15 წუთია, ბებია მომიკვდაო. მ.გ“.

„მარიამ, როგორც იქნა, ჩამოვედი სოფლიდან და „გზას“ მივაშურე. მაგარი ხარ, ნელ-ნელა, ენთუზიაზმით დაიმკვიდრებ შენს სახელს, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ჟურნალისტი და ჩვენ, შენი გულშემატკივრები, ამ ყველაფრის მოწმე ვიქნებით. ახალი რეალური მაგარია. ან(ნ)ას ჩვენი და აუცილებლად ღმერთის იმედი ჰქონდეს. მოკლედ, ახალ ნომრებს გუ-

სიკვდილი, შოკოლადი ძალა,
ძალაუფლებანი ჭეშმარიტია
გაძლიერებას კი ნიშნავს.

ლის ფანცქალით ველოდებით. მშვიდობიან ღამეს და ტკბილ ძილს გისურვებ. ჭრიჭინა“.

„სიდედრი მყავს, მაგარი ხოხმაა. ერთხელ ვკითხე, ტრეფიკინგი რა არის-მეთქი? — და მიპასუხა, გადამდები დაავადებაა. მარი, პირველად გიმესიჯებ და ალბათ არ გამიტეხავ. საყვარელი სიძე“.

„სიყვარული ისეთი რამეა, კინაღამ დამიჭირეს და 8-წლიანი მგლიჯეს. შეყვარებულს მამიან-დედიან-დიანად ვიტაცებდი. იძულებული გამხადეს, სულ თან დასდევდნენ და რა მექნა? იქ ამბავი ატყდაა! როგორც ფოცხვერი, სასიდედრო

განდი მოკვდა!

„XX საუკუნის 70-იანი წლებია. დილა... ელ-მავალმშენებელ ქარხანაში თითქმის ყველა მუშას ერთად მოუყრია თავი, სხვებიც ნელ-ნელა უერთდებიან. ყველას ის აკერია ჰირზე, რომ ინდირა განდი მოკვდა. სიმონამ ჩამოიარა, ერთი გლახაკი მუშა იყო. იმანაც მოისმინა ინდირა განდის სიკვდილის შესახებ. — ეგ რომელ ქარხანაში მუშაობდაო? — იკითხა. — რა ქარხანა, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი იყოო, — გაანათლეს. — ერთი, იმის ცოლ-შვილიცო, — შეუკურთხა სიმონამ და გზა განაგრძო. :) სოოფვ“.



ლიმონა — მანიუ

ისე მეცა და „ბოი ბეზ პრავილ“ ვიჩხუბეთ. სულ ყაჩაღი მექახეს და თავი „კამერაში“ ამომაყოფინეს. შაკა შაკა“.

„დღეს დუჩი და ილინი მყავდა სტუმრად. სხვებსაც ვთხოვე, მაგრამ ვერ მოახერხეს მოსვლა. აჭარული კერძები, ბორანო და სინორი მივართვი. კიდევ მოვალთო და... რავი, მოეწონათ, ალბათ, ჩემი ნაცოდვილარი. :) ელემ იმდენი მაცინა, მინიმუმ ერთი კვირა მაინც გამყვება კაი ხასიათი. გკოცნი, ლელუჩია“.

„მინდაააა! ძალიან მინდა, სიყვარულის მსხვერპლი გავხდეეეეეეეეეე (კარგი გაგებით)! ვასასი. აუ, მარ, ჯაგვრინე ლიშვანს, დამიბეჩდე სერ. გკოცნი გაგუდვამდეეეე“.

დაგვიანებით მოსული მესიჯები

სიძის „მკვლელი“

„ერთმა ახლობელმა ქალმა სიძე კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმა. რატომღაც სიძის მამაკაცურ ღირსებებში ეჭვი შეეპარა. ეს იმიტომ, რომ მისი გოგო სულ უხასიათოდ და მოწყენილი დადიოდა. ამ ქალმა თავისებურად გადაწყვიტა, სიძეზე ეზრუნა. იყიდა 1 ლიტრი თაფლი, შეურია ნიგოზი და მის სტუმრად მოსვლას დაელოდა. თურმე, ეს ნაზავი პოტენციას ამაღლებს. თითქმის ძალით შეაჭამა 1 ლიტრი თაფლი. გავიდა ერთი საათი და ეს კაცი მთლიანად გაწითლდა, ტანზე გამოაყარა და ცოტა ხანში „სკორით“ მიარბენინებდნენ. ღვთის წყალობით, გადარჩა. რამდენად იმოქმედა ამან სიძის „ღირსებებზე“, არ ვიცი, მაგრამ ამ ამბიდან 9



ოცდაერთ ბრილიანტიანი ხბორად
ხაფიდან სიცოცხლეშიც მიცდიდ ჭრის.

თვეში კი გაუჩნდათ ტყუპი და... აბლახანუმი“.

მოგიკვდეს დედა!

„წინა თემასთან დაკავშირებით, მამიდაზე გამახსენდა ერთი კურიოზი. მოკლედ, არაჩვეულებრივი მამიდა მყავს, რომელიც არა მარტო შვილებზე, არამედ სიძეებზეც გადაყოლილია. ერთ დღეს, მისი ბიჭი და ერთი სიძე შინ მძიმე სამუშაოს მერე, დაქანცულები მივიდნენ. მამიდა კარში მიეგება და შვილს ეუბნება: — დაიღალე, ზურა, შენ მოგიკვდეს დედაო. მერე იფიქრა, სიძეს გული არ დასწყდესო, მიუბრუნდა და უთხრა: მერაბ, შენც მოგიკვდეს დედაო. უზნეო ანგელოზი“.

კანონმდებელი

„მორჩა! არჩევნებში ვმონაწილეობ! მართალია, საარჩევნო პროგრამა არ მაქვს, მაგრამ სამაგიეროდ, სამთავრობო ტერმინები მაქვს დამხეცებული. ერთ ამბავს მოგიყვებით და თავად განსაჯეთ. ყოველდღე ეზოში დგანან, ერთ-ერთი მეზობელი ვაუბატონის ძმაკაცები და სკანდირებენ მის სახელს. ძალიან შევწუხდი, რადგან ეს უკვე შეუქცევადი პროცესი გახდა. ბოლოს, მეზობელს მივმართე კონსტრუქციული წინადადებით და როგორც იქნა, წამოვიდა დიალოგზე, მაგრამ კონსენსუსამდე ვერ მივედით. მან არ დააკმაყოფილა ჩემი №1 მოთხოვნა — ეზოში ყვირილის აკრძალვის შესახებ. ამიტომ განვიზრახე მისი ბინის პიკეტირება, თუმცა, უშედეგოდ. :(რის გამოც, უმართავი გავხდი და თუ არ მოხდება სწრაფი რეაგირება, კიდევ ერთ ადეკვატურ „სინიაკს“ აირტყამს. ყველამ, ვინც ჩემს დღეში ხართ, შემოხაზეთ 8 და ერთად გავილაშქროთ მეზობელ ბიჭებზე. :) პარიუანკა. მომავალი კანონმდებელი“.

„ფურჩხუნა“ ღვინო

„ბებიაჩემს მამაჩემი ისე უყვარს და მამას — ბებო, რომ ვერც შეამჩნევ. სიძე-სიდედრობას. როცა ბებიკოს შეეძლო, დაგროვებულ ფულს გადაასურდავებდა და „მწვანე ფულებს“ (დოლარს) ჩაუკუჭავდა ხოლმე საყვარელ სიძეს. ახლა მოუხუცდა საყვარელი სიდედრი მამას და ყოველ სალამოს, ბებოს თხოვნით, ღვინო (არადა, „ფანტაა“ და ვერ გავაგებინეთ) მოაქვს, რადგან უყვარს, ჩემს „ბაბუშკას“. „ფურჩხუნა“ ღვინოს ეძახის და იმ გაზიანი, გამაგრილებელი სასმლით ჯიშ-ჯილაგს გვილოცავს, არხეინად. :) სოოფვ“.

კიკინებიანი კატა

„ბევრის გაგება და ნახვა შეიძლება ამქვეყნად, მაგრამ ასეთი? დამანებე თავი, ნუღარ იკითხავ! ყოველთვის, როცა ჩავდივარ დაბლა, ვიღაც გიჟი კაცი მხვდება სადარბაზოსთან და მეუბნება: — შემოგევლე, ის ლამაზი, კიკინებიანი კატა ჩამოიყვანე რა, სასეირნოდ, შენ თუ გეზარება, მე ვასეირნებ, რა პრობლემააო... ფუუ, კატებს სულ ვერ ვიტან და საიდან მოიტანა, რომ სახლში მყავს? თანაც — კიკინებიანი! სიყვარული არ ვიცი მე და მალე თვითონ ვიმსხვერპლებ იმ გადარეულს, თუ არ დაწყნარდება. სოოფვ“.

მოქეიფეები

„ერთხელ, მე და ჩემი და სასწავლებლიდან მოვდიოდით და საშინელმა შიმშილის გრძნობამ შეგვაწუხა. არადა, ახლომახლო სწრაფი კვების ობიექტი არსად იყო. არც იმდენი ფული გვქონდა, რომ რომელიმე ძვირფას რესტორანში შევსულიყავით. ორივეს ერთად სულ რაღაც 10 ლარი გვქონდა. ამ თანხაში გზის ფულიც შედიოდა. ჰოდა, რომ ვერაფერი ვნახეთ, გადავწყვიტეთ, იქვე მდებარე პატარა კაფეში შევსულიყავით და ხაჭაპური მაინც გვეჭამა. ეს კაფე თბილისის ერთ-ერთ, საკმაოდ პრესტიჟულ უბანში მდებარეობს. გარედან რომ შეხედავ, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება, რომ ერთი პატარა და უბრალო კაფეა. შევაღეთ კარი და... ჰოი, საოცრებავ, სულაც არ ყოფილა ისეთი პატარა, როგორიც ჩვენ გვეგონა. საკმაოდ მდიდრული და ძვირად ღირებული, ორსართულიანი რესტორანი აღმოჩნდა, ეს ჩვენი „პატარა კაფე“. რაღას ვიზამდით? შეგვრცხვა უკან გამოტრიალება და იმ იმედით, რომ იქნებ რაიმე ცოტა იაფიანს მაინც ვნახავდით, შევედით. მოგვიტანეს მენიუ და რას ნახავ იაფიანს? ერთი ხაჭაპური 10 ლარი ღირდა. სასწრაფოდ დავდეთ მენიუ და დავიწყეთ იმაზე ფიქრი, როგორ გავსულიყავით იქიდან, რომ არ შევრცხვენილიყავით. ჩემმა დამ ტელეფონი მოიმარჯვა და დაიწყო ლაპარაკი. ვითომ ვიღაცამ დაგვირეკა და სასწრაფოდ მოგვიხდა წასვლა. როგორ გამოვედით იქიდან, არ გვახსოვს და სანამ სამარშრუტო ტაქსიში არ ავედით, უკან არ გაგვიხედავს“.

ნუ მოხვალ სიკვდილს მანდასანში. განსაკუთრებით — სკოლის მანდასანში.

შემთხვევითი მკითხველი

„სიმართლე რომ გითხრათ, „გზის“ ყიდვა ერთ-ერთი რომანის გამო დავიწყე, რომელიც მეგობართან წავიკითხე და ძალიან მომეწონა. ამის შემდეგ

რამდენიმე თვე გავიდა, რომანი დამთავრდა, მაგრამ მაინც არც ერთ ნომერს არ ვტოვებ, ახლა უკვე „გზავნილების“ გამო. ყველანი ძალიან შემიყვარდით, რადგან ისეთი სამყარო გაქვთ, სადაც ჰაერიც კი მეგობრობის სურნელითაა გაჟღენთილი, სადაც მხოლოდ სიკეთეა და წრფელი გულის პატრონები ბინადრობენ. ძალიან მინდა, თქვენი მეგობარი ვიყო. კუნი“.

ციგნების თრახი

„აუ, იმ დღეს, მივდივარ ქუჩაში და რას ხედავს ჩემი თვალები? ციგნებს თრახი აქვთ, ნუ იტყვი... კაც ციგანს კისერში ჩაუვლია ქალი ციგნისთვის ხელი, მიათრევს, პანჩურებს ურტყამს და ლანძღავს ჩემთვის გაუგებარ ენაზე. ქალიც ეცა ქვას, მოემზადა, დაუმიზნა, მაგრამ შეეცოდა ალბათ და არ ესროლა. ჰოოდა, დავფიქრდი და მაგარი დასკვნაც გავაკეთე: ეს ცოლ-ქმარი იყო, რომელნიც ოდესღაც სიყვარულით... ნუ, გარიგებით მაინც შეუღლდნენ და ალბათ ცემა-ტყეპაც სიყვარულია, მათ ენაზე. ჯიგარი“.

არ გვეშინია!

„მგზავნელებო, დადგა დრო, რომ ლეო91-მა გადადოს მობილური და პროვოკატორული რუპორი აიღოს ხელში. თბილისელი კოლეგების მსგავსად, ქუთაისელი ოპოზიციონერებიც დაფაცურდნენ, მიდგნენ-მოდგნენ, შეაწუხეს სამეზობლო-სანათესაო და მერიის მოპირდაპირე მხარეს ორი კარგი კარავი წამოჭიმეს. „წამოჭიმეს“ — ისე ვთქვი, ხატოვნად, თორემ ცნობისმოყვარეები იმ ადგილთან ჩავლისას რიგრიგობით სუნთქავენ, რათა ჰაერის ნაკადმა პოლიტკარავი არ წაიღოს. თავშესაფარს შემდეგი დევიზები ამშვენებს: „ქართველი ხალხი გაიმარჯვებს“, ტრადიციული — „არ გვეშინია!“ მაგრამ ქუთაისი რის ქუთაისია? ჰოდა, ნაწილმა სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნებიც დაუმატა და შედეგად, ზემოხსენებულ ტრანსპარანტებს წითლით თეთრზე დაწერილი სლოგანიც მიემატა: „გინდ ყოფილხარ იმერეთში, გინდა — ჯოჯოხეთში“ და „გაგვიზარდეთ პენსიები“. მოკლედ, გახურდა შიმშილ-მიტინგობანა, მაგრამ კარგ მიტინგს ვინ სჭირდება? სწორია! — კარგი ორატორი. ეს საქმე ერთმა მოხუცმა ქალმა ითავა, რომელსაც ისე უფრიალებდა ჭაღარა თმა და ისე ენერგიულად იქნევდა ხელებს, ცნობილი პლაკატი გამახსენდა: „როდინა — მატ ზავიოტ!“ მართალია, მისი გამოსვლა თემას არ ეხებოდა, მაგრამ მაინც მქუხარე ტაში დაიმსახურა. გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „არ გინდოდათ, რუს ქალებთან ჩახუტება? ელოდეთ ამერიკელ ნაშებს! ამ დროს ჩვენი თამარი და დავითი საფლავში ბრუნავენ, ქართველი ქალები კი თურქ-ბერძნების „კრაოტში“ კოტრიალობენ!“ მე, ინტრიგანმა კი ამ დროს ლობიანი ამოვიღე და ჭამა დავიწყე. კარგა ხანს მიყურა ერთმა აქტივისტმა, ბოლოს თვალი ამარიდა და კარავში შეძვრა. „ძირს სააკაშვილი!“ ისე ჩამკივლა ერთმა კაცმა, რომ ყურმა „შუშხუნი“ დაიწყო. შემდეგ შეძახილით დაღლილი ისე ამთქნარებდა და ისე ახდენდა მისი ორად ორი ოქროს კბილის დემონსტრირებას, რომ გაცლა ვამჯობინე. ამ დროს დასაფლავების პროცესიამ ჩაგვიარა. „ალბათ, ამ მთავრობის შემხედვარეს გაუსკდა გული“, დაასკვნა ერთმა და ისე შემომხედა, რომ არ დავთანხმებულიყავი, ლეო ამ მესიჯს ველარ დაწერდა. მართალია, მარი ასეთი სახის მესიჯებს არ მიბეჭდავს, მაგრამ ბათიაშვილი გამოუშვეს, ბოლო-ბოლო და გამონაკლისი არ შეიძლება? :) ლეო91“.

ბერძენი ბებო

„მარი, ათენიდან გწერ. ძალიან დიდი მადლობა, რომ ყველაფერს მიბეჭდავ. მადლობას გეუბნება აგრეთვე ჩემი ბებოც (რომელთანაც მომვლელად ვმუშაობ). შენ გაიხარე, „მეცამეტე“ რომ დაამთავრე. დამტანჯა ქალი. სულ მათარგმნინებდა. არადა, ბერძნულს 6 პირში ვუბერავ. სულ მეკითხებოდა, ეს ამბავი მართალიაო? ახლა გთხოვს, მალე სხვაც დაგვიბეჭდეო. ყოფილი გინეკოლოგია და ძალიან ჭორიკანა. აინტერესებს ჩვენი დაჩაგრული საქართველოს ბედი. გკოცნით ორივე, მარი“.

ერთჯერადები

„დღეს ნათესავი ქალი გვესტუმრა. მე „გზავნილებს“ ვაბულბულებდი და ჩემთვის ვიცინოდი, რომ მის ლაპარაკს მოვკარი ყური. დედაჩემს ეუბნებოდა, ჩემს შვილიშვილს გაფითქინებული, ნაირ-ნაირი „საროჩკები“ და კოსტიუმები უკიდია გარდერობში, სულ ჩაუცმელები, ჩემს რძალს ერთჯერადებიდან მოაქვსო. ერთჯერადებიდანოო? ნეტავ, მომესმა თუუ... გავიფიქრე გაოცებულმა. დედაჩემის გაოცებული სახეც რომ დაინახა, მერე თქვა: ჩამოფასებულში ყიდულობსო. დედიკომ უთხრა: ააა, მეორადებშიო? — ჰოო, უპასუხა სტუმარმა. აუუ, სიცილს ძლივს ვიკავებდი და რომ არ შეემჩნია, ეზოში გავიძურწე და სულელივით მარტო ვიცინოდი“.

გველის შხამი

„დავაგვიანე, მაგრამ მეპატიება, რადგან რაჭველების მეზობელი ვარ. მაგარი დამპალი დეიდაშვილი მყავს, თანაც სიდედრთან ცხოვრობს. ძმაკაცი ჰყავდა სტუმრად, ღამით მაგრად იქეიფეს. დილით კი ჩემი დეიდაშვილი „პახმელიაზე“ გამწარებული ეძახდა სიდედრს: — ნათელ,



ქალი ცოდვებს ალიარებს, მაგრამ სისხლსღვრა — არა.



წამალი ხმამაღლა
მოლაპარაკეებისათვის

შემაფურთხე, ნათელ! — ძმაკაცმა მაგარი შოკი მიიღო. — კი, მაგრამ რას ეუბნებიო? — ამ იდიოტმა კი იცით, რა უპასუხა, სიდედრის თანდასწრებით? — გამიგია, გველის შხამი წამალია და ეგება, მაგის ფურთხმა „პახმელიას“ უშველოსო. მკვახე“.

მგზავნელების მსხვერპლი

„მე ვარ თქვენი სიყვარულის მსხვერპლი, მგზავნელებო. არ გჯერათ? კაი, ბატონო. წუხელ მაგარი უცნაური სიზმარი ვნახე. ერთ უზარმაზარ დარბაზში შეკრებილი იყო მთელი „გზავნილეთი“. მოკლედ, ვისაც ვიცნობ და არ ვიცნობ, ყველა ერთად ვიხილე, კაცო. ზოგი რას აკეთებდა, ზოგი — რას. ზაზუც ვნახე. შემპირდა, ისევ დავბრუნდებიო. პარიჟანკა საფრანგეთიდან ჩამოვიდა სპეციალურად. ჩამოვიდა საბერძნეთის დელეგაციაც. ბოა ყველას წესრიგისკენ მოუწოდებდა, კანიბალკა კლუბის წევრებს გაცხარებით უხსნიდა მომავლის გეგმებს. ლელუჩია და ვერმახტი მგზავნელებს ბათუმში ეპატიჟებოდნენ, დიდი გრძნობით. ლორელაი ნანატრ დათუნიას ეფერებოდა (თურმე ბებომ დაუბრუნა), ნიღბოსანი იდუმალებით იყო მოცული. საოცარი და ცოტა სევდიანი. ლიმონა და გიჟი პოეტი უმაგრესი ლექსების წერაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ნინო-მილანი ყველას ჰპირდებოდა, რომ „მილანი“ აუცილებლად მოიგებდა მომავალში. ჩორი-ჩორი გამწარებული ეხვეწებოდა თავის „უსქესო“ თუთიყუშს, რაიმე თქვიო. ილინს და დუჩის უკვე მეათასეჯერ აჰყავდათ სახრჩობელაზე კაცთა მოდგმა. მგლის და კი ილინს ჭკუას არიგებდა, დედობრივი მზრუნველობით. სესი, ბაჭია, ASHLEY, ნელკა და მგელო სკოლის ამბებზე ჭორაობდნენ. შეწირული, ლეო, ჩუქჩა, მონასტრის ბიჭი და პავლიკა ოლეგარიოს ამბებზე ხალისობდნენ... იქვე იყვნენ ახლებიც. ცოტა მორცხვად, მაგრამ დიდი სიხარულით ეცნობოდნენ ერთმანეთს. უეცრად სცენა აინთო და შენ შემოხვედი, მარი. ლამაზად და სულში ჩამწვდომად საუბრობდი. გვეუბნებოდი, რომ ყველა ჩვენგანი ძალიან გიყვარს, რომ ჩვენ მუდამ ვიქნებით შენს გულში და რომ არასოდეს დაიშლება „გზის“ სახლში შექმნილი მგზავნელების ულამაზესი ოჯახი. არასოდეს მინახავს ცხადში ამდენი ღიმილიანი სახე და ანთებული თვალები. საოცრება იყო ყველაფერი. ჰო, მეც ვიყავი ამ შეკრებაზე, ოღონდ მარტო ვიჯექი და ვცდილობდი, რომ ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა, სამუდამოდ შემენახა ჩემი გონების ღრმა კუნჭულში. მაესტრო-21“.

მოშიმშილე

„თქვენ რა გიჭირთ, გენაცვალე, გუშინ „გზა“ გამოვიდა, დაერეოდით და სულმოუთქმელად წაიკითხავდით. მე ვიკითხო, რომ ჩავრჩი სოფელში და აქ „გზა“ კი არა, „მონო“ და „ლაილაი“ რომ უნდა, ბიძაჩემი ავტობუსის მძღოლს აბარებს. არადა, შორს კი არ ვარ, აქვე, ცხვარიჭამიაში. წლებია, ყოველ ხუთშაბათს, დილის 9 საათზე ვდგები, „გზა“ რომ ვიყიდო. გუშინ კი 12 საათზე გავიღვიძე, თან „პახმელიაზე“ ვიყავი, მე და ბიძამ ჩავურტყიეთ. გული მართლა დამწყდა, ახალ ნომერს კვირამდე რომ ვერ წავიკითხავდი და გადავწყვიტე, ძველი ნომრები გადამეკითხა. დაახლოებით 45 ჟურნალი დავაგროვე (რა თქმა უნდა, ყველა „გზაა“) და დავიწყე კითხვა. ჰოი, საოცრებავ, გრაფი არ გაიჩითა? აი, მაშინ კი მივხვდი, რის ნაკლებობას განვიცდიდი, ბოლო კვირების განმავლობაში. გრაფის ბრძნული აზრები მომენატრა. მოკლედ, ასე: თუ გრაფი ისევ „გზაში“ არ გამოჩნდება, კარვების გაშლა მერე ნახე, ოღონდ რუსთაველზე კი არა, იოსებიძის ქუჩაზე დავიწყებ შიმშილობას. ქალბატონო მარიამ, თქვენს გამოხმაურებას ველოდები. ჭრიჭინა“.

გლანდები არ ამოგგლიჯო

„ყურადღება! ქართულმა ლექსიკამ ცვლილებები განიცადა! მაგალითად: „მუხლის ჩაშკებიდან არ ამოგაგდო“, „თავი არ გადაგპარსო“, „ფეხი არ დაგადგა წელებზე“, „თავი არ გარაძგუნებინო“, „ღრძილები არ დაგტოვო“, „კბილები არ დაგაყრევინო“, „გლანდები არ ამოგგლიჯო“, „წიხლით არ გდიო“ და სხვა. P.S. მე პირადად ამოჩემებული მაქვს: „ატმოსფერული გრიგალი“. ჰოდა, ჩემს დაქალს ვერ დავეწიე და ბოლო ხმაზე დავუძახე: გოგო, დამელოდე, რა ატმოსფერული გრიგალივით მირბიხარ-მეთქი. დაიხოცნენ სიცილით. ეკითხათ ჩემთვის, თუ მეცინებოდა. ლუნა“.

მგზავნელების შეხვედრა

„ძალიან დიდი მიზნები მაქვს, რომლის შესრულებისთვისაც ფულია საჭირო (რა გასაკვირია, არა?). ჰოდა, დავიწყე სამუშაოს ძებნა. ერთ დიდ, კერძო კომპანიაში დამიბარეს გასაუბრებაზე. თან დაქალი გავიყოლე. გზაზე დავინახე, რომ ვიღაც გოგო ჩამომჯდარიყო ქვაზე და „გზავნილებს“ კითხულობდა. მივიდე, არ მივიდე? — ვფიქრობდი, მაგრამ მივხვდი, რომ თუ იმ გოგოს არ გამოველაპარაკებოდი, ამას საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებდი. მივუახლოვდი. „გზავნილების“ ბოლო გვერდზე ჰქონდა გადაშლილი და მარი, შენთან მესიჯიც აფრინა. ტელეფონი შეინახა და კითხვა განაგრძო. — უკაცრავად, მგზავნელი ხარ? — ვკითხე. აქტიური მგზავნელი არა, მაგრამ ერთგული მკითხველი ვარ, წლებია, ამ ჟურნალს ვკითხულობ, მაგრამ იშვიათად ვამესიჯებო, მიპასუხა. აი, ასე გავიცანი ერთ-ერთი მგზავნელი, ფურისულა. შემპირდა, რომ გააქტიურდებოდა. გახარებულმა გავაგრძელე გზა. ძალიან ბედნიერი ვარ, მგზავნელი რომ გავიცანი. ფურისულა, ჩემო სიხარულო, ძალიან მიყვარხარ. მართალია, სამსახური ვერ ვიშოვე, მაგრამ ამ სამსახურმა ჩვენ ერთმანეთი გვაპოვნინა. :-) აბა, შენ იცი, გააქტიურდი. ჩემო ძვირფასო, უცნობო მგზავნელებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ. ჭრიჭინა“.

მოქეიფე კახელები

„მარი, კახური იუმორის გალამაზება არ გინდა. ის ზუსტად ისეთია მაგარი, როგორც ითქმება და გთხოვ, არც ეს გადააკეთო. ერთი მაგარი თელაველი კაცის სიმამრმა ღორები დაკოდა. მოაქუჩა სათესლე ჯირკვლები და სიძეს მიართვა (ამისგან ძალიან გემრიელი კერძი მზადდება). აიწია ქეიფი. კარგად რომ შებუჟბუჟდნენ, მეზობელი შოთა შემოვიდა. აბა, შოთა მოვიდაო! — და მასპინძელმა ცოლს გასძახა: — მიდი, ქალო, ერთი შოთას სათესლე ჯირკვლები შეუთბეო. ახლა კი წარმოიდგინეთ, შოთას გამომეტყველება, რომელმაც არ იცის, რაზეა ლაპარაკი. კახელი სალომე“.

ესეც ხომ იცი?

„გამარჯობა, მარი, როგორ ხარ? ახლა ვფიქრობ, რა მოგწერო. ის, რომ „გზა“ უმაგრესი ჟურნალია? ეს იცი. ის, რომ „გზავნილების“ დედოფალი ხარ? ესეც იცი. ის, რომ მაგ დიდ ოჯახში უდიდესი მეგობრობა, თანადგომა და სიყვარული სუფევს? ესეც იცი. ისიც იცი, რომ აქ ბევრი ადამიანი ამესიჯებს, რომელიც ხუთშაბათს მოუთმენლად ელის, მაგრამ სამწუხაროდ, ყველას მესიჯი არ იბეჭდება. ის კი არ იცი, მაგრამ 10 პროცენტიც კი არ მაქვს დაბეჭდვის იმედი, მაგრამ მაინც გიმესიჯებ, რადგან ყველაზე მეტად მინდა მაგ დიდ ოჯახში შემოღწევა. ნარჩიტა“.

შეყვარებული მოსწავლე

„ჩემი ფიზკულტურის მასწავლებელი 22 წლის ტიპია და ჩემი დაქალი „ევასებოდასავით“. ჰოოდა, ერთხელ მაკომ ნაძლევი წააგო და ამ ბიჭისთვის სიყვარული უნდა აეხსნა. მთელი გაკვეთილის განმავლობაში კუდში დასდევდა, ეხუტებოდა და თან ეუბნებოდა, მიკალქალო. ნეტავ, გიგუნიას სიფათი გენახათ. საწყალი კაცი, სკოლიდან ისე გაიქცა, ახლა წესით, მინიმუმ, აღმოსავლეთ აფრიკაში უნდა იყოს. ესეც უდიდესი სიყვარულის მსხვერპლი! ხომ მაგარია? ხულიგანკა“.

ჩხუბი „გზაზე“

„თბილისიდან მოვდიოდი, „მარშრუტკით“. გვერდით ასე, 50 წლის ქალი მეჯდა, რომელსაც ხელში „გზა“ ეჭირა. ძალიან მინდოდა „გზავნილების“ წაკითხვა, მაგრამ თხოვნა ვერ გავბედე და ვცადე, ყდა მაინც წამეკითხა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ იმ ქალმა მძღოლს „მარშრუტკა“ გააჩერებინა, აიკრიბა, აიღო თავისი ბარგი-ბარხანა, წავიდა და დარჩა „გზა“ „მარშრუტკაში“. ვეცი ამ „გზას“ და აღება დავაპირე, მაგრამ რად გინდა? მეორე გვერდზე მჯდომი ბიჭიც ეცა და ერთმანეთს დავეჯაჯგურეთ. მე აქეთ ვეწევი, ის — იქით. ბოლოს, ჟურნალი მე დამრჩა, მაგრამ ყდამოხეული. სახლში ვცადე, გამემთელებინა, მაგრამ არ გამომივიდა. მარი, ხედავ, რა ხდება შენი „გზავნილების“ გამო?“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ჩემი საპირველაპრილო ხუმრობა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com კითხვა მოკლე ჩართვისთვის: რა იქნებოდა, დედამიწაზე ქალები რომ არ არსებობდნენ? მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

*ადამიანი იშადება ბედნიერებისთვის, თუნდაც სიკოლოკო

დააკვირდი ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში და დაიმახსოვრე, რა გაიფიქრე. შემდეგ ფოტოტესტის პასუხები იხილე.

1. თუ ფოტოზე დაკვირვების დროს 1917 წელს მომხდარი სოციალისტური რევოლუცია გაგახსენდა, მაგრამ ვერ გაიხსენე, ვის ინტერესებს იცავდი მაშინ, სავარაუდოა, რომ 100 წელს გადასცილდი და სტერეოზიც ჩამოგიყალიბდა. ისა და... უკაცრავად, გამჭვირვალე რატომ ხარ? ღამღამობით სიარულს, ფაჩუნსა და ტედელში გავლას როდის მოიშლი?

2. თუ შენი ყურადღება დანგრეულმა „მოსკვიჩმა" მიიპყრო, ალბათ ისიც გაიფიქრე, რომ ეს ფოტო გასული საუკუნის 70-იან წლებშია გადაღებული. არ ყოფილხარ დაკვირვებული ადამიანი. მაშინ დიდი ბელადის ძეგლს ასე თავის გატეხასა და შეურაცხყოფას ვინ გაუბედავდა?

3. თუ მეორე პუნქტის წაკითხვის შემდეგ კვლავ ფოტოს დააკვირდი და დასკვნა გამოიტანე, რომ ფოტო გასული საუკუნის 90-იან წლებშია გადაღებული, სავარაუდოა, ავტომობილი ან სულ არ გყავს, ან უახლესი მოდელის ავტოს საჭეს უზიხარ და დედაქალაქსაც ცუდად იცნობ. რატომ? – შემდეგი პუნქტის წაკითხვის შემდეგ თავად მიხვდები.

4. თუ ფოტოზე დაკვირვების დროს ალმოაჩინე, რომ ეს ადგილი შენთვის ნაცნობია და ისიც ზუსტად იცი, რომ ბელადს თავი მაშინ გაუტყდა, როცა ძლიერმა ქარმა წააქცია, რალა მეთქმის? ვისაც უნდა დავენაძლევები, რომ გლდანის გზაზე მდებარე იმ „პროფილაქტიკის" თანამშრომელი ხარ, რომლის ეზოშიც 3 დღის წინ ეს ფოტო გადავიღე.

10 ნიშანი იმისა, მამაკაცს რომ ცოლის მოყვანის დრო აქვს



ყველა „დამწყები“ მამაკაცი დარწმუნებულია, რომ ცოლს არასოდეს მოიყვანს და მშვენივრად გაძლებს ცოლისა და შვილების გარეშე. თუმცა, ცხოვრება თავისას მოითხოვს და დროთა განმავლობაში, ყველა კაცს დაოჯახების სურვილი უჩნდება. ეს წერილი იმ მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი, ვინც ფიქრობს, რომ დროა, ცხოვრებაში რაღაც შეცვალოს, მაგრამ არ იცის — რა. თუ საკუთარ თავში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან 4 სიმპტომზე მეტს აღმოაჩენ, დროა, გაბედული ნაბიჯი გადადგა და... (არ შეშინდე) დაქორწინდე.

1. შენს სახლში მუდმივი ქაოსი და უწესრიგობა სუფევს. ოჯახი ხრამიაო, ამბობენ, მაგრამ თუ ეს „ხრამი“ პირამდე სავსეა გაურეცხავი ტანისამოსითა და ჭურჭლით, გაფუჭებული პროდუქტითა და ცარიელი ბოთლებით, მაშინ ღირს დაფიქრება, კარგია ეს თუ არა. რა თქმა უნდა, შინ თავს კარგად გრძნობ, მაგრამ ამჩნევ, რომ ვახშამი დღითი დღე უგემური ხდება, სუფთა წინდები აღარ გაქვს, ყოველდღე სამსახურისთვის მზადება უფრო და უფრო გიჭირს, კარადიდან თავზე ცარიელი ბოთლები გეყრება. ამ ყველაფრის მოსაწესრიგებლად ან სუპერგმირია საჭირო, ან — ცოლი. რისთვისაა ის საჭირო? თუ დალაგებას თვითონ ვერ შეძლებს, შენ მაინც გასწავლის, როგორ გახდე სუპერგმირი და როგორ მიხედო თავს.

2. თუ თავდაჯერებული არ ხარ და მშობლებს რჩევას ვერ სთხოვ, როგორი სტილის კოსტიუმი შეიძინო, მაშინ იზრუნე, რომ რაც შეიძლება, მალე დაქორწინდე. რჩევები არ მოგაკლდება.

3. თუ მეგობრებს თავისუფალი დროის გატარება შენთან ერთად არ სურთ, ამაში დამნაშავე შენ კი არა, ისინი არიან. მათ თავიანთი არჩევანი უკვე გააკეთეს ცოლების სასარგებლოდ და ახლა სწორედ ცოლების დამსახურებაა, რომ უცოლო მამაკაცთან ურთიერთობას გაურბიან. შეხვედრისას კი ინტერესდებიან, ისევ მარტო, შენთვის შრომობ თუ დაოჯახდი. შენ მიგაჩნია, რომ მათ სატრაბახო არაფერი აქვთ. ვისაც ცოლი არ მოუყვანია, ის ვერ მიხვდება, რა ეამაყებათ ცოლიან მამაკაცებს.

4. თუ სმას მოუხშირე და გეშინია, ღვინოში არ ჩაიხრჩო, მაშინ ტივტივა უნდა მოძებნო. გამოცდილი მეთევზეები ამბობენ, რომ ოჯახზე უკეთესი „ტივტივა“ არ არსებობს.

5. სხვისი ბავშვები ღიმილს გგვრიან? ყველაფერი დღესავით ნათელია. თუ მოზრდილმა მამაკაცმა თავი ამ ზომამდე მიიყვანა, სასწრაფო ზომებია მისაღები. ზოგიერთი მსგავს სიტუაციაში თევზებს ან ძაღლს ყიდულობს, ზოგს სერიალები იტაცებს... მსგავს სიტუაციაში ცოლის მოყვანა საუკეთესო გამოსავალია.

6. თუ უძილობა და ღამის კოშმარები გტანჯავს, ეს იმის შედეგია, რომ გვერდით საიმედო ადამიანი არ გყავს. მხოლოდ ცოლის გვერდით შეიძლება შვება იგრძნო. ცოლიან მამაკაცს ღრმა და ხანგრძლივი ძილი აქვს. ვისაც არ სჯერა, შეამოწმოს.

7. თუ გარეგნობის გამო წუხხარ, სავარაუდოა, რომ ახალგაზრდა და ლამაზი ქალები, რომლებთან ურთიერთობაც ასე გიზიდავს, შენს ღირსებებს სათანადოდ ვერ აფასებენ. მათ მხოლოდ რესტორნები, სხვადასხვა გასართობი და საჩუქრები აინტერესებთ, ხოლო იმ სიბრძნის დანახვა, რომელიც შენი მელოტი თავის ქალის ქვეშ იმალება, არ ძალუძთ. დასკვნა? ასეთი ქალებისგან თავი შორს უნდა დაიჭირო და ცოლი უნდა შეირთო.

8. თუ საწოლთან ქეთა თოფურიას სურათი გააკარი, სავარაუდოა, რომ დიდი სურვილი გაქვს, საღამოს შინ ვიღაც გხვდებოდეს. თუ გინდა, რომ ეს ქეთა იყოს, ძალიან უნდა მოიწადინო. მე კი მაინც სხვა, ნაკლებად ცნობილი, ღირსეული ქალბატონის მოძებნას გირჩევ, რომელსაც საწოლთან ჟან კლოდ ვანდამის ან ჯეკი ჩანის სურათი აქვს გაკრული.

9. კუჭმა შეგაწუხა? გულძმარვა და წყლული ერთსახოვნად არასწორ კვებაზე მიგანიშნებს. ვინ შეგახსენებს, რომ წვნიანის მირთმევის დროა? ვინ აიძულებს მამაკაცებს ბოსტნეულისა და რძის პროდუქტების ჭამას? რეკლამა? შესაძლოა, მართალი ხარ, მაგრამ რეკლამაში ბრძენი დიასახლისის სახე (თითზე საქორწინო ბეჭდით) ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

10. თუ დეტექტივის კითხვა და „ბოევიკის“ ყურება გიყვარს და ამჩნევ, რომ ამ ბოლო დროს ბევრს ეწევი, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ნერვული სისტემა მწყობრში არ გაქვს. თანამედროვე საზოგადოებაში სტრესთან ბრძოლის ერთადერთი, საიმედო ხერხი არსებობს — მკაცრ და დაუნდობელ ცხოვრებას მყუდრო, ოჯახური გარემოთი უნდა ებრძოლო. მყუდრო ატმოსფეროს შექმნა კი მხოლოდ მოსიყვარულე ქალს შეუძლია, რომელსაც ნებისმიერ დროს დაეყრდნობი. თუ ასეთი ქალი სადმე შეგხვედრია, ხელიდან არ გაუშვა, თორემ მერე გვიან იქნება. ●

საინტერესო და უცნაური ინტერნეტსათაურები

მაყურებლის, მკითხველისა თუ ინტერნეტმოსმარებლის მისაზიდავად შესაბამისი სფეროების მესვეურები ათასგვარ ხერხს იყენებენ. მათ შორის ყველაზე ცნობილი ხერხია მყვირალა, დამაინტრიგებელი სათაურის შერჩევა. ინტერნეტში „ძრომიალის“ დროს ძალზე საინტერესო სათაურებს ვაწყდები ხოლმე და რომლებიც ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, ცალკე ამოვწერე. რამდენიმე თვის განმავლობაში ბლომად დავაგროვე, ახლა კი თქვენც შემოგთავაზებთ.

- ქსენია სობჩაკმა ჩაპაევის ცხენის სახის შესაქმნელად პოზირებაზე უარი დაბალი ჰონორარის გამო განაცხადა.
- „ასტრონომებმა მარსზე ნარკოტიკების სარეალიზაციო ახალი „კანალი“ აღმოაჩინეს“.
- „არაბმა მეცნიერებმა ფერმას თეორიის მტკიცებულება უსამართლობაში დაადანაშაულეს“.
- „ყანჩამ 2 ობოლი ბაყაყი გამოკვება“.
- „მოლდაველმა მეცნიერებმა შუქნიშნის სიგნალი გაშიფრეს“.
- „პედოფილის შვილები მშობლიური ალერსის გარეშე გაიზარდნენ“.
- „მეცნიერებმა ზამთრის დადგომის უსაფუძვლობა დაამტკიცეს“.
- „მათხოვრებმა ტაქსა ორჯერ გაზარდეს“.
- „მფრინავმა მკვდარი მარყუჟის ზომა ვერ განსაზღვრა და თავი ჩამოიხრჩო“.
- „შემნახველი საკნის დირექტორი ნარკოტიკების შენახვის გამო დააპატიმრეს“.
- „ქრისტინა ორბაკაიტეს საყვარელ მამაკაცთან ჩხუბი მოუხდა და რჩევისთვის ქმარს მიმართა“.
- „ახალგაზრდა პედაგოგი უფროსკლასელს ლოგინში ხუთიანების გამო ჩაუწვა“.
- „უკრაინელმა მეცნიერებმა ჩერნომირდინის საიდუმლო გზავნილი გაშიფრეს“.
- „სამამულო მედიცინამ ოყნაზე გაიმარჯვა“.
- „ქალის ფეხები წარსულს ჩაჰბარდებიან“.
- „აფრიკელ მისიონერებს ადამიანები ხიდან ძალით ჩამოჰყავთ“.
- „სკანდალური გამოაშკარავება! ივანოვა „პრავდისთვის“ პოზირებდა!“
- „დედაქალაქში მცხოვრებმა კილერებმა პროფესიონალიზმის ასამაღლებელი კურსები წარმატებით დახურეს“.
- „ბრაზილიელმა მეცნიერებმა უნიკალური აღმოჩენა გააკეთეს. მათ მიერ ნაპოვნი პითონი არა და არ სრულდება“.
- „საშინელი სიმართლე იოგურტის შესახებ“.
- „აქტუალური კითხვა: არის თუ არა სიცოცხლე ჩინეთში?“
- „როცა თავი არ გტკივა, კამასუტრა შეისწავლე“.
- „აქტუალური კითხვა: შეუძლია თუ არა სასწაულის მოხდენა არყის სიყვარულს?“
- „ქალთა ტუალეტი ისევ მოდაშია“.
- „როსტოველი მანიაკები ადამიანებს სქესობრივი ნიშნით დევნიან“.
- რუსმა მეცნიერებმა ექსპერიმენტის გზით დაადგინეს, როგორ ტემპერატურაზე დნება ინტერნეტი.
- მორბენალთა შეჯიბრება 100 მეტრზე სირბილში, სრული ფინიშით დასრულდა.
- ქვეყნის დასასრული — ოცნება თუ რეალობა?
- ინგლისელმა მეცნიერებმა თვალის გარშემო საიდუმლო წრეები აღმოაჩინეს.
- ახლო მომავალში ძვირად ღირებული ტაბლეტები მრავალჯერადი გამოყენების გახდება.
- „დედოვშინა“ უცხოპლანეტელებმა მოიგონეს.
- მალე შავ-თეთრი შუქნიშნები გამოვა.
- ექსტრასენსმა იწინასწარმეტყველა, რა ციფრით დამთავრდება რიცხვი „პი“.
- მთვრალმა მენახშირემ აუზი ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად წამოადუღა.
- ოპტიკოსებმა დაადგინეს, რომ ლურჯი ფერი არ არსებობს.
- მზის დაბნელებას მხოლოდ ინვალიდ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს აჩვენებენ.
- მოსკოვის მეტროში 5 აქამდე უცნობი სადგური აღმოაჩინეს.
- მოსწავლეების მიერ შექმნილმა რობოტმა მასწავლებელს აგინა.
- „სასწრაფო დახმარებას“ სისწრაფე ხელს უშლის.
- ეკვატორის ახლოს მსოფლიოში ყველაზე დიდი თვითმფრინავისთვის აეროდრომს აშენებენ.
- ექიმის უყურადღებობის გამო პაციენტს „ბრმა ნაწლავი“ გადაუნერგეს.
- სუროგატმა დედამ სუროგატი ქმრისგან სუროგატი შვილი გააჩინა.
- ქურდობისა და ყაჩაღობისგან შემოსულ გადასახადებზე დუმამ თანხმობა განაცხადა.
- მოსწავლემ მასწავლებლის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა იმის გამო, რომ პედაგოგმა მის დღიურში ვირუსი გაავრცელა.

●

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული

ფრანგი მწეველებისთვის ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა ის ფაქტი, რომ სავაჭრო ქსელში მსოფლიოში ყველაზე ძვირი სიგარა, „კოიბა-ბეხიკი" გამოჩნდა. 20-სანტიმეტრიანი სიგარის ფასი 375 ევროა. თუ 15 ათასი ევროს ღირებულების სიგარას შეუკვეთთ, 40-სიგარიან ყუთს გაჩუქებენ.

ჰოლანდიელმა არქიტექტორმა, იან იაპმა უნიკალური საწოლი შექმნა. ის ჰაერში დაცურავს (ეფექტი მაგნიტის საშუალებით მიიღწევა). სიმაღლეზე ძილის სიამოვნება 1,5 მილიონი დოლარი ჯდება.

ცნობილი, იაპონური, „იუბარის" ჯიშის 2 ნესვი საპოროს აუქციონზე 17 ათას დოლარად გაიყიდა. ნესვები ცნობილმა უნივერმაღმა, „მარუიმ" შეიძინა და პროდუქტების დარბაზის მოსართავად გამოიყენა. „იუბარი" იაპონიაში ერთ-ერთ საუკეთესო ნუგბარად მიიჩნევა.

აბუ-დაბიში თითქმის 7 მილიონ დოლარად (6,86 მილიონი) ავტომობილის ნომერი გაიყიდა. საუდელმა ბიზნესმენმა თალალ ჰურიმ შეიძინა ერთციფრიანი ნომერი — „5".

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული სასტუმროს ნომერი ტოკიოში, რიც-ჩარლტონში, სასტუმროს ბოლო, მეცხრე სართულზე მდებარეობს. საპრეზიდენტო აპარტამენტები ღამეში 20 ათასი დოლარი ღირს. ამასთან, სტუმარს შეუძლია, 16 ათას დოლარად 1 ჭიქა მარტინი შეუკვეთოს, ჭიქის ფსკერზე — „ბულგარის" ბრილიანტებით.

კომპანია „დუერსონი" ჯემების წარმოებითაა დაკავებული. მან 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მსოფლიოში ყველაზე ძვირი მარმელადი გამოუშვა. ვისკით, შამპანურითა და ოქროთი შეზავებული 1 ქილა ციტრუსის ჯემი მწარმოებელმა 5 ათასი გირვანქა სტერლინგი დააფასა.

ავსტრიულმა კომპანიამ მსოფლიოში ყველაზე კომფორტული და მდიდრული ტურისტული ფურგონი ააწყო. მისი ღირებულება 1 მილიონი დოლარია. ავტომობილში მოზრდილი საცხოვრებელი ოთახი და სამზარეულოა მოწყობილი. მაცივარს კი 4 ათასი ლიტრი წყლისა და დიდი რაოდენობით პროდუქტის შენახვა შეუძლია.

128 მილიონად შეფასებული, ყველაზე ძვირფასი სახლი ინდოელმა ფოლადსაგლინავი ქარხნის მფლობელმა, ლაქშმი მიტალმა შეიძინა. ეს სახლი სასახლეს წააგავს და ამბობენ, რომ მასში საცურაო აუზიც კი ძვირფასი ქვებითაა მოპირკეთებული.

ყველაზე ძვირფასი ჭადრაკი, რომელიც რამდენიმე მილიონ დოლარადაა შეფასებული, სტამბოლში, სულთნის სასახლეში ინახება. სულთანმა ის ინდოელი მაჰარაჯასგან საჩუქრად მიიღო. ჭადრაკის ფიგურები ძვირფასი ქვითაა დამზადებული.

ყველაზე ძვირად ღირებული დესერტი ერთ-ერთ ამერიკულ რესტორანში იყიდება. ეს გახლავთ ვანილის ნაყინის 5 ბურთულა, რომელიც ოქროს თხელ, საჭმლად ვარგის ფოლგაშია გახვეული. ასეთი ნაყინის 1 ულუფა 1.000 დოლარი ღირს. დესერტი ეგზოტიკური ხილის ნაჭრებითა და ვენესუელური შოკოლადითაა გაფორმებული, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო შოკოლადადაა მიჩნეული. რესტორნის მეპატრონე აღნიშნავს, რომ მდიდარი კლიენტები ნაყინს უკვეთენ, მაგრამ არ ჭამენ. შინ მიაქვთ და სამახსოვროდ მაცივარში ინახავენ.

ჭკოსაში ფერადოვანი
ერთ ერის,
ჭკოსაში საჭმელია.

პროფილი



რამდენიმე კვირის წინ, ახალგაზრდა ქალბატონი დამიკავშირდა და შეხვედრა მთხოვა. დათქმულ ადგილზე ის მეგობარ ქალბატონთან ერთად მოვიდა. გული წინასწარ მიგრძნობდა, რომ საინტერესო ამბავი უნდა მომესმინა, მაგრამ შემოთავაზებულმა წინადადებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აღმოჩნდა, რომ ანას (სახელი შეცვლილია) ძალზე მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი აქვს განსახორციელებელი და მზადაა, მიზნისკენ მიმავალი ყოველი ნაბიჯის შესახებ, ყოველკვირა გულახდილად მოგვითხროს. როგორც თვითონ აღნიშნა, ეს მას სტიმულს მისცემს და რომ ეცოდინება, მკითხველი მისი ამბის გაგრძელებას ელის, უფრო გაბედულად იმოქმედებს. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არცთუ იოლ საქმესაა შეჭიდებული და მოვლენების განვითარება მხოლოდ მის მოხერხებულობასა და ქალურ შარმზეა დამოკიდებული (გარეგნულად ნამდვილად არ დაიწუნება). ამჯერად მის ნაამბობს გთავაზობთ, საიდანაც შეიტყობთ, როგორ ჩაეყარა საფუძველი ამბავს, რომლის განვითარებასაც, მომავალში, „გზის“ მკითხველი თვალყურს „პირდაპირ ეთერში“ მიადევნებს.

მარი ხაშარიძე

თავი გვერდზე მივაბრუნე და წამოდგომა დავაპირე, მაგრამ მახომ ამის საშუალება არ მომცა.

— მომენატრე, ანა, — ყურში ჩამჩურჩულა და ყელზე მაკოცა. ცხელი ტუჩები ჰქონდა, რბილი და ნაზი, მაგრამ მისმა შეხებამ მხოლოდ ზიზღი გამოიწვია.

— გამიშვი, — ვთქვი და წამოდგომა ვცადე. ჩემს ოთახში გავედი, უცებ გადავიცვი, ოთახი, სადაც მახო იყო, უკანმოუხედავად გადავჭერი და გასასვლელი კარისკენ ისე სწრაფად გავემართე, ჩემი შეჩერება რომ ვერ მოეხერხებინა.

— საით? — ზურგს უკან მისი ხმა მომწვდა, მაგრამ კარი უსიტყვოდ მოვიხურე და ვიგრძენი, რომ შვებით ამოვისუნთქე.

ახლა სულერთი იყო, საით წავიდოდი. მთავარი იყო, ცოტა ხნით მარტო დავრჩენილიყავი. მანქანა დავქოქე და პირველად შევიგრძენი ის სიამოვნება, ამხელა „მახინა“ ასე იოლად რომ დამემორჩილა. ადრე ამაზე არასოდეს მიფიქრია, თურმე რა კარგი ყოფილა, როდესაც ძალას გრძნობ; რამდენიმეტონიანი, უშველებელი რკინის „მახინა“ რომ გემორჩილება და ყველა შენს „ბრძანებას“ ასრულებს. საჭეს ხელი ისე გადავუსვი, თითქოს მოვეფერე. ეზოდან გამოვედი და გზას უმისამართოდ გავუყევი.

ის დღე გამახსენდა, როცა 7 წლის წინ მახო ცრემლიანი თვალებით გავაცილე შორეულ რუსეთში. ისიც განიცდიდა ჩემთან განშორებას და ორივეს გვჯეროდა, რომ სულ ცოტა ხანში, ერთმანეთს ვნახავდით და ყველაფერი კარგად იქნებოდა. მაგრამ თანდათან მისი ზარების სიხშირემ იკლო და ბოლო 4 წელი ისე გავიდა, ერთხელაც არ შეგვხმიანებია. არც ის უკითხავს, საერთოდ ცოცხლები ვიყავით თუ არა. მეც ვერაფერს ვიგებდი მის შესახებ. ბევრს ვეცადე, მისი აქაური მეგობრებისგან რაიმე გამეგო, მაგრამ ამაოდ. უკვე ცოცხლებშიც აღარ ვთვლიდი, როდესაც შემთხვევით გავიგე, რომ მახო მოსკოვში იყო და განცხრომით ცხოვრობდა. ამის შემდეგ თავს მასზე ფიქრიც კი ავუკრძალე და იმ აზრს შევეგუე, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდა. „რატომ გადაწყვიტა ასე მოულოდნელად დაბრუნება? თან, როგორც ჩანს, წასვლასაც აღარ აპირებს. რა მეშველება?“ — ვფიქრობდი და გონზე მოსვლა მიჭირდა. მისი ვიზიტი ჩემთვის შოკის მომგვრელი იყო. მისი დანახვაც აღარ მინდოდა, მეზიზღებოდა და საერთო ჰაერით სუნთქვაც კი დიდ უბედურებად მიმაჩნდა.

მისი არყოფნის პერიოდში საკუთარი საქმე წამოვიწყე, რომელიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და ბედს არ ვუჩიოდი. მე და სალომე შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით და დანამდვილებით ვიცოდი, რომ მახო ჩვენს ცხოვრებაში ზედმეტი იყო. ყველაზე მეტად სალომე მაფიქრებდა, ახლა მისთვის ჩვენი ცალ-ცალკე ყოფნა დიდი ტრავმა იქნებოდა. წინასწარ ვიცოდი, რომ მისი გულისთის მახოს ატანა მომიწევდა. ვცდილობდი, ყველაფერს შევგუებოდი

და მახოს მოვლაპარაკებოდი, რომ ერთ ჭერქვეშ გვეცხოვრა, ოღონდ, სალომეს მეტი, საერთო არაფერი გვექნებოდა. ეს რომ გადავწყვიტე, შვებით ამოვისუნთქე. თუმცა, ჯერ კიდევ გასარკვევი იყო, მახო ამ წინადადებაზე დამთანხმდებოდა თუ არა.

კარგა ხანს უსაქმოდ ვიხეტიალე, მერე კი მოვიფიქრე, ჩემს ბავშვობის მეგობართან, მაიკოსთან, სამსახურში შემევლო. სულ რამდენიმე კვირა იყო, რაც მაიკომ ოცნება

აისრულა, ახალ სამსახურში, სახელმწიფო სტრუქტურაში გადავიდა და მეხვეწებოდა, სანახავად მივსულიყავი. ახალ ამბავსაც ვეტყოდი, რჩევასაც ვკითხავდი და თან მის კაბინეტსაც ვნახავდი.

მაიკო გასათხოვარი იყო. ერთი წლის წინ, გზაზე გადასვლისას უზარმაზარი ჯიპი დაეჯახა. სერიოზული ტრავმა არ მიუღია, მაგრამ მძღოლმა სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანა და მისივე მოთხოვნით, მთელი 3 დღის განმავლობაში გამოკვლევებს უტარებდნენ. მძღოლი საკმაოდ სიმპათიური, მაიკოზე 12 წლით უფროსი მამაკაცი იყო. მათ შორის სიყვარულის ძაფიც უმალვე გაიბა და ორიოდე თვის შემდეგ მეგობარმა ჩურჩულით გამიმხილა, რომ გათხოვება საერთოდ გადაიფიქრა და მამუკასთან მხოლოდ ახლო მეგობრობას აპირებდა. ვთხოვე, დაეზუსტებინა, „ახლო მეგობრობაში“ რას გულისხმობდა.

— რას და, მასთან უნდა დავწვე, — ისე მიპასუხა, თვალებში არ შემოუხედავს.

— გაგიჟდი? ამის უფლებას არ მოგცემ!

— ანა, ეს კაცი მიყვარს და მასთან ყოფნა მინდა, — თვალებზე ცრემლი მოერია მაიკოს.

— კი, მაგრამ ის ხომ ცოლიანია?

— მერე რა? მასაც ვუყვარვარ.

— შენ 28 წლის ხარ, ის — 40-ის, — სხვადასხვა მიზეზს ვიშველიებდი, რომ გონზე მომეყვანა.

— მერე რა?

— მერე ის, რომ კარგად დაფიქრდი.

— უკვე დავფიქრდი და გადაწყვეტილებაც მივიღე.

— თუ იცის, რომ აქამდე კაცი არ გყოლია?

— კი, იცის და მირჩია, რომ კარგად დავფიქრდე და ისე გადავწყვიტო, მინდა თუ არა მასთან ურთიერთობა.

— მერე, შენ რა უთხარი?

— ჯერ არაფერი. რჩევას შენ გეკითხები...

— ჰმ, ჩემი პასუხი ხომ წინასწარ იცოდი?

— კი, მაგრამ...

— რაღა მაგრამ, გოგო, მომავალზე რატომ არ ფიქრობ? ოჯახი არ გინდა? ქმარი, შვილები...

— არა, არავინ მინდა. ცხოვრებაში ხომ ხშირად ხდება ისე, რომ ვიღაცას გვიან შეხვდები; მერე კი სინანულით ფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა, დიდი ხნის წინ შეხვედროდით ერთმანეთს. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. ერთმანეთი გვიყვარს და ერთად ყოფნა გვინდა. იმიტომ უნდა ვთქვა მასზე უარი, რომ მე ქალწული ვარ, ის კი ცოლიანი?

— ეგ ცოტაა? ნუთუ ასე უმნიშვნელოა ეგ 2 მიზეზი?

— როცა გიყვარს, ყველაფერი უმნიშვნელოა.

— შენ ყველაფერი გადაწყვეტილი გქონია და ჩემი რჩევა რაში გჭირდება? ალბათ იმიტომ, რომ სინდისის ქენჯნამ არ შეგაწუხოს, არა?

— ალბათ... — ჩაიბუტბუტა, მობილურზე მამუკას ნომერი აკრიბა და უთხრა: — ანასთან ვარ, მოდი.

ამის შემდეგ მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართა. მაიკო ბედნიერებისგან ბრწყინავდა. მამუკა ყურადღებიანი, მოსიყვარულე და თბილი ადამიანი აღმოჩნდა და ერთმანეთს მშვენივრად გაუგეს. მაიკოს ახალი სამსახურიც სწორედ მისი დამსახურება გახლდათ.

მანქანა შენობასთან მივაყენე და შესასვლელში, დაცვას ვთხოვე, რომ შიდა ტელეფონით სარგებლობის უფლება მოეცათ. ბიჭებმა არშიყი დამიწყეს. მართალია, უნიჭოდ გამოუვიდათ, მაგრამ მაინც მესიამოვნა. ცოტა მეც წავეკეკლუცე. როგორც იქნა, საშვი გამომიწერეს და რამდენიმე წუთის შემდეგ მაიკოს ოთახში, მის პირისპირ ვიჯექი და ჩემს ამბავს ვუყვებოდი. როდესაც დავასრულე, მაიკო კარგა ხანს ხმას ვერ იღებდა.

— ადექი და შეურიგდი, სულ აღარ გიყვარს? — ისე მითხრა, თვითონვე ხვდებოდა, სისულელეს რომ მეუბნებოდა.

— არავითარ შემთხვევაში! — კატეგორიულად წარმოვთქვი. — როცა უნდა, წავა, დაიკარგება, როცა უნდა — დაბრუნდება და მე ამას მშვიდად უნდა შევხვდე და ცოლობა ისე გავუწიო, თითქოს არაფერი მომხდარა?.. ამას მირჩევ?

— რა ვიცი, — დაიბნა მაიკო.

— ჰოდა, წავიდეს და ისევ იქ დაახვიოს, საიდანაც მოვიდა.

— ასე იოლად ვერ მოიშორებ. რა უნდა ქნა ახლა?

— ახლა? ახლა მე ვიცი, რასაც ვიზამ — თმას სხვა ფრად შევიღებავ, კაბებს დავიმოკლებ და საკუთარ ცხოვრებას მივხედავ, — ვთქვი და ფეხზე წამოვდექი. ოთახის ბოლოში, კედელზე მიკრულ სარკეს მივუახლოვდი და საკუთარი თავი შევათვალიერე. ტანზე მოტმასნილი, გრძელი კაბა ისე წამოვიწიე, რომ ლამის საცვალი გამომიჩნდა და მაიკოს ვკითხე: — მოკლე კაბა ხომ მიხდება?

— ძალიან გიხდებათ, უნაკლო, ლამაზი ფეხები გაქვთ, — მიპასუხა მამაკაცის ხმამ. მოულოდნელობისგან შევხტი და კაბას ხელი გავუშვი. კაბა ძალიან ვიწრო იყო და ზევით აწეული დარჩა, ვიდრე ხელით არ ჩამოვქაჩე. მხოლოდ ამის შემდეგ მოვახერხე, ამ სიტყვების ავტორი დამენახა.

კართან ძალზე სიმპათიური მამაკაცი იდგა და მიღიმოდა. მაიკოს შევხედე. ფეხზე წამომდგარიყო და ლოყები წითლად შეფაკლოდა.

— მაპატიეთ, არ ვიცოდი, ვინმე თუ შემოიხედავდა, — ჩავიბურტყუნე გაურკვევლად.

— არა უშავს, არა უშავს, ეს ჩემთვისაც სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, — ისევ მაცდურად მიღიმოდა მამაკაცი.

— ჩემთვის მოულოდნელობა კი იყო, მაგრამ სასიამოვნო — ნამდვილად არა, — გონს მოვეგე და კეკლუცად ვუპასუხე, — თუმცა, კომპლიმენტი ნამდვილად სასიამოვნოდ მეჩვენა, — აშკარად ვეარშიყებოდი მოულოდნელ სტუმარს.

— კარგი, ბოდიშს ვიხდი, სხვა დროს დაუკაკუნებლად არ შემოვიჭრები, — თქვა და გაბრუნდა. კარი ზურგს უკან მიიხურა თუ არა, მაშინვე ვიღაცამ დააკაკუნა.

— მობრძანდით, — გასძახა მაიკომ. ისევ ის იყო.

— მართლა კარგი ფეხები გაქვთ, მე კი დათო ვარ, — თქვა და ისევ გავიდა.

— ვინ იყო ეს ლამაზი ყმაწვილი? — ვკითხე მაიკოს.

— ჩვენი შეფია.

— ოჰო! მთლად შეფი?

— ჰო, მთლად შეფი, თანაც, უცოლო, — გაიცინა მაიკომ.

— ოოო, აბა, ღირს, მისთვის ბრძოლა...

— არ გირჩევ. მართალია, ცოლი არ ჰყავს, მაგრამ სამაგიეროდ, საყვარელი ჰყავს ისეთი, რომ 10 ცოლს უდრის. თურმე, 5 წელია, საყვარლები არიან, აქაც ყველა იცნობს, რადგან ძალიან ეჭვიანი ყოფილა და ხშირად აკითხავს, რომ არაფერი გამოეპაროს და სიტუაცია გააკონტროლოს. მე ერთი-ორჯერ მოვკარი თვალი, მაგარი ქალია. ისე კი ყველა იცნობს, რადგან მის გარეშე არსად დადის, ყველგან თან დაჰყავს და როგორც ჩანს, უყვარს კიდეც.

— რომ უყვარდეს, აქამდე ცოლად შეირთავდა. უცოლო ყოფილა და რა უშლის ხელს? როგორც ჩანს, იმ ქალს ისე ჰყავს გამოჭერილი, რომ გვერდზე არ ახედებს. ჰოდა, რაღაც შანსი არსებობს, რომ ეს ყმაწვილი ჩემი გახდეს!

— ისე, მართლა მაგარი სიმპათიურია, არა? — მაიკოს არც გაჰკვირვებია ჩემი სიტყვები. ისე მიიღო, თითქოს ყოველდღე ასე ვაბამდე კაცებს. როგორც ჩანს, ხუმრობად მიიჩნია.

— ღმერთო ჩემო, ისეთი სიმპათიურია, რომ მუხლი მეკვეთება, გული მიმდის და სულ მთლად გადავირევი, ეს ყმაწვილი თუ არ ჩამეხუტება, — ზუსტად ისე წარმოვთქვი, როგორც „სიზმარაში“ მეფის ქალიშვილი ამბობს. ამან მაიკო ძალზე გაამხიარულა.

— აბა, შენ იცი, — შემაგულიანა მერე.

— შენ გგონია, ვხუმრობ? სულაც არ მეხუმრება, რადგან შინ ყოფილი ქმარი მელის, რომელმაც ჯერ არ იცის, რომ „ყოფილია“. ცხოვრების ძირფესვიანად შეცვლა გადავწყვიტე და მაგარი კაცის გულის მონადირებას ვაპირებ, რომელიც სხვა, მაგარ ნაშას უნდა დავაწერო...

— კაბის დამოკლებას რომ აპირებ, ხომ არ დაგავიწყდა? — ვისკისებდა მაიკო.

— არა, მაგით დავიწყებ.

— შენ რა, ამას მართლა ამბობ?

— სრულიად სერიოზულად. პირველი ნაბიჯი კი ის იქნება, რომ შენს მამუკას ვთხოვ, მეც აქვე გამიჩალიჩოს სამსახური.

ამ ამბიდან 3 წელი გავიდა და მამუკამ მხოლოდ ახლახან მოახერხა, რომ ჩემთვის სამსახური ეშოვა. მართალია, ძალზე დაკავებული ვარ და ჩემს ბიზნესს ბევრი დრო მიაქვს, მაგრამ მაინც შევათავსებ. მთავარი ისაა, რომ როგორც იქნა, დათოსთან ყოველდღიური ურთიერთობის საშუალება მომეცა. ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ჩემი პირველი სამუშაო კვირა ორშაბათს, 17 მარტს დაიწყო. სხვა დეტალებისა და მოვლენების განვითარების შესახებ მომავალ კვირას გიამბობთ.

მაგარი კაცის გულის მონადირებას ვაპირებ, რომელიც სხვა, მაგარ ნაშას უნდა დავაწერო...

ნუ გადახდით თავს
თქვენს ყაშოლოქს!
გადაძხდეთოთ ყავშაში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რა ხდება ეკრანს მიღმა?

მე, გრაფი თარხანი მკითხველს დავუბრუნდი. 2 თვეზე მეტხანს უცხოეთში ვიყავი, პირად საქმეებზე და სამოგზაუროდ. მასალები, რომლებიც ამ 2 თვის განმავლობაში „კონსულტაციის" რუბრიკით გადიოდა, წინასწარ მქონდა მომზადებული და მარისთვის დატოვებული. მკითხველთა შეკითხვებს, რომლებიც უხვად დაგროვდა, სამწუხაროდ, პასუხს ვერ ვცემდი. ამ კვირიდან თქვენთან ურთიერთობას ისევ განვაახლებ და ძველებურ რეჟიმში ვიმუშავებ. მაშ ასე, დღეს ერთ-ერთი თქვენგანის კითხვას ვუპასუხებ: „გამარჯობა, გრაფო. ძალიან მიყვარს ტელევიზორთან ჯდომა და ხშირად სამსახურიც კი გამიცდენია საინტერესო გადაცემების გამო. იქნებ ამიხსნათ, მართალია, რომ ამბობენ, ტელევიზია ადამიანს აპროგრამებსო? რა ხდება ეკრანს მიღმა?"

გრაფი თარხანი

როდესაც რუტინული სამუშაოს მერე შინ ბრუნდები, რა თქმა უნდა, დაღლილობას გრძნობ. უნდა ივახშმო და მოეშვა. ასეთ დროს გასართობად ტელევიზორი ძალიან კარგი საშუალებაა. ის ვირტუალური რეალობასავითაა და ჩვენ გარშემო სხვა სამყაროს ქმნის. ის ურთიერთობის ილუზიას იწვევს და მარტოობის შეგრძნებას აქრობს.

დიდი ხანია, ადამიანები „ტელემეგობრების", „ტელეპოლიტიკის", ტელეშოუს" სივრცეში" ვცხოვრობთ. რაც უნდა აკრიტიკონ ჩვენი ტელეილუზიები, გამოგონილი, ლამაზი სამყაროს რწმენა ყველა კრიტიკოსის აზრს გადაწონის. სოციოლოგებმა იციან, რომ ტელევიზორის ყურების ტრადიცია იმდენად დამკვიდრებულია, ბევრ ოჯახში ის ფონის როლსაც კი ასრულებს.

საზოგადოებისთვის ტელევიზია ავტორიტეტად იქცა. ეკრანზე ნანახი სახე ჩვენს გონებაში დიდი ხნის განმავლობაში იბეჭდება. ჩვენ გადაცემები კი არა, ცხოვრებაზე შექმნილი ფანტაზიები უფრო გვიყვარს, რომელსაც ტელევიზია გვიქმნის. საკუთარი ოცნებები გვიყვარს იმის შესახებ, როგორი შეიძლებოდა, ჩვენი ცხოვრება ყოფილიყო. ტელევიზორი იმედს გვისახავს და საკუთარ სურვილებსა და შესაძლებლობებში გვარკვევს. სურვილი გვიჩნდება, რომ ისეთ ლამაზ სამყაროში ვიცხოვროთ, როგორსაც ფილმში ვხედავთ, სადაც სამყაროს ბედს ნამდვილი მამაკაცები და იდეალური ქალები წყვეტენ. ამის გამო, ტელევიზორი ხშირად მაგალითს გვაძლევს და გვასწავლის, როგორ უნდა ვიცხოვროთ, რა უნდა გვსურდეს, რისი იმედი გვქონდეს და რა გვიხაროდეს.



ჩვენს შინაგან სამყაროს აქვს უნარი, რომ ძლიერი შთაბეჭდილების გარშემო თავისი ემოციების კონცენტრირება მოახდინოს. რაც მეტ შთაბეჭდილებას მივიღებთ ეკრანიდან, მით მეტად გაგვიჩნდება სურვილი, რომ ისინი რეალობად ვაქციოთ და ცხოვრებაში განვახორციელოთ. როგორ შთაბეჭდილებას გვიქმნის თანამედროვე ტელევიზია? უამრავ პათოლოგიას, ანომალიას, ძალადობას, გარყვნილებას, სკანდალსა და კრიმინალურ ამბავს აშუქებს.

ტელევიზია სულ უფრო სასტიკი და დაუნდობელი ხდება, ჩვენი ქვეცნობიერი კი უფრო და უფრო ნაკლებ სიყალბეს ამჩნევს და გონების დაბინძურებას იოლად ეგუება. ხშირად მაყურებელი ერთმანეთისგან ვერ არჩევს „მხატვრულ" და „ცხოვრებისეულ" ძალადობას, დეტექტიურ ამბავსა და კრიმინალურ ინფორმაციას. ამიტომ სიმართლესა და გამოგონილ ამბავს შორის სხვაობის დანახვას გადაეჩვია.

თავდაპირველად, ტელევიზია ხალხისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად შეიქმნა, მა-

გრამ დროთა განმავლობაში, გასართობი გადაცემების წილი გაიზარდა. ადამიანები თეატრსა და კონცერტებზე აღარ დადიან, წიგნებს აღარ კითხულობენ და კინოში მხოლოდ იმ ფილმების სანახავად მიდიან, რომლის რეკლამირებასაც ტელევიზია ახდენს.

ტელევიზია დიდი ძალაა, და როგორც მოგეხსენებათ, ნებისმიერი ძალის წარმართვა როგორც სასიკეთოდ, ასევე ბოროტების ჩასადენად შეიძლება. ვიდრე ტელევიზია მასობრივ მომხმარებელს ემსახურება, ის სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურების რეკლამირებისთვის გამოიყენება. სარეკლამო მენეჯერებმა კარგად იციან 25-ე კადრის ეფექტის შესახებ, რომელიც ადამიანს აიძულებს, შეუცნობლად სწორედ ის იყიდოს ან გააკეთოს, რასაც რეკლამა სათავაზობს.

გადაცემები, რომლებიც ადამიანების „ძირითად ინსტინქტებს" უწევს ექპლუატაციას, გაცილებით პოპულარულია, რადგან იოლად „იყლაპება" და ბევრი ფიქრი და განსჯა არ სჭირდება. კრიმინალური ქრონიკის, სკანდალური ტოქ-შოუებისა და დაუსრულებელი სერიალების პოპულარობის მიზეზი ინფორმაციული სიცარიელის შევსება და მოწყენილობაა.

როგორიც უნდა იყოს, ტელევიზიის მიერ შემოთავაზებილი სტერეოტიპი, ქვეცნობიერში რეალურ სურვილებს შლის და ადამიანის პროგრამირებას ახდენს. აზროვნება ვიწროვდება და სექსსა და ჭამას ვერ სცდება. ყველაფერი დანარჩენი უკვე ნამდვილი ცხოვრებიდან გადახვევად ეჩვენება. სინამდვილეში ასეთი უნდა იყოს ცხოვრება? რა თქმა უნდა, არა!

მაგრამ „ტელევიზიონშჩიკები" შეშფოთებული არიან იმით, რომ ბოლო დროს გასართობი გადაცემების რეიტინგი საგრძნობლად დაეცა. ისინი ამის მიზეზს ვერ პოულობენ და არხების სიმრავლეს აბრალებენ, რომლებიც მაყურებელს ერთნაირ გადაცემებს სთავაზობენ. სინამდვილეში კი ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანებს მოჰბეზრდათ ეს ყველაფერი და სხვაგვარი ცხოვრების სურვილი გაეღვიძათ.

კაცობრიობა სურვილების ვექტორის გასწვრივ ვითარდება. განვითარება ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებით იწყება, შემდეგ გამდიდრების, განდიდების, ძალაუფლების სურვილი ჩნდება. ტელევიზიას კი რეალურად შეუძლია, ადამიანებს ამ სურვილების ასრულებაში დაეხმაროს, თავისი ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი, აღმზრდელობითი ფუნქცია დაიბრუნოს და ბევრი ადამიანისთვის კომპასის როლი შეასრულოს.

? **— გრაფო, ძალიან მინდა, ამიხსნათ, ვინ არის ფსიქოლოგი და როდის უნდა მივმართო მას?**

— ფსიქოლოგი არის ადამიანი, რომელსაც აქვს უმაღლესი, ჰუმანიტარული, ფსიქოლოგიური განათლება და პაციენტთან მუშაობისას მხოლოდ საუბარს იყენებს. მას არა აქვს სამედიცინო განათლება და წამლის დანიშვნა არ შეუძლია. მუშაობისას ძირითადად იყენებს ერთ ან რამდენიმე მეთოდს.

ფსიქოანალიზი, ფრეიდიზმი — კონსერვატული მეთოდი გახლავთ და მკურნალობისთვის ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს (1-2 წელი). ამას მკურნალობის მეთოდსაც ვერ ვუწოდებთ, ეს უფრო თვითგამოკვლევის მეთოდია.

ნლპ — ნეირო-ლინგვისტიკური პროგრამირება — მეტად ეფექტური მეთოდია და მცირე დროს მოითხოვს (1-10 კონსულტაცია). ამ შემთხვევაში „პროგრამირება" პაციენტის გონებაში ინფორმაციის ჩაწერას კი არა, პრობლემის დეტალიზაციას გულისხმობს.

ფსიქოთერაპია (ნუ აურევთ ფსიქოლოგთან ვიზიტში), ბიხევიორიზმი, გეშტალტთერაპია, ასაკობრივი ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ეკონომიკური ფსიქოლოგია, ფსიქოდიაგნოსტიკა, არტთერაპია, ერიქსონის ჰიპნოზი, თანატოთერაპია და სხვ. ფსიქოლოგს კი უნდა მიაკითხოთ მაშინ, როცა რაიმე პრობლემის წინაშე დგახართ და გამოსავალს ვერ პოულობთ ან უბრალოდ, ვინმესთვის გულის გადაშლა და რჩევა გჭირდებათ.

? **— გამარჯობა, გრაფო, ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება. უამრავი კომპლექსი მაწუხებს. სულ იმას ვფიქრობ, რას იტყვის ხალხი? ამის გამო ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. მაგალითად, სულ ელემენტარულს გეტყვით: მაღაზიაში ალკოჰოლურ სასმელს ვერ ვყიდულობ. მგონია, რომ გამყიდველს ლოთი ვეგონები. ამის გამო სირთულე მექმნება მაშინ, როცა სტუმრებს ველი. რა ვქნა?**

— ერთი შეხედვით, თქვენი კომპლექსები შესაძლოა, ვინმეს სასაცილოდაც კი მოეჩვენოს, მაგრამ არც ისე სასაცილოდ გაქვთ საქმე. იგივე სირთულეს, რაზეც თქვენ საუბრობთ, ბევრი ადამიანი აწყდება, განსაკუთრებით კი — ქალები. უამრავ ისეთ ქალს შევხვედრივარ, ვინც მაღაზიაში, პურის საყიდლად წასვლის წინ საფუძვლიან მაკიაჟს იმიტომ კი არ იკეთებს, რომ კარგად გამოიყურებოდეს, უბრალოდ, იმის ეშინია, რომ არ თქვან, თავს არ უვლისო. შემდეგ მიიხუტებს ერთ პურს მკერდზე და შინ ბრუნდება, რომ თავისი „შედევრი" სახიდან მოიშოროს.

ჩემს ერთ-ერთ პაციენტს იაფფასიანი დეტექტივების კითხვა უყვარდა, მაგრამ მათი ყიდვის ერიდებოდა. ამიტომ, 1-2 სერიოზულ გამოცემას შეიძენდა და მათთან ერთად — სასურველ წიგნსაც. თან ამბობდა, რომ სიდედრისთვის უნდოდა. მას იმის შიში ჰქონდა, ვინმეს გაუნათლებელ და სულელ ადამიანად არ მიეჩნია.

მინდა გითხრათ, რომ ეს ყველაფერი წვრილმანია და სულ ტყუილად გტანჯავთ კითხვა — რას იტყვიან? რაც უნდათ, ის თქვან! თუ თქვენ არ გაიმარჯვებთ კომპლექსებზე, ისინი გაიმარჯვებენ თქვენზე და ცხოვრებას მართლაც ჯოჯოხეთად გიქცევენ. დროა, ცხოვრება შეცვალოთ! ახლავე წადით, ერთი ბოთლი არაყი ისე შეიძინეთ, რომ უხერხულობა არ იგრძნოთ და შინ ამაყად ყელმოღერებული მიდით. ნახეთ, როგორი კმაყოფილების გრძნობა დაგეუფლებათ...

P.S. იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი გრაფთან მოხვდეს, მობილურის „ესემეს"-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა grafi გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე 8884.

აბაზარ დაკანონებით თავი მოწევას

თუ ძლიერი ნებისყოფა გაქვს და მტკიცედ გადაწყვიტე, რომ სიგარეტის მოწევას თავი უნდა დაანებო, მაშინ ექიმის ჩარევა აუცილებელი არ არის. თუ საკუთარ სურვილებთან გამკლავება გიჭირს, ამ შემთხვევაში ექიმის დანიშნული მედიკამენტების გამოყენებაა აუცილებელი.

გრაფი თარხანი

სიგარეტის მავნებლობის შესახებ ინფორმაცია ხშირად იმით შემოიფარგლება, რომ ერთი წვეთი ნიკოტინი ცხენს კლავს და რომ მოწევა კიბოს იწვევს. ეს მტკიცებულება საფუძველს მოკლებული არ გახლავთ. სიგარეტის კვამლი 3 ათასამდე ნივთიერებას შეიცავს, რომელთაგან 16 კიბოს წარმოქნის საფუძველი გახლავთ. ნიკოტინმა მიჩვევა იცის. ადამიანთა უმეტესობა ამჩნევს, რომ მოწევის დაწყებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ სიგარეტი მათი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცევა და კარგი განწყობილების შესანარჩუნებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ორგანიზმში ნიკოტინის მიწოდების შეწყვეტის შემდეგ, აბსტინენციის მდგომარეობა (ფიზიკური და ფსიქიკური აშლილობა) ვითარდება, რომლის მოხსნაც მხოლოდ ნიკოტინის მორიგი „დოზის" მიღების შედეგადაა შესაძლებელი.

სისტემატური მოწევა სისხლძარღვთა დაავადებების წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლავთ. ნიკოტინის ზემოქმედებით სისხლძარღვების შევიწროება ხდება და მათი კედლების გადაგვარებას იწვევს. ეს კი ათეროსკლეროზის განვითარების საშიშროებას ქმნის.

მწეველის გული ძალზე ცუდად მუშაობს. სიგარეტის თითოეული ღერი გულს 18-20 დარტყმით აჩქარებს.

ნიკოტინით ქრონიკული მოწამვლის შედეგია „მწეველის ბრონქიტი", რომელიც მომავალში ფილტვების დაავადებას იწვევს. გარდა ამისა, მწეველი ადამიანები ხშირად ოტიტით, კონიუნქტივიტით, ლარინგიტით, ფარინგიტით, სტენოკარდიით, ინსულტითა და სხვადასხვა სიმსივნური წარმონაქმნითა და კიბოთი ავადდებიან.

თამბაქოს ნაწარმის ხანგრძლივად გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა, მწეველმა გემოს შეგრძნება და მხედველობა დაკარგოს, სახის კანი გაუფუჭდეს და კბილები და ღრძილები დაუავადდეს.

მწეველთათვის, სიგარეტისგან თავის დასაღწევად უამრავი მეთოდია შემუშავებული. ექიმები მათ გამოყენებას კომბინირებულად გვირჩევენ. ამჯერად თქვენს ყურადღებას ყველაზე გავრცელებულ და ეფექტიან მეთოდებზე შევაჩერებ.

ფსიქოთერაპია

პირველ რიგში აუცილებელია, დადგინდეს, პაციენტს ნამდვილად უნდა თუ არა მოწევისთვის თავის დანებება. ხშირად მკურნალობა შედეგს იმიტომ არ გვაძლევს, რომ მწეველს „გადაგდების" სურვილი ბოლომდე არ აქვს გათვითცნობიერებული. ფსიქოთერაპევტმა ეს აუცილებლად უნდა გაარკვიოს და დაადგინოს, პაციენტი მწეველთა რომელ კატეგორიას მიეკუთვნება. ფსიქოლოგიური რჩევები ძირითადად იმისთვისაა საჭირო, რომ პაციენტს სიგარეტისთვის თავის დანებების სურვილი გაუჩნდეს.

ჰიპნოზი

ჰიპნოზით ზემოქმედების 2 მეთოდი არსებობს და მათი გამოყენება, როგორც ცალკე, ასევე ერთობლივადაა შესაძლებელი. ერთ-ერთი მეთოდის მიხედვით ჰიპნოთერაპევტს პაციენტი ღრმა რელაქსაციის ფაზაში შეჰყავს, ამის შემდეგ ინფორმაცია მოწევის მავნებლობის შესახებ — ქვეცნობიერში. წარმატებული სეანსის შემდეგ, ტრანსიდან გამოსული პაციენტი სიგარეტზე დამოკიდებული აღარაა და ნიკოტინის მოთხოვნილებაც არ აქვს. სრულად განკურნებისთვის სეანსი 3-4-ჯერ უნდა გამეორდეს. მსგავსი თერაპიის წარმატებული შედეგი მხოლოდ 10-30%-ია.

მეორე მეთოდის თანახმად, ექიმს პაციენტი ჰიპნოზურ მდგომარეობამდე მიჰყავს. ამ დროს ექიმი ქვეცნობიერის იმ ნაწილს ეკონტაქტება, სადაც მავნე ჩვევის წარმოქმნა და მისი ჩამოყალიბება ხდება. ნიკოტინი მწეველს კომფორტის შეგრძნებას უჩენს, სევდას, დანაშაულის შეგრძნებასა და შიშს ნიღბავს. ყველა ეს ფაქტორი მანამდე უნდა იქ-

ნას ლიკვიდირებული, ვიდრე პაციენტი მოწევას თავს დაანებებს.

ნიკოტინის შემცვლელებით მკურნალობა

ისეთი ალკალოიდები, როგორიცაა ლობელინი და ციტიზინი, ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს და ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორსაც ნიკოტინი. ამასთან, მათი მეშვეობით მწეველი სიგარეტის გემოს ვერ შეიგრძნობს. მათი მიღება ორგანიზმში სიგარეტისთვის თავის დანებების შემდგომ წარმოქმნილ, სხვადასხვა ნივთიერების დეფიციტს ავსებს.

დიეტა

არსებობს სპეციალურად შემუშავებული დიეტა, რომელიც ორგანიზმში დაგროვილ, ცხიმის ფენებში ჩალაგებულ მომწამვლელ ნივთიერებებს გამოდევნის.

ფიზიკური ვარჯიში

მოწევისთვის თავის დანებების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი ვარჯიში, რომელიც პაციენტის სუნთქვას გააკონტროლებს და ორგანიზმის მიერ ჟანგბადის ათვისების უნარს გაზრდის. ნიკოტინი ფილტვების მოცულობას ამცირებს. სწორედ ამის გამოა, ორგანიზმი ნაკლები რაოდენობის ჟანგბადს რომ ითვისებს. ათვისებული ჟანგბადის რაოდენობის გაზრდა განწყობილებას აუმჯობესებს.

სუნთქვითი ვარჯიშები

ფილტვების მოქმედების აღმდგენ და სისხლის მიმოქცევის გამაუმჯობესებელ, საუკეთესო მეთოდად დღემდე იოგას ვარჯიშები რჩება. მთავარია მათი სწორად გამოყენება. რამდენიმე ხნის წინ, ექიმებმა ახალი სუნთქვითი ვარჯიშები შეიმუშავეს. ისინი ხელს უწყობს ზედაპირულ სუნთქვას და მოწევის სურვილის დაკარგვას.

მასაჟი

მანუალური მასაჟის საშუალებით ქსოვილებიდან ნიკოტინის გამოდევნა იოლდება, რაც ორგანიზმს გამოჯანმრთელებაში ეხმარება.

აკუპუნქტურა

სხვა მეთოდებთან ერთობლიობაში, აკუპუნქტურა ძალიან კარგ შედეგს იძლევა. განსაკუთრებით სასარგებლოა იმისთვის, რომ პაციენტმა ნიკოტინზე დამოკიდებულებას დააღწიოს თავი.

ნიკოტინის შემცველები

ნიკოტინური საღეჭი რეზინი ან იმპლანტანტი მოწევისთვის თავის დასანებებლად კარგი მეთოდია, მაგრამ ამ დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათი საშუალებით ორგანიზმს ნიკოტინი კვლავ მიეწოდება და ნერვულ სისტემაზე უარყოფითად მოქმედებს. ის დამოკიდებულებისგან არ ათავისუფლებს და როგორც კი ნიკოტინის შემცველი მოქმედებას წყვეტს, პაციენტს მოწევის სურვილი კვლავ უჩნდება. ეს მეთოდი მისაღებია მხოლოდ იმ პაციენტებისთვის, რომლებზეც სხვა, ზემოთ აღწერილი მეთოდები შედეგს არ გამოიღებს.

მოკლე ჩართვა

ხვალ რომ სქესი შემეცვალოს

• კაცად რომ გავიღვიძო? ვიტყვი: ვა, ეს რა მოუბამთ, ტო, ივა კუზანოვთან ისე როგორ მოვხვდი, რომ აზრზე ვერ მოვსულვარ-მეთქი? ნანკა.

• ხვალ რომ სქესი შემეცვალოს და ბიჭად ვიქცე, ძაან, ძაან მაგარი იქნება. აუ, რას არ გავაკეთებდი (ოღონდ, დანაშაულს არ ჩავიდენდი)! მესიჯობა ძაან მიყვარს და ჩემი ძმის გამო ვერ ვმესიჯობ, სულ მიშლის (დამპალი). ოჰ, რა „სიმპატიჩნი" ბიჭი ვიქნებოდი, უფ, უფ! ისე, გოგონები უფრო მაგრები ვართ. ლია.

• ხვალ რომ სქესი შემეცვალოს, მაგარი „ანტიკვარი" ნაშა ვიქნები. :) ოჩოპინტრე.

• ხვალ რომ სქესი შემეცვალოს, მამაჩემი მეტყვის: „დედაშენს რა ვუთხრა, ბიჭო?" აბსურდა.

• წამოვდგებოდი, სარკეში ჩავიხედავდი და გული წამივიდოდა. :) შემდეგ იქნებოდა „რეისი" მესამე სართულიდან — ძირს. :) არ მინდა ქალობა, ძაან სუსტები და უმწეოები არიან. :) ვერმახტი.

• ნეტავ, გამელვიძოს და ვნახო, რომ ბიჭი ვაარ... კაკუ.

• ხვალ რომ სქესი შემეცვალოს და თან ხმა დამიბოხდეს, ვაი, ჩემს შეყვარებულს ინფარქტი გარანტირებული ექნება. ლიკუნა.

• ბიჭად რომ ვიქცე, ყველას გადავუხდიდი სამაგიეროს, ვინც გული მატკინა, მაგრამ ბიჭები დებილები არიან. კიდევ კარგი, ბიჭი არ ვარ! გრუზინკა.

• ხვალ რომ სქესი შემეცვალოს და კაცად ვიქცე, მარიზე ვიძიებ შურს. მოვიტაცებ და სვანეთში გადავმალავ. მერე ხომ დამიბეჭდავს მესიჯებს? თინეიჯერი შინაბერა.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

წინა ნომრის ფავორიტი ქალბატონი მე-14 მესიჯის ავტორია, 35 ხმით. მეორე ადგილზე მე-10 ნომერია, 30 ხმით, ხოლო მესამე ადგილზე – მე-16-ე მესიჯის ავტორი, 24 ხმით. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ შორის ყველაზე დიდი მოწონება 31-ე მესიჯის ავტორმა დაიმსახურა, 24 ხმით. მეორე ადგილზე 36-ე მესიჯის ავტორია, 16 ხმით, ხოლო მესამე ადგილზე – 32-ე მესიჯის ავტორი, 10 ხმით.

ქალები



1. ვარ 32 წლის, სიმპათიური ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37 წლამდე ასაკის მამაკაცს, ოღონდ — სერიოზულად.

2. ამ თვეში 32 წლის გავხდები. მინდა, სიყვარულით შევქმნა ოჯახი. დამიკავშირდეს სერიოზული, დასაქმებული, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი. სიყვარული გჭირდება? გელოდები. ეკა.

3. დამაკავშირეთ „გზა“ №5, 31-ე მესიჯის ავტორთან.

4. გთხოვთ, მომწეროთ „გზა“ №9, 28-ე მესიჯის ავტორის ნომერი.

5. ვარ 32 წლის, სერიოზული და პატიოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 37 წლამდე ასაკის მამაკაცს. მსუქნებმა თავი შეიკავეთ.

6. ვარ 20 წლის, 170/60, სტუდენტი. გამომეხმაურონ მაღალი, ცისფერ ან მწვანეთვალება, განათლებული ბიჭები, მხოლოდ თბილისიდან ან ქუთაისიდან, 30 წლამდე. ნინი.

7. მსურს გამომეხმაუროს ქვრივი ან ცოლს გაცილებული, სერიოზული, თბილისელი მამაკაცი. სასურველია ჰყავდეს შვილი ან შვილები. ვპირდები, ღირსეულ მეუღლეობას გავუწევ. ვარ 43 წლის.

8. ვარ 18 წლის მარი, ქუთაისიდან. sms მეგობრობისთვის შევიძენდი მეგობრებს. სქესს მნიშვნელობა არ აქვს.

9. ვარ 45 წლის ქალბატონი, მშვიდი და ყურადღებიანი. მინდა შევქმნა ტკბილი და ლამაზი ოჯახი. მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ნორმალურ მამაკაცს.

10. ვარ 35/173/63, ქერა, სიმპათიური. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, მატერიალურად უზრუნველყოფილ, მაღალ, სიმპათიურ მამაკაცს, 45 წლამდე. ინგა.

11. ვისაც გსურთ, ცოლად პატიოსანი გოგო მოიყვანოთ, დაურეკეთ ჩემს მეგობარს, მხოლოდ დასაოჯახებლებმა. 34/168/53.

12. ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ, ერთგული და პატიოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 36-42 წლის მამაკაცს. ვარ 174 სმ.

13. ბანალური სასიყვარულო ურთიერთობისთვის გავიცნობ 15-16 წლის ბიჭს. ნუ იქნებით უზრდელები, უხეშები და „ნაგლები“. ამჯერად, უბრალოდ — ვიკა.

14. ვარ 45 წლის, ახალგაზრდა ქვრივი. მინდა გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით, ბინიანი, დასაქმებული, სიმპათიური მამაკაცი. გამომეხმაურეთ, ვინც სერიოზულად ფიქრობთ.

15. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, სიმპათიურ, დასაქმებულ, ბათუმელ, 32 წლამდე ასაკის მამაკაცს. არასერიოზულები არ შეწუხდეთ.

16. ძალიან მინდა, მქონდეს ლამაზი ოჯახი. თუ ვინმეს გაგიჩნდათ ჩემი გაცნობის სურვილი, დამიმესიჯეთ. გავიცნობ 36-45 წლამდე ასაკის მამაკაცს.

17. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს თბილისელი, სერიოზული მამაკაცი, 28-40 წლამდე. ვარ 28/170, პატიოსანი, წყნარი გოგო. გართობის მიზნით არ შეწუხდეთ.

18. გავიცნობ 37-45 წლის, სერიოზულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.

19. ვარ 31 წლის, ქმარს გაშორებული. მყავს 6 წლის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 45 წლამდე ასაკის, სერიოზულ, დასაქმებულ და ერთგულ მამაკაცს.

20. მყავს მეგობარი. მინდა შექმნას ბედნიერი ოჯახი. არის 32 წლის და ეძებს 37 წლამდე ასაკის მამაკაცს. მსურველებმა დაურეკეთ.

21. ვეხმაურები „გზა“ №11, 31-ე მესიჯის ავტორს. ვარ 38 წლის, გასათხოვარი, ქართულ ადათ-წესებზე აღზრდილი გოგო, 170/38, განათლებული.

22. ვეძებ ფულიან, მანქანიან, ბინიან, დასაქმებულ, უცოლო მამაკაცს, 35 წლამდე. ვარ 20 წლის, ძალიან ლამაზი გოგო. ვსწავლობ უნივერსიტეტში. კიკინო.

23. საშინლად დავიღალე მარტო ცხოვრებით და უკვე მეშინია, მთელი ცხოვრება მარტო არ დავრჩე. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 36-45 წლამდე ასაკის მამაკაცს.

24. გავიცნობ sms მეგობრობის მიზნით, თბილ და კარგი ბუნების მანდილოსანს, 24-დან 30 წლამდე. თბილისი.

25. გავიცნობდი 20 წლამდე ასაკის, კარგი გარეგნობის გოგოს, კარგი ხასიათისას. ამ ცხოვრების აზრზე უნდა იყოს, უნდა ესმოდეს ცოტ-ცოტა ყველაფერი. დანარჩენს შემდეგ გავარკვევთ.

26. ვარ თბილისელი, 40 წლის, ტანსრული მამაკაცი. გავიცნობ თბილისელ, ტანსრულ, ნებისმიერი ასაკის მანდილოსანს.

27. გავიცნობ თბილისელ გოგოს, უბრალო და წესიერი ოჯახიდან, 23-დან 30 წლამდე. გია.

28. ვარ 23 წლის, სიმპათიური, 178 სმ სიმაღლის. გამომეხმაურონ 40 წლამდე ქალები. დიდ სიამოვნებას მოვგვრი. დათო.

29. სამეგობროდ გავიცნობდი 20-40 წლის მანდილოსანს, რომელსაც ვთავაზობ დიდ სითბოს და ლამაზ ფერებში დავანახვებ მომავალს.

30. სამეგობროდ გავიცნობდი 18-23 წლის, ლამაზ გოგოს. ბუმერა, 23 წლის.

31. გავიცნობ sms მეგობრობის მიზნით, კარგი ბუნების, კეთილ, თბილ მანდილოსანს. ვარ ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ბიჭი. თბილისი.

32. გავიცნობ მარტოხელა, თბილისელ, ლამაზ ქალს, ჯერ სამეგობროდ, მერე — ვნახოთ. მე თბილისელი ვარ, მარტოხელა, განქორწინებული, სიმპათიური, მოწესრიგებული. დამიმესიჯეთ, გელით.

33. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №11, მე-19 მესიჯის ავტორის ნომერი. თემური.

34. მარი, გთხოვ დამაკავშირო „გზა“№11, მე-16 მესიჯის ავტორ ირმასთან.

35. გავიცნობ 20-25 წლის, შეგნებულ და ალალ გოგოს. არც სიმდიდრე მაქვს და არც ცხოვრება, შესაშური. ვინც გამიგებს, მისი ბედნიერებისათვის ყველაფერს გავაკეთებ. გიო-26.

36. გავიცნობდი თბილისელ, მარტოხელა ქალბატონს, ბინით უზრუნველყოფილს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 45 წლის, ქვრივი მამაკაცი.

37. ვარ 35/175/78, მამაკაცი, ზღვისპირეთიდან, დასაქმებული. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 32 წლამდე ასაკის, სერიოზულ და სუფთა წარსულის მქონე გოგოს.

38. ვარ 30 წლის, მანქანით და ბინებით უზრუნველყოფილი, სერიოზული მამაკაცი. მსურს გავიცნო 20-33 წლამდე ასაკის, მიმზიდველი, სექსუალური, მომხიბვლელი მანდილოსანი. ბათუმი.

39. ვარ ახალგაზრდა, ინტელექტუალური, თბილისელი მამაკაცი, სამსახურით და ბინით უზრუნველყოფილი. ოჯახის შექმნის მიზნით დამიკავშირდეს 28-34 წლის, სერიოზული და ზრდილი ქალიშვილი.

40. ვეხმაურები „გზა“ №11, 31-ე მესიჯის ავტორს. თუ გსურთ, რომ თქვენი ბიძაშვილი უბედნიერესი იყოს, დაუმესიჯოს ჩვენს მეგობარს.

41. ხელმეორედ ვაქვეყნებ ამ განცხადებას. წინა ნომერში არასწორად იყო ჩასმული ტელეფონის ნომერი. მყავს 45 წლის ბიძაშვილი. თბილისელი, ქვრივი, დასაქმებული.

42. გამარჯობა. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზა“ №!11, მე-16 მესიჯის ავტორს.

43. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №11, მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი.



44. ვეძებ რუსთავში მცხოვრებ თამთას. მეუღლეს ჰქვია ზვიადი და ბიჭსაც ზვიადი ჰქვია. 2001 წელს ჩეხეთში გავიცანით ერთმანეთი, მერე კი ავსტრიაში გადავიდნენ.

45. ვეძებ ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, კონცხის უბანში მცხოვრებ, გოგიტა გოგიაშვილს. გოგიტა, გამომეხმაურე, ჟურნალ „გზაში“.

46 ვეძებ ჩემს დაქალს, გიტას, რომელიც ათენშია და რამდენიმე თვის წინ უთანხმოება მოგვივიდა. ვიცი, ამ ჟურნალს ათენში ბევრი კითხულობს და იქნებ მივაწვდინო ხმა?



• მარი, რა მოხდება, რომ „გზავნილებში“ მიმიღო და სადმე ჩამაკვეტო? პლიზ, ok? ქალი ძლივს ვშოულობ „გზას“, მთელი ერთი კვირა დავბორიალებ, რომ ვიყიდო. აქ ადვილად არ იყიდება და მე რა დავაშავე? ვგიჟდები ამ ჟურნალზე და გპირდები, თქვენი ერთგული ვიქნები. თუმცა, ახლაც ვარ. ცხრაჭკუაშვილი.

• მარი, რამდენი მესიჯი უნდა გამოვგზავნო ათენიდან, ერთი მაინც რომ დამიბეჭდო? ვეძებ ემიგრანტთა კლუბს! გამაგრდით, ემიგრანტებო! გუათენი.

• როგორ ხართ, ხალხო? რა ხდება ჩემს თავს? უკვე მესამე თვე დაიწყო, რაც ვამესიჯებ ათენიდან. ყოველი კვირადღე მიხარია იმიტომ, რომ „გზას“ გადავშლი და ჩემ მესიჯს ვნახავ-მეთქი, მაგრამ თურმე ნუ გიხარია, მარის შენთვის არ სცალია, სხვა საქმეებით არის დაკავებული. როგორ ხართ, ჯიგრებო? ხომ მაგრად ხართ? კობრა.

• როგორ ხართ, ხალხო? მე ახალი ვარ. ადექით, რა დროს ძილია, მშვენიერი დღეა. კობრა.

• მომავალი თაობები აივლიან, ჩაივლიან, სულ იქნება ჟურნალ „გზაში“ მარიკუნას „გზავნილები“. მის რეალ, მპუა. ჩორი-ჩორი, ჯიგარ... მეგრელო მგელო, გაგიცნობდი. ლუნა.

• ვარადა, გოგო, ვარადა,/ უკვე აღარ ვარ ავადა,/ დედუციმ ძალით შემასვა/ წამლების მთელი კარადა,/ კენჭივით გოგო ვიზრდები,/ სამშობლოს გასახარადა./ მგზავნელებს შემოგევლეთოოოო....

• წუხელ გეფერებოდი, მაგრამ შენ ისე საყვარლად გეძინა, არ გაგაღვიძე. ახლა კი შემოვგორდები, ჩაგეხუტები, მოგეფერები და ა.შ. პუსკუნას. deep hearT.

• ჰო, ზმიზმი, ძაალიან გამიხარდა შენი დაბრუნება. ალბათ ადრეც უნდა გამოგხმაურებოდი, ჩემს სიტყვებში ეჭვი რომ არ შეგეტანა. რა და, ჩტო ტი ვერნულსა, ნე უხადი, რა. ილინი.

• კობა�ა, გამოჩნდი, გთხოვ. გათენება მძულს, უშენოდ. ყველაფერი გავიგე, რასაც მიმალავდი, მაგრამ სულერთია. შენ მაინც ჩემი სიცოცხლე ხარ. მენატრები, გესმის, ყრუ!

• „გზა“ მიყვარს და მარი მიყვარს, / კიდევ მიყვარს ლექსები, / ამ პატარა ესემესით ყველას მოგეფერებით. ფეფეე.

• რამაზ, ჩემო შავო ბიჭო, თამო დედას მოენატრე. თემო კოპაძის დაღუპვა ძალიან მეწყინა. თამო დედა.

• მე 13 წლის ქალიშვილი ვარ. აქამდე არავინ მყვარებია და მგონი, სერიოზულად არავის ვყვარებივარ. მინდა, რომ შეყვარებული მყავდეს. მირჩიეთ რამე. პაკა.

• ინტრიგანს მინდა ვუთხრა: მართლა რა ეშველება? თამოს და ზურას სიყვარულის ამბავი მთელმა საქართველომ იცის და თამო როგორი ადამიანია, ყველა პატიმარმა იცის. ასე.

• ვაიიი, ჩემი ყოფილი ლოვე და მე ისე გადავემტერეთ ერთმანეთს, სანგრებს ვთხრით. მიზანში სროლას ვსწავლობ უკვე და სატრფო უნდა დაგიკოჭლო, იკა, იცოდე. :) მაკუნტა.

• ჰოოოდა, რამდენი „გზა“ ჩამოდის თურმე, ქუთეისში... ჩემი სამსახურის წინ ელოდებიან მარშრუტკას დაააა... სულ დასტა-დასტად აწყობენ მანქანაში. აბაააა... გაკოცეეეთ, კარგებო. ვასასი.

• თამო არის ყველა პატიმრის გულშემატკივარი და ქომაგი.

• თამო, ჯიგარი ხარ. ინტრიგანს ყურადღება არ მიაქციო.

• თამოს წყენინებას ნურავინ შეეცდება. გახსოვდეთ, თამო ჩვენი დაიკოა და ყველა პატიმარის იმედი. თამო დედა, გვიყვარხარ ყველას. შენი შვილები.

• სალამი ყველას. დღეს 13 მარტია და ჩემი დაბადების დღეა. მაგრად მიხარია. დღეს 20 წლის გავხდი. გკოცნით, მგზავნელებო, ყველანი მიყვარხართ. პუპსიკა.

• ერთხელ მთვარემ ღამეს მოანატრა თავი, / ღრუბელს მოეფარა, გაქრა, შენც რომ მთვარესავით გაქრე, / მე რომ მომენატრო, რა ვქნა? სიყვარული არ არსებობს, ნამდვილი. კამიკაძე.

• ვინც თამოს აწყენინებს, ჩვენთან ექნება საქმე. თამო, პირადად არ გიცნობ, მაგრამ მაგარი კარგი ადამიანი ხარ, ვიცი. აგნესას მეგობარი ჩემი მეგობარია.

• ოლაა... უსაყვარლესი რომ ვარ, იცოდიით? :) ვოოტ! ილინ, გრანდიოზულად კარგი ხაააააააარ! აი, ეს კოცნა მე გამოვიგონე, მხოლოდ შენთვის. :)) ვასასი.

• მშვენივრად კარგიააა! :) პირველი გასვლითი რეისი ქუთეისში დაუგეგმავთ ჩვენს მგზავრებს. :) უჰ, გამიხარდა. ხომ გჯერათ ჩემი?

• ჰოდა, 8 მარტს დავთვერიიით... ტირიფები სულ თავზე დავიწყვეეთ... :) აი, ქუთაისის სუპერპატრულებს კი ფუუ, სუფთა კრეტინი სახეები რომ აქვთ, კი ვეჯუჯღუნე, გრანდიოზულად. :) ვასასი.

• ashley pcd, შენც საკალელი და კარგი გოგჩო ხარ. დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი, მაგრამ შენ ალბათ თბილისელი ხარ, ხომ? მე კი — გორელი. თან, ტელეფონიც არ მაქვს. ეეეჰ... avril-lavigne.

• ერთი ბებო მყავს. 10 წელია, რუსეთში ქმარი ჰყავს დაკარგული, უმისამართოდ. მაინც იმედს არ კარგავს და იმის გზას გასცქერის. აი, ნამდვილი სიყვარულიიი... avril-lavigne.

• სესი, მე 31 ოქტომბერს მაქვს დაბადების დღე, მაშ, მაშ... :) გატოცეთ ყველას. მე მალე ტელეფონს ვიყიდი და მერე სულ მოგწერთ ხოლმე. მიყვარხაართ. avril-lavigne.

• აბა, თუ გამოიცნობთ: წამში და წუთში ორჯერაა, დღეში, კვირაში და თვეში არც ერთხელ, წელიწადში კი ორჯერ. :) ვინც გამოიცნობს, ჭკვიანი გოგო (ბიჭი) იქნება. ამაზონკა.

• enkey, გაიხარე, კარგო, არაა პრობლემა. :) არა, არავის ვიცნობ. უბრალოდ, ნათლიას აქვს სოფელი არბოშიკში. ხალხო, გამაგებინეთ, პენსიონერი ბიჭია თუ გოგო? :) ამაზონკა.

• თამოს არავინ აწყენინოს და არც არავინ ზედმეტი აკადროს. თამოსნაირი გულთბილი ხვალ არ გახდე, ვიღაცა ხარ. პატიმრების სახელით, თემო.

• მარი, ეს რა მიყავი? ვის მესიჯს მიაწერე ჩემი ნომერი? ამიკლეს ქვრივმა და შინაბერა ქალებმა. ღმერთმა თავისი ბედი აპოვნინოთ, მაგრამ მე რა შუაში ვარ? :-)

• ზურა, მენატრები. ხედავ, ვიღაც-ვიღაცებს ჩვენი სიყვარულის შეშურდათ. მიყვარხარ, პატარავ. დამთავრდება ჯოჯოხეთი და ერთმანეთს ვერაფერი დაგვაშორებს. შენი თამო.

• ენჯი, ძალიან გამახარე. მეც გილოცავ, სიხარულო. გკოცნი. როზი.

• ისე შენ რა გითხარი, მარი, პუტინისა და ბუშის ქალიშვილები კი არა, ორივე ბუშის „ქალიშვილია“.

• გრუზინკა არ ვარ, მაგრამ შენს მესიჯს რომ ვკითხულობდი, სიცილისგან მარშრუტკის მგზავრების ყურადღება მივიპყარი. ნაღდად იფიქრებდნენ, ამან კი გააფრინაო. მე ვიქნები გრუზინკა.

• enkey, მე ვარ ხოლმე ჯეოსელის ჩათში. შენ რა ნიკით ხარ? მოვიკითხავ ყველა ჩათელს. იკჩო-სიხჩო.

• წელიწადის ყველა დრო მიყვარს. განსაკუთრებით — გაზაფხული. მე გუგა კი არა, მარტია, აპრილა ან მაისა უნდა მერქვას. გიგრძნიათ თავი

ჭალისა და მაძესყალის მეგობრობა ღამის დადგომასთან ერთად სოსლდება.

გადარეული მარტის ნაწილად? ან აპრილი თუ წაგკიდებიათ, შიშველ სხეულზე? იქნებ მაისის შხაპუნა წვიმით გაგრილებულხართ, მზიან ამინდში? თუ არა, მაშინ არ დააყოვნოთ, რადგან უკვე გაზაფხულდა. p.s. მოუმზადებლად არ შეეჩეხოთ სიყვარულს. იცოდეთ, ძლიერია და ვერ მოერევით. deep hearT.

• ლანა ხარებავა მენატრება, ხალხო, უთხარით, რომ ჩამოვიდეს სენაკში. რა გინდა ქალო, ჩამო აქ, ქვეყნის ამბები მაქვს მოსაყოლი. მენატრები, წუნკალო. დიანა და ნანა ხარებავა.

• სიყვარულის მსხვერპლი ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც აღმოვჩნდი და ამისთვის მადლობა ხაშურელ სოსო ბარბაქაძეს, რომელმაც აკრძალული სიყვარული მაჩუქა.

• hiiii all, როგორ ხართ? i love all. კანიბალკა, გენათალე, ლანუუუკ. პატარა მავნე.

• თამო, შენ გვერდით ვართ, ყველა პატიმარი. იმედი გვაქვს, აგნეცა და შენ ხელს მალე მოაწერთ და ნახავ ჩემს ძმას, ციხეზე. არ გასკდებიან, ინტრიგანები გულზე? ჯ.

• ლეო91 და ლიკ-ლიკა, წარმატებებს გისურვებთ, გამოცდებზე. აბა, თქვენ იცით, როგორ გვასახელებთ. :) ნელკა, ნიკოლ, რუსკა, ენჯი და ყველას, ვისაც ვახსოვარ, მოვიკითხავ. კაკუ, ზაზუნა, შეწირული, ლეო, ნელკა, ნიკოლ, ჩუქჩა, ლუციფერი, ოლეგარიო, ლიმონა, პარიჟანკა, დუჩი, რუსკა, ენჯი, პენსიონერი, ლორელაი, კარდიოლოგი, ზმიზმი, გაიხარეთ, რა! ბაო-ბაო.

• ბაო-ბაო, დედიკოოოო, მიცანი? ფხიკ, პატარა მავნე.

• მუხრანელო მეთერთმეტეკლასელო თეონა ოქრუაშვილო, სად დამეკარგე? აღარც მირეკავ და აღარც მიმესიჯებ.

• თამო, ჩემო კარგო, არ ინერვიულო. გაუგებარი არაფერია და ვიღაცას აენთება წითელი.

• ვინც ჩემს გზავნილს წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ პირველად გწერთ, მაგრამ ყველას გიცნობთ და გეფერებით. უსაყვარლესები ხართ, ყველა. პრანჭია. 20.

• წვიმს, წვიიიიმს, ქუთაისში, ჰოდა, მოვიწყინესავით. ვასასი.

• ლეო91, მართლა მაგარი ტიპი ხარ. გენაცვალე, შენ! გაიხარე. ნელკა, მაგარი ხარ. ზმიზმი, მომენატრე. პატარა მავნე.

• „ქალებში“ მე-18 მესიჯი მაგარია. ბოლოში მართლა მაგარი! აცხობს გემრიელ ხაჭაპურებს...)) ხით, ხით... პატარა მავნე.

• კინაღამ დამავიწყდა, ლიმონა-მანიუ, უუუსაყვარლესი გოგჩო ხااااარ! უძალიანესად საყვარელი ხარ! პატარა მავნე.

• ჩემო სესი, შენ გეიხარე, მე 28-ში მაქვს დაბადების დღე. რაც მაგრები ვართ, მარტში დაბადებულები ვართ. :-)გკოცნით და გეხვევით. რუსთავი, ფორევარ! :-) „გზა“ მაგადიااა! :-) სალუკა.

• ნურავის ეწყინება, მაგრამ მაგარი უინტერესო გახდა „მობილიზაცია“. ძველების გარეშე ვერა, რა... :) დამეკარგნენ ჩემი თანამოძმეები. :) მენატრებიან, ძველები. აბა! ბაობაო.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი! კვირას „გზა“ რომ ვიყიდე, ღამის 2 საათამდე ვკითხულობდი. ჯადოქარზე რომ წავიკითხე, ვიტირე. შემდეგ „ბრძოლა“ ძალიან მომეწონა. მარი, თქვენ მართლა ჯადოქარი ხართ, ათასი მკითხველის გულთამპყრობელი. დიდი მადლობა, რომ არსებობ და ასეთ კარგ თემებზე წერ. ძალიან მიყვარხართ და სულმოუთქმელად ველოდები მომავალ კვირას. გაიხარე, მარი, ძალიან მახარებ. საგაპო პოლი. გერასიმე.

• სიყვარულისთვის ჩემმა მამიკომ გაიღო მსხვერპლი. ის დიდ რუსეთში იყო დაბადებული და გაზრდილი. დედაჩემი კი ნათლიამ გააცნო და ისე შეუყვარდა, რუსეთიც დატოვა და მასზე 5 წლით უფროსი ჩემი დედიკო შეირთო. გერასიმე.

• ხვალ რომ სქესი შემეცვალოს, ნამდვილად გავგიჟდები. ჩემს შვილებს კი ორი მამა ეყოლებათ და ისინიც ხომ გაგიჟდებიან? მე კი ისე მომწონს, მშვენიერ სქესს რომ მივეკუთვნები, ერთი წუთითაც არ მინდა, მამაკაცი ვიყო და „იმას“ დავათრევდე. გერასიმე.

• ძალიან მინდა, ათენიდან წამოსვლამდე ყველა მგზავნელი გავიცნო, მაგრამ როგორ? დამეხმარე რა, მარაკი. გერასიმე.

• ახლა ბაბუასთან მივდივარ. ჰოდა, „მარშრუტკაში“ ჩემ უკან 2 ბიჭი ერთმანეთს დაენაძლევა. რომელმაც მოუგო, იმან უთხრა: 2 მონო მომიტანე, ბალიო. ხვდები? green girl.

• „გრუზინკა ვიქნებოდი, მაგრამ green girl რომ ვარ? ისე, ორივე „გ“-ზე იწყება. ხვდები? ნათათო“.

• ლიმონჩიკაც უკვე გახდა, ამ ჟურნალის მსხვერპლი, მარორიტას და მგზავნელებს მე შორიდან ვეტრფი, მის რეალი მაგრად ქაჩავს, გადაგვჯოკრა ყველანი, კიდევ ერთი იგნორი და იქნება ცრემლთა დენანი. ის, რაც გინდა აგიხდება, სიცოცხლე ბიჭო, მაესტრო, ოსკარს აიღებ გენაცვა, არ თქვა, „ჩორტ ივო ზნაეტო.

• სამი წლის წინ ბიჭი გავიცანი. მან თავი შემაყვარა, ახლა კი დაიკარგა და ერთი წელია, არ მინახავს. არც დამკავშირებია. მე მისი სიყვარულის მსხვერპლი ვარ. მის13.

• ერთხელ ფეხბურთზე ვიყავი და ალბათ უკანასკნელადაც. სიმართლე გითხრათ, გინების ასეთ ინტერპრეტაციას პირველად მოვუსმინე. შუა თამაშის დროს ერთ-ერთი ფეხბურთელი წაიქცა და ერთმა ბიჭმა ისეთი მიაგინაა... „ადექი, შენ არ აგაყენა გამჩენმა, რას წაწექი, სტრიპტიზის ბოზივით, ვერ ხედავ, გაიტანეს გოლიო“. ლუნა.

• ყურადღება! მე წუთიერ დუმილს ვაცხადებ, „რეალის“ ლიგიდან გავარდნის გამო. ამიტომ ამ ნომერში აღარ ვგზავნი მესიჯებს! მის რეალი.

• მარი, ვიცი, ბევრი ადამიანის ნაბჟოტიალები უნდა წაიკითხო, მაგრამ იცი, სტიქია „ოსკარის“ ჩათში აღმოვაჩინე. მე არ ვჩათაობ. კაი, მოგასვენებ. მიყვარხარ.

• მარი, რა გჭირს? მაინცდამაინც ჩემს მესიჯებს უკეთებ იგნორს. რატომ? იცი, რა ცუდია, როცა მთელი გულით ელი შენს მესიჯებს და გაიგნორებენ? იცოდე, გაგებუტები და ამით ერთგული მკითხველი დაგაკლდება. არა, ამას ვერ შევძლებ, მაგრამ გთხოვ, ხანდახან მოწყალე თვალით გადმომხედე. შტერუკა.

• მე „გზის“ სიყვარულის მსხვერპლი ვარ. გიმესიჯებ და გიმესიჯებ, შენ კი არ მიბეჭდავ. მეუბნებიან, ნულარ ყიდულობ „გზას“, ნულარ უმესიჯებ, არ დაგიბეჭდავსო. მე კი არ მჯერა. გრუზინკა.

• ამბობენ, სხვის უბედურებაზე შენი ბედნიერება არ უნდა ააგოო, მაგრამ როცა გიყვარს? როცა ნამდვილად გიყვარს, მაშინ სხვაზე არ ფიქრობ. ჰოდა, მეც ასე დამე-

მართა. შემიყვარდა პირველად და ძალიან! მიყვარხარ-მეთქი, რომ ვეუბნები, ამბობს, გულს უხარიაო. ჰოდა, ვახო, მიყვარხარ! მარ, დამიბეჭდე რა, ვაჩვენებ და გულს გაუხარდება. თათული.

• მარი, თემაზე არაფერს მოგწერ, რადგან არ მინდა, სევდა და ტკივილი გამიახლდეს. იცი, ჩემმა დამ დაიწუწუნა, მარისთან დავამესიჯე და არც ერთი არ დამიბეჭდაო, ნაწყენი იყო. გავაფრთხილე, მარის საყვედური არ გამაგონო, თორემ ჩხუბი მოგვივა-მეთქი. რაო, შენც ამესიჯებო? არადა, მე „ც“ ვარ? მიყვარხარ, მარი. მგზავნელებო, ყველანი მიყვარხართ! ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ნაწილი ხართ. როცა თქვენზე ვფიქრობ, სულელივით ვიღიმი. გკოცნით, კამელია.

• დილით მეზობელმა გამაღვიძა, სასწრაფოდ დუტასთან დამარეკვინეო. ჯერ ვერ მივხვდი, რა უნდოდა და ნახევრად მძინარემ ტელეფონი მოვიმარჯვე, მაგრამ როცა ნომერი მიკარნახა, მთლად გამოვფხიზლდი და ბევრიც ვიცინე. თურმე, „ჯეოსელის“ გათამაშებაში უნდოდა დარეკვა ჩემი ტელეფონით. აი, ასეთი ანტიკვარი მეზობელი მყავს. ბოთე 1/2.

• სიყვარულის მსხვერპლი ჩემი კლასელია. ტელეფონით ბიჭი გაიცნო, რომელიც პატიმარი აღმოჩნდა. ახლა დგას და ელოდება, 7 წელი. ნანა, აზრზე მოდი, ქალო! სენტიმენტალური გოგო.



• ჩემო სანატრელო იაგო, ჩემო სიყვარულო, არ იდარდო, ჩემო ოცნებავ, ჩემო გულო, ჩემო სულო და ჩემო სიცოცხლევ, ძალიან მიყვარხარ. გკოცნის შენი ირინა.

• მიყვარხარ თიკო, ძალიან. უკვე დაგავიწყდი, აღარ გენატრები... მე კი თქვენზე ვფიქრობ და თქვენ მენატრებით. სიცოცხლის ბოლომდე სულ თქვენ მეყვარებით.

• მაშინ ის ცრემლები მწარე იყო, დღეს კი ის ცრემლებიც მენატრება... კობა, ხომ დამპირდი, არ დაგეკარგებიო? მე შენ იმათზე ძალიან მიყვარხარ, ვის არსებობასაც უარყოფდი.

• გიო მგალობლიშვილო, ჩემო ერთადერთო სიყვარულო, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ და ვამაყობ, რომ შენი შვილის დედა გავხდები. უზომოდ მენატრები. გკოცნი, შენი მეუღლე, მაკა.

• გიო მგალობლიშვილო, ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ. ყოველ ღამე მესიზმრები და გაღვიძება აღარ მინდა. დაიმახსოვრე: შენს მეუღლეს მარტო შენ უყვარხარ, თან — ძალიან. მაკა.

• ქვემო ალვანში, თამაზოს მინდა ვუთხრა: სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. ვერ გივიწყებ, გამიგე, გთხოვ. თუში.

• ყვავილს გაჩუქებ, ცრემლებით გაზრდილს, სულსაც გაჩუქებ, ქარს გამოვატნევ, გულსაც გაჩუქებ და იცი, როგორს? ყველა ფეთქვაზე რომ თქვას — მიყვარხარ. ქრისტინა ცქიტიშვილო, მიყვარხარ, ჩემი ცხოვრება ხარ. ათენი-23.

• მოდის სახლი „მარშალი“ ბაბულიას ულოცავს დაბადების დღეს. ბედნიერი ქალი იყავი, ჩვენო საყვარელო ადამიანო. გაიხარე ოჯახთან ერთად. მართალია, „ჯობი“ იქნებოდა, რომ ჩვენთან ყოფილიყავი და „გაანებე თავი“ არ გაგეკეთებინა, მაგრამ სადაც წახვალ ყველგან წარმატება გქონოდეს. გკოცნით და გვიყვარხარ. ალ იცოდი?

• გიორგი სვიმონიშვილს დაბადების დღეს ვულოცავთ და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ. ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი გაგზარდოს, გიორგი. ძალიან გვიყვარხარ. ნათია ნებიერიძე და დათო იაშვილი, საბერძნეთიდან.

• ჩვენს ნანატრ, პატარა სიხარულს, მარიამ ბრეგვაძეს დაბადების დღეს ვულოცავთ. საყვარელო, 100 ლამაზი წელიწადი დაეთვალოს შენი ცხოვრების კალენდარს. შენს მშობლებთან ერთად გაიხარე და ჩვენც გაგვახარე. დაგლოცოს ათონის წმინდა სალოცავმა. ღვთისმშობელი გფარავდეს. შენს მოფერებას მონატრებული ბებო და ბაბუ, მზია და მიშა ბრეგვაძეები.

• ნინი და ზურა, შვილის დაბადების დღეს გილოცავთ. ღმერთმა სასახელო გოგო გაგიზარდოთ. ბედნიერი მშობლები იყავით. 100 წელი ღმერთის და თქვენი ანგელოზები ჰფარავდეს, თქვენს პატარა და ლამაზ ოჯახს. გვენატრებით და გვიყვარხართ. მზია და მიშა ბრეგვაძეები.

• ჩემს უსაყვარლეს შვილს, ნინის ვულოცავ 11 წლის იუბილეს. თერთმეტჯერ თერთმეტ გაზაფხულს დაესწარი, ჩემო სიხარულო. უფალი ყოფილიყოს შენი მფარველი. შენი დედიკო, ათენიდან.

• 18 მარტს ლამაზ ნინიკოს ულოცავს დაბადების დღეს ზაირა ბიცოლა. ულამაზესი ყოფილიყოს ეს ცხოვრება შენთვის. შენი ზაირა, ათენიდან.

• ბაღდათში ჩვენს პირველ სიხარულს და ოჯახის გამხარებელს, 3 წლის მარიკუნა მალაქშანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 25 მარტს. ჩემო პატარა, ლამაზო გოგო, გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს. ღმერთი გფარავდეს შენს დედ-მამასთან ერთად. ბებო, ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხართ. მარინულა.

• რუსთავში დაბადების დღეს ვულოცავთ ნიკა და ლუკა მუშკუდიანებს. ჩემო პატარებო, გისურვებთ ბედნიერებას და ულევ სიხარულს. სასახელო ვაჟკაცები გაზრდილიყავით. თამუნა და ამირანი.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო გიორგი ქარდავას. გიო, მრავალს დაესწარი, ბედნიერად. სიყვარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების მეგზური. გფარავდეს ღმერთი.

• 26 მარტს ვულოცავ საყვარელ დაქალს, კლარა რობაქიძეს. ვუსურვებ კარგს, თავისი საყვარელი ოჯახით. ათენი. ლალი, დონარა.

• ჩვენს საყვარელ და მონატრებულ შვილიშვილს, ნიკა მუშკუდიანს ვულოცავთ დაბადების დღეს, 20 მარტს. 9 წლის გაგვიხდი, ჩვენო სიხარულო. გაიზარდე ჯანმრთელი და იცხოვრე ბედნიერ საქართველოში. შენი კარგი ბიჭობით გესახელებინოს მშობლები და ყველა კარგი ხალხი. გილოცავთ ათენიდან, მანანა ბებო და შალვა პაპა, ქავთარაძეები. გვინდა, მალე ჩაგიხუტოთ, გულში.

• ჩემს პატარა მარის 14 მარტს 2 წელი შეუსრულდება.

ჩემო პატარავ სიხარულო, გილოცავ დაბადების დღეს.

• ჩემს შვილს, ლიკა ბათირაშვილს მინდა დაბადების დღე მივულოცო. 15 მარტს 15 წლის ხდება. გილოცავ, დედიკო, გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს, ულევ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას. მიყვარხარ და მენატრებით ძალიან. შენი დედიკო, ლალი, ათენიდან.

• ლელა ბიცოლას ვულოცავ დაბადების დღეს, 16 მარტს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერებას, შენს ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარხარ, ჩემო ლამაზო ბიცოლა. ვერო, სალონიკი.

• გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო ცუგრუმელა ბიჭო, დიდი და სასახელო ბიჭი გაზრდილიყავი. შენი დეიდა თეონა და დეიდაშვილი გიო. სევდიანი ღიმილით, საბერძნეთიდან. გვენატრებით.

• ხატი, ჩემო ლამაზო და უსაყვარლესო გოგო, გილოცავ დაბადების დღეს, 16 მარტს. მრავალს დაგასწროს ღმერთმა, გახარებული და ბედნიერი, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. დედა.

• ჩემს საყვარელ ძამიკოს, ვასიკო მუმლაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 16 მარტს. ბედნიერება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ძალიან მიყვარხარ. შენი დაიკო.

• 15 მარტს დაბადების დღეს ვულოცავ ნინო მეკეიძეს. ვუსურვებ ბედნიერებას და მარადიულ სიყვარულს, თავის პატარა და ლამაზ ოჯახთან ერთად. წმინდა ნინო გფარავდეს. მგზავრი.

• ამირან გიორგაძეს და თინათინ ჩავლეშვილს ქორწინების 30 წლისთავს ულოცავენ თამუნა, თეკლა და თემური.

• ჩემს საყვარელ ბიძაშვილს, ტყიბულში მცხოვრებ მზევინარ ქათამაძეს დაბადების დღეს ვულოცავ. ვუსურვებ ყოველივე კარგს. ინგა, ქუთაისიდან.

• ჩემს უსაყვარლეს დაქალს, მარი ალადაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მარ, ბედნიერებას გისურვებ, ოჯახთან ერთად. გკოცნი. მზია.

• ჩემს დაიკოს, თამუნა ბაქრაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 22 მარტს. ლამაზი და ღიმილიანი ცხოვრება გქონოდეს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გფარავდეს, მუდამ. ნატალი.

• ნინო წიკლაურს, წიკოს, 19 მარტს დაბადების დღე აქვს და მინდა, მივულოცო. ნი, შენს ქერა დალალებს ვენაცვალე, გო... შაურმის ბუტკასთან გელოდები. ვერსაჩე.

• ნანა ბადაგაძეს, ჩემს დედიკოს მინდა ვუთხრა, რომ მიყვარს და ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს, მუდამ. რუსა.

• ჩემო ლამაზო შვილებო, სალომე და ასმათ ფუხაევებო, გილოცავთ დაბადების დღეს, 8 მარტს 19 წლის გახდი სალო, შენ კიდევ, ჩემო პატარავ, 23 მარტს გახდები 17 წლის. ბედნიერი დედა ვარ, ღმერთის წყალობით ორივე კარგად და ცოცხლები მყავხართ. გილოცავთ თქვენზე მონატრებული დედა ამ ლამაზ დღეებს და გისურვებთ, ბედნიერი ცხოვრება გქონოდეთ. სიმწარე გაშოროთ ღმერთმა და სულ გახარებულები ყოფილიყავით. გფარავდეთ უფალი, რომელიც მუდამ თქვენ გვერდით არის. უფლის წყალობით ყველაფერი იქნება, გული არ გაიტეხოთ. თქვენზე მონატრებული დედა, ათენიდან.

• დაბადების დღესა და სიყვარულის დღეს, 15 აპრილს ვულოცავ ჩემს საყვარელ მეუღლეს, ოთარ წიკლაურს და პატარა მარი ბურდულს. გფარავდეთ ღმერთი. ნანული, ათენიდან.

• დაბადების დღეს, 18 აპრილს ვულოცავ ნიკუშა ჩოხელს. მრავალს დაესწარი, ნიკო, შენს საყვარელ თამოსთან და უჩასთან ერთად. ნანული, ათენიდან.

• ჩემს საყვარელ ადამიანს, ნანა დოღუსოვს 29 მარტს ვულოცავ 18 წლის იუბილეს. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს ცხოვრებაში. ღმერთმა გაგახაროს, ჩემო გოგო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ნონიკო ათენიდან.

• მარაკი, გილოცავთ დაბადების დღეს. გაიხარე, შენს მონატრებულ ოჯახთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გვიყვარხარ ძალიან, ძალიან. შენი სადაქალო, ათენიდან.

• მინდა, ჩემს საყვარელ ხატია დეიდას მივულოცო დაბადების დღე. ღმერთმა მოგცეს ჯანმრთელობა, გამძლეობა და ღმერთის წყალობა. გკოცნი უამრავს. ირმა, ათენი.

ყურადღება!

„მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ჰოროსკოპი

ორშაბათი

ეს დღე აქტიური ქმედებებისთვის არ გამოდგება. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებ. ნებისმიერ საქმეს ყურადღებით მოეკიდე და ყველა სიტუაცია შეძლებისდაგვარად აკონტროლე. გულს ნურავის გადაუშლი. შესაძლოა, საიდუმლო ვერ შეგინახონ.

სამშაბათი

ამ დღეს ყველა ბრძოლას ომის გარეშე მოიგებ. მოწინააღმდეგე ფარ-ხმალს დაყრის და ტყვედ ჩაგბარდება. ბედი საჩუქარს გიმზადებს და მზად უნდა იყო, რომ შანსი ხელიდან არ გაუშვა. შესაძლოა, სიყვარულში გამოგიტყდნენ.



ოთხშაბათი

ეს დღე შენგან პრინციპულობასა და დისციპლინას მოითხოვს. მზად იყავი გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის. არ გარისკო! ნებისმიერი ნაბიჯი გათვალე და ისე იმოქმედე. არ აჩქარდე.

ხუთშაბათი

შესაძლოა, შენი მომავალი ამ დღეზე იყოს დამოკიდებული. ან ძველი კურსით გააგრძელებ ცხოვრებას, ან მნიშვნელოვანი შემობრუნება მოხდება. დღის ერთ-ერთ მონაკვეთში საკუთარი უსუსურობის გამო გალიზიანდები. ეცადე, არ აღელდე და ყველაფერი ცივი გონებით განსაჯო.



პარასკევი

თუ საომარი მოქმედებების ცენტრში აღმოჩნდები, ნეიტრალიტეტი შეინარჩუნე. შესაძლოა, მნიშვნელოვანი შეხვედრა გქონდეს. შენი ძირითადი იარაღი დიპლომატიურობა, მოქნილობა და მოსმენის უნარი იქნება.



შაბათი

ყურადღება მიაქციე სიზმარს, რომელსაც წინა ღამეს ნახავ. შესაძლოა, სწორი ქმედება სწორედ მან გიკარნახოს. გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისგან თავი შეიკავე. სასიყვარულო ურთიერთობას მხოლოდ მოთმინების უნარი შეგინარჩუნებს.



კვირა

ამ დღეს შეგიძლია, ნებისმიერი გაბედული ნაბიჯი გადადგა. შინაგანად აფორიაქდები, მაგრამ მალე გაგივლის. იმისათვის, რომ ახალი ააშენო, ჯერ ძველი უნდა დაანგრიო. არაფერზე ინანო და აუცილებლად გაიმარჯვებ. ნუ შეგეშინდება ძველი ურთიერთობის დანგრევის, რადგან მას მომავალი არ უწერია.

უძილობისგან ბრძოლის მეთოდები



ქალაქმა მაკონდომ, რომელიც გაბრიელ გარსია მარკესმა აღწერა, ერთხელ უძილობის ეპიდემია გადაიტანა. ამის შემდეგ ქალაქის მცხოვრებნი გულმავიწყები გახდნენ. მათ ყველგან წარწერები ჰქონდათ გაკეთებული – „კარი", „ძროხა" ... ხოლო ეკლესიის კარზე მიწერილი იყო შემდეგი სიტყვები: „ღმერთი არსებობს". ძველეგვიპტელებს 3 საშინელი წყევლა ჰქონდათ. ერთი მათგანი უძილობას შეეხებოდა.

ხალხური მედიცინა უძილობის დასაძლევად საკუთარ მეთოდებს გვთავაზობს. ცხელი სათბურა ზურგზე ან ფეხებზე უნდა დაიდო, ყურებში ოდეკოლონით გაჟღენთილი ბამბები ჩაიტენო, ზედა ტუჩი ვალერიანის ძირების ნაყენით დაისველო და თვალები დახუჭო.

ჯეიმს ჰეროიტს (ინგლისელი მწერალი) დოსტოევსკის ნაწარმოებების კითხვისას ეძინებოდა ხოლმე, ხოლო მისი მეგობარი ძილის მოსაგვრელად თვალს ფიზიოლოგიის მონოგრაფიულ სქემას მიაპყრობდა ხოლმე. იული კიმმა უძილობისგან თავის დასაღწევად, „კაპიტალის" 3 ტომი წაიკითხა, რის შემდეგაც მკვდარივით ჩაეძინა.

ცოტა ხნის წინ იაპონიაში აუდიოკასეტები გამოუშვეს, რომლებზეც უძილობის საწინააღმდეგო მელოდიებია ჩაწერილი. ამბობენ, რომ ამ მელოდიების ავტორი, კომპოზიტორი ბათანაბე ომური მუშაობის დროს სკამიდან რამდენჯერმე გადმოვარდაო.

ფრანგებმა სპეციალური მოწყობილობა, „სომმიდორი," შეიმუშავეს, რომელიც ღია ცისფერ, მინიატიურულ, მფეთქავ ეკრანს წარმოადგენს. ის სუნთქვის შესაბამისად რეაგირებს და ადამიანს ძილს ჰგვრის.

1993 წელს ამერიკაში მხატვრული ფილმი გადაიღეს, რომელსაც „უძილობის წამალი" ჰქვია. ის უმალ გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. ეს გახლავთ მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი ფილმი, რომლის ყურების დროსაც აუცილებლად ჩაგეძინება.

ამერიკაში, უძილობით შეწუხებულ კლიენტებს შეუძლიათ სატელეფონო კომპანიის სპეციალურ ნომერზე დარეკონ და ნელი, მონოტონური საუბარი მოისმინონ მთქნარებასთან ერთად.

ერთხელ, ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის წამყვანს პირდაპირ ეთერში ჩაეძინა. ის ღამის სამსახურიდანაც კი გააგდეს, მაგრამ მეორე დღეს ტელევიზია უძილობით შეწუხებული, მადლიერი მაყურებლების ზარებმა აიკლო. ამის შემდეგ, ტელევიზია გადაცემებს მთქნარებით ამთავრებს.

ერთხელ მარკ ტვენს ნაცნობმა მიმართა და შესჩივლა, რომ უძილობით იტანჯებოდა. „როცა დასაძინებლად ვწვები, მეჩვენება, რომ საწოლის ქვეშ ვიღაცაა. საწოლის ქვეშ რომ ვძვრები, მეჩვენება, რომ ის ვიღაც ზემოდან წევს და ასე ვიტანჯები მთელი ღამის განმავლობაში". ამბობენ, მარკ ტვენმა საწოლისთვის ფეხების მოხერხვა ურჩია და ამის შემდეგ იმ კაცს მშვიდად ეძინა.

ბევრს მიაჩნია, რომ ყველაზე უკეთ სამსახურში იძინებს. როდესაც აინშტაინის ცოლი მიხვდა, რომ მისმა ქმარმა „უძილობამდე" იმუშავა, შესთავაზა, დასაძინებლად სასურველი ადგილი აერჩია. აინშტაინმა თავისი ლაბორატორია აირჩია.

უძილობისგან თავის დასაღწევად საუკეთესო მეთოდი ასამდე დათვლაა. ამბობენ, რომ მოკრივეს, რომელსაც უძილობა ტანჯავდა, ექიმმა სწორედ ეს მეთოდი ურჩია, მაგრამ თურმე დათვლამ უარყოფითი შედეგი გამოიღო. ყოველ „რვაზე" ან „ცხრაზე" ის ფეხზე წამოხტებოდა ხოლმე.

ფსიქოლოგების აზრით კი უძილობის საუკეთესო წამალი გამოძინებაა. ●

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

კონკურსი, რომელშიც 15 ათას ადგილოპრივ კანდიდატს შორის ქართველმა გაიმარჯვა

ლიგია მუმკუდიანი

ქართველები რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ხალხი ვართ, ალბათ, ამაში ყველა დამეთანხმება. მაგრამ ამ ნიჭის გამოვლინება განსაკუთრებით სასიხარულოა მაშინ, როდესაც მას უცხო ქვეყანაში, უცხო ეროვნების ადამიანები აღიარებენ. მახსოვს, როდესაც 12 წლის წინ, საბერძნეთს პირველად ვესტუმრე, ჩემი გაცნობა ბერძენ მოსახლეობასთან ასე იწყებოდა: — სადაური ხარ? — ქართველი, — თემურ ქეცბაიას სამშობლოდან? და აქ ჩნდებოდა ნდობის ფაქტორი ანუ თუ თემურ ქეცბაიას სამშობლოდან ვიყავი, აუცილებლად კარგი ადამიანი ვიქნებოდი. რამდენიმე ხნის შემდეგ, ასეთივე „ნდობის ფაქტორი“ გახდა კახი კახიაშვილი, რომელიც ბერძნებმა გამოჩენისთანავე გააღმერთეს; ირმა ქვლივიძე, რომელმაც საბერძნეთში უამრავი ეკლესია მოხატა; მომღერალი თამთა გოდუაძე, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და მისი სურათებით წამყვანი ჟურნალ-გაზეთების გარეკანებია აჭრელებული; სპორტსმენი ჯარეჯი ზვიადაური... დაბოლოს, სულ ცოტა ხნის წინ, ამ სიას შეემატა 21 წლის გიორგი სულხანშვილი, რომელმაც ტელეწამყვანთა კონკურსში — TV STAR გაიმარჯვა. ეს კონკურსი საბერძნეთის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ტელეარხმა — ALFA-მ მოაწყო. მასში მონაწილეობდა 15000 კონკურსანტი, მთელი საბერძნეთიდან. პირველი ადგილზე გასული საჩუქრად 100.000 ევროს მიიღებდა და ასევე, ამავე არხზე, მას გაუფორმებდნენ ერთწლიან სამუშაო ხელშეკრულებას. ჟიური უმკაცრესი შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებით გახლდათ დაკომპლექტებული, მაგრამ აშკარა იყო, ისინი გიორგის მიმართ კეთილგანწყობილები იყვნენ. კონკურსი 16 ტურად ჩატარდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რას განვიცდიდით საბერძნეთში მყოფი ქართველები, როდესაც გიორგი ეკრანზე ჩნდებოდა, კვირადღეს კი მის შემდგომ ტურში გასვლას ერთმანეთს გულწრფელად ვულოცავდით. კონკურსის ციებ-ცხელებამ ჩაიარა და გიორგი მესამე ადგილის მფლობელი გახდა. მას ინტერვიუსთვის შინ ვეწვიეთ. სამწუხაროდ, გიორგი სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, მას ძალიან გაუჭირდა საკუთარ თავზე ლაპარაკი და ამიტომაც, დახმარებისათვის დედამისს, ქალბატონ ნათია მალრაძეს მივმართეთ:

შევეცლები, ყველას უკლებლივ დაგიბრუნოთ ის სიყვარული, რაც თქვენგან მივიღე

— გიორგი საოცრად მშვიდი ბავშვი იყო, ერთ ადგილას რომ დავსვამდი, მანამ არ გაინძრეოდა, სანამ რაიმეს არ ვეტყოდი. ის 3 წლის გახლდათ, როდესაც მეუღლე გარდამეცვალა. მის გარეშე მატერიალურად ძალიან გაგვიჭირდა და გადავწყვიტე, საბერძნეთში წამოვსულიყავით. ეს გზა ჩემთვისაც და გიორგისთვისაც გოლგოთის გზა იყო. როგორც ყველა ემიგრანტს, პირველ ხანებში, ძალიან გვიჭირდა. დილით, 6 საათზე ვდგებოდი, რომ სამსახურში წავსულიყავი, გიორგის კი ხან ვის ვუტოვებდი, ხან — ვის. დღესდღეობით, უფლის წყალობით, კარგად ვართ და ღმერთს ამისთვის მადლობას ვწირავთ. თანაც, ახლა გიორგიმ თავისი წარმატებით ძალიან გამახარა. მას ბავშვობიდანვე უნდოდა, ჟურნალისტი გამხდარიყო, ოღონდ — ტელეჟურნალისტიკის განხრით. მამაჩემიც ჟურნალისტი გახლდათ და წლების განმავლობაში ჯერ ცხინვალში, შემდეგ კი გორში მოღვაწეობდა. თავიდან, გიორგიმ სახელმწიფო ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ იქაურმა სწავლის დონემ არ დააკმაყოფილა და სწავლა კერძო უნივერსიტეტში განაგრძო. იგი დღეს I კურსის სტუდენტია.

— მანამდე თუ მონაწილეობდა რაიმე კონკურსში?

— 2 წლის წინ, მეგობრებმა, გართობის მიზნით, GRIM SHOW-ში მიიღეს მონაწილეობა. ეს კონკურსი კი, მის პროფესიას უკავშირდებოდა და ამიტომაც, მასში მონაწილეობას სერიოზულად მოეკიდა.

— კონკურსის დამთავრების შემდეგ, ტელევიზიებიდან თუ ჰქონდა შეთავაზება?

— არის რაღაც-რაღაც შემოთავაზებები და ვნახოთ, მომავალში რა იქნება.

საუბარში **გიორგიც** *ჩაგვერთო:*

— მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ქართველს, ვინც მხარში ამომიდგა და ჩემს გამხნევებას ცდილობდა. ეს მარტო ჩემი გამარჯვება კი არა, თითოეული ჩვენგანის, ყველა ქართველის გამარჯვებაა. შევეცდები, ყველას უკლებლივ დაგიბრუნოთ ის სიყვარული, რაც თქვენგან მივიღე. აგრეთვე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბერძნული შოუბიზნესის წარმომადგენლებს: ქალბატონ რულა კორომილას, ქალბატონ ნატალია გერმანუს, ბატონ ფსინაკს და ყველას, ვინც საშუალება მომცა, საკუთარი შესაძლებლობები წარმომეჩინა.

— საქართველოში დაბრუნებას არ აპირებ?

— სამშობლოში აუცილებლად დავბრუნდები, რადგან ყველა ჩემი ახლობელი იქ ცხოვრობს და იქ მეგულება მამაჩემის საფლავიც. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ფესვები ხომ საქართველოშია, ხე კი უფესვოდ ვერ გაიხარებს, როგორი ნოყიერი ნიადაგიც არ უნდა ჰქონდეს.

ჩემი ფესვები საქართველოშია, ხე კი ფფესვოდ ვერ გაიხარებს...

P.S. *მინდა, გიორგის წარმატება ვუსურვო! და კიდევ, მსურს, სრულიად საქართველომ იცოდეს, თუ რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ემიგრანტი ჰყავს. ბოლოს და ბოლოს, ამ წერილის მიზანიც ხომ სწორედ ეს გახლავთ.* ■

XXI საუკუნის საოცრებათა ქვეყანა

თანამედროვე აღმოსავლური ზღაპარი — ასე უწოდებენ დღეს დუბაის, რომელიც ქვიშიანი უდაბნოებიდან საოცრებათა ქვეყნად იქცა. მდიდარი შეიხების და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, დუბაის საამირო მსოფლიოს სავაჭრო და ინდუსტრიულ მეგაპოლისად ქცეულა. მოცეკვავე სახლი, ნამდვილი თოვლი ქვიშიან უდაბნოში და წყალქვეშა ქალაქი — დუბაიდან დაბრუნებული ჩვენი თანამემამულე აღმოსავლური შთაბეჭდილებების შესახებ გვიამბობს.

ემა ტუხიაშვილი

ანუ შუა უდაბნოში აშენებული სამთო-სათხილამურო კურორტი და წყალქვეშა სასტუმროები

ლეილა ჟიჟიაშვილი:

— ცოტა ხნის წინ, მიწვეული გახლდით დუბაიში, ბიოტექნოლოგიის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც წარმოდგენილი იყო თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობა, ხელსაწყო-დანადგარები, უახლესი სამედიცინო, კვლევითი ლაბორატორიები და ზოგადად მეცნიერ-გამომგონებელთა უკანასკნელი მიღწევები ბიოტექნოლოგიის დარგში. აღნიშნულ გამოფენაზე განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ამერიკული, ინგლისური და ჩინური კომპანიების სიმრავლე, ხოლო მათთან ერთად, საკუთარი მიღწევები ბიოტექნოლოგიის დარგში, ადგილობრივ კომპანიებსაც ჰქონდათ წარმოდგენილი. საერთაშორისო გამოფენა, დუბაის პრემიერ-მინისტრის, შეიხ მუჰამედ ბინ რაშიდის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით იმართებოდა. სამწუხაროდ, გამოფენის მონაწილე მსოფლიოს მრავალ ქვეყანას შორის, საქართველო არ იყო და ვფიქრობ, მე ერთადერთი ქართველი ვიყავი, ვინც ამ გამოფენაზე სტუმრის რანგში იყო მიწვეული. პირველად დუბაიში თხუთმეტი წლის წინ გახლდით და გაოცებული დავრჩი, ასე მოკლე დროში, როგორ გადაიქცა უდაბნოს ქალაქი საოცრებათა ოაზისად. იქ, სადაც თხუთმეტი წლის წინ, ფარდულები იყო ჩადგმული, ახლა ცათამბჯენებია აღმართული. ხოლო იქ, სადაც ადგილობრივ ვაჭრებს, პირდაპირ მიწაზე ჰქონდათ გაშლილი საქონელი, ახლა თანამედროვე სავაჭრო ცენტრებია აშენებული. მოკლედ, დუბაი თანამედროვე აღმოსავლური ზღაპარია, დახურული სამთო-სათხილამურო კურორტით შუა უდაბნოში და მსოფლიოში პირველი წყალქვეშა სასტუმროებით. მხოლოდ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში, დუბაიში 50-ზე მეტი სასტუმრო, 100-ზე მეტი თეატრი და 1500 რესტორანი აშენდა. გამოფენის მიმდინარეობის პერიოდში, შეხვედრები მქონდა არაერთ არაბ შეიხთან და შესაძლებლობას არ ვუშვებდი ხელიდან, რომ ამ უმდიდრეს ადამიანებთან ქართულ ღვინოზე, წყალსა და ჩვენი ქვეყნის ტურისტულ მიმზიდველობაზე მესაუბრა. თავად არაბები ალკოჰოლურ სასმელებს არ მიირთმევენ. მეტიც, საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლის მიღება, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში კანონით ისჯება. მაგალითად, თუ დუბაის ქუჩაში სამართალდამცავები ნასვამ მდგომარეობაში მყოფს შეგნიშნავენ, ქვეყნიდან დეპორტირება არ აგცდება. მაგრამ ყველა სახის ალკოჰოლური სასმელი იყიდება ფეშენებელურ სასტუმროებში და შეგიძლია, მშვიდად მიირთვა, როგორც სასტუმროს ნომერში, ისე სხვა დახურულ სივრცეში.

დუბაიში თითქმის ორი კვირა გავატარე

— იმის თქმა გინდათ, რომ დუბაის ბაზარზე ქართული ღვინო არ იყიდება?

— დუბაიში თითქმის ორი კვირა გავატარე. ბევრი სასტუმრო, საგამოფენო დარბაზი და სავაჭრო ცენტრი მოვინახულე, მაგრამ ერთი ბოთლი ქართული ღვინოც კი არსად მინახავს. არ ვიცი, შესაძლოა, რომელიმე ქართული ღვინის კომპანიას იქ საექსპორტოდ გააქვს ქართული ღვინო, მაგრამ ისეთი მცირე რაოდენობით, რომ ვერც კი შენიშნავ. არადა, დუბაის ყოველწლიურად, ასიათასობით ტურისტი და დამსვენებელი სტუმრობს. მოგეხსენებათ, რომ დუბაი მდიდარია ბუნებრივი აირითა და გაზით, მაგრამ ქვეყანას სასმელი წყალი არ გააჩნია. სასტუმროში, რესტორანსა და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შეხვდებით გამაფრთხილებელ წარწერას: „ონკანიდან წყალი არ დალიოთ!“ დუბაის ბაზარი გაჯერებულია სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოსხმული სასმელი წყლით, მათ შორის, ყველაზე პოპულარული, ფრანგული წყალია, რომელიც ერთი ლიტრი დაახლოებით ორი დოლარი ღირს. საქართველოში მართალია, არც გაზი გვაქვს და არც ნავთობი, მაგრამ სადაც გაიხედავ, ყველგან წყარო მოჩუხჩუხებს. ნუთუ, არ შეიძლება, ღირსეული კონკურენცია გავუწიოთ ფრანგებს გაერთიანებული საამიროების ბაზარზე? მახსოვს, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ თქვა: დრო მოვა, სასმელი წყალი ნავთობზე ძვირი ეღირებაო. ალბათ დროა, ქართველებმა ვისწავლოთ იმ ბუნებრივი რესურსების გამოყენება, რომელიც უფალმა უხვად გვიბოძა. მეტსაც გეტყვით, ყოველ წელს, იანვარ-თებერვალში, დუბაიში საერთაშორისო სავაჭრო ფესტივალი იმართება და ამ ფესტივალს დაახლოებით ორი მილიონი ადამიანი სტუმრობს. სავაჭრო ფესტივალს სარეკლამო დატვირთვაც აქვს, ყველა ქვეყანა ცდილობს, საკუთარი პროდუქცია წარმოადგინოს და ამით გზა გაუხსნას მის ექსპორტირებას სხვადასხვა სახელმწიფოში. სამწუხაროდ, ამ საერთაშორისო სავაჭრო ფესტივალზე არც ერთი ქართული კომპანია არ იყო წარმოდგენილი და ჩვენი ბიზნესმენების ასეთი პასიურობა, ჩემთვის ცოტა არ იყოს, გაუგებარია. ფესტივალზე განსაკუთრებული ხალხმრავლობა კენიელების დახლთან შევნიშნე და დავინტერესდი, რას ყიდდნენ ასე სარფიანად. აღმოჩნდა, რომ ისინი თაფლით ვაჭრობდნენ და არ იკითხავთ, რა ფასად? — ერთ კილოგრამს 60 დოლარს აფასებდნენ და მუშტრის სიმრავლეს

ვერ აუდიოდნენ. კენიელებთან დავიტრაბახე: თაფლი საქართველოში რომ გვაქვს, ისეთი უნდა-მეთქი, მაგრამ მხოლოდ სიტყვაზე არავინ მენდო. სავაჭრო ფესტივალზე ეგვიპტელები სამკაულებით იწონებდნენ თავს და საკმაოდ სარფიანადაც ყიდდნენ. მერწმუნეთ, ეგვიპტური ნაკეთობები ტოლსაც ვერ დაუდებდნენ ქართულ ტიხრულ მინანქარს, მაგრამ რად გინდა? როგორც ჩანს, ჩვენი მეწარმეები არ ფლობენ ინფორმაციას ასეთი მასშტაბური ღონისძიებების შესახებ. დუბაის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას ოქროს ბაზარი წარმოადგენს, რომელსაც „ოქროს ქალაქსაც“ კი უწოდებენ. ამ ბაზრობაზე ყოველდღიურად, 25 ათასი ტონა ოქროს ნაკეთობა გამოაქვთ გასაყიდად. მათ შორისაა, როგორც ცნობილი საიუველირო ბრენდების ნამუშევრები, ასევე ადგილობრივი ოქრომჭედლების ნაკეთობები. აქაურები ამბობენ, რომ ყოველწლიურად, საამიროებიდან 600 ტონა ოქრო გაედინება. სხვათა შორის, ოქროს სამკაულები თავად არაბებსაც ძალიან უყვართ და ოქროს ბაზარზე ხშირად შეხვდებით შეიხს, სამი ან მეტი ცოლის თანხლებით, რომელიც გულმოდგინეთ არჩევს სამკაულებს მეუღლეებისთვის.

— ქვეყნის სიმდიდრე დუბაის ჩვეულებრივ მოსახლეობაზე თუ აისახება?

— ოფიციალური მონაცემებით, დუბაიში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი წელიწადში 23.770 დოლარს შეადგენს. ალბათ, ამითაცაა განპირობებული ის, რომ გაეროს მონაცემების თანახმად, საამიროებში სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი მსოფლიოში ყველაზე მაღალია. არაბი ქალები თურმე, საშუალოდ, 81 წლამდე ცხოვრობენ, მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა კი 76 წლით განისაზღვრება. როდესაც დუბაის საერთაშორისო აეროპორტში მოვხვდი, გამოცა ხანდაზმული ტურისტების სიმრავლემ და მაშინვე თვალწინ დამიდგა გასაცოდავებული ქართველი პენსიონერები, რომლებსაც პურის ფულად ძლივს ჰყოფნით სახელმწიფოს დახმარება. სხვათა შორის, დუბაიში არსებული სოციალური პოლიტიკითაც დავინტერესდი და შევიტყვე, რომ ჯანდაცვა და განათლება ნებისმიერი მოქალაქისთვის უფასოა, ხოლო ყოველ დაბადებულ ბავშვზე სახელმწიფო იმხელა თანხას გასცემს, რომ მხოლოდ ბავშვის გასაზრდელად კი არა, მისი მომავლის უზრუნველსაყოფადაც საკმარისია. ასეთი სოციალური შეღავათების მიუხედავად, დუბაის ერთ-ერთ მიწისქვეშა გადასასვლელში მოხუცი არაბი ქალბატონი ვნახე, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. ჩემმა მასპინძლებმა მიამბეს, რომ დუბაის ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით არ გამოირჩევა, ამიტომ დუბაისა და სხვა საამიროებშიც მუშახელი ინდოეთიდან, ირანიდან და სხვა აზიური ქვეყნებიდან ჩადის.

— კიდევ რით გაგაოცათ დუბაიმ?

— 1985 წლიდან, დუბაი უბაჟო ვაჭრობის ანუ, როგორც ხშირად ამბობენ, თავისუფალ ეკონომიკურ-ინდუსტრიულ ზონად გამოცხადდა. ამის გამო, ეს ქვეყანა სპარსეთის ყურეში ეკონომიკური ურთიერთობების რეგიონულ ცენტრად იქცა, რამაც ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს დუბაიში ყველაზე ძვირფასი სასტუმროები და მაღალი დონის მომსახურებაა. გარდა ამისა, ახალგაზრდა მდიდარი შეიხები არაფერზე იხევენ უკან, რათა საკუთარი ფანტაზიები და საყვარელი ცოლების სურვილები რეალობად აქციონ. დუბაიში ამბობენ, რომ დახურული სამთო-სათხილამურო კურორტი შეიხებმა სწორედ ცოლების თხოვნით ააშენეს, რადგან ცხელი ჰავის გამო, ქალები ძვირფასი ბეწვეულით ვერსად იწონებდნენ თავს. ეს კურორტი ერთდროულად 1500 ადამიანს იტევს და ნამდვილი თოვლი ნორვეგიიდან ჩააქვთ. წელს, პირველ დამსვენებლებს მიიღებს დუბაის წყალქვეშა სასტუმრო, რომელიც დუბაის კრონპრინცის საკუთრებაა. ამ წყალქვეშა სამყაროს სხვაგვარად, XXI საუკუნის საოცრებას და წყალქვეშა ქალაქსაც უწოდებენ. მას პალმის ფორმა აქვს და 260 ჰექტარზეა გადაჭიმული. ამბობენ, რომ ამ წყალქვეშა ქალაქის მშენებლობა 500 მილიონი დოლარი დაჯდა. დუბაიში შენდება ასევე მოცეკვავე სახლი, რომელიც ქარის ენერგიის გამოყენებით, 360 გრადუსით იბრუნებს. შენობის ყოველი სართული დამოუკიდებლად იმოძრავებს და ფანჯრებიდან ყოველწუთას სხვადასხვა ხედი გადაიშლება. მოკლედ, დუბაი კონტრასტების ქალაქია, ჩადრებში გახვეული ქალები ძვირად ღირებული ავტომობილების საჭეს უსხედან, ხოლო პლაჟზე, ზოგჯერ ისეთ სანახაობას გადააწყდები, არ იცი, დარცხვენილმა, თვალი როგორ აარიდო. სხვათა შორის, იქაური კანონის თანახმად, შესაბამისი ნებართვის გარეშე ვინმესთვის ფოტოს გადაღება, შეიხების, მათი ცოლებისა და სასახლეების ფირზე აღბეჭდვა აკრძალულია, მაგრამ ქართული მოხერხებულობის წყალობით, რამდენიმე კადრის გადაღება მაინც შევძელი... საინტერესო და ეგზოტიკურია ტური უდაბნოში, სადაც ბედუინების კარვის სტილში აშენებულ სასტუმროში ათევ ღამეს. იქ ყველაფერი ისეა, როგორც გასულ საუკუნეებში, როდესაც ბედუინთა ტომები უდაბნოში ცხოვრობდნენ. ეს ტური არაბი ქალის მიერ შესრულებული „მუცლის ცეკვით“ სრულდება. კიდევ, იქაურების წესიერებამ გამაოცა. სასტუმროს ფოიეში ხელჩანთა დამრჩა, სადაც მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად, ფულიც იდო და წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება (სიხარულთან ერთად), როდესაც ნომერში დამირეკეს და ჩანთა ხელუხლებლად დამიბრუნეს. ■

პლაჟზე, ზოგჯერ ისეთ სანახაობას გადააწყდები, არ იცი, დარცხვენილმა, თვალი როგორ აარიდო

ეს ტური არაბი ქალის მიერ შესრულებული „მუცლის ცეკვით“ სრულდება

საინტერესო და ეგზოტიკურია ტური უდაბნოში

დუბაიში ყველაზე ძვირფასი სასტუმროები და მაღალი დონის მომსახურებაა

ქალის სიტყვიერი...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-11

სვეტა კვარაცხელია

ადგილზე გავქვავდი. იმდენად მოულოდნელი იყო ნიტას გამოჩენა, ხმა ვერ ამოვიღე, თითქოს მიველურსმე ერთ ადგილს.

— შეიძლება შემოვიდე? — ნაღვლიანი ღიმილი არ შორდებოდა ნიტას სახიდან.

— მაპატიე, დავიბენი... ისე შეცვლილხარ, ქუჩაში რომ შემხვედროდი, ვერ გიცნობდი. — ვიმართლე თავი და შემოვიპატიჟე.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ორივე გაუნძრევლად ვიდექით ერთმანეთის პირისპირ და ხმას არ ვიღებდით, მხოლოდ თვალებით ვზვერავდით ერთმანეთს. მას აინტერესებდა, ხდებოდა თუ არა ჩემსა და სანდროს შორის რამე, მე — რა იცოდა ჩემი და სანდროს ურთიერთობის შესახებ.

— ხედავ, ცხოვრება რა საოცარია? ბედმა ისევ ერთად შეგვყარა. — თქვა და ამოიოხრა. — მეგონა, გაგიხარდებოდა ჩემი ნახვა.

— რატომ გგონია, რომ მეწყინა? უბრალოდ, ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის. სულ ეს არის. დაჯდომაც კი ვერ შემოგთავაზე, ისე გამიკვირდა.

— მე კი მეგონა, დამირეკავდი, მომიკითხავდი, უკეთეს შემთხვევაში, ჩვენს სანახავად მოხვიდოდი.

შუბლი შევიჭმუხნე.

— მოვიდოდი? შენ ფიქრობ, რომ ეს მე უნდა გამეკეთებინა? ჩემი აზრით, პირიქით უნდა მომხდარიყო. სწორედ იმავეს ველოდი შენგან წლების წინ, შენ კი...

— რაც მოხდა, ჩემი ბრალი არ იყო, სოფიო, გეფიცები. კინაღამ თავი მოვიკალი, როცა მამაჩემმა გამომიცხადა, სანდროს ცოლი გახდებიო, სასტიკ უარზე დავდექი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მას ამის გაგონებაც არ სურდა, ცოფებს ყრიდა, სახლიდან გაგდებით მემუქრებოდა. ბოლოს, სანდროს დედამაც მთხოვა, შვილს ნუ დამიღუპავო...

— მერე? ხომ შეგეძლო, მოსულიყავი და მაშინვე გეთქვა ეგ ყველაფერი. რატომ არ მოხვედი? დაგერეკა მაინც... მაგრამ არ ისურვე. გინდა, გითხრა, რატომ? იმიტომ, რომ სანდრო შენც გიყვარდა და არც შენ გინდოდა მისი დაკარგვა. ტუზი დაგეცა და ხელსაყრელი მომენტი არ გაუშვი ხელიდან. — გავცხარდი.

— არა ხარ მართალი, არა! — ნიტამ ხმას აუწია და თვალები ცრემლით აევსო. — შენ არ იცი, რა დღე გამოვიარე. მთელ ღამეებს ტირილში ვათენებდი, როცა შენს მდგომარეობას წარმოვიდგენდი. გგონია, არ მაწუხებდა ეს?

— რაც იყო, იყო, არ მინდა წარსულის გახსენება. იმედია, თოთხმეტი წლის შემდეგ, ამის სათქმელად არ მოსულხარ. — შევარბილე ტონი.

— ჰო, ამის სათქმელად არ მოვსულვარ, თუმცა ამის უთქმელადაც არ წავალ აქედან და უნდა მომისმინო.

— არ გინდა, ნიტა, აღსარების მოსმენა არ მსურს.

— აღსარებისთვის არ მოვსულვარ. მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვო — სანდროს ნუ წამართმევ.

— საიდან მოიტანე ეგ სისულელე, რადგან ერთად ვმუშაობთ, გგონია, შენს ქმარს უკან დავდევ? — ძალაუნებურად მუხლები მომეკვეთა და დავჯექი, ნიტაც დაჯდა.

— შენი არ ვიცი, მაგრამ ვხედავ, სანდრო როგორ შეიცვალა ბოლო ხანებში. ღამეები არ სძინავს, ოხრავს, შინ მოსვლა აღარ უნდა, ხანდახან შუაღამისას გავარდება სახლიდან, კლინიკაში უნდა წავიდეო. ადრე არ გაუკეთებია ასეთი რამეები.

— იქ მაშინ მიდის, როცა მძიმე ავადმყოფი ჰყავს დატოვებული, ახალნაოპერაციები.

— ვიცი, მაგრამ რატომღაც, ეს ყველაფერი მაინცდამაინც მაშინ ხდება, როცა შენ ხარ მორიგე.

— ჯერ ერთი, მხოლოდ ერთხელ მოვიდა ჩემი მორიგეობის დროს, მეორეც — შენ რა იცი, მე როდის ვარ მორიგე?

— ამის გაგება ძნელი არ არის.

— კლინიკაში რეკავ და იძიებ, ვინ არის ამაღამ მორიგეო? — თვალები გამიფართოვდა.

— თუნდაც. ხედავ, რა ადვილია?

— პირდაპირ მითხარი, რა გინდა ჩემგან, ნიტა?

— დამითმე ჩემი ქმარი, მე უფრო მჭირდება დღეს ის, ვიდრე შენ; უფრო სწორად, მის შვილებს სჭირდებათ. ვიცი, არ ვუყვარვარ, არც არასდროს ვყვარებივარ. რომ დავქორწინდით, მთელი ორი თვე ახლოს არ გამკარებია, არც კი მელაპარაკებოდა წესიერად. ნერვიულობისაგან გავხდი, თვალები ამომიღამდა, ტირილიც კი ვერ მგვრიდა შვებას. როგორც ჩანს, მერე და მერე შევეცოდე და, როგორც იქნა, დამდო პატივი, ადამიანურად მომპყრობოდა. არ დამავიწყდება ჩვენი პირველი ღამე... შუა ალერსში შენი სახელით რომ მომმართა. საშინელება იყო ამის მოსმენა, თითქოს გამთელეს, დამამცირეს, შეურაცხმყვეს. არ შევიმჩნიე, აზრი არ ჰქონდა, თუმცა ვიგრძენი, რომ რაღაც გაცივდა ჩემში, ძველებურად აღარ მიყვარდა. არც ისეთი „იდეალური“ აღმოჩნდა, როგორიც მეგონა. ბოლოს აიჩემა, რუსეთში უნდა წავიდეთ, აქ ცხოვრება აღარ მინდაო. ყველაფერზე თანახმა ვიყავი, რასაც მოისურვებდა, ოღონდ არ მივეტოვებინე. წავედით. თითქოს იქ უფრო დათბა ურთიერთობა, ალბათ, სიშორემ თავისი გაიტანა. ისე თბილად მექცეოდა, ერთი პერიოდი ვირწმუნე კიდეც, შევუყვარდი-მეთქი; თუმცა გულის სიღრმეში სულ მეშინოდა, ყოველ წამს ველოდი, როდის წავიდოდა ჩემგან. არ მიმატოვა. ალბათ, იმიტომ, რომ კარგი ცოლი ვიყავი. მისი გულისთვის შეუძლებელს ვაკეთებდი. პირველი შვილი რომ გაგვიჩნდა, გამომიცხადა, ნარკოტიკებს უნდა შევეშვა და დამეხმარეო. დავეხმარე. გამოგვივიდა. ამან უფრო დაგვაახლოვა. მერე ბიჭი გაჩნდა, კიდევ უფრო ბედნიერი ჩანდა, თუმცა ჩემ მიმართ გაცივდა. დიდად არ მინერვიულია, მაინცდამაინც არც მე ამომდიოდა მასზე

მზე და მთვარე. ოთხი წლის წინ დავბრუნდით, მაინც აქეთ მოუწევდა გული, შეიძ...

— ნიტა, რატომ მიყვები ამას, მაპატიე, მაგრამ არ მაინტერესებს, — გავაწყვეტინე.

— იმიტომ, რომ... არ ვიცი, რატომ...

გული შემეკუმშა. ძალიან შემეცოდა. მისმა ნათქვამმა ისე იმოქმედა ჩემზე, ცხოვრებაში პირველად, თავი ვალდებულადაც კი ვიგრძენი, სანდროზე უარი მეთქვა.

— ჩვენ შორის არაფერი ხდება, დამიჯერე და არც არასდროს მოხდება, ამის პირობას გაძლევ, — მტკიცედ ვთქვი.

— ჩუმად ვამოწმებ მის მობილურს, შენი ზარი ხომ არ არის შემოსული, ან მესიჯებს ხომ არ უგზავნით ერთმანეთს. ერთი ფაქტიც ვერ დავაფიქსირე. ამან უარესად გამხადა. ვიფიქრე, ისე ფრთხილობენ, ყველანაირ კვალს შლიან-მეთქი. — ისე ლაპარაკობდა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა.

— ღმერთო, რაები გიფიქრია, ცხოვრებაში არ გამიგზავნია მისთვის მესიჯი, დარეკვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, სამსახურშიც კი იშვიათად ვკონტაქტობთ. მას შენ უყვარხარ, ნიტა, უდიდეს პატივს გცემს და გაფასებს, ეგ ნამდვილად ვიცი. მითხრა კიდეც, ასეთი რომ ვარ, ჩემი ცოლის დამსახურებაა.

მწარედ ჩაიცინა.

— კარგია, სხვასთან მაინც თუ ამბობს ასე. ყველაფერს ვერ მოგიყვები, სოფიო, ან კი რა საჭიროა. მე არაფერს ვითხოვ მისგან, ოღონდ შვილებს ნუ შეაქცევს ზურგს და რაც უნდა, ის ქნას, როგორც უნდა, ისე მოიქცეს.

— შენ თვითონ არ გჯერა, რასაც ამბობ. რომ გაიგო, ჩემთან რომანი აქვს, ჩუმ-ჩუმად ვხვდებით ერთმანეთს, აპატიებ? ამას აიტან? ვერ აიტან, ამიტომ ნუ ამბობ ასე, ნუ იტანჯავ თავს. დამიჯერე, ტყუილად ნერვიულობ, მე სხვა მიყვარს, წარსული უკვე გამოვიტირე და დავივიწყე კიდეც. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, მე სხვას ვხვდები კარგა ხანია, სანდრო არაფერში მჭირდება, — მინდოდა, ნიტას ჩემს ნათქვამში ეჭვი არ შეჰპარვოდა; მით უმეტეს, იმწუთას რასაც ვამბობდი, სულაც არ იყო ტყუილი, ამასთან, რაც მეტს მიყვებოდა თავის ცხოვრებაზე ძველი მეგობარი, მით უფრო ვშორდებოდი სანდროს.

ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა. ორივე შეკრთით.

— მგონი, ის არის, — გაღიმება ვცადე.

— სანდრო? — იკითხა შეშინებულმა.

— არა, ეს ის არის, ვისაც ვხვდები, — ვუპასუხე და კარისკენ გავემართე.

გავაღე. ბექა იყო.

— რას შვრები, არ მოდიხარ? — ქოშინებდა.

— სტუმარი მყავს, ცოტა ხანში გამოვალ, — ყრუდ ჩავილაპარაკე.

— ვა, ნიტა?! შენ აქ საიდან გაჩნდი? თქვენ რა, იცნობთ ერთმანეთს? — გაოგნებული ხან მე შემომხედავდა, ხან მას.

— ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვართ, — გაიღიმა ნიტამ, წამოიწია და გადაკოცნა.

— ბავშვობი-ი-ის? საინტე-რე-სო-ა!

— საეჭვო ტონით წამოიძახა. — ძალიან კარგი, ეს სიურპრიზი იყო ჩემთვის. ჰე, ადექით ახლა, რას უცდით, არ წავიდეთ? შენც ხომ მოდიხარ, ნიტუშ?

— არა, ბექა, მე ვერ წამოვალ, სოფოს უნდა გავუარო ინგლისურზე, იქიდან გვიან გამოდის და უნდა დავხვდე, — ნიტა წამოდგა.

— სოფო ვინ არის? — რაღაც მენიშნა.

— ჩემი ქალიშვილია, შენი სახელი დავარქვი, — დარცხვენით თქვა ნიტამ და თითქოს დანანებით დააქნია თავი. — ყოველთვის მინდოდა, ჩემი პირველი შვილის ნათლია შენ ყოფილიყავი, მაგრამ... აბა, კარგად იყავით, ჩვენც გვესტუმრეთ ხოლმე, არ ვართ, ბატონო, ცუდი მასპინძლები. მაინცდამაინც დაბადების დღე უნდა გვქონდეს, რომ შემოგვიაროთ? — სცადა, მხიარულად გამოსვლოდა.

— მოიცა, ერთად გავიდეთ, მანქანით ვარ, გაგიყვან, — ბექას ხმა შეცვლოდა.

— მეც მანქანით ვარ, დიდი მადლობა, — გაუღიმა ნიტამ, კიდევ ერთხელ დაგვემშვიდობა და გავიდა.

ბექამ გამომცდელი მზერა მესროლა. თვალი ავარიდე, ახსნა-განმარტების არც თავი მქონდა და არც სურვილი. ჩანთას დავუწყე ძებნა.

— ჩვენც წავიდეთ, არა? — შევეცადე, რაც შეიძლებოდა, ბუნებრივად მეთქვა, მაგრამ არ გამომივიდა.

— წავიდეთ, — არც ბექას გამოუვიდა ბუნებრივად.

მთელი გზა ისე გავიარეთ, კრინტი არ დაგვიძრავს. არაფერი უკითხავს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ კითხვები დაუგროვდა. ჩემი და სანდროს ურთიერთობაში ნამდვილად არ იგრძნობოდა, რომ მისი ცოლის ბავშვობის მეგობარი ვიყავი. ეს კი ეჭვს თავისთავად ბადებდა. არა უშავს, გაუვლის, ვფიქრობდი ჩემთვის; თუ მკითხავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვუყვები ყველაფერს, თუ არადა, სულაც არ არის საჭირო, ეს ჩემი ცხოვრებაა და მხოლოდ მე მეხება...

ნათიასთან ჩვენმა ერთად გამოჩენამ აჟიოტაჟი გამოიწვია.

— სად დადიხართ, თქვენ, სად? — წამოიძახა ვაჟამ, — გაშრა ყელი, ასე უნდა? დავწყდით ლოდინით.

იუბილარი გადავკოცნე, მივულოცე და საჩუქრად სუნამო გადავეცი. ბექამ ვარდების თაიგული და კიდევ რაღაც მიართვა პარკით.

— აჰა, როგორც იქნა, ყველანი „შავიყარენით“. დაგვდეთ ახლა პატივი და გვითამადეთ, ბატონო მთავარი ექიმის მოადგილევ. — ვაჟა კარგ ხასიათზე იყო.

ბექა უარზე დადგა, საჭესთან ვარ და ბევრს ვერ დავლევო. სხვა რა გზა იყო, თამადობა ისევ ვაჟას უნდა ეკისრა. მგონი, გაუხარდა კიდეც.

სუფრასთან მსხდომთ თვალი მოვავლე. გელა იყო, ვაჟა, სანდრო, გიზელა და ორიც უცნობი გოგონა, ალბათ, იუბილარის ახლო მეგობრები. მერე გაგვაცნო ნათიამ, ჩემი კლასელები არიანო. მე და ბექა სანდროს პირდაპირ აღმოვჩნდით სუფრასთან, გიზელა ჩემ გვერდით იჯდა.

— ძალიან უხდებით ერთმანეთს, — გადმომჩურჩულა გიზელამ. — ლამაზი წყვილი ხართ და გულით მიხარია.

პასუხად მხოლოდ გავუღიმე. ამ დროს სანდროს გამომცდელი მზერა დავიჭირე, თვალებით მბურღავდა. მასაც იგივე ღიმილი „გავუმეორე“.

— მიხეილი არ მოვა? — გიზელას გადავულაპარაკე.

— ა-რა, მიხა ასეთ საღამოებზე არ დადის. ცოლი უშლის დალევას, დიაბეტი აწუხებს. — გიზელამ სიგარეტს მოუკიდა.

— რა გადმოგიღო? — მკითხა ბექამ.

— სიმართლე გითხრა, ჯერ არაფერი მინდა, არ მშია. ლიმონათი

დამისხი, მეტი არაფერი.

— არის ლიმონათი სრული სვლით, — გაიხუმრა, მაგრამ მაინც მოწყენილი მეჩვენა.

არ შევიმჩნიე.

ვაჟამ რამდენიმე სადღეგრძელო შესვენების გარეშე მიაყოლა.

— რა მაგარი თამადაა ეს ბიჭი, სადღეგრძელოს სადღეგრძელოში „აჯენს“, — ბექა ცდილობდა, გამხიარულებულიყო. — მაგრამ ცოტა რომ შეგვასვენო ხანდახან, არ შეიძლება, კაცო, რა ავტომატის ჯერივით მოგვაყარე, დრო რეგლამენტით გვაქვს, თუ იცი? ნათი, მშვენიერო, ჯერ ხომ არ გვყრი სახლიდან?

ყველას გაეცინა.

— ბატონო ბექა, თუ ჩემი თამადობა არ მოგწონთ, თავად დათანხმებულიყავით მაშინ. არ ვსვამო, ესაო, ისაო; ლამაზი ქალი მაბარია გასაცილებლადო, იმას მთვრალი კაცები არ უყვარსო. — გაეხუმრა ვაჟა. — ერთსაც ვიტყვი და მერე პაუზას გამოვაცხადებ, რაც გაგიხარდებათ, ის გააკეთეთ, — ხელი გაშალა და მორიგი სადღეგრძელო წამოიწყო.

— მაგას რა სჭირს, რაღაც ვერ არის ხასიათზე, — წამჩურჩულა გიზელამ და თვალებით ბექაზე მანიშნა.

— არ ვიცი, არ მიკითხავს, — მხრები ავიჩეჩე.

— ალბათ, დღევანდელზეა გაბრაზებული.

— რა დღევანდელზე?

— ნანკას რომ „დაახურა“ თავზე.

— ჰო, მართლა, რა უნდოდა ნანკასგან?

— მერე მოგიყვები, გრძელი ამბავია. ისე, შენ გამო ეჩხუბა და ღირსიც იყო, მე თუ მკითხავ. კიდევ კარგი, დღეს მორიგეა და ვერ მოვიდა, დაიწყებდა „როჟების“ კერვას.

— შეიძლება, არც მოსულიყო.

— გეგონოს! არ იცი, როგორი „სტერვაა“, სპეციალურად მოვიდოდა, რომ ყველასთვის ჩაეშხამებინა საღამო. მით უმეტეს, ბექაც აქ ეგულებოდა და სანდროც. ეგ ხომ „ხიშნიცაა“, არც ერთ შანსს არ უშვებს ხელიდან, თუ ჩაუვარდა.

— როგორ, ორივეს ეპრანჭება?

— ეპრანჭება? ეს ის სიტყვა არ არის, ეპრანჭება კი არა, ლამისაა, სახლში შეუხტეს ერთსაც და მეორესაც.

„აბა, ჩემგან რა უნდა ნიტას, ჩემზე რაღას ეჭვიანობს? ნანკას და მის ქმარს მიხედოს“. — გავიფიქრე ჩემთვის და სანდროსკენ გავაპარე მზერა. ჩვენი თვალები კვლავ შეხვდა ერთმანეთს. თითქოს მექადებოდა, ისე მიყურებდა. ბექას გადავხედე. ის სანდროს მისჩერებოდა. უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა. აშკარა იყო, მამაკაცებს შორის ფარული ომი გაჩაღდა. ამასობაში ნათიამ მაგნიტოფონი ჩართო. „ვალსის“ მელოდია გაისმა.

— არ შევუდგეთ საქმეს? — ჩემკენ გადმოიხარა ბექა.

— რა საქმეს? — ვერ მივუხვდი.

— ის, რაც ასე სასარგებლოა დაახლოებისთვის.

გამეღიმა, ცეკვას გულისხმობდა.

— შევუდგეთ.

ავდექით. ბექამ ხელი ჩამავლო და ცეკვა-ცეკვით გამიყვანა შუა ოთახში. სხვებიც აგვყვნენ. გელამ ნათია გამოიწვია, გიზელამ — სანდრო. ის ორი გოგონა თავისთვის იჯდა განმარტოებით და ჩვენ გვიყურებდა. ბექა და სანდრო დროდადრო ერთმანეთისკენ აპარებდნენ თვალს, ერთმანეთს აკონტროლებდნენ. ნამდვილი მზერათა ომი გაჩაღდა. სიტუაცია იძაბებოდა. მით უმეტეს, რომ სანდრო სვამდა, ბოლომდე ცლიდა ჭიქას ყოველ სადღეგრძელოზე.

— როგორც ჩანს, ბევრი გაქვს ჩემთვის მოსაყოლი, — მითხრა ბექამ და ხელი ძლიერად მომხვია წელზე.

— რაზე მეკითხები? — თვალი თვალში გავუყარე.

— ნიტაზე, სანდროზე და ასე შემდეგ, აღარ დავაკონკრეტებ.

— დიდი არაფერი, ჩვენ ერთად ვსწავლობდით პირველ კურსზე.

— სულ ეს არის? — დაეჭვდა.

— სულ ეს არის, — მხრები ავიჩეჩე.

— ვფიქრობ, შენსა და სანდროს შორის მტრული დამოკიდებულება უფრო იგრძნობა, ვიდრე მეგობრული.

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ თქვენს ურთიერთობაში არ ჩანს, მისი ცოლის მეგობარი თუ ხარ.

— ვიყავი, მაგრამ დიდი ხნის წინ, თანაც სანდროს კარგად არც ვიცნობდი. დაქორწინდნენ თუ არა, მაშინვე მოსკოვში წავიდნენ, დავკარგეთ ერთმანეთი.

— არც ის იცოდი, შვილს შენი სახელი რომ დაარქვა. ეს უცნაურად არ გეჩვენება?

— დაკითხვას მიწყობ? — ცივად ავხედე.

— შენი აზრით, არ უნდა დავინტერესდე?

მისი შეკითხვა უპასუხოდ დავტოვე.

— გიყვარდა? — არ მომეშვა.

უარყოფას აზრი არ ჰქონდა.

— ჰო, ერთ დროს. კმაყოფილი ხარ?

— ახლა? ახლა რა ხდება?

— ჩვენს ურთიერთობას ეტყობა, რომ რამე ხდება? — კონტრშეკითხვა დავსვი.

— შორიდან ძნელი სათქმელია, მაგრამ ეჭვიანი კაცი სხვა დასკვნას გამოიტანდა, — გამჭოლი მზერა მესროლა.

— მაგალითად?

— მაგალითად, იფიქრებდა, ეს ლამაზი გოგო თავისი ინტრიგისთვის ხომ არ მიყენებსო.

ცივმა ოფლმა დამასხა. ნაწილობრივ ხომ მართლა ასე იყო, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. ბექა ნამდვილად მომწონდა, ხოლო ამწუთას სანდროზე მეტადაც კი მიყვარდა. არ ვიცი, შეიძლება მეჩვენებოდა ეს ყველაფერი, შეიძლება მხოლოდ გარემოებამ გამოიწვია, რომ ასე მეფიქრა, მაგრამ ახლა ნამდვილად ასე იყო.

— მე ორგული არასდროს ვყოფილვარ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ არ მატყუებ? ხომ იცი, ტყუილი ღალატის ტოლფასია, ასე არ მითხარი?

— ასეა.

— ესე იგი, შემიძლია მშვიდად ვიყო?

— შეგიძლია, — ვთქვი და შევხედე.

— მაგრამ მაინც სცადე ჩემი მოტყუება, ასე არ არის?

მუსიკა შეწყდა, ჩვენ-ჩვენს ადგილებს დავუბრუნდით. ხასიათი გამიფუჭდა. მინდოდა, დროზე გავცლოდი აქაურობას. ამ დროს სანდრომ დამიძახა, ერთი წუთით მოდიო და აივანზე გავიდა. მუხლები მომეკვეთა. ლასლასით მივუახლოვდი, შემეშინდა, ეჭვიანობის სცენა არ გაემართა.

— ის ყვავილები ნიტას „დამსახურება“ ყოფილა, ბოდიშს გიხდი. ამისთვის დაისჯება. — ყრუდ ჩაილაპარაკა და სივრცეს გახედა.

საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. ნუთუ მართლა? თვითონ რატომ არაფერი მითხრა ნიტამ? ორიოდე საათის წინ ჩემთან არ იყო? იქნებ ვერ მოასწრო ან შერცხვა თავისი საქციელის?

— ეს მეტჯერ აღარ განმეორდება, დამიჯერე, — თავი მოაბრუნა სანდრომ. — ვატყობ, რომ რაღაცები იცვლება. მე ბევრს ვფიქრობ, სათანადო გადაწყვეტილებას ამ დღეებში მივიღებ და მერე შევხვდეთ და ვილაპარაკოთ.

— არ არის საჭირო, ყველაფერი დამთავრებულია.

— რა? რა მითხარი? — თავი დახარა და ქვემოდან ამომხედა.

— ყველაფერი დამთავრებულია-მეთქი. შენთან შეხვედრის სურვილი უკვე გამიქრა. აღარაფერი მაქვს სალაპარაკო. — მკაფიოდ წარმოვთქვი და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ მკლავში ჩამჭიდა ხელი.

— მომისმინე, სოფი, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასარკვევი, ამიტომ აუცილებლად მოგვიწევს ცალკე შეხვედრა.

— მართლა? რაღაც მეეჭვება. შენთვის ხან სოფი ვარ, ხანაც სოფიო, იმის მიხედვით, როდის რომელი სახელი გჭირდება. იცი, რას მაგონებს შენი საქციელი? „კატათაგვობანას“. მე შენი თაგვი არა ვარ, რომ მეთამაშო — როცა გინდა, გამიშვა და მერე ისევ თავს დამაცხრე. შენი სიყვარულის მსხვერპლი არ გავხდები, არასდროს, არასდროს, არასდროს! ეს დაიმახსოვრე. თუ ჩემთან ყოფნა გინდოდა, თავის დროზე გეფიქრა ამაზე.

— მაშინ ჭკუა არ მეყო.

— საუბედუროდ, ჭკუა ყოველთვის იმაზე მეტი გქონდა, ვიდრე გჭირდებოდა. შემეშვი, ასე აჯობებს.

— საინტერესოა, ვისთვის?

— ორივესთვის.

— რაღაც არა მგონია. გგონია, ვერ ვხვდები, მაგასთან რატომ დადიხარ? მე რომ გადამიყვანო ჭკუიდან, იმიტომ. ჩემი დავიწყება რომ არ შეგიძლია, იმიტომ. გინდა მაეჭვიანო, გამამწარო. ვაღიარებ, რომ მიაღწიე მიზანს.

— არ მაინტერესებს, ჩემთვის შენ უკვე აღარ არსებობ. რაც ბექა გავიცანი, მას შემდეგ ვევედრები ღმერთს, დამეხმაროს შენი სიყვარულისგან გათავისუფლებაში.

— მერე? დაგეხმარა?

— ჯერჯერობით შემიძლია გითხრა, რომ ბოლომდე ვერა, მაგრამ ეს უკვე პროგრესია. დანარჩენში ბექა დამეხმარება.

— ამას არ დავუშვებ, იცოდე! — კბილებში გამოცრა.

— ისე კარგად დაუშვებ, როგორც დაგიბარებია! — ნიშნის მოგებით წარმოვთქვი და გამოვტრიალდი.

ბექა თავის ადგილზე იჯდა თავჩაღუნული და ღვინით სავსე ჭიქას უაზროდ ატრიალებდა ხელში. გიზელამ კითხვით სავსე მზერა მომაპყრო. თვალებით ვანიშნე, ისეთი არაფერიმეთქი და ბექასკენ დავიხარე.

— მე მივდივარ, წამიყვან? — მხარზე შევეხე.

უცნაურად ამომხედა, თითქოს პირველად მხედავსო.

— სად გეჩქარება, ვიყოთ, ვერ ხედავ, რა მშვენივრად ვატარებთ დროს? — ირონიულად თქვა.

— წავედი, — ჩანთას ხელი დავავლე, ყველას დავემშვიდობე და კარისკენ გავემართე.

ნათია გამომეკიდა, სუფრიდან სხვების შეძახილებიც დამეწია, მაგრამ ყურადღება არავის მივაქციე. ერთი სული მქონდა, როდის გავიდოდი აქედან.

— მაპატიე, ნათი, უნდა გავიქცე, საქმე მაქვს, — ნათიას ლოყაზე ვაკოცე, მის პასუხს არ დაველოდე და კიბეზე კისრისტეხით დავეშვი.

ცივი ნიავი სახეში მცემდა, თმას მიწეწავდა. ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა ღაწვებზე. მეზიზღებოდა სანდრო, მძულდა, გული მერეოდა მის გახსენებაზე... რამდენიმე მეტრი რომ გავიარე, ნელი სვლით მოახლოებული მანქანის ხმა გავიგონე, მერე ბექას ხმაც.

— გოგონი, თუ ერთი გზა გვაქვს, გაგიყოლებთ.

გავჩერდი და შევხედე. თბილად მიღიმოდა. დაამუხრუჭა. მანქანას წინიდან მოვუარე და ჩავჯექი.

— რატომ გამოიქეცი, სოფი, ვის გაურბიხარ? — ისე მკითხა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა.

— საკუთარ თავს.

— საკუთარ თავს? ასეთი რა დაგიშავა? მშვენიერი თავი გაქვს, მე მომწონს? შენ რას უწუნებ?

— იმას, რომ შტერია, ჩერჩეტი და სულელი, — ამოვიოხრე და საზურგეს მოხერხებულად მივეყრდენი, ცრემლებმა შეღებილი თვალები ამიწვა, შავი ლაქები დამაჩნდა ლოყებზე.

— საით წავიდეთ? — ბექამ მანქანა დაძრა.

— სახლში წამიყვანე.

— რა უნდოდა?

— არაფერი.

— ამდენი ხანი არაფერზე გელაპარაკებოდა?

— ჰო, — მოკლედ მოვჭერი.

— მე უფრო ჭკვიანი მეგონა. ას ორმოცდაჩვიდმეტი წამი არაფერზე გელაპარაკა? შენნაირ ქალს? მე ასე ნამდვილად არ მოვიქცეოდი.

— რატომ ამდენი ცინიზმი? — ცრემლიანი თვალები მომუშტული ხელებით ამოვიწმინდე.

— ცინიზმი? შენი აზრით, დაგცინი? ვგავარ იმ კაცს, საყვარელ ადამიანს დასცინოს? თუ გგონია, რომ...

— შენ ჩემზე ბევრი არაფერი იცი, ბექა.

— მერე? მომიყევი და მეცოდინება.

— არ გეშინია, რომ განიხიბლო?

— მეშინია? არ მეშინია, შენ წარმოიდგინე. დიდი-დიდი, სექსი გქონოდათ, რა მოხდა მერე? მთავარი ეს არ არის. მთავარია, ყალბი არ გამოდგეს ურთიერთობა. მთავარია, როცა ჩემთან ხარ, გონებით და ფიქრებითაც ჩემთან იყო და არა მასთან. მე რომ მეფერები, იცოდე, რომ მე მეფერები და არა მას. ეს არის ყველაზე საშიში, ეს არის ყველაზე მთავარი. სიყვარული ადვილი რომ არ არის, კარგად ვიცი. ამიტომაც ვერ შევძელი ვერასდროს ვერავის შეყვარება, სანამ შენ არ გამოჩნდი. რაც უნდა მიმტკიცო, რომ ცუდი ხარ, არ დაგიჯერებ, იმიტომ, რომ არ ხარ ცუდი. წარსული კი ყველას გვაქვს, თეთრიც და შავბნელიც. ჩვენ ხომ ადამიანები ვართ — ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეებით, შეცდომებით და სიკეთეებით. რა ვიცი... სიყვარული კი... სიყვარული მშენებარე სახლს ჰგავს, თან კედლები რომ ამოგყავს და თან ცეცხლი რომ უკიდია გარშემო. შენი არ ვიცი, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ასეა. ამ ცეცხლის ჩაქრობა შენ შეგიძლია მხოლოდ. შენს სურვილზეა დამოკიდებული, ჩემი სიყვარულის სახლი აშენდება თუ ხანძარში ჩაიფერფლება. შენ უნდა გადაწყვიტო. შენი ნებაა, სოფი, მომიყვები თუ არა, რა გაკავშირებდა სანდროსთან, რა დოზით გიყვარდა, რამდენად შორს შეტოპეთ ურთიერთობაში? თუმცა, კიდევ ერთხელ გიმეორებ, ეს არ არის მთავარი. შენი უკან მოტოვებული ცხოვრება ნაკლებად მაინტერესებს. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, როგორია იგი დღეს, როგორი იქნება ხვალ და მე რა როლი მომეცემა ამ ცხოვრებაში. დუბლიორობა ნამდვილად არ მინდა, არც მეორეხარისხოვანი გმირი მინდა ვიყო. მაქვს პრეტენზია, მხოლოდ მთავარი როლი შევასრულო შენი ცხოვრების მელოდრამაში.

ამასობაში კორპუსს მივუახლოვდით. ბექამ გააჩერა და ჩემკენ მოტრიალდა.

— რას იტყვი?

— იქნებ სხვა დროისთვის გადავდოთ ეს საუბარი?

— შენი ნებაა, მაშინ „ძილი მშვიდობისა“, ჯერჯერობით სულ ეს არის, რაც შემიძლია გისურვო, — გამიღიმა, ჩემკენ გადმოიხარა და კარი გამიღო, კოცნა არ უცდია.

გული მომეწურა, რატომღაც მეგონა, უფრო თბილად დავშორდებოდით ერთმანეთს. სუნთქვა შევიკავე, რომ არ ავღრიალებულიყავი. არ დავმშვიდობებივარ, აცახცახებული გადავედი მანქანიდან და სადარბაზოში ისე შევედი, უკან არ მომიხედავს. ყურში კარგა ხანს ჩამესმოდა დაქოქილი ძრავას ხმა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული საკითხავი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქეთ თვალი.

1. ხალხის მასობრივად განსაკურნებლად, კაშპიროვსკი ტელესეანსებს ატარებდა, ჩუმაკი კი წყალს მუხტავდა. რა დაამაგრიტა 150 წლის წინ ფრანც ანტონ მესნერმა იმისათვის, რომ მსოფლიოს ყველა მოგზაურს დახმარებოდა?

2. რომაული კალენდრის მიხედვით, რამდენი დღე იყო ერთ კვირაში?

3. ათენელებზე გამარჯვების შემდეგ, ეს მეფე სიამაყემ შეიპყრო და იმისათვის, რომ ამპარტავნებას სულ არ დაებრმავებინა, მსახურს უბრძანა, ყოველდღე შეეხსენებინა მისთვის, რომ ის უბრალო მოკვდავი იყო. დაასახელეთ იგი.

4. რუსეთიდან გაქცევის შემდეგ, ნაპოლეონი მდინარე ნემანზე ადგილობრივმა გლეხმა გადაიყვანა. „ბევრი დეზერტირი გადავიდა ამ მდინარეზე?“ — ჰკითხა მას იმპერატორმა. რა უპასუხა გლეხმა?

5. საბერძნეთში, ერთ-ერთი ქალაქის მოედანზე მოქალაქე მშვილდ-ისრით სროლაში ვარჯიშობდა. იგი ცუდი მსროლელი იყო და მისი ნასროლი ისრები გამვლელებს ხვდებოდა. სად მოკალათდა ბრძენი დიოგენე საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

6. „ოცი წლის განმავლობაში კლავდა ადამიანი თავის თავში პოეტს და, ბოლოს და ბოლოს, პოეტმა მოკლა ადამიანი“, — ვის შესახებ წერდა ამას მარინა ცვეტაევა?

7. ამ ფრანგმა ქიმიკოსმა სიცოცხლე გილიოტინაზე დაასრულა. „რესპუბლიკას მეცნიერები არ სჭირდება“, — ეს იყო ბოლო სიტყვები, რომელიც მან ჯალათისაგან გაიგონა. დაასახელეთ იგი.

8. თავის დროზე, ყველა „კულტურული“ მცენარე ველური იყო. ვაშლი და ალუბალი ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ პალეოლითში გამოიყვანა ადამიანმა. შედარებით გვიანდელია ქლიავი, თამბაქო და ჭვავი. რომელ კულტურას უკავია ამ სიაში ბოლო ადგილი?

9. სოჭში არსებობს კოსმონავტების ხეივანი, რომელშიც სულ ადვილად შეიძლება, გაგარინის მიერ დარგული ხე გამოარჩიოთ. რა ნიშნით?

10. ელაისი, სპერმო და ოინო — ასე ერქვა მეფე ანიოსის სამ ქალიშვილს — რომელთა უბრალო შეხებაზე ყველაფერი ზეთად, ხორბლად და ღვინოდ იქცეოდა. რა როლი შეასრულეს მათ ტროის ომის დროს?

11. 1981 წლის 13 მაისს, თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის „დინამომ“ იენის „კარლ ცაისი“ დაამარცხა. რა სამწუხარო ფაქტი მოხდა ამავე დღეს, რამაც მთელი მსოფლიო შეაძრწუნა?

12. ერთმა დამწყებმა ავტორმა ო'ჰენრის გაუგზავნა თავისი მოთხრობა, ასეთი მინაწერით: „მისი შექმნით მე დავიბადე, როგორც მწერალი“. რა უპასუხა მწერალმა?

13. ლეგენდის თანახმად, ინგლისური იარდი სიგრძის საზომ ერთეულად 1101 წელს შემოიღეს. რა მანძილი იქნა აღებული ეტალონად?

ანეკდოტები

***

ცოლი ქმარს მოდების კატალოგს უჩვენებს და ეუბნება:

— აი, ასეთი ბიუსტჰალტერი მიყიდე, რა...

— რა ჯანდაბად გინდა? შიგ ჩასადები მაინც არაფერი გაქვს და!..

— აბა, შენ რომ დადიხარ „ტრუსიკით“?!.

***

„ზაპოროჟეცი“ დაეჯახა „მერსედესს“. „მერსედესიდან“ ოთხი სვანი გადმოვიდა. გადმოათრიეს „ზაპოროჟეცის“ მძღოლი და ეუბნებიან, მანქანა უნდა გაგვიკეთოო. „ზაპოს“ მძღოლმა ძლივს ამოიკნავლა:

— მაგდენი ფული რომ მქონოდა, ამ მანქანით ვივლიდი?!

— ჩვენ ეგ არ გვაინტერესებს. უნდა დაისაჯო. თუ ფული არა გაქვს, ჩვენთან ჩხუბი მოგიწევს!

— ოთხი — ერთზე?!

— კარგი, მაშინ, ბექნუ და თემრაზა შენს მხარეზე იქნებიან.

— მაშინ ხომ ჩვენ უფრო მეტნი ვიქნებით!

სვანები დაფიქრდნენ:

— ჯანდაბას შენი თავი, წადი და ჩვენ ვიჩხუბებთ.

***

მემორიალური დაფა კედელზე: „ამ სახლში 2010 წლიდან 2015 წლამდე იცხოვრებს ცნობილი ნათელმხილველი — ორაკულა ვანგაშვილი“.

***

მეტროს ვაგონში მოხუცი ქალი ჯოხის კაკუნით შედის. ვაგონი სავსეა და მოხუცს ადგილს არავინ უთმობს. ჯოხის კაკუნით შეწუხებული ახალგაზრდა, ქალს დაცინვით ეუბნება:

— მაგ ჯოხზე რეზინი მაინც წამოგეცვა, ბებო...

— თავის დროზე რეზინა მამაშენს უნდა წამოეცვა და ახლა, მაგ ადგილას მე ვიჯდებოდი, — გაბრაზდა ბებია.

***

კაცი ღამით შინ ბრუნდება. გზად სასაფლაოზე მოუწია გავლამ. მიდის და შიშით გული უსკდება. ხედავს, მოხუცი კაცი საფლავის ქვას ამაგრებს.

— უჰ, როგორ შემაშინეთ! მანდ რას აკეთებთ?

— ჩემს შვილს ჩემი სიცოცხლის წლები არასწორად დაუწერია და ვასწორებ.

***

— ქალიშვილო, არ გინდათ, სიყვარულის ხელოვნება შეგასწავლოთ?

— და რა თანხის გაღებას აპირებთ ჩემი სწავლა-განათლებისთვის?

***

— რა უფრო გიყვარს ჩემში, სახე თუ ტანი?

— სული... არა ჩანს და იმიტომ.

***

მარომ ტყუპი გააჩინა და საგონებელში ჩავარდა: ნეტა, ვინ უნდა იყოს მეორის მამაო.

***

— გაზეთში წავიკითხე, სიგარეტის მოწევა იმპოტენციას იწვევსო.
— მერე, დაანებე თავი?
— ვერ მოვასწარი.

***

გურულს თვალი აქვს ჩალურჯებული:
— რა მოგივიდა? — ეკითხება მეზობელი.
— შვილმა მცემა...
— მასე რავა გაგიმეტა?
— დედა შევაგინე და...
— კიდე კაი, თლა ფაქტზე არ წაგისწრო...

***

ახალდაქვრივებულ ქალს მეგობარი ეკითხება:
— სოფი, როგორ არის შენი საქმეები?
— უჰ, არ მკითხო. ქმრის მემკვიდრეობის გადმოფორმებაზე ისე გავწვალდი, ხანდახან ვფიქრობ, ჯობდა, არ მომკვდარიყო-მეთქი.

***

წვეულებაზე კაცი ახალგაზრდა ქალს გამოელაპარაკა:
— ამწუთას ისე სულელურად მოვიქეცი, რომ... იმ ღიპგადმოგდებულ კაცს ვუთხარი, — როიალთან რომ ქალი დგას, ბეჰემოთივით საჯდომი აქვს-მეთქი... თურმე, ის ქალი მისი ცოლი ყოფილა...
— მერე, მამაჩემმა რა გიპასუხათ?

***

კახელი სახლში დაბრუნდა. მაგარ შარზეა.
— საჭმელი მომიტანე, ქალო! — უღრიალა ცოლს.
ცოლმა მეფური სუფრა გააწყო.
— გაიხადე და იცეკვე!
ქალმა გაიხადა და ცეკვა დაიწყო.
— ახლა იმღერე!
ქალმა სიმღერა დაიწყო.
— შეძვერი მაგიდის ქვეშ!
ცოლი შეძვრა.
— იყეფე!
ცოლმა ყეფა დაიწყო.
კახელმა წიხლი ამოსცხო:
— ე, პატრონს ვერა ცნობ, შენი დედა?!.

***

— რა გქვია?
— დათო.
— რა გვარი ხარ?
— დათუნაშვილი.
— რავა „კოკა-კოლასნაირი“ სახელი და გვარი გქონია.

***

მუშა ხარაჩოდან გადმოვარდა და ჯერ ისევ ჰაერშია. მეორე მუშა ზე-

მოდან უყვირის:
— ცოტა სწრაფად, თორემ აგური მოგდევს...

* * *

— მიირთვით, ძვირფასო სტუმრებო, მიირთვით... და თუ ნამუსი საერთოდ დაკარგეთ, ხვალაც მოდით.

ჯერნეკის საკანონიერო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მთვარე...
2. ცხრა.
3. ფილიპე მაკედონელი.
4. „თქვენ პირველი ხართ!“
5. პირდაპირ სამიზნესთან.
6. ვლადიმირ მაიაკოვსკის შესახებ.
7. ანტუან ლავუაზიე.
8. ყავას.
9. მას ადამიანის აწვდილი ხელის სიმაღლეზე არც ერთი ფოთოლი არ აქვს (ფოთლებს ტურისტები წყვეტენ).
10. ბერძნებს სურსათ-სანოვაგით სწორედ ისინი ამარაგებდნენ.
11. თურქმა ალი მეჰმედ აგჯამ რომის პაპი, იოანე-პავლე II დაჭრა.
12. „მისი წაკითხვით მე გარდავიცვალე, როგორც მკითხველი“.
13. მანძილი ინგლისის მეფის, ჰენრი I-ის ცხვირის წვერიდან მისი გაწვდილი ხელის შუა თითის წვერამდე.

ჩვენი ფოტოგალერეა

ძვირფასო მკითხველებო!

„ჩვენი ფოტოგალერეა“ თქვენს ნამუშევრებს ელის! ნებისმიერი აპარატით (მათ შორის, მობილური ტელეფონით) გადაღებული კურიოზული ფოტოსურათი ამ გვერდზე გამოქვეყნდება.

ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

MK

ბევრი გეცოდინება, მალე დაბერდები

ხანდახან არცთუ საფუძვლიანი ეჭვით გაჯერებული ქალური ცნობისმოყვარეობა საღ აზრზე ძლიერია და ადამიანს კარგ მანერებსაც ავიწყებს. ხელი თავისთავად გაგირბის მისი ტელეფონის აპარატისკენ, რათა შეიტყო, თუ ვინ დაურეკა, შეამოწმო ვისგან მიიღო sms; ის კი არა და, სურვილი გიჩნდება, მისი შარვლის ჯიბეშიც მოაფათურო ხელი.

თეორია და პრაქტიკა

ყველა ჩვენგანს თუნდაც ბუნდოვანი წარმოდგენა მაინც აქვს, რა არის შინაგანი სამყარო. უფრო გასაგებად თუ ავხსნით, შინაგანი სამყარო — ეს არის ურთიერთობის ყველაზე ინტიმური ზონა, სადაც მხოლოდ რჩეულს „უშვებენ“. მისი „მანძილი“ კი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ სად და როგორ ვითარებაში გაიზარდა შენი რჩეული — მთიან, მიყრუებულ სოფელში თუ დიდ, ხმაურიან ქალაქში.

მაგრამ თუკი ფიქრობ, რომ ეს მანძილი მის სხეულამდე მხოლოდ 15-50 სმ-ის დაშორებით შემოიფარგლება, სასტიკად ცდები. როცა ზღვარს გადადიხარ, ობიექტი იწყებს ნერვიულობას, თავს ფსიქოლოგიურად არაკომფორტულად და უკიდურესად დაუცველად გრძნობს...

როდის შეგიძლია მისი ჯიბეების ამობრუნება?

მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში — მაგალითად, გარეცხვის წინ. ასე რომ, წინასწარ გააფრთხილე შენი რჩეული და სინდისი დამშვიდებული გექნება. ვინც არ იმალება, დამნაშავეც არ არის.

თუმცაღა, ზოგიერთი მამაკაცი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ტანისამოსი შესამოწმებლად ყოველი გარეცხვის წინ მიუტანონ, რათა თავად შეამოწმოს საკუთარი ჯიბეები. რას იზამ — ტაბუ ტაბუა!

მეორე მხრივ, გახსოვდეს, რომ ამგვარად აღმოჩენილი ნებისმიერი ნივთი, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ვინაიდან ის, შესაძლებელია, უამრავი სხვადასხვაგვარი გზით მოხვდეს ახლანდელ მფლობელთან — ცხოვრება ხომ ნებისმიერ ფანტაზიაზე მდიდარია.

მის მანქანაში საეჭვო ნივთი აღმოაჩინე? და ხარ კი დარწმუნებული, რომ მანქანის საჭეს მხოლოდ ის უზის? ეგებ მანქანა მეგობარს (რომლის ცოლი, ამავე დროს, შენი ახლო მეგობარია) ათხოვა, მან კი საყვარელს გაუარა... როგორ გგონია, ასეთ შემთხვევაში მეუღლე ყველაფერს გულახდილად გიამბობს?

ჯიბეში ან მანქანაში ნაპოვნი პომადა, საყურე თუ ქალის თეთრეული (ჩამონათვალი შესაძლებელია, უსასრულოდ გაგრძელდეს) ერთი შეხედვით, იდეალური საბაბია ურთიერთობის გასაწყვეტად. თუმცაღა გაითვალისწინე, რომ ასეთი მაკომპრომეტირებელი ნივთების დავიწყება, ან ძალზე დაბნულ კაცს შეუძლია ან მას, ვისაც უნდა, რომ ეს კომპრომატი აღმოაჩინო.

ის თვალს ურცხვად გაგისწორებს, თბილად გაგიღიმებს და ისე მოგატყუებს. თანაც, დროთა განმავლობაში, ამის გაკეთებას უფრო და უფრო ვირტუალურად მიეჩვევა. შენ კი სამუდამო, მტანჯველი ეჭვისთვის ხარ განწირული — გატყუებენ თუ არა ამჟამად? ერთი სიტყვით, რაც არ უნდა ბანალურად ჟღერდეს — ბევრი გეცოდინება, მალე დაბერდები.

მიირთვით და... გაუფრთხილდით ფიგურას

კვების ხუთი ოქროს წესი

ლამაზი ფიგურა ყველა ქალის ოცნებაა. თუმცა ის, ვინც გამუდმებით წონის დაკლებაზე ფიქრობს და კილოგრამებს ითვლის, სასურველ შედეგს ძნელად თუ აღწევს. საუკეთესო აღნაგობით უმეტესწილად, ისინი იწონებენ თავს, ვინც სწორად იკვებება. არსებობს ხუთი ოქროს წესი, რომელიც იდეალური ფიგურის შენარჩუნებაშიც დაგეხმარებათ და ავადმყოფობასაც აგაცილებთ თავიდან.

წესი პირველი

კვებისას უპირატესობა ცოცხალ ხილსა და ბოსტნეულს მიანიჭეთ. ამავე დროს, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ მაცივარში შენახული ხილი და ბოსტნეული ვიტამინებისა და სასარგებლო ნივთიერებების ნახევარს კარგავს. ამიტომ ჯობს, ხშირად-ხშირად იყიდოთ მცირე რაოდენობის ხილი და ბოსტნეული და იმ დღესვე მიირთვათ.

წესი მეორე

საღილი და ვახშამი მსუბუქი სალათით დაიწყეთ. ის შიმშილის გრძნობას მოგიკლავთ და მისი წყალობით, ნოყიერ საკვებს — შემწვარ კარტოფილს ან ხორცს ნაკლები რაოდენობით მიირთმევთ.

წესი მესამე

აუცილებლად გაითვალისწინეთ წელიწადის დრო. ზაფხულში თავისუფლად შეგიძლიათ კვების რაციონიდან ამოიღოთ ხორცი, ძეხვეული, მირთვათ ნაკლები პური. ზამთარში კი ხორცი და პური აუცილებელია, მისი წყალობით ორგანიზმი ენერგიით იმუხტება. ზამთარში, ხორცი ან თევზი კვირაში 2-ჯერ მაინც თუ არ მიიღეთ, შიმშილის გრძნობა გამუდმებით შეგ-

აწუხებთ, მეტს შეჭამთ და აქედან გამომდინარე, წონაშიც მოიმატებთ.

წესი მეოთხე

რაც არ უნდა მშიერი მიხვიდეთ შინ, ნუ დაიხვავებთ თეფშზე ბევრ საჭმელს; ნუ მიეძალებით წინადღეს მომზადებულ კერძს — იმ მიზეზით, რომ მისი გადაყრა გენანებათ. სადილობისას, კერძი, შედარებით პატარა ზომის თეფშზე გადმოიღეთ — საჭმელი ბევრი მოგეჩვენებათ და მალე ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, თითქოს მაძღარი ხართ.

წესი მეხუთე

ყოველი ჭამის შემდეგ, კბილები გაიხეხეთ. თუკი ამის საშუალება არ გაქვთ, დაღეჭეთ საღეჭი რეზინი. ამით თქვენი ორგანიზმი იღებს სიგნალს, რომ ჭამა დაასრულეთ.

იდეალური საუზმე

საუკეთესო ვარიანტია, თუ დილიდანვე ნახშირწყლებით მდიდარ პროდუქტებს მიიღებთ. მაგალითად, მირთვით ფაფები, შავი პური და ჩაი. ჩაი ყავაზე უკეთ დაგეხმარებათ გამოფხიზლებასა და ენერგიის მოკრებაში.

აუცილებელი სადილი

დიეტოლოგებმა დაადგინეს, რომ ადამიანი, რომელიც არ სადილობს, გაათკეცებული მადით მიირთმევს ვახშამს. ასე რომ, აუცილებლად ისადილეთ. სასურველია, სადილის პირველი კერძი წვნიანი იყოს.

რაციონალური ვახშამი

ეცადეთ, არაფერი მიირთვათ საღამოს 6 საათის შემდეგ. თუ მაინც გიწევთ გვიან ვახშმობა, ეცადეთ, ეს დაძინებამდე ორი საათით ადრე მოახერხოთ. სასურველია, მიიღოთ ბოსტნეული ან რძის პროდუქტები. ■

ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ადამიანის ბუნება თითოეულ მის ჟესტში, მოძრაობასა და მოქმედებაში ვლინდება. თურმე, იმისდა მიხედვით, თუ კითხვისას როგორ მიხარ, შენი ხასიათის თავისებურებები ჩანს.

წიგნის კითხვის მანერა და ხასიათი

კითხვისას წიგნი ხელებით გიჭირავს

ყოველდღიურ ცხოვრებაში ცივი, გულგრილი და აუღელვებელი ხარ. შეგიძლია ყველგან და ყოველთვის აკონტროლო და მართო შენი ემოციები. „რკინის ნიღბის“ მიღმა იფარება შენი მისწრაფება — წინასწარ დაიცვა თავი გარშემო მყოფთა ზედმეტი ყურადღებისგან. ამგვარი ძალისხმევა ნამდვილად ზედმეტია. ცოტა მოეშვი, განიტვირთე, მიიხედ-მოიხედე და დარწმუნდები, რომ ცხოვრება მშვენიერია.

კითხვის დროს თავი ხელზე გაძვს დაჭრდნობილი

სიმშვიდისა და შინაგანი ჰარმონიის იშვიათი უნარით ხარ დაჯილდოებული. ძნელად თუ აგაღელვებს რამე. შენს ახლობლებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რათა შენში ენთუზიაზმის ნაპერწკალი გააღვივონ. ერთნაირი ხარ ყველაგან — სახლში, სამსახურში, მეგობრებთან. მუდმივი სიმშვიდე — ნირვანა — ეს რა თქმა უნდა, შესანიშნავი რამაა, მაგრამ ცოტაოდენი ცეცხლიც და... ნამდვილად არ ინანებ.

კითხის დროს ხელები მუხლებზე გიწყვია

ემოციათა ზღვა — ეს შენი სტიქიაა. თუმცა, ამით კმაყოფილი ნამდვილად არ ხარ. მუდმივად გეშინია, რომ თავს ვერ გააკონტროლებ და ისეთ რამეს ჩაიდენ, რაც შენს გულსა და გონებას ეწინააღმდეგება. რატომ აკრიტიკებ გამუდმებით თავს? ხანდახან მართლაც შეიძლება „აფრების აშვება“.

წამოწოლილი კითხულობ

ბავშვური გულუბრყვილობა შენი მომხიბვლელობის მთავარი საიდუმლოა. ყოველთვის გაინტერესებს, რა ხდება შენ ირგვლივ. ხშირად გადასახლდები ხოლმე იმ წიგნის სამყაროში, რომელსაც კითხულობ. ეს ნამდვილად კარგად გამოგდის. ის კი არა და, ხშირად წაკითხულის მიხედვით ცხოვრობ. უნდა დაიმახსოვრო, რომ ზომიერების გრძნობა საუკეთესო რამაა. წიგნიერი გამონაგონი რეალურ ცხოვრებაში ყოველთვის არ გამოგადგება. გაფრთხილდი: ცაში აფრენილი, მოულოდნელად მიწაზე არ დაენარცხო.

კითხვის დროს ფეხები სკამზე გაძვს შემოწყობილი

წიგნის კითხვის შენეულ მანერაში არის რაღაც არისტოკრატიული. თითქოს შენი სურვილით კი არ კითხულობ, წიგნები თვითონ „გთხოვენ“ წაკითხვას და შენც, მათ დროსა და ყურადღებას იძულებით უთმობ. რატომ ასეთი ქედმაღლობა? წიგნებში ბევრ ისეთ რამეს იპოვი, რაზეც დაფიქრება ნამდვილად ღირს.

სახეზე ხელებშემოჭდობილი კითხულობ

მგრძნობიარე, ნერვიული და მერყევი პიროვნება ხარ. დაძაბული კითხულობ და და ცდილობ, სწორად გაიგო და ჩახვდე წაკითხულს, დაიმახსოვრო იგი. იმიტომ ხომ არ შემოიჭდე სახეზე ხელები, რომ სულ პაწაწინა საინტერესო აზრიც კი არ გაგისხლტეს? ასე ძნელია შენთვის ერთ საგანზე კონცენტრირება? მერე რა?! შენნაირი ამქვეყნად ბევრია. ჯობს დამშვიდდე, მოეშვა, ნუ მოითხოვ საკუთარი თავისგან ბევრს და დანარჩენი თავად მოგვარდება. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Æåíñêèé æóðíàë	11.65	69.7
4. Æåíñêîå çäîðîâüå	7.00	41.8
5. Ñàíäðà	4.00	24.0
6. Âñå äëÿ æåíùèíû	0.80	19.9
7. Ãëàìóð	7.20	43.2

პრესის გავრცელების საკონტროლო

ქ. თბილისი
ოსტროვსკის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები



დასაწყისი იხ. „გზა“ №27-11

გამზათის უახლოესი მეგობარი და მარჯვენა ხელი, რასული შეშფოთებული ხმით ლაპარაკობდა:

— სად ხარ, სად დაიკარგე?.. ვერაფრით დაგიკავშირდით!.. ცუდი ამბები მოხდა. სასწრაფოდ უნდა დაბრუნდე სოხუმში!..

— რა მოხდა? — დაიძაბა გამზათი.

— ნეჯეთი დაბრიდეს. მაგრამ ეგ არაფერია, იმასთან შედარებით, რაც ჩვენს ხალხში ხდება!..

— ნეჯეთი დაბრიდეს?! — გაჭირვებით გაიმეორა გამზათმა. — როგორ?! ვინ?!

— ვინ დაბრიდა, ზუსტად არ ვიცით... ერთი საათის წინ მოხდა... თავის მანქანაში ააფეთქეს!..

— დაწვრილებით მომიყევი!

— ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი... „მინა“ გზისპირას იყო დამონტაჟებული და როცა ნეჯეთის მანქანამ გვერდზე ჩაუარა, ააფეთქეს. ძლიერი „მინა“ იყო. ძაღლები „ბაზრობენ“, ეგეთებით ტანკებს აფეთქებენო. ნეჯეთს შანსი არ ჰქონდა. აფეთქებამ მანქანა საერთოდ დაფლითა. ყველა დაიბრიდა. ნეჯეთი თავ და ხელებმოგლეჯილი იპოვეს. აფეთქების ტალღამ ორმოცდაათ მეტრზე გადაისროლა... ეჭვი აქვთ, რომ ჩეჩნების ნაჩალიჩარია: ზუსტად ასე აფეთქებდნენ ტანკებს გროზნოს მისადგომებშიო!..

— ვინ ბაზრობს მაგას?!

— ნეჯეთის ხალხი.

— მაგათ შიგ ხომ არა აქვთ?! — კბილები გაახრჭიალა გამზათმა. — ტანკების ამფეთქებლები და „ბოევიკები“ თავისთან მოიკითხონ!

— მე ის ვთქვი, რაზეც ხალხი „ბაზრობს“!

— ჩვენები რას აკეთებენ? — გამოკითხვა განაგრძო გამზათმა.

— ვერ გაიგებ, რა ხდება. მაგრამ ნაღდად, ცუდადაა საქმე. ჩვენი ხალხის ნაწილს უცნაურად უჭირავს თავი: ნეჯეთის დაბრედვის შემდეგ, „სასტავის“ მოგროვება ვცადე და ნახევარიც არ მოვიდა!..

— რატომ?

— რაღაცას ბოდავენ, გამზათ. ამბობენ, რომ ჩვენს ხალხს მოსკოვში ჩაჩბა დაუკავშირდა და თორიას დაბრედვაზე „ებაზრა“. ამბობენ, თორია გამზათმა დაბრიდაო და ეს ხმა ჩვენი ხალხისგან გავიდა. ზუსტად არ ვიცი, ვინ „ბაზრობს“ ამაზე, მაგრამ ჩაჩბას ახლობლები ამბობენ, რომ თუ საჭირო გახდა, იმ ხალხს მოიყვანს და ალაპარაკებს, ვინც ამ ამბავს შეესწროო!..

— „ტრუხა“ ბაზარია!

— არა... არ არის „ტრუხა“. საქმე სერიოზულადაა. თორიასა და ჩაჩბას ახლობლები უკვე მოგროვდნენ. რამდენიმე კაცი მოსკოვიდანაც ჩამოვიდა. ჩვენგან პასუხს ითხოვენ. ამბობენ, — გამზათმა შეცდომაში შეგვიყვანა, ჩაჩბა და თორია გეგეშიძემ დაბრიდაო!.. ჩაჩბა კი ცოცხალი ყოფილა და მან თქვა: ასლანი გეგეშიძეს არ მოუკლავს, გამზათის მოკლულიაო!..

— კონკრეტულად, რას ითხოვენ?

— „კაროჩე“, თუ ყველა კითხვაზე პასუხს არ მიიღებენ, იმუქრებიან, — ჩეჩნებს გადავუვლით და საერთოდ გავაქრობთ აფხაზეთიდანო!

— ეგენი ხომ არ გამოსირდნენ?! — ჩეჩნურად აყვირდა გამზათი. — მაგათი ხალხი ქართველებმა დაბრიდეს და პასუხს ჩვენ გვთხოვენ?!

— მე ის ვთქვი, რაც ჩაჩბას ხალხისგან მოვისმინე... სასწრაფოდ უნდა დაბრუნდე, თორემ აქ მართლაც, რაღაც მოხდება, მერე კი ეს ყველაფერი მოსკოვში გაგრძელდება!..

— თქვენი დედაც!.. — შეიგინა გამზათმა და მობილური შორს მოისროლა.

— რა არის, ასე გაგაბრაზა სოხუმის ამბებმა? — დამცინავად ჰკითხა ლუკამ.

გამზათმა მზერა აარიდა, თავი ჩაქინდრა და ფიქრს მიეცა.

ეს ყველაფრის დასასრული იყო. სულ ცოტა ხნის წინ წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ ლუკა ასეთ დარტყმას მიაყენებდა. ვინ იფიქრებდა, რომ მოსკოვში მომხდარი, სისხლიანი თავდასხმის შემდეგ, ის ჩაჩბას არ მოკლავდა?!. ახლა უკვე გასაგები იყო, რომ ლუკამ თორია, სატყუარად შეაჩეჩა. ათქმევინა ის, რასაც გამზათი არასოდეს დაეთანხმებოდა — მშვიდობას ჩაჩბას და მის „სასტავებს“ შორის. ამით მისი მოკვლა და დასაფლავებაზე მისვლა აიძულა. მან კი სოხუმში ტარბაც ჩაიყვანა. დასაფლავებას დაასწრო და ბევრიც „იბლატავა“ — რომ თორიასა და ჩაჩბას სისხლს გეგეშიძეს არ შეარჩენდა. ეს სერიოზული შეცდომა იყო. მეორე დიდი შეცდომა კი, ნეჯეთთან ტარბას მიყვანა იყო. მან ხომ თვითონ უჩვენა მთელი სისტემა, რომლითაც ნეჯეთი საკუთარ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა და ამით, გეგეშიძეს მისი მოკვლის საშუალება მისცა. რას აკეთებდა ამ დროს გეგეშიძე?.. საქმეს!.. ის მართლაც, საქმეს აკეთებდა. დროთა განმავლობაში, ჩაჩბა თავის ხალხს შეახვედრა. უჩვენა, რომ ჩაჩბა მისი მოკლული არ იყო და რომ თორიასაც არ შეხებია. მოსისხლე მტრები მოკავშირეებად აქცია. მერე კი ნეჯეთს მოუყომარა, ის კი ჩერმენთან შეიტყუა!.. ეს ყველაფრის დასასრული იყო. ამდენი ჩალიჩის შემდეგ, გეგეშიძე ცოცხალს არ დატოვებდა. დაუჯერებელი იყო, რომ მისი ხალხიდან ვინმეს, „სხადნიაკზე“ მის წინააღმდეგ „ებაზრა“ და გეგეშიძისთვის, მის დასაკლავად გამზადებული დანა ჩაედო ხელში. მაგრამ ასე იქნებოდა გუშინ ან ერთი კვირის წინ. დღეს კი... დღეს ამის შანსი აღარ არსებობდა. ნეჯეთის სიკვდილმა ყველა მიახვედრა, რომ აფხაზეთი და რუსული არმია ვერავის დაიცავდა. გეგეშიძეს იქაურობაზეც მიუწვდებოდა ხელი და ის შეჩერებას არ აპირებდა. ამ დავაში ჩაჩბას ხალხის ჩაბმა კი მის შანსს ნულს უტოლებდა. სად უნდა ყოფილიყო გამოსავალი?.. გამოსავალი ერთ იყო: როგორმე უნდა გაეღწია აქედან. ამას თუ შეძლებდა, იცოცხლებდა. თუ არა და...

— დამუნჯდი?! — ლუკას ხმამ გამზათი ფიქრს მოსწყვიტა.

„გეგეშიძეს არასოდეს უყვარდა დიდი ამალა, — ფიქრი განაგრძო გამზათმა, — არც ჩერმენს და შუბას უყვართ ხალხმრავლობა. თანაც, ასეთ ბაზარს აპირებდნენ და ზედმეტ ხალხს აქ არ გააჩერებდნენ. ესე იგი, ამათ გარდა, სახლში არავინ იქნება. კარი დერეფანში გადის. იქიდან ეზოში გასასვლელამდე რამდენიმე ნაბიჯია. მერე იწყება ქუჩა, სადაც ჩემი ხალხია. იმათ ავტორიტეტები არ აშინებთ, ნებისმიერს ჩაცხრილავენ, ვინც ჩემზე ხელს ასწევს!..“ — სწრაფად დაასკვნა გამზათმა. მერე კი, თვალის დახამხამებაში მოსწყდა ადგილს და კარისკენ გავარდა. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. მაგრამ გამზათმა მაინც შეამჩნია, რომ ოთახში არავინ განძრეულა. უფრო მეტიც — ლუკამ მხოლოდ დამცინავი მზერა დაადევნა. თუმცა ამისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. სახლიდან გასასვლელი კარი და, აქედან გამომდინარე,

მისი ხალხი ახლოს იყო და გამზათმა ფეხს კიდევ უფრო აუჩქარა. მაგრამ შორს წასვლა ვეღარ მოასწრო: გასასვლელამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, როდესაც გვერდითი კარიდან ირაკლიმ გამოაბიჯა და მუშტის ერთი დაკვრით იატაკზე დასცა. იმავე წამს გამზათს ჩერმენი, შუბა და ლუკა წამოადგნენ თავს.

— ადექი! — მბრძანებლურად მიმართა ლუკამ.

გამზათმა გაჭირვებით აზიდა წელი და თავჩაქინდრული შედგა მის წინ.

— შენი ხალხის იმედი გაქვს?.. შემცდარხარ. ისინი აღარ გელოდებიან. დანარჩენს თვითონაც მიხვდები!

გამზათს არაფერი უთქვამს.

— „ბაზარი“ დამთავრდა, — განაგრძო ლუკამ, — ათასი მიზეზით შემეძლო შენი დაბრედვა, მაგრამ რაც ახლა გააკეთე, ესეც საკმარისია. კიდევ აპირებ იმის მტკიცებას, რომ ქურდი ხარ?!

გამზათმა ისევ დუმილით უპასუხა.

— რას იტყვი, ჩერმენ? — როსტოველ ავტორიტეტს გახედა ლუკამ.

— გაათრიე ჩემი სახლიდან — ბოზს აქ არაფერი ესაქმება!.. — ბრაზით გამოცრა ჩერმენმა.

— წავედით... დანარჩენზე მე და შენ პირისპირ „ვიბაზრებთ“! — გამზათს მიუგდო ლუკამ და უკანა გასასვლელისკენ უბიძგა, სადაც თავისი ხალხი ელოდა.

ნეჯეთისა და მისი გარეგოცვის დაღუპვის შესახებ, ტარბამ საინფორმაციო გამოშვებიდან შეიტყო. მაშინ იხილა, შემთხვევის ადგილზე გადაღებული კადრებიც — აფეთქებისას გაჩენილი ორმო, დამწვარი და უფორმო ჯართის გროვად ქცეული მანქანა და გზისპირა ბუჩქნარში მიმოფანტული გვამები. მოგვიანებით რიჟკოვიც დაუკავშირდა:

— გაიგე, რა მოხდა სოხუმში?

— ტელევიზორი აქაც არის, — უპასუხა ტარბამ. — ვინ იჩალიჩა?

— შენ თვითონ ვერ ხვდები?

— ჩვენმა ქართველმა მეგობარმა? — ტარბამ თავი აარიდა, ლუკას პირდაპირ მოხსენიებას.

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქმეში მისი ხელი ურევია. თუმცა აქ სხვანაირად ფიქრობენ.

— როგორ?

— ამბობენ, ჩაჩბას ნახელავიაო!

— რა-ა?! — გაუკვირდა ტარბას. — საიქიოდან იჩალიჩა?!

— მაგის ხალხი „ბაზრობს“ — ცოცხალია და პირადად შეგვხვდაო!

— ატრაკებენ! ამის ვარიანტი არ არსებობს. ნაღდად ვიცი, რომ დაბრედილია!

— მაგრად მკიდია, დაბრედილია თუ არა. მთავარი ისაა, რომ არაბის აფეთქებას მაგის ხალხს აბრალებენ. ამას სერიოზული „რაზბორკები“ მოჰყვება. ესეც მკიდია. მაგრამ ამ რია-რიაში ჩეჩენიც სადღაც გაქრა. მთელი სოხუმი ეძებს და ვერსად მიაგნეს. რამე ხომ არ იცი მის შესახებ?

— არა... აზრზე არა ვარ, სად წავიდა. მე სოხუმში დავტოვე. — უპასუხა ტარბამ.

— უნდა მოძებნო! — უბრძანა რიჟკოვმა. — „ნაკოლს“ მოგცემ: შენი წასვლის შემდეგ, მოსკოვიდან თავისი ხალხი დაუკავშირდა: სვანებმა „ნაეზდი“ მოგვიწყვესო და ისიც სასწრაფოდ გაემგზავრა მოსკოვში. მაგრამ როგორც მაგის ხალხმა თქვა, გზად ვიღაც ავტორიტეტთან უნდა შეევლო.

— როსტოვში?

— ჰო... ახლა არკვევენ, ჩავიდა როსტოვში თუ არა.

— მარტო იყო?

— არა... თავისი ხალხი გაიყოლა და ისინიც არსად ჩანან... გაარკვევ?

— „ბაზარი“ დამთავრდა, — განაგრძო ლუკამ, — ათასი მიზეზით შემეძლო შენი დაბრედვა, მაგრამ რაც ახლა გააკეთე, ესეც საკმარისია

— შენ თუ ვერ გაარკვიე, მე სად მოვძებნო? — გაიკვირვა ტარბამ.

— მაინც ეცადე. იქნებ, ჩვენი საერთო ნაცნობისგან გაარკვიო ჩეჩენის ასავალ-დასავალი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! — დაასრულა რიჟკოვმა და აპარატი გათიშა.

ტარბამ ჯიბეში ჩაიდო მობილური ტელეფონი და ფანჯარას მიუბრუნდა. ეზოში არავინ მოჩანდა. ჭიშკრის სიახლოვეს ვოვას „მერსედესი“ იდგა, რომლითაც სოჭიდან ჩამოვიდნენ. ტარბა ფანჯარას მოშორდა და გონებაში წინადღის მოვლენების აღდგენას შეუდგა.

ლუკას სოჭის გარეუბანში დაშორდნენ. საით წავიდა ლუკა, ტარბამ არ იცოდა. თავისი ხალხისთვისაც კი არ უთქვამს, რას აპირებდა ან როდის ჩამოვიდოდა კრასნოდარში. ტარბა კი ვოვასთან და ირაკლისთან დარჩა, რომლებმაც კრასნოდარის სიახლოვეს მდებარე, პატარა აგარაკზე მიიყვანეს და სრულიად უცნობ მამაკაცებს ჩააბარეს. ამის შემდეგ, ვოვა და ირაკლი უკან სხვა მანქანით გაბრუნდნენ. წასვლისას არაფერი უთქვამთ, მაგრამ ტარბა ისედაც მიხვდა, რომ ლუკა მათ სადღაც იქვე ელოდა. ამას მოვლენების მთელი წყება მოჰყვა: მომდევნო დილით ააფეთქეს ნეჯეთი და გაქრა გამზათი, თანაც — თავის ერთგულ მცველებთან ერთად. ტარბას არაფერი ეჩვენებოდა უცნაური იმაში, რომ რიჟკოვი ჩაჩბას ხალხისა და ლუკას სახელებს უკავშირებდა ნეჯეთის მკვლელობას. ლუკას ადრეც ჰქონდა ჩაჩბას „სასტავის“ შემორიგების იდეა და არაფერი იყო დაუჯერებელი, რომ მან მართლაც, მოახერხა ეს. მერე კი გამზათი და ნეჯეთი მათი ხელით მოიშორა თავიდან. ამ ამბავში არაფერი იყო უცნაური, მაგრამ ტარბას ერთი რამ ვერ გაერკვია: რატომ მოკლეს ნეჯეთი?.. ლუკამ არაფერი იცოდა ამ ადამიანის არსებობისა და საქმიანობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, მასთან საუბრისას, არაბი ტერორისტი ერთხელაც არ უხსენებია. მაგრამ ამის მიუხედავად, სწორედ ის და გამზათი იქცნენ მის სამიზნედ!.. და ესეც არ იყო მთავარი. ლუკა ასეთ საქმეს ერთ დღეში არ დაგეგმავდა. ყველაფერს კარგად აწონ-დაწონიდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას. ესე იგი, ნეჯეთის აფეთქება და გამზათის გაქრობა დიდი ხნის განმავლობაში იგეგმებოდა და მთელი ეს პერიოდი ლუკას ერთხელაც არ უხსენებია არაბი. და არაფერი უკითხავს მისთვის — ადამიანისთვის, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა აფხაზეთს და ნეჯეთის თაობაზეც შეეძლო რაიმე ინფორმაციის მიწოდება. ამას მხოლოდ ერთი მიზეზი უნდა ჰქონოდა: ლუკა არ ენდობოდა!.. რატომ?.. თუმცა, ამას მნიშვნელობა აღარც ჰქონდა. ნეჯეთი ააფეთქეს და ბუნებრივია, რომ ლუკა მასთან საუბარს ვერ შეძლებდა. მაგრამ გამზათი?.. ის როსტოვში აპირებდა ჩასვლას. ესე იგი, ჩერმენს შეხვდებოდა. ეს,

ლუკას გარეშე არ მოხდებოდა. პირველი „სხადნიაკიც“ ხომ ჩერმენთან მოეწყო და ახლაც იგივე მოხდებოდა. „სხადნიაკზე“ კი გამზათს ლიმონივით გამოწურავდნენ და ყველაფერზე „აბაზრებდნენ“. მაგრამ რა უნდა ეთქვა გამზათს?.. ლუკამ ხომ თვითონაც იცოდა, რომ გამზათი მოკავშირეობას სთავაზობდა და ტარბას დახმარებით აპირებდა მის თავიდან მოშორებას. ჩეჩენთან დასაახლოებლად, სოხუმში ჩასვლაც კი დაავალა. მაგრამ... ნეჯეთი!.. ტარბას სახენაიარევი არაბი დაუდგა თვალწინ. „მე ხომ არაფერი მითქვამს მასთან შეხვედრაზე. იმ შეხვედრას კი გამზათიც ესწრებოდა და ჩვენი „ბაზარიც“ მოისმინა. ეს მართლაც, მიზეზი იყო. ტარბამ კი კარგად იცოდა, როგორც ექცეოდა ლუკა მის მომტყუებელს. ესე იგი, გამზათთან და რიბკინთან დაკავშირებული „ბაზარი“ — „ტრუხაა“, — ფიქრი განაგრძო ტარბამ, — ლუკამ ამაგდო და რაღაც დროით, საქმიდან გამიყვანა. გამიყვანა, ვიდრე გამზათსა და ნეჯეთს არ მოუყომარა. ახლა კი, ჩემთვისაც მოიცლის და...“ — ლუკასთან ასეთ ვითარებაში შეხვედრის შესაძლებლობამ, არნახული შიში მოჰგვარა. თავისთავად გაუჩნდა კითხვა: რა მოხდებოდა, როცა ლუკა ყველაფერზე ერთად მოსთხოვდა განმარტებას?.. მისთვის განაჩენის გამოსატანად, ესეც საკმარისი იქნებოდა და თუ ამ „ბაზარში“, მისი და რიჟკოვის ურთიერთობაც „ამოვარდებოდა“, ლუკა ულაპარაკოდ გაუხვრეტდა შუბლს!.. „უნდა წავიდე, — გამოსავლის ძებნას შეუდგა ტარბა, — წავიდე, მაგრამ როგორ?..“ — ეს გეგეშიძისთვის ომის გამოცხადებას უდრიდა. ასეთი პერსპექტივა არაფრით ხიბლავდა. ასე თუ ისე, მაინც არსებობდა შეცდომის შესაძლებლობა. გამზათსაც და ნეჯეთსაც, ლუკას გარეშეც ბევრი მტერი ჰყავდა. შეიძლება, რომელიმე მათგანის დახოცილიც იყო ორივე. შესაძლოა, ამაში მართლა ერია ლუკას ხელი, მაგრამ მას, ტარბას მიმართ პრეტენზიის მიზეზი არ ჰქონდა. შესაძლოა, მართლაც, ასე იყო. წინაღმდეგ შემთხვევაში, ტარბას თავისუფლად ყოფნის საშუალებას არ მისცემდნენ. მას ხომ ნებისმიერ წუთს შეეძლო აქედან წასვლა. „ვითომ?.. — საკუთარ თავს ჰკითხა ტარბამ. — ვითომ, შემიძლია?.. რატომაც არა?! ეზოში არავინაა. ბოლოს და ბოლოს, რომ არ მენდობოდნენ, მობილურსაც არ დამიტოვებდნენ. არა, მთლად ცუდადაც არ არის საქმე. შეიძლება...“ — ტარბას მობილურის ზარმა შეაწყვეტინა ფიქრი.

— გისმენ, — უპასუხა, როგორც კი ეკრანზე ნაცნობი ნომერი დაინახა.

— სად ხარ? — გაისმა ყურმილიდან.

— რაში გაინტერესებს? — ბრაზი მოერია ტარბას. — ხომ გაგაფრთხილე, ვიდრე მე არ დაგიკავშირდები, არ დამირეკო-მეთქი!

— ახლა მაგის დრო არ არის და ახსნითაც ვერაფერს აგიხსნი. თუ გეგეშიძის სიახლოვეს ხარ, „მოხიე“!.. საქმე ცუდად არის!.. — სწრაფად დაამთავრა თანამოსაუბრემ და ტელეფონი გათიშა.

სატელეფონო საუბარმა საწყის წერტილში დააბრუნა ტარბა. ეს, ვარაუდი აღარ იყო. გაფრთხილება ისეთი ადამიანისგან მომდინარეობდა, რომლის სიტყვისთვის ანგარიში უნდა გაეწია. ამით დაშინებულმა, მაშინვე მოიმარჯვა პისტოლეტი და კარს მიაშურა. დერეფანში არავინ ჩანდა. მხოლოდ პირველი სართულიდან ისმოდა ტელევიზორის ხმა. ამით დამშვიდებული ტარბა ფეხაკრეფით დაიძრა დერეფნის გასწვრივ და ამ დროს, კიბის უჯრედის კუთხეში თვალი მოჰკრა ჯაბას, ირაკლისა და ლუკას. ჯაბა და ირაკლი პირველ სართულზე ჩასასვლელი კიბის წინ იდგნენ, ლუკა კი ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარიყო და მშვიდად აბოლებდა სიგარეტს.

მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ როგორ ააგდო ლუკას ხალხმა. სეროვის მიცემულობა ჩანაწერმა ისე დააბნია, რომ ეფექტიანობა ალარ მოუქცევია მოსაუბრეთა ხმისთვის

მისმა ნახვამ საერთოდ დააბნია ტარბა. ბოლო დღე-ღამის განმავლობაში, აგარაკის მცველების გარდა, არავინ უნახავს. ისიც კი არ იცოდა, თუ სად იყვნენ ლუკა და მისი ხალხი. მხოლოდ ის იცოდა, რომ ისინი აგარაკზე არ იმყოფებოდნენ. ახლა კი ირკვეოდა, რომ ცდებოდა. ისინი ან აქ იყვნენ და არსად წასულან, ან კიდევ, ისე დაბრუნდნენ, რომ მას არაფერი გაუგია ამის შესახებ.

— რა იყო, რუსლან?.. — ლუკამ სიგარეტის ნამწვავი ფანჯარაში მოისროლა. — რად გინდა ეგ პისტოლეტი?

— ქუჩიდან „ძაღლების“ სირენის ხმა შემომესმა, — ტარბამ პისტოლეტი ქამარში გასარჭობად დაუშვა, მაგრამ ირაკლიმ ამის საშუალება არ მისცა — მიუახლოვდა და პისტოლეტის გამოსართმევად გაუწოდა ხელი. ტარბამ უკან დაიხია და დაბნეული მზერა ესროლა ლუკას.

— მიეცი! — მოკლედ ბრძანა მან.

— შენც იცი, რა შარში გამხვია ნაბიჭვარმა გამზათმა. იარაღით, უფრო მშვიდად ვიგრძნობ თავს, — ჩავარდნილი ხმით თქვა ტარბამ.

— მიეცი!.. ამ სახლში იარაღი არ გჭირდება! — ცივად გაუმეორა ლუკამ. — და უიარაღოდ თუ იქნები, ყველა უფრო მშვიდად ვიგრძნობთ თავს!..

ტარბამ თავი დახარა და ირაკლის პისტოლეტი გაუწოდა.

— ესე იგი, „ძაღლების“ სირენამ შეგაშინა? — მზერა გაუსწორა ლუკამ.

— ჰო.

— მე კი მეგონა, სოხუმში აპირებდი გამგზავრებას. ამბობენ, გამზათის ერთი ახლობელი ცაში ააფრინესო!

— ვინ? — გაიკვირვა ტარბამ.

— ვიღაც არაბი... თუ არ მეშლება, ნეჯეთი ერქვა!

— აა... მსმენია ეგ სახელი. გამზათის „ბრატი“ იყო. ბევრს მოაბეზრა თავი. ძალიან ფრთხილი იყო, მაგრამ მაინც დასვეს „კრუჩოკზე“. — გამოცოცხლდა ტარბა.

— გამზათზე რა იცი?

— არაფერი.

— იმ ახვრის დაბრედვის მერე, ქუჩაში გამოჩენას ვეღარ გაბედავს. სოროში შეძვრება!

— შემიძლია მოვძებნო, — შესთავაზა ტარბამ.

— არაბის დაბრედვის შემდეგ, მარტო ერთ ადამიანს თუ ენდობა, — ჩაილაპარაკა ლუკამ, — მაგრამ ჩვენ იმ ადამიანს ვერ დავუკავშირდებით. აი, შენ კი შეძლებ მასთან „დაბაზრებას“!

— ვინაა?

— რიჟკოვი!

— გამიჭირდება, — თავი გაიქნია ტარბამ.

— გინდა, რომ ეს საქმე რაც შეიძლება მალე და ყველასთვის კარგად დამთავრდეს?

— რა თქმა უნდა.

— მაშინ, დაურეკე რიჟკოვს და უთხარი... — ლუკამ შუბლი მოისრისა და მერე დაამატა: — უთხარი, რომ საქმე მე მეხება, მაგრამ ტელეფონით ვერაფერს

ეტყვი და პირადად შეხვედრა მოსთხოვე!.. სად და როდის?.. სად ხვდებოდი რიჟკოვს?

— სოჭის გარეუბანში, სასტუმრო „ლაზურნაიასთან“. იქ ერთხელ შევხვდი, მაგრამ ვიცი, რომ გამზათს ყოველთვის იქ უნიშნავდა „სტრელკას“. სასტუმროს მაგის ხალხი აკონტროლებს და იქ უფრო მშვიდად გრძნობს თავს.

— სასტუმროში თუ გარეთ? — დაზუსტება სთხოვა ლუკამ.

— სასტუმროს გვერდით, ავტოსადგომთან, — უპასუხა ტარბამ.

— მაშინ, ნუღარ გადავდებთ... დღესვე ან ხვალ, საღამოს ცხრა საათისთვის დაიბარე!

— ჰო... მაგრამ რა შუაშია გამზათი? — გაუკვირდა ტარბას.

— ის ნაბიჭვარი მოსკოვში არ ჩავიდა. ნეჯეთის დაბრედვამ შეაშინა. აფხაზეთშიც ვერ ჩერდება. იქ ეგულება ხალხი, რომელმაც არაბი ჯოჯოხეთში გაისტუმრა. მაგრამ აქაურობასაც ვერ შორდება. ვგრძნობ, რომ სადღაც აქვე იმალება და რიჟკოვთანაც აქვს კავშირი. „ბაზარი“ არ არის — ასეთი ზარის შემდეგ, რიჟკოვი თვითონ დაუკავშირდება და „სტრელკაზე“ წამოიყვანს!

— ჰო... — კეფა მოიქექა ტარბამ. — მაგრამ რა მოხდება იქ?

— რამე გაშინებს?

— „ფეესბეშნიკის“ დაბრედვა უბრალო საქმე არ არის. ამას არავინ შეგვარჩენს!

— მერედა, ვინ გითხრა, რომ რიჟკოვის დაბრედვას ვაპირებ?.. ძაღლი არ მაინტერესებს. პოლიტიკურს კი არ ვაწვები, მთავრობას ომი გამოვუცხადო. მე მარტო გამზათი მჭირდება!.. მოკლედ, ეგ „საბაზრო“ არ არის. დარეკე! — სწრაფად დაასრულა ლუკამ.

— კარგი, — ყოყმანით დაეთანხმა ტარბა. მერე კი მობილურ ტელეფონზე რიჟკოვის ნომერი აკრიბა.

საუბარი ორიოდ წუთს გაგრძელდა. ტარბამ რიჟკოვს აუხსნა, რომ გამზათის ასავალ-დასავალი ვერ დაადგინა და იძულებული გახდა, მას დაჰკავშირებოდა. მაგრამ „ფეესბეშნიკი“ არც კი დაინტერესებულა მიზეზებით. ლუკასთან დაკავშირებულმა ინფორმაციამ ყველა არგუმენტი გადაწონა და ტარბას იმავე ღამით, ოთხი საათისთვის შეხვედრა მოსთხოვა.

— ხედავ, რა მარტივად მოგვარდა ყველაფერი, — ჩაილაპარაკა ლუკამ, როგორც კი აფხაზმა ტელეფონი გათიშა.

— ახლა რა ვქნათ?.. სოჭში ჩასვლას დრო სჭირდება. ახლავე უნდა გავემგზავროთ, თორემ დავიგვიანებთ, — სწრაფად უპასუხა ტარბამ.

— ჰო... მაგრამ მანამდე, კიდევ ერთი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი.

— რა საქმე?

— ერთ კაცს უნდა შენი ნახვა. ამბობს, ძველი ნაცნობები ვართო, — განაგრძო ლუკამ.

— ვის? — დაიძაბა ტარბა.

— ნახავ, — მიუგო ლუკამ, მერე ჯაბას ანიშნა: წამოიყვანეო და კიბეზე პირველი დაეშვა.

ორიოდ წუთში ტარბა სარდაფში მდებარე ვრცელ სათავსში აღმოჩნდა. იქ, ლუკას, ჯაბასა და ირაკლის გარდა, კიდევ ერთი მამაკაცი იმყოფებოდა. მისმა ნახვამ აფხაზს თავზარი დასცა: ეს იყო ალექსანდრ ნოვაკი, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ გააფრთხილა: გეგეშიძის სიახლოვეს თუ ხარ, „მოხიეო“! მიუხედავად ამისა, ტარბამ არაფერი შეიმჩნია და უსიტყვოდ ჩამოჯდა სკამზე.

— ახალი წესია თუ ძველ ნაცნობებს ადრეც არ ესალმებოდი?.. — ირონიულად ჩაილაპარაკა ლუკამ.

— მაგ ტიპს არ ვიცნობ, — ნოვაკისკენ არც კი გაუხედავს ტარბას.

— ხედავ, ალექსანდრ? ის ამტკიცებს, რომ არ გიცნობს! — ნოვაკს გახედა ლუკამ.

— ახლა არ მიცნობ, ნაბიჭვარო?! — მოულოდნელად იფეთქა ნოვაკმა. — შენ თვითონ „ებაზრე“ ჩემზე და არ მიცნობ?!

— რა-ა?! — თვალები გაუფართოვდა ტარბას. — შენ ხომ არ უბერავ?! ვის და რაზე „ებაზრე“?!

— მაგას... — ლუკასკენ გაიშვირა ხელი ნოვაკმა. — მე თვითონ ვნახე ჩანაწერი, სადაც ჩემსა და რიჟკოვზე „ბაზრობდი“!

— რა უნდა ამ ახვარს, ლუკა?.. თქვი... შენ თვითონ თქვი — იყო ასეთი „ბაზარი“?!

— არა, — მშვიდად ჩაილაპარაკა ლუკამ.

— რა თქვი?! — ამჯერად, ნოვაკის გაოცების ჯერი დადგა. — შენ ხომ თვითონ მიჩვენე ჩანაწერი, სადაც ეს ახვარი ჩემზე „ბაზრობდა“!

— დაივიწყე! — ლუკამ უდარდელად ჩაიქნია ხელი.

— ესე იგი... — ნოვაკმა დამთავრება ვეღარ შეძლო. მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ როგორ ააგდო ლუკას ხალხმა. სეროვის მიცემულმა ჩანაწერმა ისე დააბნია, რომ ყურადღება აღარ მიუქცევია მოსაუბრეთა ხმისთვის. ერთი ხმა მართლაც, ლუკას ეკუთვნოდა, მაგრამ — მეორე?.. იმ წუთებში მასზე შთაბეჭდილება მარტო რუსლან ტარბამ მოახდინა, რომელიც ლუკას ელაპარაკებოდა!.. ახლა კი მიხვდა, რომ დამარცხდა. ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა და ნოვაკმა ყველაფერი უამბო ლუკას. მერე კი მეორე შეცდომაც დაუშვა: ლუკას ბრძანებით, ტარბას დაურეკა და სახლიდან გაქცევა ურჩია. იმ წუთებში მას წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ აფხაზი იმავე სახლის მეორე სართულზე იმყოფებოდა. საერთოდ ვერ ხვდებოდა, თუ რაში სჭირდებოდა ლუკას ეს ზარი, მაგრამ შეასრულა ბრძანება. შეასრულა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მომხდარის შემდეგ ამით აღარაფერი დაშავდებოდა. ასე ჩაძირა ტარბაც... მისი ბედი საერთოდ არ აღელვებდა. თუნდაც ცოცხლად გაეტყავებინა ლუკას. მაგრამ ტარბაც იმავეთი უპასუხებდა და როგორც კი იგრძნობდა, რომ გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდა, მასაც საფლავში ჩაიყოლებდა. ამის გააზრებამ იმდენად გააცოფა, რომ მაშინვე კბილების ხრჭიალით წამოიწია სკამიდან. მაგრამ ფეხზე ადგომა ვერ მოასწრო. ჯაბამ, რომელიც მასთან ყველაზე ახლოს იდგა,

მუშტის დარტყმით დააგდო იატაკზე და სახეში პისტოლეტის ლულა მიაბჯინა.

— მშვიდად, ჯაბა. ამ ნაბოზარს კიდევ ბევრი რამ აქვს სათქმელი, — მაშინვე ჩაერია ლუკა და ამასთან ერთად, ნოვაკს ადგომა უბრძანა. ის ადგა და უხმოდ დაუბრუნდა სკამს.

— ამასთან ყველაფერი გარკვეულია. ახლა შენი ჯერია, — ტარბას მიუბრუნდა ლუკა.

— გასარკვევი არაფერია. უკვე გითხარი, რომ ამ ახვარს არ ვიცნობ და საერთოდ, აზრზე არა ვარ, რას „ბაზრობს“! — გაჯიქდა აფხაზი.

— ესე იგი, ეს ატრაკებს?!

— მაგრად.

— უცნაური გატრაკება სცოდნია. რაც მაგან „იბაზრა“, ხუთ კაცს ეყოფა დასაბრედად! — ცივად ჩაილაპარაკა ლუკამ.

— მე ჩემი ვთქვი. დანარჩენი შენი საქმეა, — არ შეეპუა ტარბა.

— ყოჩაღ... მიყვარს გაბედული ხალხი. მაგრამ ეს აღარაფერს შეცვლის. გასაკეთებელი მაინც გაკეთდება, — თქვა ლუკამ, მერე კი მაგიდიდან მობილური ტელეფონი აიღო და დარეკა. იმავ წამს აწკრიალდა ტარბას მობილურიც.

— არ უპასუხებ? — ჰკითხა ლუკამ, როდესაც ტარბა ადგილიდან არ დაიძრა. — წეღან სწრაფად მიიღე მისი გაფრთხილება და იარაღით ხელში გამოვარდი ოთახიდან!

აფხაზმა უხალისოდ დახედა ეკრანს და როგორც კი ნოვაკის ნომერი იცნო, აპარატი მთელი ძალით დაახეთქა იატაკზე და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— კარგი... შენ გაიმარჯვე... ვიცი, რასაც მიპირებ, მაგრამ მაინც გთხოვ: მომეცი ყველაფრის გამოსწორების საშუალება...

— მაინც რას იზამ?.. ვოლინას გააცოცხლებ?! — ბრაზით ჰკითხა ლუკამ.

— არა, მაგრამ ყველაფერს მოგიყვები და თუ გინდა, რიჟკოვსაც დავბრიდავ!..

— რიჟკოვს?! — გაუკვირდა ლუკას. — რისთვის?.. მე უკვე გითხარი, რომ მთავრობას არ ვეომები!

— ყველაფერი მაგის გაჩალიჩებულია! — იყვირა ტარბამ. — ვინმე თუ დაისჯება, პირველი ის უნდა დაისაჯოს!

— ამქვეყნად ყველას თავისი საქმე, ტვირთი და სასჯელი აქვს. შეიძლება, რიჟკოვი მართლაც, დაისაჯოს, მაგრამ ეს ჩემი ხელით არ მოხდება. შენ კი... — ლუკამ მცირე პაუზა გააკეთა და მერე დასძინა: — მაგის დროც მოვა. ახლა კი — „იბაზრე“, ნაბიჭვარო!..

ტარბა დიდხანს დუმდა, მერე აკანკალებული ხელით მოუკიდა სიგარეტს, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ალაპარაკდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ვაჩდევს კლასიკური მუსიკა უყვართ“...

„როდესაც რიხტერს ჩემ მიერ შექმნილი თაიგული მივართვი, სცენიდან დაიხარა და მკითხა, — რა არის ეს სასწაულიო?“ — იხსენებს კაცი, რომელსაც თბილისის ოპერასა თუ დრამატულ თეატრებში მისული მაყურებელი ყოველთვის, გამორჩეული თაიგულის წყალობით მიაქცევს ყურადღებას. ავთო დანელია გვიამბობს, თუ როგორ ახერხებდა მოეხიბლა გამორჩენილი მუსიკოსები და მსახიობები: სვიატოსლავ რიხტერი, მარია კალასი, ხოსე კარერასი, მონსერატ კაბალიე და სხვები...



ორმეტრიანი თაიგული – ხოსე კარერასს, ასლარიანი ორქიდეა – მონსერატ კაბალიეს და „მეცხრე სიმფონიის“ შესატყვისი იასამანი

მანანა გაბრიჭიძე

— ბატონო ავთო, თეატრალთა ყურადღებას მუდამ იქცევთ იმით, რომ პირველი რიგის პირველ ადგილს იკავებთ და ხელში სრულიად განსაკუთრებული, თქვენ მიერ შექმნილი ულამაზესი თაიგული გიჭირავთ. საინტერესოა, საიდან მომდინარეობს ხელოვნებისადმი ის უზომო სიყვარული, რომელიც ჩვეულებრივ, თქვენი პროფესიის ადამიანებს არ ახასიათებს?

— პროფესიით ქიმიკოსი ვარ, მაგრამ ხოსე კარერასიც ხომ ქიმიკოსია!.. ოპერის უკან, ბროსეს ქუჩაზე გავიზარდე. მშობლებს 4 წლის ასაკიდან, ოპერისა და ბალეტის თეატრში ყველა სპექტაკლზე დავყავდი. ბევრს ეგონა, თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარებდი, რადგან მეათე კლასში სწავლისას, ჩეხოვის 100 წლისთავის იუბილეზე (რომელიც პირველ კლასიკურ გიმნაზიაში აღინიშნა), ორ სპექტაკლში წამყვანი პარტიები შევასრულე. მახსოვს, რა გულმოდგინედ ვემზადებოდით, კოტე მახარაძის დედის — ქალბატონ ვარია ვეკუას დახმარებით. რუსთაველის თეატრიდან კოსტიუმები გამოვიტანეთ... სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. ვოცნებობდი მსახიობობაზე, დირიჟორობაზე. მაგრამ ყველას გასაკვირად, ქიმიის ფაკულტეტი ავირჩიე, რაც ამ საგნის მასწავლებლის მიმართ განსაკუთრებულმა სიყვარულმა განაპირობა. თავიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდი, შემდეგ — მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში გადავედი. უნივერსიტეტში, ჩემდა საბედნიეროდ, ე.წ. კულტორგად (კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზატორი) ამირჩიეს. ამან საშუალება მომცა, უდიდეს ხელოვნებთან შეხვედრების ორგანიზატორი ვყოფილიყავი. სწორედ ჩვენი თაოსნობით, მაია პლისეცკაიას მიენიჭა ლომონოსოვის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება. შეხვედრა მოვაწყვეთ ნინო ანანიაშვილთან და მის პარტნიორ, ალექსეი ფადეიჩევთან. როგორც კულტორგს, გამორჩენილ ხელოვანთა კონცერტებზე დასასწრები ბილეთების უპრობლემოდ შეძენის შესაძლებლობა მქონდა. მაგალითად, ლუჩანო პავაროტის კონცერტზე 81 ბილეთი გვერგო. 4 ბილეთი ქართული კვარტეტის მომღერლებს ვაჩუქე, ერთი — თამარ გვერდწითელს. ისინი საბჭოთა კავშირის პირველი პირის, მიხაილ გორბაჩოვის მეზობელ ლოჟაში აღმოჩნდნენ და ისტორიულ დოკუმენტურ ფილმშიც მოხვდნენ. მე თვითონ, იტალიის ელჩის გვერდით ლოჟაში ვიჯექი. ამ დაუვიწყარ დღეს ხშირად ვიხსენებთ... არ შემიძლია, პირველ რიგში არ ვიჯდე და მაყურებლთა თავებს ვუყურო. 30 წელი, მოსკოვის დიდ თეატრში სულ პირველი რიგის მე-18 ადგილს ვიკავებდი. ეს ფაქტი ნიუ-იორკში გამოშვებულ ერთ-ერთ წიგნშიც აღინიშნა: საბჭოთა კავშირში იყო ადამიანი, რომელიც მოსკოვის დიდ თეატრში ერთსა და იმავე ადგილს 30 წელი,

ყველას ვაფრთხილებდი – რიხტერისთვის, შემთხვევით შერჩეული ყვავილები არ მიერთმია: ვიცოდი, ხელს არ მოპკიდებდა



შეუცვლელად იკავებდაო... მოსკოვის კონსერვატორიაში, საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრის, ეკატერინა ფურცევას გარდაცვალების შემდეგ, მუდამ მის მიერ არჩეულ ადგილზე ვიჯექი. დიდ თეატრში, ლა სკალას სამივე გასტროლს — ანუ 105 სპექტაკლს დავესწარი. წარმოიდგინეთ, არც ერთი რეპეტიცია არ გამიცდენია. ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა, რადგან პირადად ვიცნობდი უდიდეს ხელოვანთ.

— ახლა ის მოგვიყევით — როგორ ქმნით ერთმანეთისგან განსხვავებულ, ულამაზეს თაიგულებს.

— რომელი სპექტაკლი გადის ან ვის ვუძღვნი — სწორედ ამის მიხედვით იქმნება თაიგული: „იკებანაში“ ადამიანის პორტრეტს ვაქსოვ... ერთხელ, მოსკოვში იმართებოდა პიანისტების გამოსვლა, რომელზეც „მეცხრე სიმფონია“ სრულდებოდა. მოგეხსენებათ, ბეთჰოვენის ამ ნაწარმოების ფინალი ბიბლიური მოტივებითაა ნასაზრდოები. მებალეს სპექტაკლის ორი ბილეთი ვაჩუქე და ვთხოვე, მის ბაღში იასამნის დიდი ტოტები მოეჭრა ჩემთვის. სცენაზე იასამნის 7 ტოტი ავიტანე, რომლებსაც ზუსტად ის ფერები ჰქონდა, რომლებიც „მეცხრე სიმფონიის“ ბიბლიურ დასასრულს შეესაბამებოდა. პიანისტმა, რომელსაც მივართვი, ჩამჩურჩულა, — ამ იასამნებთან ერთად, ვმაღლდებიო... ყველას ვაფრთხილებდი — რიხტერისთვის, შემთხვევით შერჩეული ყვავილები არ მიერთმია: ვიცოდი, ხელს არ მოჰკიდებდა. კონცერტზე ცისფერი ვარდები მივართვი (არ იშოვებოდა, მაგრამ ვინც ძალიან მოინდომებს, ყველაფერს შეძლებს). მეორე კონცერტისთვის კი, ისეთი თაიგული შევქმენი, როცა მივაწოდე, სცენიდან დაიხარა და მკითხა, — რა არის ეს სასწაულიო?!. რიხტერის მეუღლემ მითხრა, — შენ მიერ ნაჩუქარ ცისფერ ვარდებს, ჩემი ქმარი ორმოცი დღე, საგანგებოდ უვლიდაო. ვარდებს კლასიკური მუსიკა უყვართ და მათთვის რომ დაეკრა, რიხტერი თურმე, ყოველ დილით, საგანგებოდ ამისთვის, 6 საათზე დგებოდა... ცისფერი ვარდები მივართვი მარია კალასს. იგი მოსკოვში, ერთ-ერთ კონკურსზე ჟიურის თავმჯდომარე იყო, დიდი აღფრთოვანება გამოხატა და სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ ერთად. გოგი ალექსი-მესხიშვილის მეუღლე, მაკა მიქაძე ულამაზესი ქალბატონია, ამიტომ მას გამორჩეულად ლამაზი „იკებანა“ ვაჩუქე. მხოლოდ, მასალა 100 დოლარი დამიჯდა. მონსერატ კაბალიესთვის განკუთვნილ „იკებანაზე“ კი, 400 ლარი დავხარჯე. ავიღე ათი ტოტი და „ნორმას კვერთხი“ შევქმენი, ზემოთ 100-ლარიანი ორქიდეა და 33 ცისფერი ვარდი დავამაგრე (მონსერატ კაბალიე მანამდე, 33 წლით ადრე ვნახე...). ასევე მოსკოვში, 30 წლის წინ ულამაზესი ორმეტრიანი თაიგული მივართვი ხოსე კარერასს. ამ ცოტა ხნის წინ, ხოსე კარერასი თბილისში რომ იმყოფებოდა, მისი კონცერტიდან ძალიან დათრგუნვილი დავბრუნდი: ჩემი უსაყვარლესი მომღერალი არნახულადაა შეცვლილი.

— ამბობთ, რომ ყოველთვის გქონდათ შესაძლებლობა, ძვირად ღირებული თაიგულით ხელდამშვებნებული, დასწრებოდით ყველა სპექტაკლს. რა შემოსავალი გაძლევდათ ამის საშუალებას?

— მაყვალა ქასრაშვილის დედამ მითხრა, — გორკის ქუჩაზე საკუთარ სახლს იყიდდი იმ ფულით, რომელიც მხოლოდ ჩემი ქალიშვილის ყვავილებში დაგიხარჯავსო!.. ლა სკალას გასტროლზე 5.000 რუბლის ორქიდეები მივიტანე; ყოველი ანტრაქტის შემდეგ გამოჰქონდათ, ბოლოს კი, მთელ ორკესტრს გადააფრქვიეს... ამ ყველაფრის საშუალებას ის მაძლევდა, რომ მოსკოვში უმდიდრესი მამიდა მყავდა და მისი ერთადერთი მემკვიდრე ვიყავი. მთელი ცხოვრება კულტურას ვემსახურე. 80-იან წლებამდე, ლომონოსოვის უნივერსიტეტში კულტორგად ვმუშაობდი, შემდეგ — ამერიკულ კერძო ფირმაში, რომელიც ასევე კულტურას ემსახურებოდა. რადიოკომპანიაში „რუსსკოე რადიო“ — მიმყავდა გადაცემა — „მოგონებები და შეხვედრები გამოჩენილ ხელოვნებთან“. 1997 წელს თბილისში დავბრუნდი, ჩამოსვლისთანავე ჩამოვაყალიბე ხელოვნების საერთაშორისო ასოციაცია „მზეჭაბუკი“ (პირველი ქართული ბალეტის სახელის მიხედვით, რომელიც საქართველოს სცენაზე დადგმულა). ცოტა ხანში, ამ ასოციაციას შეუერთდა ბერძნული ორგანიზაცია „მარია კალასი“, რომელსაც გენერალ კაპიტონ ნაჭყებიას ქალიშვილი, ფილოლოგი ლიკა ნაჭყებია ხელმძღვანელობს. იმავე წელს მოვიწვიე მაია პლისეცკაია და ასოციაციის პრეზენტაცია ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გავმართეთ. ბევრი პროექტი განვახორციელეთ, ბევრსაც სამომავლოდ ვგეგმავთ.

— უახლოეს გეგმებზე რას იტყვით? და კიდევ — რამდენად კმაყოფილი ხართ, თბილისში გამართული, კლასიკური მუსიკის კონცერტებით?

— თბილისში კონცერტებზე მხოლოდ იმისთვის დავდივარ, რომ ცოცხალ შესრულებას მოვუსმინო. საქართველოში არ არსებობს ორკესტრი, რომელიც დაგატკბობს. არც ერთი ისეთი სპექტაკლი არ მახსენდება, რომელიც საშუალებას არ მოგცემს, სახლში გაჩერდე. ერთადერთი, რუსთაველის თეატრია, სადაც სიამოვნებით მივდივარ, რაც რობერტ სტურუას დამსახურებაა... რაც შეეხება გეგმებს, — ოქტომბერში, პარიზის „გრანდ-ოპერაში“ ჩემი წიგნის პრეზენტაცია გაიმართება. ვახტანგ ჭაბუკიანის ფონდის სახელით, ფრანგ მსახიობს, ჟორჟ პრეტრს დავაჯილდოებთ, იმავე პრიზს გადავცემთ მოსკოვში მოღვაწე 100 წლის მსახიობს, მარინა სემიონოვას და კიდევ — გამოჩენილ მოცეკვავეს, მიხაილ ლავროვსკის. თბილისში „ოქროს ქორწილს“ გადავუხდით მაია პლისეცკაიასა და მის მეუღლეს, კომპოზიტორ როდიონ შჩედრინს (მაიამ იტირა სიხარულით, როდესაც ეს შევატყობინეთ). გვსურს მოვაწყოთ რამაზ ჩხიკვაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. ■

სცენა ოპერიდან „დონ კარლოსი“

30 წლის წინ ულამაზესი ორმეტრიანი თაიგული მივართვი ხოსე კარერასს

ლინდსეი ლოხანი ახალ ცხოვრებას იწყებს

ბოლო ხანებში, ლინდსეი ლოხანი ერთი სარეაბილიტაციო კლინიკიდან მეორეში გადადიოდა და „მომთაბარე“ ცხოვრებას ეწეოდა. ერთი შეხედვით, მისი რეპუტაცია საბოლოოდ შეიბღალა, კარიერა კი დაინგრა; მაგრამ როდესაც საკულტო რეჟისორმა ტიმ ბარტონმა კეროლის ზღაპრის — „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ეკრანიზაცია დააპირა, ლინდსეი თვალსა და ხელს შუა შეიცვალა, რადგან ალისას როლი მისი ცხოვრების საოცნებო როლია. გოგონამ არ დააყოვნა და რეჟისორს საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა. „ჩემს წარსულ ცხოვრებას ფხიზელი თვალით შევხედე, ღმერთო ჩემო, რაზე ვფიქრობდი?! ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვარ, ცხოვრება, ადამიანები და მუსიკა მიყვარს, საკუთარ გულისხმას ყური მივუგდე და ყველაფერს თავიდან ვიწყებ!“ — ამბობს ლოხანი და მაყურებლისთვის ცხადი ხდება, რომ მას მეორე შანსი გაუჩნდა...

■

მეიონსი ამპლუას იცვლის

სულ მალე ბეიონსი კინოში მოთამაშე მომღერლის ამპლუას შეიცვლის და მომღერალ მსახიობად გადაიქცევა. ჯგუფის Destiny`s Child ყოფილი ვოკალისტი ახალ ტრილერში — Obsessed მიიწვიეს. ამ სურათს კი მუსიკასთან არაფერი აკავშირებს. გადასაღებ მოედანზე ბეიონსის პარტნიორები ალი ლარტერი და იდრის ელბა იქნებიან. ბეიონსი ელბას პერსონაჟის — ბანკის მენეჯერის მეუღლის როლს ითამაშებს, რომელსაც საიდუმლოებით მოცული უცნობი (ალი ლარტერი) დევნის... ფილმის რეჟისორია სტივ შილი, რომელმაც პოპულარობა ისეთი სერიალებით მოიპოვა, როგორებიცაა: „კანონი და წესრიგი“ და „სოპრანოს კლანი“. ფილმის გადაღება ზაფხულში დაიწყება.

■

უიტნი ჰიუსტონი საშობაო საჩუქარს გვიმზადებს

პოპის ყოფილი დედოფალი უიტნი ჰიუსტონი სულ მალე თაყვანისმცემლებს ახალი სტუდიური რელიზით გაახარებს. ამის შესახებ ლეიბლის — BMG ხელმძღვანელმა კლაივ დევისმა განაცხადა, რომელმაც მომღერალთან კონტრაქტი უკვე გააფორმა. ბოლო წლებში ვარსკვლავს მრავალი პირადი თუ შემოქმედებითი პრობლემა დაატყდა თავს. უიტნი, მეუღლეს ბობი ბრაუნს გაშორდა და ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სკანდალშიც აღმოჩნდა ჩათრეული; მაგრამ ახლა „გრემის“ პრემიის ექვსგზის მფლობელი მომღერალი ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება და როგორც კლაივ დევისი ირწმუნება, მზადაა ამერიკის პირველი პოპვარსკვლავის დაფნის გვირგვინის დასაბრუნებლად იბრძოლოს! 44 წლის ჰიუსტონის ახალი ალბომი მისი პირველი ნამუშევარი იქნება მას შემდეგ, რაც მომღერალმა 2002 წელს ბოლო ალბომი — Just Whitney გამოუშვა. „დღევანდელი მუსიკალური ბაზრის რეალიების აყოლას და იმის გამოთვლას არ ვაპირებთ, თუ რა არის ამჟამად მოდაში. მსმენელი უიტნისგან მის საფირმო სტილში შექმნილ სიმღერებს ელის და ასეთ სიმღერებს მიიღებს კიდეც!“ — ამბობს კლაივ დევისი. როგორც ამბობენ, ახალი ალბომის თანაპროდიუსერებად ჯგუფის — Black Eyed Peas will.I.am წევრი და ახალი გენერაციის ცნობილი რეპერი ეიკონი არიან მიწვეულნი. მომღერალს უკვე მზადა აქვს 4 სიმღერა, რომელიც მომავალ ალბომში შევა. პროდიუსერები ვარაუდობენ, რომ უიტნი ჰიუსტონის ახალ ალბომს მსმენელი საშობაოდ მიიღებს.

■

ავრილ ლავინი ტანსაცმლის საკუთარი ხაზის გამოსაშვებად ემზადება

ცნობილი მომღერალი ავრილ ლავინი ამერიკული მაღაზიების ქსელთან — Kohl`s Corp ერთად ტანსაცმლის საკუთარი ხაზის გამოსაშვებად ემზადება. ახალგაზრდა „როკვარსკვლავებისთვის“ განკუთვნილი ტანსაცმელი Kohl`s Corp-ის 958 მაღაზიაში ივლისიდან გაიყიდება. „ავრილი — დიზაინიდან დაწყებული, წარმოებით დამთავრებული, ყველა სტადიაში მონაწილეობდა. ჩვენ მისი გარდერობი შევისწავლეთ. იგი ჩვენს დიზაინერებთან ერთად დადიოდა მაღაზიებში და საბოლოოდ, ავრილის დახმარებით ტენდენციათა პროგნოზი შევადგინეთ“, — ამბობს პროექტის მონაწილე საალიცენზიო კომპანიის Jerry Leigh წარმომადგენელი მიშელ რობაკი. ჩვენს მკითხველს კი შევახსენებთ, რომ ტანსაცმლის საკუთარი ხაზი უკვე ბევრ მუსიკოსს აქვს გამოშვებული. მათ შორის — გვენ სტეფანის, ჯენიფერ ლოპესს, ჯასტინ ტიმბერლეიკს, ჯესიკა სიმფსონს და ბეიონს ნოულზს. ■

ჰიტ ლეჯერის დაუმთავრებელი როლი და ანდერძი

ცნობილი გახდა, რომ უდროოდ დაღუპული 29 წლის მსახიობის ჰიტ ლეჯერის ანდერძში მისი ქალიშვილი მატილდა როუზი და გოგონას დედა, მსახიობი მიშელ უილიამსი მოხსენიებულნი არ არიან! ეს გასაკვირი არც არის, რადგან მსახიობის ანდერძი 2003 წელსაა შედგენილი. იმ დროს ლეჯერს ქალიშვილი არ ჰყავდა და არც მომავალ ცოლს იცნობდა. გარდაცვლილის სამგვერდიან ანდერძში ნათქვამია, რომ მსახიობის მთელი ქონება, რომლის რაოდენობა მითითებული არ არის, მის მშობლებსა და 3 დას რჩება. ანდერძში მხოლოდ ის ქონებაა ნახსენები, რომელსაც ლეჯერი ნიუ-იორკში ფლობდა. კერძოდ კი, 100.000-დოლარიანი საბანკო ანგარიში, 20.000 დოლარად შეფასებული ავეჯი, სხვა ნივთები და 25.000-დოლარიანი ავტომობილი — Toyota Prius. გარდაცვლილი მსახიობის მამამ კიმ ლეჯერმა უკვე განაცხადა, რომ ოჯახი მიშელ უილიამსსა და მის ქალიშვილს მხარში ამოუდგება და მათზე ისევე იზრუნებს, როგორც თავად ჰიტი იზრუნებდაო.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 22 იანვარს ჰიტ ლეჯერი ნიუ-იორკში მდებარე ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. ექსპერტიზის თანახმად, სიკვდილის მიზეზი სამედიცინო პრეპარატების გადაჭარბებული რაოდენობით მიღება გახდა. მსახიობის ბოლო, დასრულებული ნამუშევარი ჯოკერის როლია, რომელიც მან ბეტმენის შესახებ გადაღებულ მორიგ ფილმში ითამაშა. ლეჯერს ბოლო როლი ტერი გილიამის სურათში „დოქტორ პარნასის იმაჯინარიუმი“ დაუმთარებელი დარჩა. რეჟისორი ფილმს სხვა მსახიობების მონაწილეობით დაასრულებს. დახმარებაზე თანახმანი არიან: ჯონი დეპი, კოლინ ფარელი და ჯუდ ლოუ. მით უმეტეს, რომ სურათის ფანტასტიკური სიუჟეტი გმირის სახის შეცვლის საშუალებას იძლევა. ■

მადონა „როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში“ გაწევრდა

ამერიკული „როკ-ენ-როლის დიდების დარბაზის“ წევრთა სია ახალი სახელებით შეივსო. ნიუ-იორკის სასტუმრო „უოლდორფ-ასტორიაში“ ამ მოვლენისადმი მიძღვნილი 23-ე ცერემონია ჩატარდა. შოუბიზნესის წარმომადგენელთა და ცნობილ შემსრულებელთა ერთგვარი ელიტური კლუბის წევრთა რიგებს, ამჯერად მადონა, ამერიკელი პოპშემსრულებელი ჯონ მელენკემპი, კანადელი მომღერალი ლეონარდ კოენი, ამერიკული როკჯგუფი The Ventures და ბრიტანული როკჯგუფი The Dave Clark Five შეუერთდნენ. „როკ-ენ-როლის დიდების დარბაზის“ ლაურეატებს 1985 წლიდან ყოველწლიურად ასახელებენ. ტრადიციის თანახმად, ოფიციალური ცერემონია გრანდიოზულ შოუში გადაიზრდება ხოლმე. საზეიმო ნაწილის დასრულების შემდგომ, ვარსკვლავები სცენაზე ერთად ადიან და იმპროვიზებულ კონცერტს აწყობენ. „დიდების დარბაზის“ წევრობის კანდიდატთა სიას სპეციალური კომიტეტი ადგენს, რომელიც შოუბიზნესის სხვადასხვა სფეროს ასობით წარმომადგენლისგან შედგება. თითოეული ახალი წევრი „თავისებურად უნიკალურია და საკუთარ ჟანრზე დიდი გავლენა მოახდინა... ისინი როკ-ენ-როლის მრავალფეროვნებას თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ“, — ამბობს „როკ-ენ-როლის დიდების დარბაზის“ პრეზიდენტი ჯოელ პერესმანი. მუსიკოსებს „დიდების დარბაზის“ წევრად გახდომა მხოლოდ მას შემდეგ შეუძლიათ, როდესაც მათი პირველი ფირფიტის გამოსვლიდან 25 წელი გავა. ეს პატივი უკვე ერგოთ წილად ისეთ ჯგუფებსა და შემსრულებლებს როგორებიც არიან: Beatles, ბობ დილანი, ელვის პრესლი, ბი ბი კინგი, რეი ჩარლზი, Rolling Stones და არეტა ფრანკლინი. ■

ელვის პრესლის ქალიშვილი Daily Mail-ს სასამართლოში უჩივის

ელვის პრესლის ქალიშვილმა, მომღერალმა ლიზა-მარია პრესლიმ გაზეთი Daily Mail ცალისწამებაში დაადანაშაულა და სასამართლოში სარჩელი აღძრა. პრესის ზღვარგადასული აქტიურობის გამო მომღერალი იძულებული იყო, საზოგადოებისთვის გაემხილა პირადი ცხოვრების ის ფაქტები, რომლის გახმაურებას ჯერჯერობით არ აპირებდა. ჟურნალისტებმა შენიშნეს, რომ ანა-მარია ძალზე გასუქდა და პრესაშიც ერთი ალიაქოთი ატყდა. ჟურნალ-გაზეთები მისი „ავადმყოფური მადისა“ და „მამასთან მსგავსების“ შესახებ ალაპარაკდნენ და ანა-მარიას ისეთივე სიკვდილი უწინასწარმეტყველეს, როგორითაც მამამისი მოკვდა! ატეხილი სკანდალის გამო, მომღერალი იძულებული იყო, სიმსუქნის ჭეშმარიტი მიზეზი გაემხილა და განეცხადებინა, რომ ორსულადაა! ლიზა-მარია პრესლის მომავალი ბავშვის მამა მისი მეოთხე ქმარი, პროდიუსერი მაიკლ ლოკვუდია. 40 წლის ლიზა-მარიას პირველი ქმრისგან, მუსიკოს დენი კიუსგან 2 შვილი ჰყავს.

შარლიზ ტერონი ახალ ფილმში — „ქალბატონ შურისძიებისადმი თანაგრძნობა“

შარლიზ ტერონი ფილმის „ქალბატონ შურისძიებისადმი თანაგრძნობა“ (2005 წ.) რიმეიკის პროდიუსირებასა და მასში მთავარი როლის თამაშს აპირებს. სამხრეთკორეელი რეჟისორის პაკ ჩხან-უკას ტრილერი „ქალბატონ შურისძიებისადმი თანაგრძნობა“, ამავე რეჟისორის შურისძიების თემაზე შექმნილი ტრილოგიის მესამე ნაწილია, რომელიც ფილმებისაგან „ბატონ შურისძიებისადმი თანაგრძნობა“ (2002 წ.) და „ოლდბოი“ (2003 წ.) შედგება. სურათი „ოლდბოი“ 2003 წელს ვენეციის კინოფესტივალზე „მცირე ოქროს ლომით“ დაჯილდოვდა. ტრილოგიის მესამე ნაწილი იმ გოგონას შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ცრუბრალდებით დააპატიმრეს. გოგონა ციხიდან 13 წლის შემდეგ გამოდის და შურისძიებისთვის ემზადება...

ჯონი დეპის ახალი პროექტი

მსახიობ ჯონი დეპს სალვადორ დალის როლის თამაში სურს და ისეთ ადამიანს ეძებს, რომელიც ფილმის სცენარის დაწერას შეძლებს. „მომავალი სურათის პროდიუსერი ვინმე პიტერ როული იქნება, რომლის უკანასკნელი პროექტი 2003 წელს გადაღებული ტრილერი Spy Sorge იყო. ამჟამად სალვადორ დალის ცხოვრებისადმი მიძღვნილი რამდენიმე ფილმის გადაღება ერთდროულად მიმდინარეობს. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ენდრიუ ნიკოლის ფილმში — „დალი და მე. სიურრეალისტური ამბავი“ დიდი მხატვრის როლს ალ პაჩინო ითამაშებს. სურათში „მშვიდობით, დალი“ მთავარ როლს თავად პიტერ ო'ტული განასახიერებს. სიურრეალიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი მხატვარი, მოქანდაკე და რეჟისორი — სალვადორ დალი 1989 წელს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჯონი დეპის კიდევ ერთი პროექტი, მაიკლ მენის ახალი ფილმი „სახელმწიფოს მტრები“ 1930-იან წლების ამერიკელ განგსტერებს ეძღვნება.



ენტონი მინგელას ახალი ფილმი — ტელესერიალის საპილოტო ეპიზოდი

ბრიტანელი რეჟისორის ენტონი მინგელას ორსაათიანი ფილმი „ქალთა დეტექტური სააგენტო №1“, რომელიც ალექსანდრ მაქკოლ სმიტის ამავე დასახელების რომანის ეკრანიზაციას წარმოადგენს, ამ ავტორის რომანების მიხედვით შექმნილი 13-სერიიანი ტელესერიალის საპილოტო ეპიზოდი იქნება. ტელეპროექტს სამი კომპანია — HBO, BBC და Weinstein Company — დააფინანსებს. სერიალის გადაღება 2008 წლის ზაფხულში დაიწყება. ენტონი მინგელამ კი მასზე მინდობილი ნაწილის გადაღება უკვე დაასრულა. ბოტსვანაში პირველი და ერთადერთი ქალთა დეტექტიური სააგენტოს დამაარსებელ მმა რამოტსვეს როლს მსახიობი ჯილ სკოტი ითამაშებს. მისი მდივნის გრეის მაკუტსის პერსონაჟს ანიკა ნონი როუზი განასახიერებს, მმა რამოტსვეს ერთგული თაყვანისმცემლის ბ-ნ მაკეტონის როლს კი ლუსიენ მსამატი შეასრულებს.

საჩუქარი საყვარელი მეუღლისთვის...

ინგა ჯაყელი

ბატონი დიმიტრი ახლა იმ ასაკშია, როცა წესით, სისხლი კარგა ხნის „დადუღებული“ უნდა ჰქონდეს და თვალი მოკლე კაბიდან „მომზირალი“ გრძელი ფეხებისკენ არ უნდა გაურბოდეს, მაგრამ თავიდანვე ამბობდა: მე მაშინ ჩამთვალეთ მკვდრად, თუ ქალისადმი ლტოლვა და ინტერესი გამიქრაო! — ჰოდა, მიცვალებულად რომ არ მიიჩნიონ, ქალებს დღემდე დასდევს.

სამი შვილის მამას და ხუთი შვილიშვილის ბაბუას, ცოლის გამოცვლა აზრადაც არ მოსვლია. ბოლოს და ბოლოს, ნინელი ჩინებული მზარეული და მრეცხავია. არც ხმისთვის აუწევია არასოდეს და კარგა ხანია, აღარც თავისი „ტემპერამენტით“ აწუხებს ქმარს, რომელიც სექსუალურ ენერგიას ყოველთვის გარეთ ტოვებს და ამიტომ, შინ ყოველთვის კარგ ხასიათზე მყოფი, ფისოს მსგავსად აკრუტუნებული ბრუნდება. დიმიტრი საყვარელს საყვარელზე იცვლის. საკმარისია, ქალს 30 წელი შეუსრულდეს, რომ უკვე მის მიტოვებაზე ფიქრობს: ცოლიც მეყოფა, სასჯელადო! ის არც ქმრიან ქალებს ეკარებოდა, არასდროს, რადგან სხვისი ზიარი არაფერი სურდა და არც იმას მალავდა, რომ აივნიდან გადმოხტომის ან კარადაში დამალვის არავითარი სურვილი არ ჰქონდა...

დიმიტრიმ 27 წლის მანანიკო ორი წლის წინ გაიცნო. ქალს მზე და მთვარე ამოსდიოდა თავის დიტუნაზე, რომელმაც ბინაც უყიდა და ძვირფასეულობაც. არც საჭმელ-სასმელს აკლებდა მამაზე უფროსი საყვარელი და არც — ჩასაცმელ-დასახურავს; ყოველ წელიწადს საუკეთესო აგარაკებზეც ასვენებდა და რად უნდოდა ქმარი?!

დაბადების დღეზე და სარვამარტოდ ისეთ ძვირფას სამკაულებს უძღვნიდა, გაყიდვა რომ დასჭირვებოდა, სიცოცხლის ბოლომდე ისე იცხოვრებდა, თითის განძრევაც არ დასჭირდებოდა...

დიტო არც ცოლს ტოვებს გულდაწყვეტილს, მით უმეტეს, რომ ნინელი იმის მეასედსაც არ სთხოვს, რასაც მანანიკო სთხოვდა და ხშირად, ფულს უფრო ართმევს ქმარს, რომლითაც ისევ ოჯახს რთავს და ალამაზებს.

წლევანდელ რვა მარტს რომ ჰკითხა: რა გირჩევნია, ფული გაჩუქო თუ რაიმე წინასწარ გაქვს შერჩეული და გიყიდოო?! — ნინელიმ მხრები აიჩეჩა:

— სიმართლე გითხრა, ყველაფერი ბევრი მაქვს და მოდი, ამჯერად შენ მოგანდობ არჩევანს. მაინტერესებს, რა საჩუქარს გამიკეთებ!

დიმიტრიმ ბევრი იფიქრა და ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, გაღიზიანებულმა „შურისძიება“ გადაწყვიტა ცოლზე: ნინელი კარგა ხანია, დაბამბულ „ფოხნებზე“ გადავიდა და საბოლოოდ დაუკარგა ქმარს მისი ქალად აღქმის უნარი. ამის თაობაზე ხშირად მოსვლიათ კამათი:

— ჩემს დასანახავად მაინც ნუ იცვამ მაგ დასაწვავებს. ასე მგონია, ცხონებული დედაშენი მიწვება ლოგინში! — გვერდზე იფურთხებოდა დიმიტრი.

— შენ მიეწიე დედაჩემს! — იბუტტებოდა ნინელი და ქმრის ჯიბრზე, ოთახში საძულველი „ფოხნით“ დატანტალებდა...

„კიდევ ვინმე თუ გამამტყუნებს, ნეტავ, საყვარელი რომ მყავს?!“ — ამას უკვე გულში ფიქრობდა დიმიტრი.

მოკლედ, ცოლს ათი ცალი „ფოხანი“ უყიდა და ლამაზად შეაფუთვინა გამყიდველს.

აი, მანანიკოს საჩუქარი კი მართლაც, მეფური იყო (ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი, ძველებური ოქროსგან დამზადებული კოლიე). ყელსაბამი ჯერ ლამაზ ყუთში, შემდეგ კი — სასაჩუქრე ქაღალდში შეახვევინა გამყიდველს და ის იყო, პატრონისთვის უნდა მიერთმია, რომ უფროსმა დაურეკა:

— კომისია დაგვეცა თავს და ამათ რომ ფხიზელი თვალით იანგარიშონ ჩვენი შესავალ-გასავალი, სიცოცხლის ბოლომდე ციხის კედლების ხეხვა მოგვიწევს. სასწრაფოდ რესტორანში გავარდი და სუფრა შეუკვეთე!..

სხვა რა გზა ჰქონდა და საჩუქრების ადრესატებამდე მიტანა თავის მძღოლს დაავალა. შაქრომ დიმიტრის სახლის გზაც კარგად იცოდა და მანანიკოს ფანჯრების ქვეშაც ბევრჯერ უყურყუტია, უფროსის მოლოდინში...

დახედა ყუთებს და ახლაღა გაახსენდა, რომ არ ახსოვდა, რომელი საჩუქრის რომელ ქალთან მიტანა დაავალა უფროსმა, დარეკვისაც შერცხვა — შტერი არ ვეგონოო! — და უფრო დიდი ყუთი შეუტანა საყვარელს (რადგან იფიქრა: აბა, ცოლს ხომ არ დააყენებდა წინო?!), მომცრო კი ნინელის გადასცა, ყვავილების თაიგულთან ერთად...

გამთენიისას დაბრუნდა დაქანცული დიმიტრი შინ და გაუკვირდა, ნინელი რომ შეეგება შესასვლელში, კისერზე ჩამოეკიდა და ისიც შეამჩნია კაცმა, რომ ქალს „ფოხანიც“ აღარ ეცვა, გამჭვირვალე საღამურის ქვეშ. ქალმა მიუალერსა:

— ჩემო სიცოცხლევ, არ ვიცოდი, ასე თუ გიყვარდი!

დიმიტრიმ მის ყელზე მანანიკოსთვის განკუთვნილი ყელსაბამი ახლაღა შეამჩნია და ლამის ტვინში სისხლი ჩაექცა იმის წარმოდგენაზე, თუ როგორი რეაქცია ექნებოდა, მანანიკოს, ჭრელ „ფოხნებს“ რომ მიართმევდა შაქრო...

დილითვე გაიქცა საყვარელთან ბოდიშის მოსახდელად, მაგრამ სიტყვის თქმაც კი ვერ მოასწრო, რომ კარის გაღებისთანავე, გამძვინვარებულმა ქალმა ერთ-ერთი საცვალი თავზე ჩამოაცვა:

— ეს ვის აკადრე, შე გამოტვინებულო ბებერო, შენს ხვევნა-ალერსს რომ ვითმენ, ისიც მეყოფა, ამ ხუმრობას კი არ შეგარჩენ!

უსიტყვოდ გამობრუნდა უკან გულმოკლული დიმიტრი. ისეთ ხასიათზე იყო, ლამის მდინარეში დააპირა გადახტომა დასახრჩობად, მაგრამ მერე ღვინოში „ჩაიხრჩო“, „უმადური ქალების“ ჯიბრზე და სწორედ იქ დაადგა თვალი რუს ოფიციანტს, რომელიც ჰა და ჰა, 25 წლის თუ იქნებოდა...

ნიუ-იორკის ექსგუბერნატორმა სკანდალში ჰილარი კლინტონიც ჩაითრია

ამ ცოტა ხნის წინ, ნიუ-იორკის გუბერნატორმა ელიოტ სპიცერმა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა და ისიც სინანულით დასძინა, — ამომრჩეველთა იმედები ვერ გავამართლეო. აქამდე, საზოგადოებრივი მორალის თავდაუზოგავი მებრძოლის რეპუტაციის მქონე სპიცერს პოსტის სამარცხვინოდ დატოვება მას შემდეგ მოუხდა, რაც მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ მას არაერთხელ უსარგებლია ელიტური საროსკიპოს — Emperors Club VIP — მეძავების მომსახურებით.

ელიოტ სპიცერი ოჯახთან ერთად

„ვერ დავუშვებ, რომ ჩემმა პირადმა შეცდომებმა საქმიანობაში შემიშალოს ხელი. თუმცა იმაშიც მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ადამიანის უდიდესი ძალა არა მის დაუცემლობაში, არამედ ყოველი დაცემის შემდეგ ადგომის უნარშია“, — სევდიანად განაცხადა სპიცერმა ნიუ-იორკის გუბერნატორის პოსტიდან მისი გადადგომისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე. მაგრამ ექსგუბერნატორის ოპტიმიზმს ცოტა ვინმე თუ იზიარებს. მეტიც, საქმეში ღრმად ჩახედულთ მიაჩნიათ, რომ 48 წლის სპიცერი, როგორც სახელმწიფო მოხელე, ასეთი დაცემის შემდეგ ფეხზე დადგომას ძნელადღა შეძლებს...

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ შტატის რამდენიმე ბანკმა ზემოთ აღნიშნული საროსკიპოს ანგარიშებზე საეჭვო ტრანსაქციების თაობაზე საგადასახადო უწყება გააფრთხილა. ამ უკანასკნელმა კი დაიწყო ანტიკორუფციული გამოძიება, რომლის დროსაც, გუბერნატორთან დაკავშირებული სამარცხვინო ფაქტებიც ამოტივტივდა: კერძოდ, გაირკვა, რომ რამდენიმე წლის მანძილზე გაწეულ ინტიმურ მომსახურებაზე ელიოტ სპიცერმა საერთო ჯამში, 80 ათასამდე დოლარი გაიღო.

შექმნილ სიტუაციას განსაკუთრებული პიკანტურობა იმანაც შესძინა, რომ შტატის გენერალურ პროკურორად მუშაობის დროს სპიცერმა ფინანსურ დარღვევებთან და განსაკუთრებულად, პროსტუტიციასთან თავდაუზოგავი ბრძოლით გაითქვა სახელი და ორი საროსკიპოს საქმიანობის აღკვეთაში უშუალო მონაწილეობაც კი მიიღო. სწორედ ამ დამსახურებისა და კიდევ, დაპირებისთვის — რომ ნიუ-იორკში კორუფციას ამოძირკვავდა, — 2006 წლის ნოემბერში, შტატის გუბერნატორის პოსტზე ელიოტ სპიცერის მოსვლას ამომრჩეველთა 70%-მა დაუჭირა მხარი. ახლა კი, იმ დროიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ გამართული გამოკითხვის შედეგად, ნიუ-იორკის მოსახლეობის იმავე რაოდენობამ ასევე მტკიცედ მოითხოვა, რომ გუბერნატორს პოსტი რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინა.

იმ ადამიანის გადადგომა, რომელსაც, ფინანსური ოპერაციების სინდისიერებისადმი მომეტებული ყურადღების გამო, „უოლტ-სტრიტის შერიფი“ შეარქვეს, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟისთვის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. იქ ამ სიახლეს აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

ამჟამინდელი შემთხვევა ნიუ-იორკისთვის უნიკალურად, მრავალი მიზეზის გამო ჩაითვალა. მთავარი კი, მათ შორის მაინც ისაა, რომ ელიოტ სპიცერი თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე პირველი გუბრნატორია, რომელიც საკუთარი ნების წინააღმდეგ, იძულებით გადადგა. და კიდევ ის, რომ მის ადგილს, შტატის ისტორიაში პირველად, შავკანიანი პოლიტიკოსი, თანაც — პრაქტიკულად, უსინათლო დევიდ პატერსონი (სპიცერის მოადგილე) დაიკავებს.

ელიოტ სპიცერის საძრახისი საქციელის გარშემო ატეხილი სკანდალი შტატის სენატორ ჰილარი კლინტონის წინასაარჩევნო კამპანიისთვის სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხესაც შეიცავს. საქმე ისაა, რომ ნიუ-იორკის გუბერნატორი ერთ-ერთი იმ დემოკრატთაგანი იყო, ვინც საპრეზიდენტო ნომინაციაზე ქალბატონი კლინტონის განაცხადს აქტიურად დაუჭირა მხარი. ძნელი სათქმელია, შემთხვევით ხდებოდა ეს თუ სრულიად გამიზნულად, მაგრამ ბოლო ხანებში პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა ფოტოები, რომლებზეც კლინტონი და სპიცერი ერთად იყვნენ გამოსახულნი. თავად ჰილარი კლინტონი სპიცერთან დაკავშირებულ სკანდალს ყველანაირად გაემიჯნა და მხოლოდ ზოგადი განცხადებებით (მაგალითად, — ბატონ სპიცერსა და მის ოჯახს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებო) შემოიფარგლა. მიუხედავად ამისა, ყვითელმა პრესამ მომენტი ხელიდან მაინც არ გაუშვა და სკანდალში გახვეული გუბერნატორის ოჯახში ამჟამად შექმნილი სიტუაცია, რამდენიმე წლის წინ თავად ჰილარი კლინტონის ოჯახთან დაკავშირებულ, პიკანტურ მოვლენას შეადარა. ალბათ გახსოვთ — რამდენიმე წლის წინ, ამერიკის მაშინდელმა პირველმა ლედიმ მეუღლეს — ამერიკის მაშინდელ პრეზიდენტ ბილ კლინტონს თეთრი სახლის სტაჟიორ მონიკა ლევინსკისთან სასიყვარულო ინტრიგა დიდსულოვნად აპატია... აქვე დავძენთ, რომ ზუსტად ჰილარი კლინტონის მსგავსად მოიქცა ელიოტ სპიცერის მეუღლე სილდაც, რომელიც ყველა ბოლო პრესკონფერენციის დროს, მოღალატე ქმარს გვერდში ერთგულად ედგა.

P.S. კრისტენის ნამდვილი გვარ-სახელია ეშლი დიუპრე. როგორც გაზეთი The New York Times იუწყება, ის ნიუ-იორკში 17 წლის ასაკში, მომღერლის კარიერის გასაკეთებლად ჩავიდა. მაგრამ მეგა-პოლისში მისმა კარიერამ წინ ვერაფრით წაიწია და დიუპრემაც ღამის კლუბებში სიმღერა უფრო შემოსავლიან ბიზნესზე — Emperors Club VIP-ის ესკორტის სამსახურზე გაცვალა. დიუპრეს თქმით, ის ნამდვილად არ მიესალმება იმ საეჭვო დიდებას, რომელიც მას ნიუ-იორკის აწ უკვე გადამდგარ გუბერნატორ სპიცერთან დაკავშირებულმა სკანდალმა მოუტანა და რომლის გამოც, არაერთი უძილო ღამეც გაატარა. თუმცა, როგორც გაზეთი აღნიშნავს, ეშლი ჟურნალისტების შეკითხვებს ხალისით პასუხობდა და სახეზე ხელოვნურად აღბეჭდილი სასოწარკვეთილების შენარჩუნებას დიდი გაჭირვებით თუ ახერხებდა...

ამჟამად, ეშლი დიუპრე მონწმედაა გამოძახებული იმ 4 ადამიანის წინააღმდეგ აღძრულ, სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებმაც Emperors Club VIP-ის ესკორტის სამსახურის საფარქვეშ, სუტენიორული ქსელი გამართეს. თავად მეძავს, რომელიც ნიუ-იორკის გუბერნატორთან კავშირის კომენტირებისგან თავს იკავებს, არ გაასამართლებენ.

ამერიკელმა ჟურნალისტებმა მიაკვლიეს დიუპრეს დედას — კეროლაინ კაპალბოს, რომელმაც აღიარა, რომ იცოდა, თუ სად და რით იყო დაკავებული მისი ქალიშვილი. ქალის თქმით, ეშლი ეჭვობდა, რომ მისი კლიენტი (სპიცერი) მაღალი რანგის ჩინოვნიკი იყო, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ მთლად ნიუ-იორკის გუბერნატორთან ჰქონდა კავშირი... ■

გუბერნატორის კარიერის მთავარი დამღუპველი — ელიტური მეძავი მეგასახელად კრისტენი

ლიბერიის ყოფილი პრეზიდენტი კანიბალიზმში ამხილეს

ლიბერიის ყოფილ პრეზიდენტ ჩარლზ ტეილორს ჰაგის ტრიბუნალმა, სხვა მრავალთან ერთად, კიდევ ერთი ახალი ბრალდება — კანიბალიზმი წაუყენა. ტეილორის ერთ-ერთი ყოფილი თანამებრძოლის აღიარებით, პრეზიდენტი თავის ქვეშევრდომებს მოკლული მტრების ხორცის ჭამას აიძულებდა.

საქმის გარემოება

ტეილორის ბრალდება სულ 11 პუნქტს, მათ შორის — მკვლელობებს, გაუპატიურებებსა და სამხედრო სამსახურში ბავშვების გაწვევას ითვლის. ამჟამად პროკურორები იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომ ჩარლზ ტეილორი გასული საუკუნის 90-იან წლებში, მეზობელი სიერა-ლეონეს გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის (RUF) ამბოხებულებს ალმასების სანაცვლოდ, იარაღს აწვდიდა. ეს გარიგება კი იმიტომ შედგა, რომ RUF-ის ამბოხებულებს, რომლებიც სიერა-ლეონეს უმდიდრეს, ალმასის საბადოებს აკონტროლებდნენ, საერთაშორისო სანქციების გამო, ლეგალური ვაჭრობა არ შეეძლოთ. ბრალდების მხარე დარწმუნებულია, რომ ჩარლზ ტეილორი ნაწილობრივ, იმ 11-წლიანი ომისთვისაცაა პასუხისმგებელი, რომელმაც 50 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 2006 წელს, გადადგომიდან 6 წლის შემდეგ, ტეილორი RUF-ის მიერ ჩადენილ დანაშაულებში თანამონაწილეობისთვის დააპატიმრეს. ჩარლზ ტეილორი ის პირველი აფრიკელი პრეზიდენტი გახდა, რომლითაც ჰაგის ტრიბუნალი დაინტერესდა.

ჩარლზ ტეილორი

ჯალათის აღიარება

ლიბერიის ყოფილი პრეზიდენტისთვის ახალი ბრალდებების წაყენება მის მიერ შექმნილი დამხვრეტთა ბრიგადის შეფის — ჯოზეფ მარზახის ჩვენებების წყალობით გახდა შესაძლებელი. მარზახი მხოლოდ მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც პირადი და ოჯახის წევრების უსაფრთხოების გარანტიები მისცეს. სიერა-ლეონესთან ტეილორის კავშირებზე ჩვენების მიცემისას, მარზახმა რამდენჯერმე, კანიბალიზმის შემთხვევებიც ახსენა. თან, იმასაც არაერთხელ და ჯიუტად გაუსვა ხაზი, რომ ექსპრეზიდენტი თავის ქვეშევრდომებს და მათ შორის, პირადად მასაც, სიკვდილით დასჯის მუქარით, ადამიანის ხორცის ჭამას აიძულებდა.

მარზახს თუ ვერწმუნებით, კანიბალიზმის ფაქტებს სიერა-ლეონეში კი არა, თვით ლიბერიაში გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს ჰქონდა ადგილი. იმ დროს ტეილორი ჯერ კიდევ არ იყო პრეზიდენტი და მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძოდა. რაოდენ უჩვეულოც არ უნდა იყოს, ამ ამბის დეტალების უმეტესობა მარზახმა, ტეილორის დამცველის კითხვებზე პასუხის გაცემისას ახსენა. ტეილორის ადვოკატი, რომელიც მარზახის სიცრუეში მხილებას ცდილობდა, დაწვრილებით აყოლებდა მას, თუ ვის და როგორ იყენებდნენ საკვებად, ექსპრეზიდენტის ჯარისკაცები. დამხვრეტთა ბრიგადის შეფიც სრულიად აუღელვებლად ჰყვებოდა, რომ ადამიანებს თავებს კვეთდენ (რომლებსაც შემდეგ ყრიდდნენ), ანაწევრებდნენ, ხორცს რეცხავდნენ და დიდ ქვაბებში, მარილითა და პილპილით შეზავებულს ხარშავდნენ. ამ საშინელებების მოყოლისას, მოწმეს არც იმის აღნიშვნა დავიწყნია, რომ ეს ყველაფერი ჩარლზ ტეილორს „ყველაზე უკეთ“ მოეხსენებოდა. მისი თქმით, ტეილორის ქვეშევრდომებს ძირითადად, კრანის ტომის (რომელსაც ტეილორის მიერ ჩამოგდებული პრეზიდენტი შამუელ დოუც მიეკუთვნებოდა) წარმომადგენელთა ჭამა უწევდათ. ჯარისკაცები არც დასავლეთაფრიკული ეკონომიკური თანამეგობრობის აფრიკელი და არც გაეროს თეთრკანიანი მშვიდობისმყოფლების შეჭმას თაკილობდნენ. ამასთან დაკავშირებით, მარზახს არც ტეილორის სიტყვების — „ესენი (მშვიდობისმყოფლები) ღორის ხორცს შეგვიცვლიან“ — მოხმობა დავიწყნია. ხოლო კითხვაზე — სულ რამდენი აფრიკელი მშვიდობისმყოფელი იქნა შეჭმულიო? — დამხვრეტთა შეფმა მშვიდად უპასუხა: საჭმელად, საკმაოდ ცოტა (მან ზუსტი ციფრიც კი — 68 დაასახელა) გამოვიყენეთ, აი, მოკვლით კი, ბევრად მეტი მოვკალითო. ხოლო როცა იმის დაზუსტებაც მოსთხოვეს, თუ რომელი ადამიანი უფრო გემრიელი იყო, მარზახმა კვლავაც აუღელვებლად განაცხადა: „მე განსხვავებას ვერ ვხედავ“...

მარზახის აზრით, ტეილორი თავის ქვეშევრდომებს ადამიანის ხორცის ჭამას მტრების დასაშინებლად აიძულებდა. „შიდა მოხმარებისთვის“ კი, კანიბალიზმს იმ თეზისით ხსნიდა, რომლის მიხედვითაც, მტრები ადამიანებად არ ითვლებიან.

მხეცობების მთელ ამ საშინელ ჩამონათვალში ერთგვარად კიდეც ჩაიკარგა მარზახის ჩვენების ის ნაწილი, სადაც ყოფილი ჯალათი ჰყვება, თუ როგორ ჩაჰქონდა ტეილორის ვილიდან წამოღებული იარაღი სიერა-ლეონეს ამბოხებულთათვის და უკან არალეგალურად მოპოვებული ალმასებით დატვირთული ბრუნდებოდა.

მისაბაძი მაგალითები

ჩარლზ ტეილორის გარდა, ადამიანების ჭამა კიდევ ორ აფრიკელ ლიდერს „სჩვეოდა“. მათგან პირველი, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური და სისხლისმსმელი დიქტატორი, უგანდის პრეზიდენტი იდი ამინი იყო. ადამიანის ხორცის ჭამას ის თავადაც არ უარყოფდა და თან, დასძენდა: „ის ძალიან მლაშეა, თვით ლეოპარდის ხორცზე მლაშეც კი... მაგრამ როცა ომში შესაჭმელი აღარაფერია, რომელიმე შენი ამხანაგი კი დაჭრილია, თავის გადასარჩენად, მისი მოკვლა და შეჭმა შეგიძლია“...

ამინის მმართველობის ისტორია ის უეშვიათესი შემთხვევაცაა, როცა კაციჭამიობასთან დაკავშირებული მტკიცებულებებიც კი ხუნდება, სხვა ფართომასშტაბიან დანაშაულებთან შედარებით, რომლებიც ამ დიქტატორმა კაცობრიობის წინაშე ჩაიდინა. მისი 8-წლიანი მმართველობის მანძილზე, უგანდაში 500 ათასი ადამიანი მოკლეს. მიუხედავად ამისა, ჰაგის ტრიბუნალს ამ კაციჭამიამდე ხელი მაინც არ მიუწვდა, რადგან მანამადე ანუ 2003 წელს, 78 წლის ამინი, საუდის არაბეთში, ერთ-ერთი საავადმყოფოს სარეცელზე ბუნებრივი სიკვდილით მიიცვალა.

კიდევ ერთი სახელგანთქმული კაციჭამია — ჟან ბედელ ბოკასა თავიდან, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო. შემდეგ — იმპერატორად, რესპუბლიკა კი — იმპერიად გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ თავის იდეალად, ნაპოლეონს მიიჩნევდა და ჯერ კიდევ „გაიმპერატორებამდე“ და მუქი კანის მიუხედავად, წმინდა სისხლის ფრანგადაც აღიარეს, კანიბალიზმისადმი მას მაინც, სრულიად არაევროპული მიდრეკილება ჰქონდა.

ბოკასას ჩამოგდების შემდეგ მის მაცივრებში ადამიანთა სხეულების ნაწილები აღმოაჩინეს. მისმა პირადმა მზარეულმა კი აღიარა, რომ „იმპერატორს“ სადილებს ადამიანის ხორცისგან უმზადებდა. ეს ვაი-მზარეული არც იმის მტკიცებით დაღლილა, რომ ამას მხოლოდ სიკვდილით დასჯის შიშით სჩადიოდა. ცნობილია, რომ ერთხელ ბოკასამ საკუთარი მინისტრი მოკლა, მისი ხორცი კი, კაბინეტის დანარჩენ წევრებს აჭამა და მხოლოდ საშინელი ტრაპეზის დასასრულსღა გაუმხილა, თუ რით გაუმასპინძლდა.

უცნაურია, მაგრამ პროცესზე ბოკასამ მოსამართლეების იმაში დარწმუნება შეძლო, რომ ადამიანებს არ ჭამდა, ხოლო მათი სხეულების ნაწილებს მაცივრებში, მხოლოდ ძველი აფრიკული რწმენიდან გამომდინარე — ანუ იღბლიანობისთვის ინახავდა. მაგრამ სასამართლოს მიერ წაყენებული და დადასტურებული დანარჩენი ბრალდებებიც (ადამიანთა სიკვდილით დასჯა, მკვლელობა, სამშობლოს ღალატი) მაინც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ 1987 წელს ბოკასასთვის სიკვდილი მიესაჯათ. თუმცა, მომდევნო წელს ყოფილი დიქტატორი მაინც შეიწყალეს და მხოლოდ 9 წლის შემდეგ განუტევა სული. საერთაშორისო სამართალმა კი ჟან ბედელ ბოკასა, იდი ამინივით „უყურადღებოდ“ დატოვა... ■

მხედართმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-11

თეირანის კონფერენციიდან დაბრუნებულმა სტალინმა თქვა: *„რუზველტი მტკიცედ დაგვპირდა, რომ 1944 წელს დაიწყებს ფართომასშტაბიან ოპერაციებს საფრანგეთში. ვფიქრობ, ის სიტყვას შეასრულებს, — და ხანმოკლე ფიქრის შემდეგ განაგრძო: — ხოლო თუ არ შეასრულებს, ჩვენ საკუთარი ძალებიც გვეყოფა საიმისოდ, რომ ბოლომდე მივიყვანოთ ჰიტლერული გერმანიის განადგურების საქმე“.*

უმაღლესმა მთავარსარდალმა 1944 წლის კამპანიის ახალი ფორმით ჩატარების საკითხი წამოაყენა. სტალინის კაბინეტში შეკრებილთა ვიწრო წრეში განიხილეს, თუ სად უნდა მომხდარიყო იმ ძალებისა და საშუალებების თავმოყრა, რომლებსაც მოწინააღმდეგის ძირითადი ძალებისთვის მორიგი დარტყმის მიყენება და ფაშისტური ბლოკის საბოლოო განადგურება უნდა დაჰკისრებოდათ. ასეთი რაიონი მთელ სტრატეგიულ ფრონტზე სულ ათი აღმოჩნდა. წიგნში „მოგონებები და განსჯანი“ მარშალმა ჟუკოვმა დაასახელა ის ათი გეოგრაფიული პუნქტი, სადაც მტერს ათი სტალინური დარტყმა მიაყენეს: ლენინგრადთან და ნოვგოროდთან, უკრაინის მარჯვენა სანაპიროზე, ოდესისა და ყირიმის რაიონში, კარელიის ყელსა და ლადოგისა და ონეგის ტბებზე, ბელორუსიაში, ლვოვისა და კიშინიოვის რაიონებში — იასზე, ბალტიისპირეთსა და უნგრეთში, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის უკიდურესი ჩრდილოეთის უბანზე. ამ ოპერაციებში მონაწილეობდნენ იმ დროს არსებული 12-ვე ფრონტის ჯარები, ჩრდილოეთის, ბალტიისა და შავი ზღვის ფლოტები, ასევე მთელი რიგი სამდინარო და ტბის ფლოტილიები. მათი მოქმედების შედეგად, გერმანელ ფაშისტთა ჯარების ყველაზე ბრძოლისუნარიანი ძალები განადგურდა.

ოკუპანტებისგან მთლიანად გაათავისუფლეს: ბელორუსია და უკრაინა, ლიტვის დიდი ნაწილი და ლატვიის მთელი რიგი რაიონები, პოლონეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და სხვა. 1944 წლის დიდი იერიშის დროს ბელადი ხაზგასმით აღნიშნავდა: *„მაგრამ ჩვენი ამოცანები არ შეიძლება შემოიფარგლოს ჩვენი სამშობლოს საზღვრებს მიღმა მტრის ჯარების განდევნით. გერმანიის ჯარები ახლა გვაგონებენ დაჭრილ მხეცს, რომელიც იძულებულია, თავისი ბუნაგის — გერმანიის საზღვრებთან მიცოცდეს, რათა ჭრილობები მოიშუშოს. მაგრამ დაჭრილი მხეცი, რომელმაც საკუთარ ბუნაგამდე მიაღწია, კვლავაც საშიშია. ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მოკავშირე ქვეყნები დაპყრობის საფრთხისგან რომ ვიხსნათ, საჭიროა, დაჭრილ მხეცს კვალდაკვალ ვდიოთ და მისავე ბუნაგში გავაფრთხობინოთ სული. მტრის დევნისას გერმანელთა ბატონობისგან უნდა გავათავისუფლოთ ჩვენი ძმები — პოლონელები, ჩეხოსლოვაკიელები და ჩვენი მოკავშირე სხვა დასავლეთევროპელი ხალხები, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის ტყვეობაში იმყოფებიან“.*

1944 წლის ფართომასშტაბიანი ოპერაციების უმაღლეს შტაბში დაგეგმვისას გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმზე, ამ ოპერაციების გეგმის შემუშავებისას სტალინის გადამწყვეტ როლზე თავის მოგონებებში მარშალი როკოსოვსკი მოგვითხრობს. ბელორუსიის ოპერაციის გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით ის წერს: *„იერიშის საბოლოო გეგმა შტაბში 22 და 23 მაისს მუშავდებოდა. ჩვენი წინადადებები — ფრონტის მარცხენა ფლანგის ჯარების ლუბლინის მიმართულებაზე მოქმედების შესახებ მოწონებულ იქნა, მაგრამ მარჯვენა ფლანგზე ორი დარტყმის მიყენების განზრახვა მკაცრად გააკრიტიკეს. უმაღლესი მთავარსარდალი და მისი მოადგილეები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მტრისთვის მიგვყენებინა ერთი მთავარი დარტყმა დნეპრზე არსებული პლაცდარმიდან (როგაჩოვის რაიონი), რომელიც მე-3 არმიას ჰქონდა დაკავებული. ორჯერ შემომთავაზეს, მეზობელ ოთახში გავსულიყავი, რათა შტაბის წინადადება უკეთ გამეანალიზებინა. ყოველი ასეთი „გაანალიზების“ შემდეგ მიწევდა, ახალი ძალით დამეცვა ჩემი გადაწყვეტილება. როცა დარწმუნდა, რომ ურყევი იყო ჩემი გადაწყვეტილება, სტალინმა ოპერაციის ის გეგმა დაამტკიცა, რომელიც ჩვენ წარვუდგინეთ. „ფრონტის სარდლის სიმტკიცე, — თქვა მან, — ადასტურებს, რომ იერიშის ორგანიზაცია საგულდაგულოდაა მოფიქრებული. ეს წარმატების საიმედო გარანტიაა“.*

აღნიშნული ეპიზოდი ძალზე მრავლისმეტყველია. საქმე ის გახლავთ, რომ როკოსოვსკი არა უბრალოდ, საკუთარ შეხედულებას იცავდა; იერიშის გეგმის შემუშავებისას ის ადგილობრივი ლანდშაფტის თავისებურებებსაც ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, უნდა ვთქვათ: სტალინმა დაგვანახვა, რომ მას დამაჯერებელი არგუმენტაციის გაზიარების უნარიც შესწევდა და სივრცობრივი წარმოსახვის საუცხოო ნიჭიც ჰქონდა.

„სივრცის შეგრძნების“ უნარს, მხედართმთავრისთვის ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა კლაუზევიცი. ის წერდა: *„მხედართმთავარს უნდა შეეძლოს წარმოიდგინოს გეოგრაფიული თავისებურებანი არა მარტო დიდი არეალის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, გონების თვალით დაინახოს გზები, მდინარეები, მთები; ამასთანავე, ის ცალკეული უბნების დეტალური შეფასების ნიჭითაც უნდა გამოირჩეოდეს. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიულ ცოდნას შესაბამისი ლიტერატურიდან იღებს, სხარტი და ყოვლისმომცველი თვალთახედვის ნიჭი მხედართმთავრის თითოეულ გადაწყვეტილებას, სიმტკიცესა და სილაღეს მატებს, ამასთანავე, საკუთარი ძალების რწმენასა და გარშემო მყოფებისგან სრულ დამოუკიდებლობას ანიჭებს“.*

1944 წლის კამპანიისა და ბელორუსიის ოპერაციის დაგეგმვაში სტალინის როლის, მისი მუშაობის სტილის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მარშალ ვასილევსკის მოგონებები. აი, ერთი ფრაგმენტი მისი წიგნიდან: *„მარტისა და აპრილის განმავლობაში, საზაფხულო კამპანიის გეგმა, უმაღლეს მთავარსარდალთან არაერთხელ განვიხილეთ და დავაზუსტეთ. ჟუკოვი და მე არაერთგზის გამოგვიძახეს მოსკოვში; უმაღლესი მთავარსარდალი ტელეფონითაც გველაპარაკებოდა ცალკეულ დეტალებზე. ამ საუბრების დროს, ბელადს ხშირად უთქვამს, რომ სხვადასხვა საკითხზე, ფრონტების სარდლებთან, განსაკუთრებით, როკოსოვსკისთან უმსჯელია... ერთხელ, აპრილის დასაწყისში მან მაცნობა, რომ ლენინგრადის ფრონტის სარდლის, გოვოროვის წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ ფრონტის ორად გაყოფას აპირებდა... იმავე საუბრის დროს, ბელადმა კიდევ ერთი — დასავლეთის ფრონტის გაყოფის საკითხიც დასვა... 1944 წლის პირველ ნახევარში, გენერალურმა შტაბმა, უმაღლესი მთავარსარდლის ნებართვით, ფრონტების სარდლებს დაავალა, გაეზიარებინათ მისთვის საკუთარი შეხედულებები საზაფხულო კამპანიისა და ბელორუსიის ოპერაციის შესახებ.... 20 მაისს, გენშტაბის მიერ შემუშავებული გეგმა ბელადს წარვუდგინეთ. ცოტა ხანში ის, ზოგიერთი ფრონტის სარდლებისა და სამხედრო საბჭოების წევრების მონაწილე-*

ობით, უმაღლეს შტაბში განვიხილეთ. ჟუკოვთან და ანტონოვთან ერთად, იმ დღეებში არაერთხელ შევხვედრივარ სტალინს. ყველა ამ შეხვედრის დროს, ისევ და ისევ ვუბრუნდებოდით ბელორუსიის ოპერაციის დეტალებს, რომელსაც ბოლოს, „ბაგრატიონის“ სახელი მიენიჭა... 30 მაისს ოპერაცია „ბაგრატიონი“ საბოლოოდ დავამტკიცეთ. ბელადმა წამოაყენა წინადადება, რომ ჟუკოვი და მე ბელორუსიაში გავმგზავრებულიყავით და გვკითხა — კონკრეტულად, რომელ ფრონტებზე გვსურდა წასვლა?.. იმავე ღამეს, სტალინმა, ჟუკოვმა, მე და ანტონოვმა შევიმუშავეთ, ბელორუსიულ მიმართულებაზე მოქმედი ფრონტებისთვის განკუთვნილი, კონკრეტული დირექტივები, ბრძანება — დაუყოვნებლივ დაეწყოთ ოპერაციისთვის მზადება და ამ ოპერაციის პირველი ეტაპის მიზნებიც დავუსახეთ“.

როგორც შემდგომში ვასილევსკი ამ წიგნის ავტორებს გვიყვებოდა, ერთ-ერთი განხილვის დროს ბელადმა იკითხა, — ხომ არ აპირებთ გერმანელებისთვის იმგვარი დარტყმების მიყენებას, როგორებიც ადრე მიგიყენებიათო? — და დასძინა: — საჭიროა, ამ ოპერაციის, მათთვის სრულიად მოულოდნელი ხერხებით წარმართვა, მაშინ წარმატება გარანტირებული გვექნებაო... წლების შემდეგ, ჩვენთან საუბრისას, ვასილევსკიმ დასძინა: ის, რომ აღნიშნული ოპერაცია სრულიად განუმეორებელი ხერხებით წარვმართეთ, მთლიანად ბელადის დამსახურება იყოო.

სტალინი საერთოდ, შაბლონის მტერი გახლდათ. ის ყოველთვის, მიესალმებოდა სარდლების ინიციატივას, როდესაც ისინი ამა თუ იმ კამპანიას ან ოპერაციას გეგმავდნენ. ამასთანავე, მკაცრად მოითხოვდა, რომ ფრონტის ინტერესები საერთო სტრატეგიული ინტერესებისთვის დაექვემდებარებინათ. ამ პრინციპის დარღვევის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ერეოდა მათ მოქმედებაში და მდგომარეობის გამოსასწორებლად, საჭირო ზომებს იღებდა. ჯარების საერთო მართვა სტალინს არასდროს გაუშვია ხელიდან.

როცა ბელორუსიის ოპერაციის წარმატებული ხასიათი გამოიკვეთა, ბელადმა დასვა საკითხი — ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი, ეს ოპერაცია, მთელ ფრონტზე გადამწყვეტ შეტევაში გადაზრდილიყო? 1944 წლის 8 ივლისს, სტალინის აგარაკზე მიმდინარე თათბირზე, პოლიტბიუროს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის და უმაღლესი შტაბის წევრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვისა და სხვა მხარეების გათავისუფლების შედეგად, წითელი არმია საფუძვლიანად შეივსებოდა პარტიზანული ნაწილებისა და აგრეთვე, ამ რეგიონების მოსახლეობის ნაწილის შემომატების წყალობით — მაშინ, როდესაც გერმანელთა არმია უკვე ძალაგამოცლილი იქნებოდა და ვერ მიიღებდა ცოცხალი ძალისა და მატერიალური რესურსების შევსებას. გარდა ამისა, მეორე ფრონტის გახსნა, ბოლოს და ბოლოს, აიძულებდა გერმანიას, გარკვეული ძალები დასავლეთისკენ მიემართა.

გაჩნდა კითხვა — მაშ, რისი იმედი უნდა ჰქონოდა გერმანიის ხელმძღვანელობას? *„ამ კითხვაზე, — წერდა შემდგომში, მარშალი ჟუკოვი, — უმაღლესმა მთავარსარდალმა ასე უპასუხა:*

— იმედს იმაზე ამყარებს, რაზეც აზარტული მოთამაშე, როცა უკანასკნელ მონეტას დებს ფსონად: ჰიტლერელები მთელ იმედს ინგლისელებსა და ამერიკელებზე ამყარებდნენ. საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისას, ჰიტლერი დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის იმპერიალისტურ წრეებს საკუთარ თანამოაზრეებად მიიჩნევდა. სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლოდ: მათ ყველაფერი იღონეს, რათა ვერმახტს დარტყმა მიეყენებინა საბჭოთა კავშირისთვის...

— ჰიტლერი ალბათ შეეცდება, რადაც უნდა დაუჯდეს, ამერიკელებთან და ინგლისელებთან სეპარატისტულ მოლაპარაკებას მიაღწიოს, — თქვა მოლოტოვმა.

— მართალია, — დაუდასტურა სტალინმა, — მაგრამ რუზველტი და ჩერჩილი ჰიტლერთან გარიგებაზე არ წავლენ. გერმანიაში საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ისინი ჰიტლერელებთან კონტაქტის დაუმყარებლად ეცდებიან; ვფიქრობ, გერმანიაში მათთვის მორჩილი მთავრობის შექმნას შეეცდებიან. — შემდეგ ბელადი მე მომიბრუნდა:

— შეძლებენ თუ არა ჩვენი ჯარები, დაიწყონ პოლონეთის გათავისუფლება, შეუჩერებლივ გააგრძელონ სვლა მდინარე ვისლამდე და ამ გზის რომელ მონაკვეთზე იქნება უპრიანი, საქმეში ჩავრთოთ პირველი პოლონური არმია, რომელიც უკვე სათანადოდაა გაწვრთნილი?

— ჩვენი ჯარები არა მარტო ვისლამდე მისვლას შეძლებენ, — ვუპასუხე მე, — არამედ მას იქითაც, ისეთი პლაცდარმების დაკავებას მოახერხებენ, რომლებიც ბერლინზე სტრატეგიული იერიშის დასაწყებად ესოდენ მნიშვნელოვანია. რაც შეეხება პირველ პოლონურ არმიას, — ვფიქრობ, ის ვარშავაზე საიერიშოდ უნდა გამოვიყენოთ“.

სტალინი ამ წინადადებას დაეთანხმა და თქვა, რომ საჭიროა, ჟუკოვმა და როკოსოვსკიმ პირადად დაუსახონ ამოცანა პოლონელებს და დახმარებაც გაუწიონ. თათბირის შედეგების შეჯამებისას, ბელადმა თქვა: *„გერმანელები ბოლომდე იბრძოლებენ აღმოსავლეთ პრუსიის დასაცავად და შეიძლება, ამის გამო იქ ჩავეფლოთ. ამიტომ აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად გავწმინდოთ უკრაინა და პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილი. ეს, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია“.*

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მადლცხებული თეკლათელი დედები

„თეკლათის დედათა მონასტრის სულიერი ცხოვრების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ახვლედიანთა გვარის იმ ოჯახმა, რომელსაც ღირსი მამა — დეკანოზი გიორგი ედგა სათავეში“, — წერს თეკლათის მონასტრის ერთ-ერთი ღირსი დედის, იღუმენია ელეონორა დადიანის შთამომავალი პაატა ქურდოვანიძე გამოსაცემად გამზადებულ წიგნში, რომელიც თეკლათის მონასტერსა და იქ მოღვაწე მონაზონთა ცხოვრებას ასახავს. უკვე რამდენიმე წელია, რაც ბატონი პაატა თეკლათის მონასტრის ისტორიას იკვლევს. ბოლო დროს იქ მოღვაწე დედებსაც იცნობდა, მათ შორის — მამა გიორგი ახვლედიანის ძმისშვილს, იღუმენია ელენეს. იქვე მოღვაწეობდნენ მამა გიორგის ასულები — ქეთევანი და რიფსიმეც. დედა ქეთევანი და დედა ელენე მონასტერს წინამძღვრობდნენ. ალბათ, ბევრ ჩვენგანს არც კი სმენია ამ მადლცხებულ მონაზონთა შესახებ... ბატონ პაატას მათი გახსენება ვთხოვეთ.

დეკანოზი გიორგი ახვლედიანი, მონაზვნები ქეთევანი და რიფსიმე

შორენა მერკვილაძე

— ვიდრე იღუმენია ქეთევანსა და იღუმენია ელენეზე ვისაუბრებთ, ახვლედიანთა ოჯახზე გვიამბეთ...

— დეკანოზ გიორგის სამი ძმაც ღვთისმსახურნი გახლდნენ: არქიმანდრიტი სერაპიონი ჯერ მოწამეთის, შემდეგ კი გელათის მონასტერს წინამძღვრობდა. იგი იყო მოძღვარი ეპისკოპოს გაბრიელისა (ქიქოძე). მეორე ძმა — ქაიხოსრო ახალგაზრდობიდანვე აღიკვეცა ბერად, ქრისტეფორეს სახელით და ათონის წმინდა მთაზე გაემგზავრა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე, ერთ-ერთ ქართულ მონასტერში მოღვაწეობდა. სასულიერო პირი გახლდათ მამა გიორგის ძმა — ალექსი ახვლედიანიც. იგი ბაღდათის რაიონში, სოფელ როკითში მოღვაწეობდა. ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა ძირ ოჯახში, სოფელ გურძემში დარჩენილი უმცროსი ძმის სახლობაც, განსაკუთრებით კი მისი ვაჟი — ალექსანდრე.

— ალექსანდრე სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. მას სიკვდილის წინ მაინც აუხდა სურვილი — ბერად აღიკვეცა. ალბათ, საინტერესო იქნება მისი ხანმოკლე ცხოვრების გახსენებაც...

— ალექსანდრეს ხანმოკლე ცხოვრება უფლის სიყვარულით ყოფილა გამსჭვალული. 17 წლის ასაკში, ახალსენაკის სასულიერო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ბერად აღკვეცის სურვილი გამოუთქვამს. ასაკის გამო მშობლებს წინააღმდეგობა გაუწევიათ — ჯერ ცხოვრებაში გამოუცდელი ხარ, ეჭვიც გაწუხებს. იშრომე, დაღვინდი და როდესაც შენს თავში დარწმუნდები, უფლის სამსახურს შემდეგ შეუდექიო. მშობლებს არ შესწინააღმდეგებია, სწავლა ფოთის სასულიერო სასწავლებელში განაგრძო. იქაურმა ნესტიანმა კლიმატმა ძალზე შეურყია ჯანმრთელობა. დასუსტდა და დაუძლურდა. სიკვდილის პირას მყოფ ჭაბუკს სურვილი გამოუთქვამს, თეკლათის მონასტერში, ბიძასთან — მამა გიორგისთან აეყვანათ და გარდაცვალების შემდეგ იქვე დაეკრძალათ. მონასტერში კიდევ უფრო მიეძალა სნეულება, თითქმის სულ დაეშალა ფილტვები, მაგრამ ამისთვის მადლობდა ღმერთს და სიხარული ეფინა სახეზე. როდესაც ლოცულობდა, ოთახში არავის უშვებდა, მაგრამ მისი ლოცვის სიტყვები მაინც მკაფიოდ ისმოდა: „გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ ხორციელად მომანანიებიე ჩემი ცოდვები და განწმენდილი მიგყავარ ცათა სასუფეველში“. როდესაც თავს შეატყო, რომ ველარ გაუძლებდა მკაცრ ავადმყოფობას, მშობლებს სთხოვა: „თქვენც დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ მე ამ ხანებს ვერ გადავურჩები. არ იმგლოვიაროთ ჩემზე... ცოცხალიც რომ დავრჩენილიყავი, მაინც არ ვიქნებოდი თქვენი, მე აღთქმა მქონდა მიცემული ღვთისთვის, რომ ბერად შევმდგარიყავი და კიდევაც შევასრულებდი აღთქმას, რომ ასე არ შეეწირა ღმერთს ჩემი სული... უკანასკნელად გთხოვთ, ჩემს სიცოცხლეში რაიმე ნიშანი ბერობის დამანახვოთ“. იმედდაკარგულმა მშობლებმა სურვილი შეუსრულეს. ალექსანდრე ხობის არქიმანდრიტმა — სიმონმა აკურთხა ბერად. კურთხევის მეორე დღეს, 6 საათზე, აღთქმის აღსრულებით გახარებულმა ალექსანდრემ სული განუტევა. როგორც არქიმანდრიტი სიმონი იგონებს: როდესაც ალექსანდრეს აღსასრულის მოახლოება შევატყვე, მსურდა მეთქვა, რომ ის ბედნიერი იქნებოდა საიქიოს და ამიტომ, სიხარულით უნდა მიჰგებებოდა სიკვდილს, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მე თვითონ დავრჩი მისგან სამაგალითოდ დარიგებულიო...

დედა რიფსიმე, იღუმენია ქეთევანი და დედა ელენე ახვლედიანი

— რამდენადაც ცნობილია, სწორედ მამა გიორგი ახვლედიანს შეუწირავს თეკლათის მონასტრისთვის უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე — წმინდა იოანე ნათლისმცემლის ხელის ცერა თითი...

— ერთ-ერთი გადმოცემით, ეს სიწმინდე მამა გიორგის საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე მოგზაურობისას, ორას ოქროს მანეთად შეუძენია. მას წმინდა მთაზე 1893 წელს უმოგზაურია, სადაც მისი ძმა ქრისტეფორე და მამიდაშვილი, ბერი ბესარიონი (ქიქოძე), ეპისკოპოს გაბრიელის ძმა მოღვაწეობდნენ. სწორედ

ამ მოგზაურობისას უნდა იყოს ეს სიწმინდე შეძენილი. მამა გიორგის წმინდანაწილებიანი ვერცხლის მეორე სანაწილეც შეუწირავს მონასტრისთვის. როგორც თეკლათში მოღვაწე განსვენებულმა ბერმა იოანემ (ანანიაშვილი) მიამბო, სანაწილე 1978 წლის ოქტომბერში, კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ისთვის მიუძღვნიათ საჩუქრად, თეკლათის მონასტრის მოლოცვისას და ამჟამად, საპატრიარქოს რეზიდენციაში ინახება. სანაწილეში, ქაღალდზე აღნიშნული ყოფილა, რომელი წმინდა ნაწილები ინახებოდა მასში, მაგრამ სამწუხაროდ, ნაწერი აღარ იკითხება (ეს ქაღალდი მამა იოანეს არქივში ინახებოდა). ვინ იცის — იქნებ, მეცნიერებმა შემდგომში შეძლონ მისი ამოკითხვა.

— იღუმენია ქეთევანი (ახვლედიანი) გავიხსენოთ. რომელი წლიდან წინამძღვრობდა თეკლათის დედათა მონასტერს?

— 1933 წლიდან. სქიმიღუმენია ელეონორას (დადიანის) გარდაცვალების შემდეგ, რამდენიმე წელი თეკლათის მონასტერს ხელდასხმული წინამძღვარი აღარ ჰყავდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სავანეს ენკრატისტთა ჯგუფი განაგებდა: ქეთევანი და რიფსიმე ახვლედიანები, ფოტი სანიკიძე, სალომე ჭანტურია და სხვები. თეკლათელი დედები მაღალი სულიერებითა და საღვთისმეტყველო განათლებით გამოირჩეოდნენ. საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევის მიუხედავად, დედებმა მონასტერი არ დატოვეს. მათ ტაძარში ლოცვის უფლება და ერთხანს, მონასტრის ეზოში სიარულიც კი ეკრძალებოდათ, მაგრამ ისინი ყოველდღიურად მაინც ახერხებდნენ ღვთისმსახურების აღსრულებას. 1944 წლიდან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შედარებით მშვიდობიანი დრო დაუდგა, კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატეც, დროისა და ვითარების შესაბამისად ამოქმედდა, ცხადია — ეკლესიის სასიკეთოდ. ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტად და ჭყონდიდის ეპარქიის დროებით მმართველად მეუფე ეფრემი (სიდამონიძე, შემდგომში — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II) დაადგინა. მეუფე ეფრემი ბერული წესით ცხოვრობდა და ჟამთა სიავეს გადარჩენილ მონასტრებს განსაკუთრებული მონდომებით მფარველობდა. მღვდელმთავარმა ეპარქიის ჩაბარებისთანავე მოილოცა თეკლათის მონასტერი. დედათა სულიერი შეჭირვების ამბავი რომ შეიტყო, იღუმენიად, დიდ სქიმმონაზონი ქეთევანი აკურთხა. დედა ქეთევანის წინამძღვრობისას, კრებულს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უწინდებურად აღარ ავიწროებდნენ, მათ წირვა-ლოცვის აღდგენის უფლებაც დართეს, მაგრამ მონასტრის არსებობას ოფიციალურად არ აღიარებდნენ... სქიმიღუმენია ქეთევანი სათნო, გულმოწყალე და ამავე დროს, მტკიცე ნებისყოფის ქალბატონი გახლდათ. მან კარგად უწყოდა მონასტრის ისტორია და წლების მანძილზე დადგენილი ყველა განაწესი, პირველ ყოვლისა — წირვაზე დედათა დასის გამოსვლის რიტუალი აღადგინა. შემოჰკრავდნენ თუ არა პირველ ზარს, ანაფორითა და მანტიით — ქართული სამონაზვნო ლეჩაქით შემოსილი, საწინამძღვრო ჯვრით მკერდდამშვენებული, თავჯვრიანი ხის კვერთხით ხელში თავისი სენაკიდან გამობრძანდებოდა. ორ მწკრივად მდგარი მონაზვნები მოწიწებით ელოდნენ იღუმენიას. მას წინ მგალობლები მიუძღოდნენ. ვიდრე დედა ქეთევანი

სქიმმონაზონი რიფსიმე, სქიმიღუმენია ეკატერინე აფაქიძე და დედა ელენე ახვლედიანი

ყველა ხატს არ მოილოცავდა, გუნდი განუწყვეტლივ გალობდა, მერე იღუმენია საწინამძღვრო ტახტზე დაბრძანდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ღვთისმსახურება. დედა ქეთევანმა სხვა მივიწყებული ტრადიციებიც აღადგინა. მეუფე ეფრემმა თეკლათის მონასტრის მღვდელმსახურად ბერმონაზონი კონსტანტინე (ქვარაია) დაადგინა, მამა კონსტანტინესა და დედა ქეთევანის თანამოღვაწეობა საოცარი სულიერი სიყვარულით გამოირჩეოდა. მათი ერთობლივი ძალისხმევით, მონასტრის მინავლებული ცხოვრება თანდათან აღორძინდა.

იღუმენია ქეთევანი ხატწერითაც ყოფილა გატაცებული... ამას წინათ, ბატონმა ლუარსაბ ტოგონიძემ იღუმენია ქეთევანის ორი ძალზე საინტერესო წერილი აღმოაჩინა და დიდსულოვნად დამითმო გამოსაქვეყნებლად. ვგონებ, ეს დედა იღუმენიას უკანასკნელი წერილები უნდა იყოს, რომელსაც თავის სულიერ შვილს პროხორეს (სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი — მამა პახემ ობოლაძე) სწერდა. წერილიდან ერთ ნაწილს მოგახსენებთ: „ღვთისა მიერ იცოცხლეთ დღეგრძელი ჯანსაღობით და სათნოდ იესო ტკბილისა, ცოლშვილით გარშემოსაზღვრული, ძლიერი ქრისტეს სარწმუნოებით. გავიხარეთ თქვენის წერილით, გაგახაროსთ დედაღვთისამ. ვმადლობ უფალს, რომ მაღირსა თქვენს სამღვდელო დარგში შეერთებას. ვმადლობ ღმერთს, რომ თქვენი გაცნობა ჩემთვის არ იყო უნაყოფო, მით, რომ სრული რწმენა მაქვს თქვენის ადამიანური და ღვთაებრივი სიმტკიცის, გახსოვთ ჩემი თავი და დღეს ნებითა ღვთისათა ხომ მოხუცება მარგუნა უფალმა და დამაჯილდოვა დავრდომილობით, მაგრამ მებრძოლი ავადმყოფობით ვარ ლოგინში. სიკვდილი ჩემთვის სიცოცხლის საუმჯობესო გამოცვლაა, მაგრამ არ არის ნება უფლისაგან და ვარ ავადმყოფობით დასჯილი, რომელზედაც ინებოს ღმერთმა ბოლომდის მომცეს მოთმინება. გთხოვთ, მამა პროხლე გახსოვდეთ წირვა-ლოცვაში. ამასთან გთხოვთ, ღვთის ძალით, კეთილი ინებოთ და რისკით ნახოთ დრო და მინახულოთ, რომ ჩემს უკანასკნელ ცხოვრებას და ტანჯვას გადაავლოთ თვალი, გამახაროთ და მცეთ ღვთაებრივი ნუგეში და ჩემმა ბოლოის ნუგეშმა დაიბუდოს თქვენს ღვთიურ გულში... მადლობელი ვარ წერილისთვის. პასუხი დამიგვიანდა და მაპატიეთ მე ცოდვილს“. წერილის ამ ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი სულიერების მქონე ადამიანი გახლდათ დედა ქეთევანი. ქვეყნიერი ღვაწლით მოღლილ-მოქანცული იღუმენია ქეთევანი 1957 წლის 10 მარტს (ძველი სტილით), 120 წლის ასაკში აღესრულა. იგი იქვე, თეკლათის მონასტრის ეზოშია დაკრძალული, დის — სქიმმონაზონ რიფსიმესა და მამის — დეკანოზ გიორგი ახვლედიანის გვერდით.

— დედა ელენე ახვლედიანზე რას გვეტყვით?

— ქეთევანი და რიფსიმე თეკლათის მონასტერში XIX საუკუნის 90-იან წლებში დამკვიდრებულან, რამდენიმე წლის შემდეგ მათ ბიძაშვილი, 7 წლის ელენეც შეუერთდათ. მას ეფროსი ბიძაშვილები ზრდიდნენ. შემდგომში მონაზვნად აღიკვეცა და

დედა ქეთევანთან და დედა რიფსიმესთან ერთად იღვწოდა მონასტრის სულიერი ცხოვრების აღორძინებისთვის. იგი საფუძვლიანად იყო განსწავლული ღვთისმეტყველებაში, ამავდროულად უბადლო მგალობელი გახლდათ. ხატწერითაც ყოფილა გატაცებული. იღუმენია ქეთევანის გარდაცვალების შემდეგ, 1957 წელს, მეუფე ეფრემმა თეკლათის მონასტრის იღუმენიად, დედა ელენე ახვლედიანი აკურთხა. როგორც დედა ელენეს ერთ-ერთმა ძმისშვილიშვილმა, ქალბატონმა დალიმ მიამბო, ჯერ სულ პატარა ყოფილა ელენე, როდესაც მამამისისთვის მამიდაშვილს, გაბრიელ ეპისკოპოსს (ქიქოძე) უთხოვია — ჩემო ალექსი, ეგ ქალი მონაზვნად აღკვეცეო. მეუფის თხოვნას წინ ვინ აღუდგებოდა და ალბათ, ამიტომაც იყო დედა ელენე უდიდესი მადლის მატარებელიო. მისი დისშვილიშვილი — ქალბატონი დალი ასათიანი იხსენებდა: დედა ელენე სათნოებისა და კეთილშობილების განსახიერება გახლდათ, მასთან ურთიერთობაში მყოფ ნებისმიერ ადამიანს გამორჩეული ყურადღებით ექცეოდა. მუდამ მშვიდად მოუბარს, მოწყენილს ვერ ნახავდით. იშვიათი გრძნობით ადიდებდა უფალს. ასაკის სიმცირის გამო, უფროსები ხშირად აკითხავდნენ დედა ელენეს, მე და ჩემი და კი თეკლათის მონასტერში არ დავყავდით. ამ მიზეზით, ბევრი რამის გახსენება არ შეძლია, მხოლოდ ერთი ეპიზოდი ჩამრჩა მეხსიერებაში: დედა ელენე, დას — მარიამს ესტუმრა. არ მახსოვს, რა დღესასწაული იყო. საღამოს ლოცვის შემდეგ, დებმა ერთად იგალობეს. ამ ასაკამდე მოვაღწიე და ის საღამო დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში, განსაკუთრებით — გალობა. დღეს ასეთი გრძნობით აღარ გალობენ...

დედა ელენეს პირადადაც შევხვედრივარ. ერთხელ, ბავშვობისას, აღდგომის დღესასწაულს თეკლათის მონასტერში შევეგებე. სააღდგომო ლიტანიობა დაიწყო. სამჯერ შემოვუარეთ ტაძარს, წინ მამა კონსტანტინე მიგვიძღოდა. მგალობლები გალობდნენ. უკუნ ღამეს მოლიტანიეთა ანთებული სანთლები აცისკროვნებდა. მოულოდნელად, ტაძრის დასავლეთის კარიბჭე გაიხსნა და იღუმენია ელენე გამოჩნდა, ანთებული კელაპტრით ხელში. იღუმენია უკვე ღრმად მოხუცებული, მაგრამ წელში გამართული გახლდათ. სახე გასხივოსნებული ჰქონდა. იშვიათი ტემბრის ხმით მიულოცა დედათა კრებულსა და მრევლს: „ქრისტე აღსდგა!“ დედა ელენეს ხმამაღალი შეძახილი ჩემი ბავშვობის ერთ-ერთ დაუვიწყარ მოგონებად შემომრჩა — მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ მსგავსი განცდა არ მქონია... ნაშუაღამევს, დედამ მე და ჩემი და ტაძრიდან წაგვიყვანა და ნათესავი მონაზვნების სენაკში დაგვტოვა, თვითონ კი წირვის დასრულებამდე, საყდარში დარჩა. დილით, დედამ და დეიდამ სააღდგომო ძღვენი გაამზადეს და ბავშვებს მონაზვნებისთვის მათი ჩამორიგება დაგვავალეს. მე იღუმენიასთან მისვლა მერგო. კარზე დავაკაკუნე. ტანმორჩილი, ლამაზი პირისახის დედა ელენა აივანზე გამოვიდა. მისი თვალები უჩვეულო სითბოს გამოსცემდნენ. როდესაც ვუთხარი, ვინც ვიყავი, — ქრისტე აღსდგაო! — მომილოცა, გულში ჩამიკრა და ოთახში შემიყვანა. დედა ელენეს კარგად ახსოვდა ჩემი წინაპრები, განსაკუთრებული კრძალვით, ჩემი დიდი ბებია — იღუმენია ელეონორა მოიგონა, შემდეგ კი სალოცავი კუთხე დამათვალიერებინა. ამიხსნა, რომელ ხატზე რომელი წმინდანი იყო გამოსახული და მერე, სხვა ოთახში გამიყვანა. კედელზე ფოტოები იყო გამოფენილი. განმიმარტა, სურათებზე ვინ იყვნენ გამოსახულნი. მიმასპინძლა კიდეც. დედასთან თვითონაც გამომატანა ძღვენი. წამოსვლისას კიდევ ერთხელ მომილოცა, — ქრისტე აღსდგაო! — დამლოცა და გამომაცილა. ძალიან მწყდება გული, რომ იმ დღეს გაგონილიდან ჩემს მეხსიერებას ძალზე მცირე რამ შემორჩა. იმ ოთახში ხომ საქართველოს ეკლესიის საუკუნოვანი ცხოვრების ისტორია იყო დაცული! იღუმენია ელენე კი ამ უმნიშვნელოვანესი ამბების უბადლო მცოდნე, მონაწილე და თანამოაზრე გახლდათ. სამწუხაროდ, თავის დროზე არავის ჩაუწერია მისგან მოთხრობილი სამატიანე ამბები, უკვალოდ გაქრა ფოტოებიც, გაიფანტა სათუთად მოვლილი საგვარეულო არქივიც...

— როგორ პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა და სავანის სულიერი წინამძღვრობა დედა ელენეს?

— უკვე მოგახსენეთ, რომ XX საუკუნის 50, 60-იან წლებში საქართველოს ეკლესიას შედარებით მშვიდი დრო ედგა — უფლის მსახურთ და მსასოებელთ ხელისუფლება ძველებური აგრესიით აღარ დევნიდა. სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა დედა ელენეს წინამძღვრობაც. მაშინ მონასტრის ცხოვრება არავის აუფორიაქებია, ტარდებოდა ყოველდღიური ღვთისმსახურება და მრევლმაც იმატა. დიპლომატიური ნიჭითა და სულიერი სიმტკიცით გამორჩეულმა იღუმენია ელენემ ხელისუფლებასთან ოფიციალური ურთიერთობაც აღადგინა. მონასტერში, მისი დაარსების დღიდან, ეპისკოპოს გაბრიელის მიერ შედგენილ უმკაცრეს ტიპიკონს იცავდნენ. დედა ელენე 1965 წლის 16 მარტს (ძვ. სტილით) გარდაიცვალა. იგი 90 წელს იყო მიღწეული. იღუმენია ელენეც მამა გიორგისა და მისი მონაზონი ასულების გვერდით დაკრძალეს. ძალზე დიდია ამ ქალბატონების გამორჩეული სულიერი ღვაწლი... ■

მადლი

ამ ბავშვების სიცოცხლე თქვენზეა დამოკიდებული...

ესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია

ჯაბა მურცხვალაძე, 15 წლის

1 ლარის ჩასარიცხად, უნდა აკრიბოთ: **„მაგთიდან“ — 200 344, „ჯეოსელიდან“ — 700 344.**

საქველმოქმედო სპეცანგარიშის ნომერია:

„თიბისი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი, კოდი: **220101830**, პ/ა: **11701022**.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: **8(99)17.35.27.**

ნიკუშა, 11 წლის

მისთვის დახმარების გასაწევად, დაუკავშირდით ბიჭის დედას — ნანა ლეჟავას ტელ.: 62.54.63;

შეგიძლიათ აგრეთვე დაგვიკავშირდეთ რედაქციაში, ტელ.: **38.84.44** ან **38.74.44.**

„ახალი დროება“ საკვირაო ტელეჟურნალს ამზადებს

„პენსიაში ნაადრევად გასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს“

როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის წინ, დამოუკიდებელი სტუდია — „ახალი დროება“ ჩამოყალიბდა, სადაც ტელეკომპანია „იმედიდან“ წამოსული ჟურნალისტები გაერთიანდნენ. სულ მალე, ისინი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით მაყურებელს ახალ გადაცემას შესთავაზებენ. გარდა ამისა, „ახალი დროება“ სხვა საინტერესო პროექტებზეც მუშაობს. ამ თემაზე სასაუბროდ სტუდიის დირექტორს — დაჩი გრძელიშვილს შევხვდით.

ნათია ქივიძე

— სტუდია „ახალი დროება“ სხვადასხვა ტელეკომპანიისთვის ახალ-ახალ პროექტებს ამზადებს. ამჯერად, ჩვენ სტრატეგიულ პროექტზე ვმუშაობთ, რომელიც კვირაში ერთხელ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავა. ამ საკვირაო, ანალიტიკურ-შემეცნებით გადაცემას ტელეჟურნალის ფორმატი ექნება. ჩვენს გადაცემაში მაყურებლისთვის საკმაოდ საინტერესო სიუჟეტები გავა, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გადავიღებთ. ასევე, გავაკეთებთ რეპორტაჟებს საინტერესო ადამიანებსა თუ მოვლენებზე. რა თქმა უნდა, სოციალურ თემატიკასა და პოლიტიკასაც გავაშუქებთ. მოკლედ, ჩვენს გადაცემაში იქნება ის ყველაფერი, რაც საკვირაო ტელეჟურნალში უნდა იყოს.

— ანუ ის გადაცემა „დროებას“ დაემსგავსება?

— არა. უბრალოდ, „დროების“ მსგავსად, ესეც ანალიტიკური გადაცემა იქნება. თავის დროზე, „დროებაც“ რუსული ან ევროპული, მსგავსი ფორმატის გადაცემას ჰგავდა. ჩვენ „დროებაზე“ მუშაობის 5-წლიანი გამოცდილება გვაქვს და ვფიქრობთ, მაყურებელს ბევრად უფრო განვითარებულ და დახვეწილ გადაცემას შევთავაზებთ.

— გადაცემის სახელწოდება უკვე შეარჩიეთ?

— არა, ამ საკითხზე მუშაობა ახლაც მიმდინარეობს. რამდენიმე ვარიანტი გვაქვს და ამიტომაც, მათი საზოგადოებისთვის გამჟღავნება არ ღირს.

— როგორც შევიტყვე, ახალი გადაცემის ხელმძღვანელი შენ ხარ...

— არა, ჩვენთან ფუნქციები განაწილებულია. პირადად მე, სტუდია „ახალი დროების“ დირექტორი ვარ და მხოლოდ ამაზე კი არა, ბევრ სხვა პროექტზეც ვმუშაობთ. ამერიკის საელჩოს წარვუდგინეთ ერთი პროექტი და დიდი იმედი გვაქვს, რომ მას დააფინანსებენ. გარდა ამისა, ორი პროექტი ევროკავშირში წარვადგინეთ, რომელიც სხვა ტელეკომპანიის ეთერში გავა. მაგრამ ახლა, როგორც უკვე გითხარი, მთელი ძალები მხოლოდ ამ გადაცემაზე გვაქვს მობილიზებული... როგორც უკვე ვთქვი, მე ამ სტუდიის დირექტორი ვარ, ყოველკვირეულ გადაცემას კი თავისი ხელმძღვანელები ჰყავს. ესენი არიან: ზაზა წულაძე და რუსიკო ცხომელიძე. რუსიკოს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ის „დროების“ რედაქტორი იყო და პრაქტიკულად, გადაცემის შემოქმედებით მხარეს ყოველთვის თავადვე წყვეტდა, არეგულირებდა, განაგებდა. რაც შეეხება ზაზა წულაძეს, ის გადაცემის მთავარი პროდიუსერია. ზაზა საინტერესო თემების მოძიების დიდოსტატია. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ამ გადაცემის კოორდინაცია მისთვის მიგვენდო. ჟურნალისტები, ოპერატორები და მემონტაჟეები ის ადამიანები არიან, რომლებიც ასევე, „დროებაში“ მუშაობდნენ.

— ამ გადაცემის წაყვანა სოფო მოსიძეს შესთავაზეთ...

— სოფო მოსიძე ამ გადაცემის წამყვანი იქნება. გადაცემის დაგეგმვა უკვე მიმდინარეობს. ჯგუფები გადაღებებზე არიან წასულები, მათ შორის, საზღვარგარეთაც და სოფო ამ ყველაფრის დაგეგმვაში აქტიურად მონაწილეობს.

— როგორ ფიქრობ, რამდენად რეიტინგული იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასული თუნდაც ძალიან მაგარი გადაცემა?

— მართალია, საზოგადოებრივ მაუწყებელს რეიტინგის პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ამ არხზე რამდენიმე საინტერესო გადაცემა ყოველთვის იყო და ახლაც არის...

— მაგრამ მაყურებელი არ ჰყავს.

— ესეც მართალია, მაგრამ ჩვენი მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დავამტკიცოთ, ქართულ მასმედიაში არხის ლოგოს მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელოვანი გადაცემის ხარისხი და ისაა, თუ ვინ აკეთებს ამ გადაცემას. ჩვენ ყველანი ვცდილობთ, ამ ამბიციურ მიზანს ხორცი შევასხათ და განვახორციელოთ. ყველას უნდა დავუმტკიცოთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ის არხია, სადაც საინტერესო გადაცემის მომზადება შესაძლებელია. ბუნებრივია, ეს თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერესებშიც შედის. ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის. შეიცვალა ამ არხის სამეურვეო საბჭო, რომლის ახალ წევრებს შეხვდით და ვისაუბრეთ. ისინი ნამდვილად მონდომებულნი არიან, რომ ამ არხზე რეალური ცვლილებები მოხდეს. ვნახოთ, რა გამოგვივა.

— შენ ჟურნალისტიკაში საკმაოდ დიდი გამოცდილება გაქვს. რატომ გადაწყვიტეთ, რომ გადაცემის წამყვანად სოფო მოსიძე მოგეწვიათ? ამას შენც ხომ კარგად გაართმევდი თავს?

— სტუდიის დამფუძნებლებმა ერთობლივად გადაწყვიტეთ, რომ გადაცემას სოფო წარუძღვებოდა, რადგან ის ძალზე საინტერესო და მრავალმხრივ განვითარებულ ჟურნალისტად მიგვაჩნია. სოფო ამას რომ წაიკითხავს, ალბათ, სიცილით მოკვდება და მკითხავს, — ასეთი საქებარი სიტყვები რა საჭირო იყოო? მაგრამ მართლა ასე ვფიქრობ. მინახავს მის მიერ მომზადებული შემეცნებითი სიუჟეტი ან პოლიტიკური რეპორტაჟი, სადაც ამ თემების საინტერესოდ გადმოცემას ყოველთვის ახერხებდა. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი, რომელიც ჩვენ მიერ გაკეთებულ სიუჟეტებს მაყურებელს წარუდგენს, ამ ყველაფერში კარგად ერკვეოდეს და იცოდეს, თუ როგორ მზადდება. არ გვინდოდა, გვყოლოდა ისეთი წამყვანი, რომელსაც მხოლოდ ტექსტს დავუწერდით და ის პირდაპირ ეთერში წაიკითხავდა. გარდა ამისა, როგორც წამყვანმა, მან საკუთარი თავი საუკეთესოდ წარმოაჩინა. ალბათ, ყველას კარგად ახსოვს თუნდაც 7 ნოემბრის საღამო, როდესაც სოფო პირდაპირ ეთერში იჯდა. მაშინ, როცა სპეცრაზმი „იმედში“ შემოვიდა, სოფო ძალიან თავდაჯერებული და კომპეტენტური იყო. ჩვენთვის მისი ასეთი საქციელი სამაგალითო გახლდათ. თანაც, პიროვნული ფაქტორიც ბევრ რაღაცას წყვეტს. მოკლედ, სოფო არაჩვეულებრივი ადამიანია.

— შენ მხოლოდ სტუდიის დირექტორობას დასვჯერდები თუ ჟურნალისტურ საქმიანობასაც განაგრძობ?

— დირექტორი, რა თქმა უნდა, ვიქნები, მაგრამ ჟურნალისტობასაც განვაგრძობ, რადგან პენსიაში ნაადრევად გასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს.

— ბოლოს და ბოლოს, ეს გადაცემა ეთერში როდის გავა?

— 23 მარტს გადაცემა ეთერში გავა, თუ რა თქმა უნდა, კიდევ რაიმე გაუთვალისწინებელი ფაქტი არ მოხდა.

— რომ მოხდეს სასწაული და ტელეკომპანია „იმედი“ აღადგინონ, გული არ დაგწყდება, რომ იმ კომპანიის თანამშრომელი აღარ ხარ?

— ჯერ ერთი, ჩვენ დამოუკიდებელი სტუდია გვაქვს და ანგარიშვალდებულება არავის მიმართ არ გაგვაჩნია. შესაბამისად, სიამოვნებით მოვამზადებთ ახალ გადაცემას „იმედისთვისაც“. ტელეკომპანია „იმედს“ ყოველთვის ძალიან კარგად გავიხსენებ. ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იყო მათ შორის, სადაც კი მიმუშავია. უბრალოდ, იძულებულნი გავხდით, რომ იქიდან წამოვსულიყავით. ამ არხზე დაბრუნებას აზრი აღარ აქვს. ეს უკვე განვლილი ეტაპია. თუ ეს კომპანია აღდგება, მას საინტერესო პროექტს აუცილებლად შევთავაზებთ. იმედი მაქვს, რომ იქ ახალი მენეჯმენტი შევა და ტელეკომპანია დაიკავებს ისეთ ნიშას, რომელიც ქართულ ტელესივრცეს დღეს ძალიან აკლია.

— ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების მერე, ინგა გრიგოლიამ აღიარა, ახლა პირველად ვინანე, „იმედიდან“ რომ წამოვედიო. შენც ხომ არ გაგჩენია სინანულის მაგვარი გრძნობა?

— ნამდვილად არაფერს ვნანობ! ■

„ლენდ როვერის“ კონცეპტუალური კროსოვერი

ჟენევის საავტომობილო სალონზე Land Rover-ის კონცეპტუალური სამკარიანი კროსოვერის — LRX — მეორე ვერსია წარმოადგინეს. პირველი მოდიფიკაციისაგან, რომელიც პირველად მიმდინარე წლის დასაწყისში, დეტროიტის მოტორშოუს დამთვალიერებლებმა იხილეს, ახალი ავტომობილი, კარბონისგან დამზადებული სახურავის ცენტრალური ნაწილით, ახალი, მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული საბორბლე დისკებით, განახლებული ინტერიერითა და ორფერ-ოვნებით განსხვავდება: ძარას ძირითადი ნაწილი შავი, ხოლო სახურავი — ვერცხლისფერია. მანქანა დიზელ-ჰიბრიდული აგრეგატით აღჭურვება: ტურბოდიზელი ორლიტრიანი მოცულობისაა, ხოლო ელექტროძრავა, ლითიუმ-იონური ბატარეებით იმუშავებს. მხოლოდ ელექტროგაწევით, კროსოვერი 32 კმ/სთ სიჩქარე განავითარებს, უფრო დიდი სიჩქარის მისაღწევად, ჩვეულებრივი მოტორის ამუშავება გახდება საჭირო. გარდა ამისა, Land Rover LRX შუქნიშანთან გაჩერებისა და დამუხრუჭების დროს ენერგიის რეგენერაციის სისტემით იქნება აღჭურვილი, რომელიც აკუმულატორებს დამუხტავს. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, 100 კმ-ის გასავლელად, მანქანას საშუალოდ, 4,7 ლ საწვავი დასჭირდება. ხოლო მის მიერ გადმოფრქვეული ნახშირორჟანგი 1 კილომეტრზე 120 გრამს შეადგენს. ბრიტანულ კომპანიაში ხაზს უსვამენ იმას, რომ LRX მხოლოდ კონცეპტ-ავტოა და მისი სერიული გამოშვება ჯერჯერობით არ იგეგმება, თუმცა ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წლისთვის ავტომობილი შეიძლება, ბაზარზე გამოჩნდეს. ■

„ჰამერი“ გოლფის მოთამაშეთათვის

ბრიტანულმა კომპანიამ — Mini Hummer Europe — გოლფის მოთამაშეთათვის სპეციალური ელექტრომობილები შექმნა, რომლებიც ცნობილი არასაგზაო ავტომობილის — Hummer H2 და H3 — დაპატარავებულ ასლებს წარმოადგენს. ეს მანქანები კონცერნ „გენერალ მოტორსის“ ლიცენზიით იწარმოება. გოლფ-მანქანის ძარა ოთხ და ექვსადგილიან ვარიანტებად გამოდის, ხოლო ასეთი ელექტრომობილების მასა დაახლოებით, 245 კგ-ია. სიახლე აღჭურვილია ელექტროძრავათი, რომელიც 6 ტყვია-მჟავურ აკუმულატორზე მუშაობს. „ელექტროჰამერის“ სვლის თადარიგი 65 კმ-ს შეადგენს, ხოლო ბატარეების სრულად დამუხტვას 6 საათზე მეტი დრო არ ესაჭიროება. ასეთი მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 50 კმ/სთ-ია. ოპციის სახით, ელექტრომობილებს 15 და 18-დუიმიანი ქრომირებული საბორბლე დისკები მოჰყვება, აგრეთვე: აუდიო და ვიდეოსისტემა, სიგნალიზაცია, ტყავის სავარძლები და 11 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავაც კი. გოლფ-ავტოს — Hummer H3 — მინიმალური ფასი დიდ ბრიტანეთში 8 ათასი გირვანქა სტერლინგია, ხოლო H2-ისა — 19 ათასი. ■

იტალიაში ყალბი „ფერარის“ მწარმოებლები გამოავლინეს



ქვეყნის პოლიციამ 15 ადამიანს Ferrari-ის კლასიკური მოდელების გაყალბებულ წარმოებასა და 10-ჯერ უფრო იაფად გაყიდვაში დასდო ბრალი. სამართალდამცავებმა უკვე 21 ასეთი ავტომობილი ამოიღეს. აქედან 14 — გაყიდული იყო, ხოლო 7-ს — აწყობდნენ. იტალიური პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, თაღლითები „ფერარის“ ყალბ სპორტულ მანქანებს აწყობდნენ, რაშიც სხვა ფირმების მოდელების დეტალებს იყენებდნენ, მათ შორის — შასის, სახურავებს, კაპოტებს, საბარგულის სახურავებს და კარებს. სახელოვანი იტალიური კომპანიის მიერ წარმოებული ნამდვილი სუპერავტოების დეტალებიდან კი, მცირედი ნაწილი იყო გამოყენებული. შემდეგ მანქანებს, ძარას პანელებს უცვლიდნენ და ნამდვილი „ფერარისას“ ამსგავსებდნენ. მაგალითად, ასე მიამსგავსეს ყალბი ავტომოდელს — 328 GTB, — რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოდიოდა. ზოგიერთი ყალბი „ფერარის“ ფასი დაახლოებით 20 ათასი ევრო იყო. ამ ეტაპზე უცნობია ის, თუ რა სახის სასჯელი ელით ეჭვმიტანილებს. ■

ბრიტანელები პირველ ავტოს პირველ ინტიმზე წინ აყენებენ...

დიდი ბრიტანეთის ბევრ ზრდასრულ მოქალაქეს თავისი პირველი ავტომობილი უფრო კარგად ახსოვს, ვიდრე პირველი კოცნა ან 18 წლის ასაკში გადახდილი დაბადების დღე — ასეთი შედეგი მიიღეს ბრიტანეთის საერთაშორისო მოტორშოუზე, 2011 კაცს შორის ჩატარებული გამოკითხვის ორგანიზატორებმა. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა თითქმის 40%-ს დღემდე ახსოვს თავისი პირველი ავტომობილის ნომერი, ხოლო გამოკითხულთა მესამედმა თავისი პირველი ინტიმური კავშირი სწორედ პირველი საკუთარი ავტოს უკანა სავარძელზე დაამყარა. დიდ ბრიტანეთში ყველაზე პოპულარული „პირველი ავტომობილებია“ — Ford Fiesta, Escort, Mini და Nissan Micra. ყოველი 10 გამოკითხულიდან ექვსი, თავის პირველ მანქანას „ქალად“ აღიქვამდა, მეოთხედი ავტომობილს, სახელს არქმევდა, ხოლო 12% მიიჩნევდა, რომ საკუთარი ავტომობილის წყალობით, საპირისპირო სქესის წარმომადგენელთათვის უფრო მიმზიდველი იქნებოდა. საინტერესოა ისიც, რომ ყოველი 10 გამოკითხულიდან, ექვსმა მართვის მოწმობის მისაღები გამოცდა პირველსავე ცდაზე ჩააბარა, ხოლო 10%-ს საამისოდ, სამი ან მეტი ცდა დასჭირდა. ■

„ფერარის“ ახალი სერიული კუპე

კომპანია „ფერარის“ თავკაცმა, ლუკა დი მონტეზემელომ ოფიციალურად დაადასტურა ახალი სერიული მოდელის გამოშვების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. ეს იქნება მომცრო ზომის კუპე, ლითონისგან დამზადებული, დასაკეცი სახურავით, რომელიც ჯერჯერობით კოდურ სახელწოდებას — F149 — ატარებს. ამ მანქანის მსოფლიო პრემიერა პარიზის მოტორშოუზე 2008 წლის ოქტომბერში შედგება. მონტეზემელოს, სიახლის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ გამოუმზეურებია, თუმცა ვარაუდობენ, რომ სუპერავტო აღიჭურვება იმ 4,3-ლიტრიანი, რვაცილინდრიანი ბენზინის ძრავას მოდერნიზებული ვერსიით, რომელიც მოდელზე — F430-ა დაყენებული. მოტორი სიჩქარის გადაცემათა ახალი კოლოფით იმუშავებს, ამიტომ საწვავის მოხმარების მხრივ, 8 პროცენტით უფრო ეკონომიური იქნება. ადრე იუწყებოდნენ, რომ ასეთი აგრეგატის სიმძლავრე დაახლოებით, 450 ცხ.ძ. იქნებოდა. როგორც ვარაუდობენ, „ფერარის“ სუპერავტო Aston Martin DB9-ს გაუწევს კონკურენციას, ხოლო ფასით მოდელს — F430 Scuderia — მიუახლოვდება. კომპანიას ყოველწლიურად, დაახლოებით 4 ათასი ასეთი ავტომობილის გაყიდვა აქვს დაგეგმილი. ■

ეირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	I ს.ნ. ფასი	6 თვე
1. ВРАЧ	37.85	225.9
2. МЕДИЦИНСКИЙ ВЕСТНИК	8.90	187.2
3. ФАРМАЦЕВТИЧЕСКИЙ ВЕСТНИК	14.80	294.1
4. ВЕСТНИК ДЕРМАТОЛОГИИ И ВЕНЕРОЛОГИИ	16.20	48.6
5. ВЕСТНИК ИНТЕНСИВНОЙ ТЕРАПИИ	5.75	11.5
6. ВЕСТНИК ОФТАЛЬМОЛОГИИ	16.80	50.4
7. ДЕТСКИЕ ИНФЕКЦИИ	15.10	30.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საგენტო
ელვა

ქ. თბილისი
ოსტროვსკის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

დასაწყისი იხ. გვ. 17

ძალიან განიცდის და როგორც თავად ამბობს, პროცესზე დასწრებაც ყველაზე მეტად უჭირს.

— სხდომები უკვე თვეზე მეტია, მიმდინარეობს და მთელი ამ ხნის განმავლობაში, მუდმივად ვგრძნობ და ვაცნობიერებ იმას, რომ შვილიშვილს უკანასკნელად ვხედავ. ის დანაშაულს აღიარებს და ვიცი, რომ დაისჯება. სასჯელი კი, რაც არ უნდა მსუბუქი იყოს, ჩემთვის უსასრულოდ გაგრძელდება. მოხუცი ქალი ვარ და შვილიშვილის თავისუფლებას ალბათ, ვერ მოვესწრები. ვერც ამ ნერვიულობას გავუძლებ დიდხანს. ისიც მიკვირს, ამდენ ტკივილს აქამდე როგორ გავუძელი, ასეთი დარტყმის შემდეგ, აქამდე რამ მაცოცხლა?

— რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის ასეთ დანაშაულში შვილიშვილის მონაწილეობა? როგორ ფიქრობთ, რამ მიიყვანა ის აქამდე?

— ბაჩო (ბადრის დაბადებიდან ასე ვეძახით) გაჭირვებულ და გაუნათლებელ ოჯახში არ გაზრდილა. საკუთარი ოჯახის ქება ცოტა უხერხულია, მაგრამ ჩვენ მართლაც, ერთ-ერთ სანიმუშო ოჯახად ვითვლებოდით. 12 წლის ასაკიდან, ბაჩოს მე და ჩემი მეუღლე ვზრდიდით. ბაბუა მკაცრი ჰყავდა. ინტელექტუალური და წესრიგის მოყვარული კაცი გახლდათ და სხვებისგანაც, მით უმეტეს, ოჯახის წევრებისგან, იმავეს მოითხოვდა. განსაკუთრებით, ბაჩოს აღზრდაზე ზრუნავდა და მის მდგომარეობას ძალიან განიცდიდა. სანერვიულო კი მართლაც, გვქონდა. საქმე ის გახლდათ, რომ ბაჩო ფაქტობრივად, უდედმამოდ დარჩა. ჩვენ მას არაფერს ვაკლებდით, მაგრამ მშობლებს შორის მომხდარმა განხეთქილებამ ბავშვზე მაინც დამღუპველად იმოქმედა. ჩემი ვაჟი იტალიაში გაემგზავრა. ამ პერიოდში რძალი, შვილთან ერთად, ჩვენთან ცხოვრობდა. ქმრის გამგზავრებიდან დაახლოებით ერთ წელიწადში, მოულოდნელად, ხმები მოუტანეს — შენი ქმარი იქ მცხოვრებრუს ქალზე დაინიშნა, მასაც ატყუებს, თითქოს უცოლშვილოა და შენ აქეთ, ერთგულებას გეფიცებაო. რძალი ამბობდა, რომ დამამტკიცებელი სურათებიც უჩვენეს, თუმცა ის ფოტოები მე თვალითაც არ მინახავს. საერთოდ, ამის დაჯერება ძალიან გამიჭირდა. მაინც მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი ბოროტი და ღვარძლიანი ადამიანების წამოწყებულია. ავი ენით ცოლ-ქმარს შორის უთანხმოება ისე გააღვივეს, რომ ბოლოს, ოჯახი სრულ კრახამდე და ტრაგედიამდე მიიყვანეს... ამასობაში, ურთიერთობა რძალ-მამამთილს შორისაც დაიძაბა. ჩემი მეუღლე მისგან წესების დაცვას მოითხოვდა, ის კი ბოლო დროს, სულ უფრო მეტხანს ატარებდა ოჯახს გარეთ და შვილს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. გაბოროტდა, პროტესტს გვიცხადებდა, ქონებას ითხოვდა... ბოლოს, ჩემმა ქმარმა სახლიდან გააგდო... ისიც წავიდა ისე, რომ შვილისთვის არც მოუკითხავს...

— მიიჩნევთ, რომ ამ ამბის გამო, შვილიშვილის ფსიქოლოგიამ ადრეული ასაკიდან განიცადა უარყოფითი გავლენა? რა ცვლილებებს ამჩნევდით მას ხასიათში?

— ეს ამბავი რომ მოხდა, მაშინ საკმაოდ რთული ასაკი ჰქონდა. თავისებური გახდა. უფრო გულჩათხრობილი და სიტყვაძვირი იყო, ვიდრე აგრესიული. მაგრამ მასთან გამკლავება არ გვჭირდა. ყოველივე ამას მე და ჩემი მეუღლე გარდატეხის ასაკით ვხსნიდით და ფარ-ხმალს არ ვყრიდით, მომავალს იმედით შევყურებდით. ქმარი რომ გარდამეცვალა, ბაჩომ იმ წელს სკოლა დაამთავრა. როცა მარტო დავრჩი, ფსიქოლოგიურად, მორალურად გავტყდი, დავუძლურდი და შიშმა შემიპყრო. მაშინ დავურეკე ჩემს უმცროს ვაჟს, რომელიც ცოლ-შვილთან ერთად, პეტერბურგში ცხოვრობს. ვთხოვე, როგორმე ბაჩო თავისთან წაეყვანა, დროებით მაინც. დამპირდა, — ნუ გეშინია, დედა, გზაზე დავაყენებო. ჩემი შვილი იქ ტაქსიზე მუშაობდა. ღამით უფრო მეტი შემოსავალი ჰქონდა და ისიც ამ დროს იყო დაკავებული. დილით დაღლილი შინ მივიდოდა თუ არა, იძინებდა. ამ რეჟიმის პირობებში, შეიძლება, ისე, როგორც მას სურდა, თვალყურის დევნებაც ვერ შეძლო. ბაჩო 20 წლამდე ბიძასთან ცხოვრობდა. ბოლოს ჩემმა შვილმა მითხრა — აქ ვერ ვასაქმებ, იქნებ, მანდ რაიმე კერძო კოლეჯში მაინც გააგრძელოს სწავლა და რაიმე პროფესიას დაეუფლოსო. მეუღლის ნაცნობები შევაწუხე, დახმარებას დამპირდნენ და ამ იმედით, ბაჩო კვლავ თბილისში ჩამოვიყვანე. 3 წელი სოხუმის უნივერსიტეტის ფილიალში ისწავლა, ეკონომიკის ფაკულტეტზე. შეცვლილი იყო. უცნაურობას იმ მხრივ ვატყობდი, რომ განცალკევებით ცხოვრებას ცდილობდა. ერჩივნა, დღისით დაეძინა, ღამით კი, ჩვეულებრივად ეცხოვრა. ვიფიქრე — იქნებ, ვაღიზიანებ და გამირბის-მეთქი? ამის გამო, ვცდილობდი, თვალში არ შევჩეხებოდი, ისე გამეკეთებინა ყველაფერი, როგორც მას სურდა...

— გამოძიების მასალებში განსაკუთრებული სისასტიკეა ნახსენები. ამაში რომ მონაწილეობდა, შემდეგ, ჩვენებაშიც დაადასტურა. თქვენ არ შეგიმჩნევიათ მისთვის ასეთი აგრესია?

— აგრესია — არასდროს. გულჩათხრობილი იყო, მაგრამ — არა აგრესიული. მისი ხმამაღლა ნათქვამი სიტყვაც კი არავის გაუგონია... მისი მესმოდა. ისე არ აეწყო მისი ცხოვრება, როგორც საჭირო იყო. კლასელები, მეზობლები, ვისთანაც ადრე ურთიერთობდა და მეგობრობდა, ასე თუ ისე, უზრუნველყოფილები იყვნენ. მას კი მშობელი გვერდით არ ჰყავდა, საბოლოოდ, ჩემს — მოხუცი ბებიის ამარა დარჩა. მე რა შემეძლო?.. ორივენი ჩემს უმცროს ვაჟს შევყურებდით ხელებში. ფულს ის გვიგზავნიდა. ბაჩოს მამაც აგზავნიდა ხოლმე ფულს, მაგრამ — იშვიათად, ამბობდა, რომ სამსახურის პრობლემები ჰქონდა და მეტი არ შეეძლო. მასთან ბრძოლას რა აზრი ჰქონდა?! ჩვენც არ ვაწუხებდით...

— როცა დანაშაულის შესახებ შეიტყვეთ, რა იფიქრეთ? რას დააბრალეთ მომხდარი ფაქტი?

— ეს ჩემთვის მეხის გავარდნას წააგავდა. თავზარი დამეცა, როცა ნათესავებმა დამირეკეს და მითხრეს, ბაჩოს პრობლემები აქვს და პოლიციის სამმართველოში უნდა წავიდეთო. პირველად მათთან დაარეკვინა თურმე ბაჩომ, ალბათ შეეშინდა, რომ ამ დარტყმას ვერ გავუძლებდი. აქამდე ალბათ, უსამართლობამ მიიყვანა. ცხოვრება მართლაც, დაუნდობლად მოექცა და როგორც ჩანს, მან ყველაფერ ამას, ასეთი პასუხი გასცა. მის გამართლებას არ ვცდილობ. პირიქით, თავსაც ვიდანაშაულებ, რომ საკმარისად ძლიერი არ აღმოვჩნდი. თუმცა, მუდმივად მისი გაკონტროლებაც შეუძლებელი იქნებოდა. როცა ამ გზას დაადგა, ის უკვე ზრდასრული იყო და მე წინ ვერ აღვუდგებოდი. ალბათ, მოსწყინდა სხვისთვის ხელებში ცქერა, მომავალსაც უიმედოდ უყურებდა და ასე გადაწყვიტა. მე მის მეგობრებს ვიცნობდი. ნორმალური ბიჭები იყვნენ. აკითხავდნენ ხოლმე სახლში. მათთვის საეჭვო არასდროს არაფერი შემიმჩნევია. მეორე განსასჯელი კი პირველად, სასამართლო პროცესზე ვნახე. ის ბაჩოს ახლო მეგობარი რომ იყოს, სხვებივით, სახლში ისიც მოაკითხავდა. არ ვიცი, სად და როდის გაიცნეს ერთმანეთი ან დანარჩენ ბრალდებულებთან რა აკავშირებდა. კარგა ხანს ვერ ვიჯერებდი, რომ ამ საქმეში ჩემი შვილიშვილიც იყო გარეული. ვფიქრობდი, რომ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. მასთან ამ თემაზე პირისპირ არ მილაპარაკია და ალბათ, ვერც ვილაპარაკებ. ის, რომ თავს დამნაშავედ ცნობს, პროცესზე მოვისმინე.

— სასამართლოსგან რა ითხოვთ?

— ერთადერთს — შემწყნარებლობას და ადამიანურობას. მესმის დაზარალებულების, რომელთაც არაადამიანურად მოექცნენ, მაგრამ ყველას თავისი შეცდომა და ტკივილი აქვს ამ ცხოვრებაში. ორივენი ინანიებენ დანაშაულს. ჩემს შვილიშვილს კარგად ვიცნობ და მის გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება. მინდა, რომ ცხოვრებას სხვა თვალით შეხედოს, სწორ გზას დაადგეს, მაგრამ ამის საშუალებაც ხომ უნდა მიეცეს?! სასამართლოს ვთხოვ, ეს გაითვალისწინოს და მთელი ცხოვრება ციხეში არ გაატარებინოს. ■

ჰოროსკოპი

(20 - 26 მარტი)

ვაშლი:

კარგი იქნება, თუ განმარტოვდებით და ახალ იდეებზე იფიქრებთ. დაისახეთ მიზანი, იზრუნეთ მის განხორციელებაზე და წარმატებაც არ დააყოვნებს. უქმე დღეები ოჯახის წევრებსა და მეგობრებს დაუთმეთ.

ხარი:

შეეცადეთ, რეალურად შეაფასოთ თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა და თავი დააღწიოთ საკუთარ ფანტაზიებს. რთულ მომენტებში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. თავისუფალ დროს ეცადეთ, რიგიანად დაისვენოთ.

ტყუპები:

შესაძლოა, ასტროლოგიით დაინტერესდეთ. ცხოვრებისეული ცვლილებების გამო, სამეგობრო წრის გამოცვლა მოგინდებათ. დაიმახსოვრეთ, ამ დღეებში თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება პარტნიორებზე იქნება დამოკიდებული.

კიბორჩხალა:

ამ კვირაში მოსალოდნელია ოჯახური უთანხმოება. პრობლემების გადაჭრისას, მეგობრების რჩევაც გაითვალისწინეთ. დროა, დაფიქრდეთ საკუთარ კარიერაზე, ჯანმრთელობასა და იმიჯზე. უქმე დღეები შოპინგზე სიარულს დაუთმეთ.

ლომი:

ამ პერიოდში სხვის იდეებს ადვილად გამოიყენებთ. თუ გინდათ, თქვენი შემოსავალი გაიზარდოს, მეტი უნდა იშრომოთ. კარგი იქნება, თუ ნათესავებთან ერთად საერთო საქმეს არ წამოიწყებთ, რადგან შესაძლოა, ამან ოჯახში გაუგებრობები გამოიწვიოს.

უბაღლუღი:

საქმიან პარტნიორთა შორის შესაძლოა, მომავალი მეუღლე აღმოაჩინოთ. ნებისმიერ საქმეში ორიგინალური მეთოდებით იხელმძღვანელეთ. კარგი პერიოდია უცხოელებთან ან უცხოეთში მყოფ მეგობრებთან საქმიანი მოლაპარაკებების გასამართავად.

სასწორი:

დაიმახსოვრეთ, მიზნის მისაღწევად აუცილებელია ბევრი შრომა. არახელსაყრელი პერიოდია სამსახურის შესაცვლელად. ბევრი ადამიანი მოგმართავთ დახმარებისა და რჩევისათვის. შეეცადეთ, უარი არავის უთხრათ.

ბორკიბეგი:

ამ დღეებში, უჩვეულო სიტუაციებში ყოფნისას, ცოტაოდენი რისკი გამართლებული იქნება. კარგი პერიოდია კრედიტის ასაღებად. საიდუმლო მეგობრობა ან სასიყვარულო ურთიერთობა პერსპექტიული აღმოჩნდება.

ეზვიდდოსაფი:

საქმიან პარტნიორებთან და კოლეგებთან მეტად თავშეკავებული იყავით. თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება თქვენსავე შრომაზე იქნება დამოკიდებული. კვირის ბოლოს, შესაძლოა, რომანტიკულ ვახშამზე მიგიწვიონ.

თხიბ ჩეჯ:

კარგი დროა დაწყებული რემონტის ან მშენებლობის დასასრულებლად. ერიდეთ საიდუმლო და საეჭვო საზოგადოებასა და ორგანიზაციებს. ამ პერიოდში საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მეტად სტაბილური იქნება და შესაძლოა, დაქორწინდეთ კიდეც.

ბეჩეუული:

ახალი და პერსპექტიული საქმეები დიდ მოგებას მოგიტანთ. სტაბილური შემოსავალი ახალი ნივთების შეძენასა და სახლის კეთილმოწყობაზე დაგაფიქრებთ. საყვარელ ადამიანთან ნუ იკამათებთ, რადგან შესაძლოა, ამას ცუდი შედეგი მოჰყვეს.

თევზები:

ამ პერიოდში ჩამოყალიბებული იდეები მომავალში ადვილად განხორციელდება. მოჭარბებული ენერგია ჯობს, ფიზიკურ ვარჯიშზე დახარჯოთ. ოჯახის წევრებს კი ჯერჯერობით, ახალ სასიყვარულო ურთიერთობას ნუ გაუმხელთ, რათა მათ გული არ გატკინონ.

1 გერმანიის პარლამენტი II მსოფლიო ომამდე
2 ხვლიკის სახეობა
3 მცენარეულ ბულითა სულების გამოძახება
4 იტალიელი ტენორი
5 კაპიტან ნემოს ხომალდი
6 მოხუცებულობა
7 გარეული ღორი
8 იაპონელი მწერალი
9 ქვეყანა აფრიკაში
10 კენიის დედაქალაქი
11 ერთგვარი ხვეული ნამცხვარი
12 ერთგვარი ნარკოტიკი
13 თეთრკუდა არწივი
14 თეთრი ლაქა ხარის შუბლზე
15 უკრაინელი მომღერალი ქალი
16 ოფოსლველი დეტექტივი
17 ძვ. ბერძენი მეიგავე
18 ეთიოპიის ძველი სახელწოდება
19 მშვილდის ბაწარი
20 მდინარის ჭანი ნაპირი
21 ძალა
22 წარწერა კრუფლმის კედრზე
23 იგივეა, რაც მეტსახელი
24 გერმანული ელექტროსაქონლის ფირმა
25 საერთოევროპული ვალუტა
26 რეჟისორი ... სკოლა
27 დიდი ფორმატის სქელი წიგნი
28 ქვეყანა ევროპაში
29 ცხიმოვანი სიმსივნე
30 ესპანეთის ფულის ერთეული ევრომდე
31 მრგვალწვერა ხანჯალი
32 გერმანელი პოეტი
33 დაჭრილი პროფესიონალი მმართველი
34 ეგვიპტის დედოფალი
35 უნგრული ნავაზი
36 ესპანური ავტომობილი
37 მდინარე ციმბირში
38 ირლანდიის რესპუბლიკის არმია
39 ვეტერანი ქართული ფეხბურთელი



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. სამაია; 2. აგა; 3. გავიალი; 4. სინგაპური; 5. ლიბრი; 6. მენიუ; 7. ფელინი; 8. ტეფტი; 9. არბიტრი; 10. უხა; 11. პერუ; 12. პოლო; 13. ოაზისი; 14. მამელუკი; 15. კიოტო; 16. მინა; 17. კენია; 18. ხარიხა; 19. ძოწი; 20. ძარა; 21. ალიევი; 22. არისტოტელე; 23. როტორი; 24. ხემი; 25. რიწა; 26. კიბო; 27. ლიბრეტო; 28. ბორა; 29. ტირე; 30. მე; 31. სპირტი; 32. ემუ; 33. აბე; 34. ტბორი; 35. ჯეირანი; 36. კია; 37. ბობოხიძე; 38. რეკეტი; 39. იუკო; 40. პერიფერია; 41. გოუ; 42. ელვა; 43. ტევრი.

სურათებზე: გვინეტ პელტროუ; ჯეისონ ლი.

რამდენად ადვილად შეგიძლია ვინმეს შეყვარება?

სიყვარულის გრძნობა შესანიშნავი სტიმულია იმის სადემონსტრაციოდ, რომ საკუთარი გარეგნული გარდასახვის წყალობით, საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა მოხიბვლის უნარით ხარ დაჯილდოებული. ეს ტესტი დაგეხმარება გაარკვიო, თუ რამდენად იოლად შეგიძლია ვინმეს შეყვარება.

1. გაქვს თუ არა დანახვისთანავე ვინმეს შეყვარების უნარი?

ვ) არა. თავდაპირველად, ადამიანი საკმაოდ ახლოს უნდა გავიცნო — 1;

ბ) ყოფილა ასეთი შემთხვევა, მაგრამ ძალზე იშვიათად — 3;

გ) ასეთი რამ საკმაოდ ხშირად მემართება — 5.

2. კმაყოფილი ხარ თუ არა საკუთარი გარეგნული მონაცემებით?

ა) უფრო არა, ვიდრე კი — 1;

ბ) გააჩნია, როგორ განწყობილებაზე ვარ — 3;

გ) დიახ. მიმაჩნია, რომ მახინჯი ნამდვილად არ ვარ — 5.

3. მოგწონს თუ არა, როდესაც ყმაწვილები თვალს გაყოლებენ?

ა) დიახ — 3;

ბ) არა, არ მიყვარს ასეთი ბიჭები — 1;

გ) გააჩნია, როგორი ბიჭი გამომაყოლებს თვალს — 5.

4. დილაობით, საკუთარი თავის მოწესრიგებას რამდენ ხანს ანდომებ?

ა) დაახლოებით ერთ საათს — 5;

ბ) ნახევარ საათს — 3;

გ) 15 წუთს — 1.

5. როგორ მოიქცევი, თუკი სიმპათიური უცნობი ყმაწვილი გაგიღიმებს?

ა) თვალს ავარიდებ და გავწითლდები — 1;

ბ) თავადაც გავუღიმებ — 3;

გ) ჩემი ქცევა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ ხასიათზე ვარ — 5.

6. მოგწონს თუ არა ლამაზი, მაქმანებიანი ქვედა საცვალი?

ა) დიახ, მომწონს, მაგრამ როცა სხვას აცვია — 3;

ბ) დიახ და თავადაც დიდი სიამოვნებით ვატარებ — 5.

გ) მე ის ნამდვილად არაფერში მჭირდება — 1.

7. შენთვის სპორტის რომელი სახეობაა უფრო მისაღები?

ა) ცურვა — 3;

ბ) ჩოგბურთი — 1;

გ) ფრენბურთი — 5.

ტესტის შედეგები

7-16 ქულა: საკმაოდ გულჩათხრობილი და დაკომპლექსებული ადამიანი ხარ. საკუთარ თავზე მუშაობა, ამ ნაკლოვანებების დაძლევა და ფლირტის ხელოვნების დაუფლება გმართებს.

17-32 ქულა: მსუბუქი, გულღია ხასიათით გამოირჩევი, მაგრამ თავქარიანი ნამდვილად არ ხარ. ახალ-ახალი ნაცნობობის გაბმა შენთვის სირთულეს არ წარმოადგენს და არც საპირისპირო სქესის წარმომადგენლის შეყვარება გიჭირს.

33-35 ქულა: უამრავი თაყვანისმცემელი გყავს, მაგრამ ბევრი მათგანი თავქარიან გოგონად მიგიჩნევს; ამან კი შესაძლოა, საპირისპირო სქესის წარმომადგენელს ხელი შეუშალოს შენდამი სერიოზული გრძნობის ჩამოყალიბებაში.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

2	6	3	8	4	5	9	1	7
5	4	7	1	6	9	8	2	3
8	9	1	7	2	3	6	5	4
1	2	9	3	8	6	4	7	5
4	8	5	2	9	7	3	6	1
3	7	6	4	5	1	2	9	8
6	3	8	5	1	2	7	4	9
9	5	4	6	7	8	1	3	2
7	1	2	9	3	4	5	8	6

4	3	1	7	5	6	9	8	2
5	2	6	9	8	1	3	4	7
7	8	9	4	2	3	1	6	5
3	7	4	6	9	2	8	5	1
9	1	8	3	7	5	6	2	4
6	5	2	1	4	8	7	3	9
1	4	3	5	6	9	2	7	8
8	6	7	2	1	4	5	9	3
2	9	5	8	3	7	4	1	6

9	5	2	1	3	8	6	4	7
4	7	3	2	9	6	5	1	8
8	6	1	5	4	7	3	9	2
6	9	4	7	8	5	1	2	3
2	8	7	6	1	3	9	5	4
1	3	5	4	2	9	7	8	6
3	1	6	8	5	4	2	7	9
7	2	8	9	6	1	4	3	5
5	4	9	3	7	2	8	6	1

* მარტივი

3			4		1		5	2
8		5			9			6
		9		6			1	
	8		2		6	1		3
		4	9			7		
2		1	3				8	
	4			7		2		
7			1			5		8
1	5		6		2			9

** საშუალო

	7			4				3
		2			3			9
8				7			5	1
	8		5	2		9		
6				1				7
		7			8		2	
7	4			3				2
5			8			1		
2				5			3	

*** რთული

		7			8	2		
	8			7		3		
		6		4	1			9
6								
	2		5				4	
			1					3
2			4	6		8		
		8		3			7	
		4	8			6		

ებრაელი ფსიქოლოგი ბიბლიურ მოსეს ნარკომანიაში ადანაშაულებს

იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი ბენინ შანონი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სინის მთაზე უფლის გამოცხადებისა და ათი მცნების გადაცემის დროს მოსე ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. კოგნიტიური ფსიქოლოგიის სპეციალისტი ირწმუნება, რომ ბიბლიურ ეპოქაში ჰალუცინოგენების გამოყენება ებრაელთა რელიგიური პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი იყო და ისინი რიტუალების დროს, აკაციის ფესვებისა და სხვა მცენარეებისგან დამზადებულ ნაყენებს მოიხმარდნენ. „რაც შეეხება სინის მთაზე უფლის გამოცხადებას — ეს ან ზებუნებრივი კოსმოსური მოვლენა იყო, რისიც არ მჯერა, ან ლეგენდა — ამისიც არ მჯერა. ვფიქრობ, ის მოვლენა, რომელმაც მოსე და ებრაელი ხალხი გააერთიანა, ნარკოტიკული ზემოქმედება იყო“, — განაცხადა ბენინ შანონმა ერთ-ერთ რადიოინტერვიუში.

ფსიქოლოგი ფიქრობს, რომ მოსე მაშინაც ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც ცეცხლოვანი მაყვლის ბუჩქის ალში უფალი გამოეცხადა და ეგვიპტიდან ებრაელთა გამოყვანა უბრძანა. „ბიბლიის“ თანახმად, ადამიანები ხმებს ხედავენ, ეს კი კლასიკური სიმპტომია“, — განმარტავს მეცნიერი, რომელმაც ამგვარი დასკვნები პირადი გამოცდილების საფუძველზე გამოიტანა: 1991 წელს ბრაზილიაში, ამაზონის ტყეებში მოგზაურობის დროს შანონმა მცენარე აიახუასკას (Banisteriopsis caapi) ნაყენი იგემა და რელიგიური შინაარსის „ხმები იხილა“. მას შემდეგ, ჰალუცინოგენური ნივთიერება არაერთხელ მიიღო და ამ ნივთიერებათა თვისებების შესახებ წიგნიც კი დაწერა. „ერთი რამ კი ცხადია — ამ ნივთიერებების მომხმარებელთაგან, „თორას“ შექმნა ვერავინ შეძლო. ამისთვის მოსე უნდა იყო“, — ასკვნის მკვლევარი, რომელიც ადრე ებრაული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა. უცნობია ის მიზეზები, რომლის გამოც ბენინ შანონს უნივერსიტეტის ხელმძღვანელის პოსტის დატოვება მოუხდა. ფსიქოლოგის სკანდალური ნაშრომი არქეოლოგიისა და კულტუროლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი ახალი ჟურნალის — Time and Mind — პირველ ნომერში გამოქვეყნდა.

ავსტრალიაში ველოსიპედი ჯიდევ ერთხელ გამოიგონეს

ავსტრალიურმა ფირმამ ხუთთვლიანი ველოსიპედი — Streetsurfer — გამოიგონა, რომლის კარკასი და უკანა ბორბალი ჩვეულებრივისგან არაფრით განსხვავდება, წინა ნაწილი კი, 4 მომცრო ბორბლითაა აღჭურვილი. მწარმოებელი ფირმის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ დედამიწასთან შეხების 5 წერტილის მეშვეობით, კონსტრუქცია მექანიზმის მართვასა და მანევრირებას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს. ამ ველოსიპედის ბედნიერი მფლობელები ხუთთვლიანი ველოსიპედით გასეირნებას სერფინგს ადარებენ. დიდ ბრიტანეთში უჩვეულო ველოსიპედის ფასი 399 გირვანქა სტერლინგია.

რელიგიური ცრურწმენის გამო 50 ადამიანი დაბრმავდა

ინდოეთის სამხრეთში მდებარე ქალაქ ერუმელის 50-მდე მოქალაქემ მზეზე ღვთისმშობლის გამოსახულების დანახვა სცადა, მნათობს თვალი გაუსწორა და ამისთვის მწარედ დაისაჯა! ბოლო დღეებში ადგილობრივ ჰოსპიტალს დახმარებისთვის, 49 ადამიანმა მიმართა, რომლებმაც მზეს დიდხანს უყურეს და ამის გამო, თვალის ბადურის ფოტოქიმიური დამწვრობა მიიღეს. უჩვეულო გატაცების მიზეზი კი ის ჭორია, რომლის თანახმადაც, ერუმელის მახლობლად მდებარე მიდამოდან მზეზე ღვთისმშობლის გამოსახულების დანახვა შეიძლება... ამ სახიფათო ლეგენდის გავრცელებაში ეჭვმიტანილია იმ სასტუმროს მეპატრონე, საიდანაც „სასწაული“ მოჩანს. სასტუმროს მფლობელი ირწმუნება, რომ მის სახლში ღვთისმშობლის მირონმდინარე ქანდაკებები თაფლის ცრემლებით ტირიან!

ადგილობრივი სასულიერო პირები მსგავს მოვლენას კატეგორიულად უარყოფენ. ხელისუფლებამ გამოაქვეყნა სპეციალური მიმართვა, რომელიც მოქალაქეებს მოუწოდებს — არ ენდონ მისტიფიკაციას და მზეს არ შეხედონ. ამ მოწოდების მიუხედავად, ერუმელში მომლოცველთა ნაკადი არ წყდება.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲕᲔᲚᲔᲑᲘ!

ჩვენ კვლავაც ველით თქვენს შეფასებებს, იდეებს, სურვილებს. მოგვწერეთ ელფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com, დაგვმესიჯეთ ტელ: 8.99.17.35.27 ან გამოგვიგზავნეთ წერილი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების მეშვეობით.

ფოტოკუთხეები

სათესლე ნაზი
Nestlé
Nestlé
Nestlé
Nestlé
Nestlé
Молочный
შოკოლადი
ნესტლე
დატკბი
სიმსუბუქით